

მეამბო



საქართველოს
წიგნების კავშირი

4

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1928

პრინციპალის დეპარტამენტი, თბილისი



ქართული
ლიბრარიონი

მნათობი

4

ყოველთვიური მხატვრული ლიტერატურული
მეცნიერული პუბლიცისტური ჟურნალი


წელიწადი მუსკათა

აკრილი

სახელმწიფო საბჭოთაო
ცენტრისი 1928



ქართული
ენობათმცოდნეობის
ინსტიტუტი



მეჭინე ბოროტი



საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკის
გამომცემლობა

„მეჭინე გოტი, უჩუქლად, პრეტორიული სულთნების უღმრესი პრეტორიული...
ლია, ბიბლიის მეჭინე გოტი ამ სულთნებისათვის და უფრო მეტად გაკეთებს...“

გოტი ავტორიტეტის პრეტორიული სულთნებში. ეს უნდა...“

პრეტორიული სულთნებში დიდი პლატონა გოტი, მიუხედავად მისი თანატოლები-
მისი მისიებისა და თვითშეფასებისა“

ასე სასაბაბოდ ლეონი მეჭინე გოტის თვით შედეგი წლის წინათ, ბიბლია გოტი
ლეონის მანკისგან თითქმის ჩამოცილებულად ითვლებოდა.

მისიებისა და თვითშეფასების გოტის დროებითი თანატოლებში სული არ შეე-
შალა ლეონის მეჭინე გოტი ვინაღუთ დაესაბამებია, ამ მიზნის მიხედვით მის-
ფაქტა და შემთქმველი დაეხსა.

მეჭინე გოტის პრეტორიული სულთნების მართლაც უნდა ავტორიტეტის მთელ
მსოფლიო ლიტერატურაში.

მიზნული წესდების დასაბამი ჩამოცილებული, მიუხედავად იმისა, რომელიც მეჭინე
მიუხედავად „თანამდებობა“ მთავრად პრეტორის, ლეონის განუყოფელი ამხანაგი, სამხ-
თა ვადების ვულკანული მეჭინეობა, მსოფლიო მისთვის სულთნებში—ამ დონ არის მეჭ-
ინე გოტი.

„—დგინა ჩემი, დგინა მიუხედავად! ჩემთვის არ არსებობს უსულთნობა, არ არ-
სებობს ცემი.“

არის მსოფლიო ამხანაგები და მიუხედავად.

მიუხედავად ჩემი ამხანაგებისა.

მიუხედავად ჩემი მიუხედავად“.

ასე ავტორიტეტის მეჭინე გოტი ცენტრალურ ანტიკულ მიზნულ სიტუაციის თავის იმდენად
მეჭინეობის („დგინა“). ბიბლიის, მთავრად მიუხედავად მიუხედავად სამხანაგული, სული-
დენ სულზე გადადის გოტის მიხედვით მიუხედავად იმისა.

„Права не дают, их берут!“

მსოფლიო გოტის, განუყოფელი მიზნული და მიუხედავად, მიუხედავად ასეთი ლიტერატურით
გამოსული სულთნებში. ეს არის ლიტერატურა—რეალური მიუხედავად, მიუხედავად და გამხ-
რავების უნდა იმდენად გამაღმირებელი, ბიბლიის მიუხედავად არსებობს გადამიწვევა, სულთნული,
სამხანაგული-სამხანაგული მიუხედავად მიუხედავად.

ამიტომაც იგი, გოტის მიუხედავად სიტუაცია, მიუხედავად მიუხედავად ცენტრში, თვითმშობ-
ლითვის ვულკანის სამხანაგული უსულთნობა...“

„დასაბამი“ ლეონისთვის უნდა მისთვის მეჭინე გოტი, მიზნული — „მართლმართლის მიუ-
ხედავად“. მისთვის რეალური მიუხედავად აღმშობელი.

— ადამიანი ვინც და ადამიანის აზრადი აზრის უცხო ჩუბთვით, ამითვე ანტი-
ტი იღილსთყვის ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

ვინც ვინცა ასევე ამ იმედა. ღმერთისა ვინცა, რთვითვე ადამიანისა და პოლი-
ციისა, ანც ვსე უმნიშვნელთ პოლიციისა შეცდომები.

სამედიცინოთ, პოლიციისა შეცდომები ან აღმინებდა ვინცავე საბედისწერთ.
ვინცავე გამთავისებდა შეცდომები. სამედიცინო წლის ვინცავე ვინცავე ანტი-
ჯიუტელ პოლიციისავე და ვინცავე პოლიციისავე სადაც და ვინცავე

ეს შეიძლება ითქვას თავისავე—ჩვენს საზოგადო და ვინცავე სასასულთ.

რთვითვე სელთვინს, ვინცავე ნაკლებით ანტი-სიყვარულს შეცდომები ვინცავე.

და ლინინი ადამიანი უდიდეს სელთვინს ვინცავე ვინცავე.

სამედიცინო ვინცავე—და მთელი ქვეყნის—მისავე მილიტარის გულში პოლიციის
ყოფილს ვინცავე ვინცავე ვინცავე საზოგადო.

ვინცავე ვინცავე იქნებოდა ვინცავე პოლიციისავე სელთვინის, —თავით პოლიციისა-
ვის, რთვითვე წარმომადგენელი უდიდესი, მსოფლიო სელთვინი.

მისავე, ვინცავე უდიდესი ადამიანივე პოლიციისავე სელთვინის:

ვინცავე უდიდესი ვინცავე—სთქვამს ლინინს.

ეს სიყვარული ვინცავე. ვინცავე ვინცავე—ვინცავე მთავრად ვინცავე
მისავე უდიდესი.

ვინცავე ვინცავე უდიდესი ნიქს ანტი-სიყვარული ვინცავე, მისავესევე ვინცავე
სეცდომები.

მთელი „გულწრფელი ვინცავე“ ვინცავე ვინცავე ვინცავე და ვინცავე ვინცავე
თქვამს აღმინებდა.

ეს ანტი-ჩვენს საზოგადო ვინცავე უდიდესი ვინცავე.

ვინცავე სთქვამს ვინცავე ვინცავე.

უდიდესი თქვამს ეს ვინცავე მთელი მსოფლიოთში და ვინცავე.

ვინცავე ვინცავე ვინცავე—უდიდესი ადამიანი.

ეს იქნებოდა სელთვინი ვინცავე, რთვითვე საზოგადოთში ვინცავე ვინცავე
ვინცავე ვინცავე საზოგადოთში აღმინებდა...

მხატვრული დიპლომატურა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



არსთამონოვების სახე

ყმების განთავისუფლებიდან ორიოდ წლის შემდეგ, ფერისცვალება დღეს, წირვაზე, ტიჩაზე მდებარე ნიკოლას სახელობის ეკლესიის მრევლმა ვილაც „უცხო“ შენიშნა. — დადიოდა იგი შემჭიდროებით მდგარ ხალხში, უზრდელად ჰჯგვლემდა ყველას და ძვირფასიან სანთლებს უნთებდა ხატებს, რომლებსაც ქ. დრემოვოში ყველაზე უფრო თაყვანსა სცემენ. მამაკაცი ბრგე და ძალოვანი, ბეჭდებად დახვეული ძალზე შეჭალარებული გრძელი წვერით და ბოშასებურად დახუჭუჭებული მოშავო თმით, რომელიც თავზე მტკიცე ქუდივით ეხურა. დიდცხვირა, ხორკლიანი მოსქო წარბების ქვემოდან გამომწირალი ნაცრისფერი, ლურჯდაკრული თვალებით. და იყო აღნიშნული: როცა ხელებს ძირს დაუშვებდა, მისი ფართე ხელისგული მუხლებს წვდებოდა.

ჯვრის სამთხვევად გამოჩენილ მოქალაქეებთან ერთად მივიდა. მოქალაქეებს ეს განსაკუთრებით არ მოეწონათ; და როცა წირვა გათავდა, დრემოვოს თავიკაცები კარიბჭეზე შესდგენ და ერთმანეთს აზრი გაუნაწილეს ამ უცხო კაცის შესახებ. ზოგმა სთქვა — მეხორცე უნდა იყოსო, სხვებმა — მოურავი იქნებაო; ხოლო ქალაქის ნაცვალმა ევსეი ბაიშაკოვმა, კაცმა მშვიდობიანმა, სუსტჯანიანმა, მაგრამ გულითადმა, ნელიად ჩაახველა და სთქვა:

— საფიქრებელია, რომ შინაყმაა, ბაზიერი ან ასეთი ვინმე ბატონის გამრთველთაგანი.

მემაუდე პომიალოვმა კი, მეტსახელად „ქვრივმა ხოქომ“, ფუსფუსა კაცმა და გემოს მოყვარულმა, ბოროტი ენის პატრონმა, ნაყვავილარმა და უშნომ, ღვარძლიანად წარმოსთქვა:

— დაინახეთ, თათები რანაირი გრძელი უჩანს? აი, როგორ მიდის: თითქოს ამ ზარებს მისთვის რეკავენო.

მხარბეჭიანი, დიდცხვირა კაცი ისე მაგრად მიალაჯებდა ქუჩაში, თითქოს საკუთარ მიწაზე მიდიოდა. ლურჯი, კარგი მაულის „პოდიოვკა“ ეცვა, ფეხებზე — სამოგვის ჩექმები. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და იდაყვები გვერდებზე მიეზჯინა.

მოქალაქეებმა მესეფისკვრე ერდანსკის ქალს მიახლოეს დაწვრილებით გაეგო, თუ ვინ იყო ეს კაცი, და სანამ ზარებს რეკავდენ, დაიშალნენ, — წავიდენ

პომიალოვთან, რომელსაც ისინი მოწვეული ჰყავდა სალამოს ჩაიზე, თავის ეოლოს ბაღში.

ნასადილევს სხვა დრემოველებმა ის უცნობი კაცი მდინარის ~~გაღმა~~ ნაზეს, „ძროხისენაზე“ — კონცხზე, თავად რატსკების მიწაზე. დადიოდაი გო მარნის ბუჩქნარში და ქვიშიან კონცხს ფართე, სწორ ნაბიჯებით ზომავდა ნაწილებზე ხელისგულს ჩამოიფარებდა და ისე ათვალეირებდა ქალაქს, რკას და მის დახლართულ ქაობიან შენაკადს — ვატარაკშას. დრემოვოში ფრთხილი ხალხი ცხოვრობს. ვერავინ ვერ გაბედა მისთვის დაეძახნა და ეკითხნა: ვინ არის და რას აკეთებს? ნავრამ მაინც გაგზავნეს მოდარაჯე მაშკა სტუპა, ქალაქის მასხარა და ლოთი. უსირცხვილოდ, ყველას თვალწინ, ქალებთან მოურიდებლად, სტუპამ სახაზინო შალვარი გაიხადა, დაჭმუჭენილი კიჭერი კი თავზე დაიტოვა, შლამიან ვატარაკშაში ფონით გაეიდა, ლოთის მუცელი გაიბერა, სასაცილო, ბატისებური ბაჯბაჯით მიუახლოვდა უცხო კაცს და თავისავე თავის წასათამამებლად განზრახ ხმამალლა ჰკითხა:

— ვინ ხარ?

არ ისმოდა, თუ როგორ უპასუხა მას უცნობმა, მაგრამ სტუპა მყისვე დაბრუნდა თავისიანებთან და უამბო:

— მკითხა: რად ხარ ასე უშნოო?.. თვალეები ძალიან ბოროტი აქვს... ყაჩაღს ჰგავს.

სალამოს, პომიალოვის ეოლოს ბაღში, შესეფისკვერე ერდანსკის ქალმა, ჩიყვიანმა, განთქმულმა მარჩიელმა და ბრძენმა, თავისი საშინელი თვალეები ძალზე გადმოკარკლა და დრემოვოს საუკეთესო მოქალაქეებს ასე მოახსენა:

— მისი სახელია — ილია, გვარი — არტამონოვი, სთქვა: აქ, თქვენთან, მინდა ცხოვრებაო, საქმის დაწყებას ვაპირებო... ხოლო რა საქმის, ეს აღარ დამიკითხავს. ვორგოროდს მიმავალმა გზად აქ შემოუხვია... ამავე გზით წავიდა საათის სამს, მეოთხე რომ დაიწყო.

ამნაირად, მაინცა-და-მაინც ვერაფერი ვერ გაიგეს ამ კაცის შესახებ, და ეს რაღაც არა სასიამოვნოდ დაურჩა ყველას, — თითქოს ლამით ვილაცამ თანჯარაზე დააკაკუნა, ხალხი უსიტყვოდ გააფრთხილა, უბედურება მოგელისო, და მიიშალა.

გავიდა სამიოდე კვირა და მოქალაქეთა მეხსიერებაში დარჩენილმა კრილობამ თითქმის პირი შეიკრა, რომ ის არტამონოვი ერთი ოთხად გამოცხადდა პირდაპირ ბაიმაკოვთან და, თითქოს ნაჯახით შეშას აპობსო, ისე უთხრა:

— აი, მოგიყვანე, ევსეი მიტრიჩი, ახალი მცხოვრებლები და შენს ხელქვეით იყოლიე... გთხოვთ მომეხმარო შენს ახლოს მოვეწყო და კარგი ცხოვრება გავმართო.

მოკლედ და საქმიანად უამბო, რომ ის თავად რატსკების კაცია. მათი კურსკის მამულიდან, მდინარე რატზე რომ მდებარეობს. თავადი გიორგის ნოქარი ვიყავიო, ხოლო თავისუფლების შემდეგ მოვშორდიო. ბატონს კარგად დაუსაჩუქრებია და ახლა გადაწყვეტილი აქვს საკუთარი საქმე დაიწყოს: ტილოს

ფაბრიკა ააგოს, ქვრივია. შვილების სახელი: უფროსის—პეტრე, კუზიანის—ნიკიტა, მესამე—ოლეშკა—ძმისწულია, მაგრამ მისი, ილიას, შვილობილი.

— სელსჩენი გლეხები ცოტას სთესენ, — ჩაფიქრებულად შენიშნა ბაიმაკოვმა.

— ვაიძულებთ მეტი დასთესონ.

არტამონოვს ხმა ბოხი ჰქონდა და უშეერი. ისე ლაპარაკობდა, თითქოს დოღს სცემსო. ბაიმაკოვი კი მთელი თავისი სიცოცხლე დედამიწაზე ფრთხილად დაცოცავდა, ლაპარაკობდა ჩუმად, თითქოს იმის ეშინოდა, საშინელი ვინმე არ გავაღვიძრო. მას შემკვნიარი იასანის ფერის თვალები ალერსიანად აეხამხამებინა და ასე შესცქეროდა არტამონოვის ბიჭებს, რომლებიც გაქვავებულებივით კართან იდგენ. ისინი ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებოდნენ: უფროსი მამას ჩამოჰგავს, ფართე მკერდიანი, წარბები შეერთებული, თვალები—პატარა, დათფური. ნიკიტას ქალწულის თვალები დიდრონია და ცისფერი, როგორც მისი ხალათი. ალექსი—თმახუჭუჭა, ლოყებლაქლაქა, ლამაზი და თეთრიანი, პირდაპირ და მხიარულად იცქირება.

— ერთს ხომ ჯარისკაცად? — ჰკითხა ბაიმაკოვმა.

— არა, შვილებო მე თვითონ მჭირია. ქვითარი მაქვს.

არტამონოვმა შვილებს ხელი აუქნია და უბრძანა.

— გადით გარეთ.

და როცა ისინი ჩუმად, ერთიმეორის მიდევნებით და უფროსუმცროსობის დაცვით გავიდნენ, მან თავისი მძიმე თათი ბაიმაკოვს მუხლზე დაადვა და უთხრა:

— ევსეი მიტრიჩ, მე შენთან მზახლადაც ვარ მოსული: შენი ქალი ჩემს უფროს ვაჟს მიათხოვე.

შეშინებული ბაიმაკოვი ზეზე წამოხტა და ხელები გაასავსავა.

— ღმერთი არა გწამს? ეს რა მითხარი? მე შენ პირველად გხედავ! ვინ ხარ—არ ვიცი, და შენ კი... — აბა, ეს რა სთქვი?! ქალი მე ერთი მყავს. მისი გათხოვება ჯერ ადრეა.... შენ არც კი გინახავს იგი, არ იცი — როგორია! რას ამბობ?

მაგრამ არტამონოვმა დახუჭუჭებულ წვერში ჩაიციხა და სთქვა:

— ჩემს შესახებ — ისპრავნიკს ჰკითხე, იგი თავადთან დავალებულია და მისგან წერილიც აქვს, რომ მე ყველა საქმეში დახმარება აღმომიჩინოს. ჩემზე ცუდს ვერაფერს ვერ გაიგონებ, ამის თავდებად ეს წმ. ხატები მომიცია. შენს ქალს კი მე ვიცნობ.. აქაურობის, ამ შენი ქალაქისა, მე ყველაფერი ვიცი. ოთხჯერ ვყოფილვარ უჩინრად... ყველაფერი გავიგე. ჩემი უფროსი ვაჟიც იყო აქ, შენი ქალიც ნანახი ჰყავს, — ამაზე ნუ შეწუხდები!

ბაიმაკოვმა თავი ისე ივრძნო, თითქოს დათვმა გასთელაო, და სტუმარს სთხოვა:

— დაიცადე...

— ცოტახანს შემიძლია, დიდხანს მოცდა კი არ ვარგა*)—მკაცრად სთქვა მოძალადე კაცმა და ფანჯრიდან ეზოში გადასძახა:

— მოდიო, მასპინძელს მადლობა უთხარიო.

როდესაც გამოემშვიდობეს და წავიდნენ, ბაიმაკოვმა შიშით/ მიაპყრო თვალები ხატს, სამჯერ გადაიწერა პირჯვარი და წაიჩურჩულა:

— უფალო, შემიწყალე! ეს რა ხალხია? ღმერთო, დაგვიფარე უბედურობისაგან.

იგი ჯოხის კაკუნით წაბაჯბაჯდა ბაღში, სადაც ცაცხვის ძირში, მისი ცოლი და ქალი მურაბას ადუღებდნენ. ბრგე, ლამაზი ცოლი ქმარს შეეკითხა:

— ვინ ყმაწვილები იყვნენ, მიტრიჩ, ეზოში რომ იდგენ?

— არ ვიცი. ნატალია სად არის?

— შაქრისთვის წავიდა საკუჭნაოში.

— შაქრისთვის,—მოღრუბლვით გაიმეორა ბაიმაკოვმა და ხის სკამზე ჩამოჯდა.—შაქარი... მართალია, რომ ამბობენ: თავისუფლება ხალხს დიდად შეაწუხებსო. ცოლი რომ დააკვირდა, შეშფოთებით ჰკითხა:

— რა დაგემართა? კიდევ შეუძლოდ ხარ?

— სული მიწუხს რალაც... მგონია: ის კაცი იმისთვის მოვიდა, რომ ჩემი ადგილი დაიჭიროს ამ ქვეყნად.

ცოლმა ნუგეშისცემა დაუწყო.

— კარგია ერთი!... რამდენი ხალხი ახალა სოფლიდან მოდის.. რა ვუყოთ შერე?

— სწორედ ეგ არის, რომ მოდის... მე შენ ჯერ არაფერს არ გეტყვი... მოიცა—მოვიფიქრებ.

ხუთი დღის შემდეგ ბაიმაკოვი ლოგინში ჩაწვა, ხოლო თორმეტი დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა უფრო მეტი ჩრდილი მიაყენა არტამონოვსა და მის შვილებს. ავადმყოფობის განმავლობაში ნაცვალს ორჯერ ეწვია არტამონოვი. პირველად მარტო იყვნენ და დიდხანს ისაუბრეს. მეორეჯერ ბაიმაკოვმა ცოლი მოიხმო, მოჭანცულმა ხელები გულზე დაიწყო და სთქვა:

— აი, ამას ელაპარაკე... მე, როგორც სჩანს, ამ ქვეყნის საქმეების მონაწილე აღარ ვარ... თავი დამანებეთ, მინდა მოვისვენო...

— აბა, წამოდი ჩემთან, ულიანა ივანოვნა,—უბრძანა არტამონოვმა დიასახლისს და უკან არც კი მოუხედავს, ქალი გაჰყვა თუ არა, ისე ოთახიდან გავიდა.

— წადი, ულიანა. სჩანს, ეს ბედისწერაა,—ჩუმად ურჩია ნაცვალმა ცოლს, როცა შენიშნა, რომ ქალს ვერ გაეგებდნა სტუმარს გაჰყოლოდა. იგი ჰკვიანი დედაკაცი იყო, მტკიცე ხასიათი ჰქონდა, მოუფიქრებლად არაფერს არ გააკეთებდა. ახლა კი საქმე ისე მოეწყო როგორღაც, რომ არ გასულა ერთი საათიც, ქმართან შემობრუნებულმა მოგრძო, ლამაზი წამწამების შერხევით ცრემლი თვალთაგან მოიწყვიტა და ასე უთხრა:

*) დღევანში გადმოუღებელ სიტყვების თამაშია.

— რა ექნათ, მიტრიჩ, სჩანს, მართლაც ბედისწერაა... დალოცე ქალიშვილი.

სალამოს მან ქმარს ლოგინთან მდიდრულად ჩაცმული ქალი მიჰგვარა. არტამონოვმა კი თავისი ვაჟი მოიყვანა. ქალვაჟს ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ, ისე ხელი ხელს გაუყარეს, მუხლებზე დაეშვენ და თავი დახრჩვეს. ბაიმაკოვი სულს ძლივს ითქვამდა, ძველი, მამისეული მარგალიტი მარჯვენა ხატი თავზე დაადვა და წარმოსთქვა:

— სახელითა მამისათა და ძისათა... უფალო, არ მოაკლო შენი მოწყალება ჩემს ერთად ერთს ნაშვირს...

მერე მტკიცედ უთხრა არტამონოვს:

— გახსოვდეს: ჩემი ქალისთვის ღვთის წინაშე პასუხს შენ აგებ. არტამონოვმა ისე დაუკრა თავი, რომ ხელით იატაკს დაწვდა.

— ვიცი.

მომავალ რძლისათვის ერთი ალერსიანი სიტყვაც არ გაიმეტა. თითქმის არც კი შეხედა არც მას და არც თავის ვაჟს, მხოლოდ კარისკენ თავი გააქნია:

— წადით.

და როცა დალოცვილები წავიდნენ, ავადმყოფს ლოგინთან დაუჯდა და ბეჯითად უთხრა:

— დამშვიდდი, ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა. მე ოცდაჩვიდმეტი წელიწადი დაუსჯელად ვემსახურე ჩემს ბატონებს, და ხომ იცი, კაცი ღმერთი არ არის: კაცი მოწყალე როდია, მას ვერ აამებ. შენც, მზახალო ულიანა, კარგად იქნები, ღვთის მაგიერობას გაუწევ ჩემს ბიჭებს, მათ კი ნაბრძანები ექნება პატივი გცენ.

ბაიმაკოვი უსმენდა და ჩუმად კუთხეში ხატებისკენ იმზირებოდა. სტიროდა. ულიანაც ქვითინებდა. ის კაცი კი დანანებით განაგრძობდა:

— ჰე, ევსეი მიტრიჩ, ადრე მიდიხარ, გვშორდები. თავი კარგად ვერ შეგინახავს. რა საჭირო იყავი ახალა ჩემთვის, აი, ამ ზომამდე...

წვერზე ხელი გარდიგარდმო გადაისვა, ხრიალით ამოისუნთქა.

— მე შენი ამბავი ვიცი. პატიოსანი იყავი და საკმარისად ჭკვიანი... რომ გეცხოვრა ჩემთან ხუთიოდე წელიწადი, დიდ საქმეს დავატრიალებდით, — მაგრამ ნება ღვთისაა.

ულიანამ შესაბრალისად წამოიკივლა:

— რას ჩხავი, ყორანო? რად გვაშინებ? ეგებ ჯერ კიდევ...

მაგრამ არტამონოვი წამოდგა და ბაიმაკოვს ღრმად თაყვანი სცა, როგორც მიცვალებულს:

— მადლობელი ვარ ნდობისათვის. მშვიდობით. მე ოკაზე მიმეჩქარება, იქ ნავებია ჩამოსული ჩემი ბარგი-ბარხანით.

როცა იგი წავიდა, შეურაცყოფილმა ბაიმაკოვის ცოლმა გულანოსკვნით წაიყმუილა:

— უხეში სოფლელი! მის შვილზე დანიშნულ სასძლოს ერთიც კი არ მოეფერა, სიტყვაც კი არ უთხრა...

ქმარმა შეაჩერა იგი.

— ნუ წუჟუნებ... ნუ შემაწუხებ...

და მცირე ხნის გაფიქრების შემდეგ, დაუმატა:

— შენ მას ხელიდან ნუ გაუშვებ: ეს კაცი, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყანაა.

ბაიმაკოვი დიდი პატივისცემით დაასაფლავა მთელმა ქალაქმა. დაესწრო ხუთივე ეკლესიის სამღვდელოება. არტამონოვები მიცვალებულის ქვრივის და ქალის შემდეგ რიგში მიყვებოდნენ კუბოს. ეს არ მოეწონათ მოქალაქეებს. კუზიან ნიკიტას, რომელიც თავისიანების უკან მოდიოდა, ესმოდა, თუ როგორ სჩივოდა ხალხი:

— არავინ იცის ვინ არის, ის კი ერთბაშად პირველ ადგილს იჭერს.

პომიალოვი მუხის რკოსფერ მრგვალ თვალებს ატრიალებდა და მისჩურჩულებდა:

— როგორც მიცვალებული ევსეი იყო, ისე ულიანაც ფრთხილი ადამიანია... მოუფიქრებლად ნაბიჯი არ გადაუდგამთ. მაშასადამე აქ რალაც საიდუმლოება უნდა იყოს: სჩანს, ისინი რითიმე მოხიბლა ამ ქორმა, თორემ ასე არ დაუნათესავდებოდნენ!...

— სწორეა, რალაც ბნელი საქმეა.

— აკი ვამბობ — ბნელი საქმეა მეთქი. ალბად — ყალბი ფულის ამბავია... მოდი და გაიგე: ბაიმაკოვები ხომ წმინდანებივით ცხოვრობდნენ, ა?

ნიკიტა თავდახრით უსმენდა ამ ლაპარაკს და კუხს ისე ზნექავდა, თითქოს დარტყმას მოეღისო. ქარიანი დღე იყო. ქარი ბრბოს უკანიდან უბერავდა. ასეული ფეხით აყენებული მტვერი კვამლის მსგავს ღრუბელივით დასდევნებოდა ხალხს და შიშველ თავების ზეთწასმულ თმაზე პუდრივით ეყრებოდა. ვიღაც შენიშნა:

— შეხედე, არტამონოვი ჩვენს მტვერს როგორ მოუთხუპნია... განაცრისფერებულა, ეს ბოშა...

ქმრის დასაფლავების შემდეგ მეთექვსმეტე დღეს ულიანა ბაიმაკოვა თავისი ქალითურთ მონასტერში წავიდა, და სახლკარი არტამონოვს ჩააბარა. არტამონოვი და მისი ვაჟები, თითქოს კორიანტელმა აიტაცაო, დილიდან საღამომდე ყველას თვალში უვარდებოდნენ; ქუჩებში გამალებით მიმოდიოდნენ, საყდარს ისე არ ჩაუფლიდნენ, რომ პირჯვარი არ დაეწერათ. მამა სულ ხმაურობდა და ცხარობდა. უფროსი ვაჟი გულჩახვეული იყო, ჩემი. როგორც ეტყობოდა, გაუბედავი ან მოკრძალებული ადამიანი უნდა ყოფილიყო. ლამაზი ოლეშკა — ბიჭებთან ჭიშპობდა და გოგოებს თავხედურად თვალს უშტერებდა, ხოლო ნიკიტა შხის ამოსვლისთანავე თავის წალესილ კუხს მდინარის გაღმა გაიტანდა, „ძროხის ენაზე“, სადაც ჭილყვაფივით თავი მოეყარათ ხუროებს და ქვის მთლელებს. ესენი აქ გრძელს აგურის კაზარმას აგებდნენ, ხოლო ამ კაზარმის ცოტა დაშორებით, ოკას ქვემოთ, თორმეტი გოჯიანი ძელებიდან ციხის მსგავსი დიდი ორსართულიანი სახლი შენდებოდა. საღამოობით დრემოვოს მცხოვრებნი ვატორაკ-

შას ნაპირზე შევროვდებოდენ, ვოგრას კურკასა და მზეუმზირას კვნეტდენ, ყურს უგდებდენ ხერხის ხრიალსა და წივილს, შალაშინის შარაშურს, მკრელი ნაჯახები კახაკუხს და დაცინვით იგონებდენ ბაბილონის კოშკის აშენების უნაყოფო ცდას. პომიალოვი ათას უბედურებას უქადდა ამ უცხო ხალხს:

— გაზატხულზე ამ უშნო შენობებს წყალი წალექავს, ყველა ძეგელია ხანძარიც: ხუროები თამბაქოს ეწვეიან, ხოლო გარშემო კაბჭრბჭრბჭაპყრია. კლექიანი ხუცესი ვასილი მას აზრს უდასტურებდა:

— ქვიშასა ზედა აშენებენ.

— მოპყრიან ფაბრიკის მუშებს,— დაიწყება ლოთობა, ქურდობა, გახრწნილობა.

უზარმაზარი, ქონმორეული, ყოველ მხრით გაბერილი მეწისქვილე და ტრაქტირის პატრონი ლუკა ბარსკი ახრიალებული ბანით ინუგეშებოდა:

— ხალხი მეტი იქნება, საზრდოც მეტი გაჩნდება. არაფერია, დეე, იმუშაოს ხალხმა.

მოქალაქეებს ძალზე ართობდა ნიკიტა არტამონოვი. მას მიწის ერთ მოზრდილ ოთხკუთხედზე მარნა ძირიანად ამოეგდო და ადგილი მოესუფთავებინა. მთელი დღე ვატარაკშადან შლამი ამოპქონდა, ჭაობში ტორფს სჭრიდა და, ცისკენ კუხ-ამართული საბალო ადგილისკენ ურმით ეხიდებოდა, ქვიშაზე შავ ძნებათ აწყობდა.

— ბოსტანს აკეთებს,— მიხვდენ მოქალაქეები — რა სულელია, განა შეიძლება ქვიშის განოყიერება?

მზის ჩასვლისას, როცა ჩამწკვრივებული არტამონოვები მამის წინამძღოლობით, მდინარეში ფონით გადმოდიოდენ და მომწვანო წყლის ზედაპირზე მათი ლანდები გაერთხობოდა, პომიალოვი მიუთითებდა:

— შეხედეთ, შეხედეთ, კუზიანის ლანდი რა უცნაურია!

ყველა შეამჩნევდა, რომ ნიკიტას ლანდი, რომელიც მესამედ მოდიოდა, უჩვეულოდ ცახცახებდა და ისე მოსჩანდა, თითქოს იგი უფრო მძიმე იყო, ვინემ მისი ძმების გრძელი ლანდები. ერთხელ, დიდი წვიმის შემდეგ, მდინარე გადიდდა, და კუზიანი — წყლის ბალახზე ფეხი აუცურდა, თუ ხრამს წააწყდა — წყალში ჩაიძირა. ნაპირზე მდგომმა მაყურებლებმა სიხარულისაგან ხარხარი მორთეს, მხოლოდ ოლგუშკა ორლოვამ, ლოთი მესაათეს ცამეტი წლის ქალმა, შესაბრალისად იკივლა:

— ვაი, ვაი, დაიხრჩობაო!

მას კისერში წაპყრეს:

— ნუ ბლავი ტყვილაუბრალოდ!

ალექსიმ, რომელიც უკანასკნელი მოდიოდა, ჩაიყვინთა, ხელი სტაცა ძმას, ფეხზე დააყენა. როცა ისინი, ორივე სველი, შლამით გათუთხვნილი ნაპირზე ამოვიდენ, ალექსი პირდაპირ ისე გაემართა იქ მდგომ ხალხისკენ, რომ მას გზა მისცეს და ვილაცამ შიშით წარმოსთქვა:

— პო, შე მხეცის ბოკვერო...

— არ ვუყვარვართ, — შენიშნა პეტრემ. მამამ შეუჩერებლივ სახეში ჩაბე-
და მას.

— დრო მიეცი — შეგვიყვარებენ.

ხოლო ნიკიტას გაუჯავრდა:

— შე საფრთხობელავ, წინ დაიხედე, ხალხს ნუ აცინებ. დასაციინად კი
არ მოვსულვართ, ცალიერო გუდავ შენა!

არტამონოვები ისე ცხოვრობდნენ, რომ არავის არ ეცნობოდნენ. შათ მე-
ურნეობას ვილაც ჩასუქებული დედაბერა აწარმოებდა. იგი სულ შავში იყო
მორთული. შავი თავსაკრავი ისე ჰქონდა შემოხვეული, რომ მისი წვეტები თავ-
ზე რქასავით ედგა. ლაპარაკობდა რაღაც დახელილი ენით, ცოტას და გაუგე-
ბარს, თითქოს რუსი არ ყოფილიყო. არტამონოვების შესახებ მისგან არაფრის
გაგება არ შეიძლება.

— უნდათ, რომ თავი ბერებად მოგვაჩვენონ... ნამდვილად კი ყაჩაღებია...

შეიტყვეს, რომ მამა და უფროსი ვაჟი ხშირად დადიოდნენ მახლობელ სოფ-
ლებში და გლეხებს ურჩევდნენ სელი ბლომად დაეთესათ. ერთ ერთი ამ მოგზაუ-
რობის დროს ილია არტამონოვს გაქცეული ჯარისკაცები თავს დაესხენ. არ-
ტამონოვმა ერთი მათგანი კოპზე მიმბული ორგირვანქიანით მოჰკლა, მეორეს
თავი გაუტეხა, ხოლო მესამე გაიქცა. ისპრავნიკმა ამისთვის შეაქო არტამონო-
ვი, მაგრამ ღარიბი ილიინსკის მრევლის მღვდელმა მკვლელობისათვის ეპიტე-
მია დაადვა, — ორმოცი ღამე საყდარში უნდა გაეტარებინა და ელოცნა.

შემოდგომის საღამოებს განმავლობაში ნიკიტა მამას და ძმებს წმიდანების
ცხოვრებასა და წმიდა მამათა მოძღვრებას უკითხავდა, მაგრამ მამა ხშირად შეაწ-
ყვეტინებდა:

— დიღია და ღრმა ეს სიბრძნე, ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელი რამ
არის. ჩვენ შავი მუშები ვართ. ჩვენი საქმე არ არის ამებზე ფიქრი. უფრო უბრალო
საქმისათვის ვართ დაბადებულები. განსვენებულმა თავადმა იური, შვიდი ათასი
წიგნი გადაიკითხა და ისე გაიტაცეს ამ აზრებმა, რომ ღმერთის რწმენაც კი
დაჰკარგა. მთელი ქვეყანა შემოიარა, ყველა მეფე მოინახულა — მიღებული კაცი
იყო და სახელგანთქმული! მაგრამ მაუდის ქარხანა რომ ააშენა — საქმე რიგზე
ვერ წარმართა. და რასაც კი ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერში აგებდა. ამნაი-
რად მთელი თავისი საცოცხლე ისე დალია, რომ გლეხების პურს შეჰყურებდა.

ამას რომ ამბობდა, თითოეულ სიტყვას გარკვევით წარმოსთქვამდა, ჩაფიქ-
რდებოდა და თავისავე ნათქვამს უურს დაუგდებდა, და კვლავ შვილების დარიგე-
ბას განაგრძობდა:

— თქვენ გაგიჭირდებათ ცხოვრება. თქვენი თავის კანონი და მფარველი
თვითონ თქვენვე ხართ. მე ჩემს ნებაზე არ მიცხოვრნია. ისე ვცხოვრობდი, რო-
გორც მიბრძანებდნენ. ვხედავდი: საქმე ისე არ კეთდებოდა, როგორც საჭირო იყო,
მაგრამ ვასწორებდა კი არ შემეძლო, — ეს ბატონის საქმე იყო. არა თუ სხვანაი-
რად გაკეთების, სხვანაირად ფიქრისაც კი მეშინოდა: არ შემეშალოს და ბა-
ტონისა და ჩემი აზრები ერთმანეთში არ აფურიო მეთქი... გესმის, პეტრე?

— მესმის.

— ასეა, უნდა გაიგო. ცხოვრობს ადამიანი, და ვითომ, არც კი არსებობს. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პასუხისმგებაც ნაკლებია: თვითონ კი არ დადიხარ, სხვას დაყავხარ. უპასუხისმგებლო ცხოვრება უფრო იოლია, მაგრამ ხშირი მას ნაკლები აქვს.

ხანდახან ის ერთი ან ორი საათის განმავლობაში ცუდი ქარაუჭი და შვილებს ხშირად შეეკითხებოდა, ყურს უგდებდნენ თუ არა. დაუფიქრებლად უხმოდ, ფეხებს ძირს დაჰკიდებოდა და ხელის თითებს წვერის ბეჭდის ნაწნავებში დაატარებდა. ასე აუჩქარებლად ერთმანეთზე მიყოლებით სქედავდა სიტყვების რგოლებს. დიდ, სუფთა სამხარეულოში სითბო იყო და ბნელოდა. გარედ კი ქარბუქის ფსტვენა ისმოდა, რომელიც დროთა აბრეშუმით გაიშრილებდა სარკმლის მინაზე, ლურჯ სიცივეში ყინული გაიტკაცუნებდა. პეტრე მაგიდასთან იჯდა, ქონის სანთლის წინ, ქალაღებებს აშრილებდა და საანგარიშო კენჭებს ნელიად აჩხარუნებდა. მას ალექსი ეხმარება, ხოლო ნიკიტა თავისთვის დიდის ხელოვნებით კალათებს სწნავდა.

— აი, მეფემ ჩვენ თავისუფლება მოგვანიჭა. ამას გაგება უნდა: რა ანგარიშით არის ეს თავისუფლება მინიჭებული. უანგარიშოდ ცხვარსაც კი არ გამოუშვებენ გომურიდან. აქ კი მთელი ხალხია აშვებული, ათასი და ათასჯერ ათასი... აი, ეს რას ნიშნავს: გაიგო მეფემ, რომ ბატონებისაგან ბევრს ვერაფერს ვერ მიიღებდა, რომ ისინი თვითონ სჭამენ ყველაფერს. თავადი გიორგი ამას თავისუფლებამდე მიხვდა, ჩემთვის უთქვამს: ყმური, იძულებითი შრომა ხელსაყრელი არ არისო. და აი, ნდობა გვიწყალობეს თავისუფალი შრომა გაწიეთო. ახლა არც ჯარისკაცს ამსახურებენ ოცდახუთი წლის განმავლობაში თოფით ხელში, არა, — წადი, იმუშავეო! ახლა ყველამ უნდა გამოაჩინოს, ვინ რისთვის ვარგა. თავადაზნაურობას წესი აუგეს, ახლა თქვენ თვითონ აზნაურები ხართ! გესმით ეს?

ულაანა ბაიმაკოვის ქვრივი თითქმის სამი თვე დარჩა მონასტერში. როცა სახლში დაბრუნდა, არტამონოვმა მეორე დღესვე ჰკითხა:

— ქორწილი როდის გვექნება?

ქალი გაჯავრდა, ბრაზიანი თვალები შეანათა:

— გონს მოდი... ნახევარ წელსაც არ გაუვლია მამის სიკვდილის შემდეგ, და შენ კი... ან, იქნება, ცოდვა და მადლი არ იცი?...

მაგრამ არტამონოვმა მკაცრად შეაჩერა იგი:

— ცოდვა, აქ მე არ ვხედავ, მზახალო... ბატონები უარეს სჩადიან, მაგრამ ღმერთი ითმენს. მე შეჩქარება: პეტრეს დიასახლისი ესაჭიროება.

მერე შეეკითხა: ფული რამდენი გაქვსო? ქალმა უპასუხა:

— ხუთასზე მეტს ქალს არ გავატან.

— მეტსაც მისცემ, — გულგრილად, მაგრამ ბეჯითად უთხრა ახოვანმა გლებმა და თვალები გაუსწორა. ისინი მაგიდასთან ისხდნენ, ერთიმეორის პირდაპირ: არტამონოვი მაგიდას დაყრდნობოდა და ორივე ხელის თითები სქელ წვერში შეემალა, ქ-ლს კი წარბები შეეკრა და შიშისგან წელში გამართულიყო. იგი ოცდაათწელს გადაშორებოდა, მაგრამ წლოვანებასთან შედარებით

გაცილებით უფრო ახალგაზრდა სჩანდა. მის მაძღარ, ლაელაჟა სახეს ჭკვიანი, მონაცრისფრო თვალები მკაცრ იერს ჰქონდნენ. არტამონოვი ადგა, წელში გაიმართა.

— ლამაზი ქალი ხარ შენ, ულიანა ივანოვნა.

— კიდევ რას იტყვი?— გაჯავრებითა და დაცინვით, ^{უკვირდება ქალმა.}

— მეტს არაფერს.

იგი ოთახიდან რალაც უგულოდ გავიდა, ფეხების მიძიმე ფრატუნით. ბაიმაკოვის ქვრივი დააცქერდა მიმავალს და თითქოს უცბად მოუვიდაო, თვალები სარკის ზედაპირს მოახვედრა. მერე ნალვლიანად ჩაიჩურჩულა:

— ქაჯი ბანჯგელიანი. შემოგვეჩრა...

იგრძნო, რომ ეს კაცი მისთვის საშიში ვინმე იყო, მალლა სართულში ავიდა თავის ქალთან, მაგრამ ნატალია იქ არ დახვდა. ფანჯრიდან გადაიხედა. თვალი მოჰკრა, რომ მისი ქალი ალაყაფის კართან იდგა და გვერდით პეტრე ამოდგომოდა. ბაიმაკოვამ აჩქარებით ჩაირბინა კიბე და დერეფნიდან გადასძახა:

— ნატალია, სახლში წამოდი!

პეტრემ მას სალამი მისცა.

— წესი არ არის, კარგო ახალგაზრდავ, უდელოდ გოგოს ესაუბრო... ამიერიდან ეს არ განმეორდეს.

— დანიშნულია ჩემი.— გაახსენა პეტრემ.

— სულ ერთია. ჩვენ ჩვენი წესი გვაქვს,— უთხრა ბაიმაკოვამ, მაგრამ გულში კი თავის თავს შეეკითხა:

— რისთვის გავჯავრდი? ყმაწვილებმა ერთმანეთს განა არ უნდა მიუალერსონ? ეს კარგი არ არის: ასე გამოდის თითქოს, შემშურდაო.

ოთახში მაინც შეიღს თმის ნაწნაეზე წააელო ხელი და მაგრა დაჰქაჩა: აუკრძალა საქმროსთან მარტოდ ყოფნა.

— თუმცა საქმროა შენი, მაგრამ ჯერჯერობით— ან წვიმა ან თოვლიო, ხომ გაგიგონია... შეიძლება არც მოხდეს, — მკაცრად დაარიგა შვილი ჭკუაზე.

გაურკვეველმა ფორიაქმა აზრები აუმღვრია. რამდენიმე დღის შემდეგ ერდანსკის ქალს ეწვია, რომ მომავალი ბედის ამბავი შეეტყო. — ქალაქის ქალები ხშირად დადიოდნენ ამ ჩიყვიან, ზარივით გაბერილ მკითხაეთან და მას თავიანთ ცოდვებს, ეჭვებს და გულისნადებს უმხელდნენ.

— აქ მკითხაობაც საჭირო არ არის— უთხრა ერდანსკის ქალმა— პირდაპირ გეტყვი, გენაცვალე: არამც და არამც ის კაცი ხელიდან არ გაუშვა... ტყუილა კი არ არის თვალები რომ შუბლზე ამცოცებია: მე ადამიანს ვიცნობ. მის გულსა და სულში ისე ეწვდები, როგორც ამ სათამაშო ქალაქის საიდუმლოებაში. დააკვირდი, რა მარჯვეა, საქმე როგორ მიუდის, რა სარფიანია... ჩვენს გლეხებს პირი რომ ავი ნერწყვით ევსებათ, ეს მხოლოდ შურისაგან არის... არა, გენაცვა, მისი ნუ გეშინია. ზოგი მელაა, გაიძვერა, ეს კი დათვია...

— საქმეც ის არის, რომ დათვია!— კვერი დაუკრა ქვრივმა. მერე ერთი ამოიოხრა და მკითხავს უამბო:

— მეშინია. პირველათვე, როცა ქალი გეთხოვა, შემეშინდა მისი. უცბად,

თითქოს ღრუბელს მოსწყდაო, ისე მოვიდა სრულიად უცნობი, უცხო, და ნათესაობა მოგვთხოვა. განა ეს ასე ხდება? მახსოვს: ლაპარაკობს იგი, მე კი თავხედ თვალეში შევცქერი და ყველაფერზე კი-ს ვეუბნები, ყველაფერზე ვთანხმდები: მეჩვენებოდა: ეს არის ყელში მწვდა და დამახრჩობს მეთქი...

— ეს იმას ნიშნავს, რომ თავის ძალის რწმენა აქვს, — განმარტავს ბრძენმა მესეფისკვრემ.

მაგრამ ამან მაინც ვერ დაამშვიდა ბაიმაკოვის ქვრივი. მკითხავმა იგი სამკურნალო ბალახების სუნით გაჟღენთილ ბნელ ოთახიდან გამოაცილა და გამოშვიდებისას უთხრა:

— გახსოვდეს და იცოდეს: სულელებს მხოლოდ ზღაპრებში სწყალობს ბედი.

ის საეჭვო თავგამოდებით აქებდა არტამონოვს, ისეთი თავგამოდებით და ისე დიდხანს, რომ მოსყიდულს ჰგავდა.

მაგრამ, აი, დამარილებულ ფარგასავით მშრალმა მატრენა ბარსკაიამ, შავმა და ზორბა ტანის ქალმა, სულ სხვა ამბავი აუწყა ბაიმაკოვის ქვრივს:

— მთელი ქალაქი მხოლოდ შენზე მოსთქვამს, ულიანა... როგორ არის, რომ იმ უცხო ხალხის არ გეშინია? წინდახედულად იყავი, იცოდეს! უბრალოდ როდია, რომ ერთი ბიჭი კუზიანია: ალბად მშობლების უდიდესი ცოდვის მიზეზია, რომ მახინჯი დაიბადა.

დიდ ჭირში ჩავარდა ბაიმაკოვის ქვრივი. ახლა მით უფრო ხშირად სცემდა იგი თავის ქალს, მაგრამ გრძნობდა კი, რომ შვილს უმიზეზოდ უჯავრდებოდა. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება იშვიათად ენახა მდგმურები, მაგრამ ეს ხალხი გზაზე ელობებოდნენ და სიცოცხლეს უფორიაქებდნენ.

შეუმჩნევლად შემოიპარა ზამთარი. ქალაქს ანაზდად ქარბუქი და ყინვა შემოუსია. ქუჩებსა და სახლებზე თოვლის გორები ამართა შაქრის თავებივით; საყდრის გუმბათებს ბამბის ქუდები ჩამოაცვა; მდინარეები და ქაოაების ეანგიანი წყალი თეთრი რკინით დასჭედა. გაყინულ ოკაზე დაიწყო კრივი მოქალაქეებსა და მახლობელ სოფლელებს შორის. ალექსი ყოველ უქმე დღეს კრივში ვადიოდა და ყოველთვის ნაცემი და გაბრაზებული ბრუნდებოდა სახლში.

— რა ამბავია, ოლეშა? — ჰკითხავდა არტამონოვი. — როგორც ვხედავ, აქაური მეკრივეები უფრო ყოჩაღები ყოფილან!

ალექსი სპილენძის ფულით ან ყინულის ნატებით ისრესდა დაბეგვილ ადგილებს ტანზე, ქორის თვალეებს აბრიალებდა და სდუმდა მძიმედ, მაგრამ პეტრემ ერთხელ განაცხადა:

— ალექსი ძალიან მარჯვე მეკრივეა, მაგრამ მას ისევ ჩვენები, ქალაქელები, სცემენ.

იღია არტამონოვმა მუშტი მაგიდაზე დააყუდა და ჰკითხა:

— რისთვის?

— არ ვუყვარვართ...

— ვინ? ჩვენ?

— ჰო, ჩვენ ..

მამამ მუშტი ისე დაჰკრა, მაგიდაზე რომ სანთელი შანდალიდან ამოვარდა და სინათლე გაჰკრა, ბნელში ღმუილი გაისმა:

— გოგო ხომ არა ხარ, რომ სულ სიყვარულზე ჩამჩიჩინებ!... აღარ გამაგონო ეს სიტყვები!..

ნიკიტამ სანთელი აანთო და ნელიად სთქვა:

— კარგი იქნებოდა, რომ ოლეშა კრივში აღარ გავიდოდეს.

— ეს იმისთვის, რომ ხალხმა დაგვეცინოს: არტამონოვს შეეშინდაო?! შენ იყუჩე მანდ, მნათევ! ჯუჯავ!

გალანძლა ყველანი. რამდენიმე დღის შემდეგ, ვახშამზე, ბუზლუნით, მაგრამ ალერსიანად სთქვა:

— ყმაწვილებო, თქვენ მოგიხდებათ დათვზე ნადირობა... მშვენიერი გასართობია. მე მინადირნია თავად გიორგისთან ერთად რიაზანის ტყეებში. დათვებს შუბზე წამოვაგებდით ხოლმე... საინტერესოა.

მოგონებამ ააფრთოვანა და ვაჟებს რამდენიმე თავისი თავგადასავალი უამბო. ერთი კვირის შემდეგ პეტრე და ალექსი გაიყოლია და ტყეში წავიდა, მოჰკლა ერთი ბებერი, მამალი დათვი, მეორეჯერ ვაჟები წავიდნენ. ესენი დედალ დათვს წააწყდნენ. დათვმა ალექსის ჯუბა შემოაგლიჯა და თედო გაუკაწრა. ძმებმა მაინც გაიმარჯვეს და ქალაქში წყვილი ბელი ჩამოიყვანეს. მოკლული დედა კი ტყეში მგლებს სავახშმოდ დაუტოვეს.

— როგორ ცხოვრობენ შენი არტამონოვები? — ეკითხებოდნენ ბაიმაკოვის ქვრივს მოქალაქეები.

— არა უშავთ რა, კარგად.

— ზამთრობით ღორიც მიყუჩებულა, — შენიშნა პომიალოვმა.

ქვრივი ქალი თავს არ უჯეროდა, მაგრამ გრძნობდა, რომ მას უკვე საკუთარ შეურაცხებად მიაჩნდა, როცა არტამონოვებისადმი მტრულ განწყობილებას ააშკარავებდნენ. იგი ხედავდა, რომ არტამონოვები ფხიზლად ცხოვრობდნენ, თანხმობით, შეუპოვრად აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, და არაფერი ცუდი მათთვის მას არ შეუნიშნავს. გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს თავის ქალს და პეტრეს, და დარწმუნდა, რომ ჩუმსა და ჯმუხს ყმაწვილს მეტად სერიოზულად ეჭირა თავი: იგი არ ცდილობდა, ნატალია სადმე ბნელ კუთხეში მოემწყვდია, ეჩქმიტა ან ყურში აუღი სიტყვები ჩაეჩურჩულებინა, როგორც ამას ქალაქის სასიძო ბიჭები ჩადიოდნენ ხოლმე. მას რამდენიმედ ის გარემოება აწუხებდა, რომ პეტრე ცოტა არ იყოს გაუგებრად, მშრალად, მაგრამ სიფრთხილით და მზრუნველობით ეპყრობოდა მის ქალს.

— მოალერსე ქმარი არ იქნებაო.

მაგრამ ერთხელ, როცა კიბეზე ჩამოდიოდა, მან ყური მოჰკრა ძირს, დერეფანში, ნატალიას ხმას:

— კიდევ მიდიხართ დათვზე სანადიროდ.

— ვემზადებით. მერე რა იყო?

— საშიშია. ნადირმა კინალამ დაჰგლიჯა ხომ ალიოშა?

— თვითონ დააშავა: არ უნდა გაცხარებულიყო.., მაშასადამე თქვენ ფიქრობთ ჩემზე?

— მე თქვენზე არაფერი არ მითქვამს.

— შეხედე ამ კუდიანს?—გაიფიქრა დედამ და გაღიმებით ამოიღობრა—ბიჭი კი, ეტყობა, ალალ-მართალია..

ილია არტამონოვი უფრო და უფრო დაბეჯითებით ეუბნებოდა მას:

— მოვრჩეთ ბარემ ქორწილს, თორემ ისინი ჩვენ აღარ დაგვიცდიან.

დედა ამჩნევდა, რომ ქორწილის დაჩქარება მართლაც საჭირო იყო. მის ქალს ლამით ცუდად ეძინა და ხორციელი რამ ურვა აწუხებდა. სააღდგომოდ დედა და შვილი კვლავ მონასტერში წავიდნენ. როცა ერთი თვის შემდეგ სახლში დაბრუნდნენ, დედამ შეამჩნია, რომ მისი მიტოვებული ბალი მშვენივრად მოერთოთ, გზები გაესუფთავებინათ, ხეებისთვის ხაესი მოეცილებინათ, ხეხილი გაესხლათ. ყველაფერს გამოცდილი ხელი ეტყობოდა. მდინარისკენ გასეირნების დროს ნახა, რომ ნიკიტა—კუზიანი—გაზაფხულის ნიაღვარით გაფუჭებულ ლობეს ასწორებდა. გრძელ, მუხლებს ქვეით დაშვებულ ტილოს ხალათიდან კუზის ძვლები ამოჩროდა და ზევიდან ისე წამოყუდებოდა ზურგზე, რომ სრულიად დაეფარა მისი დიდი, ქერა და გრძელი თმით მოსილი თავი. თმა რომ სახეზე არ ჩამოშლოდა, ნიკიტას არყის ხის შტოთი თავი წაეკრა. მისი ნაცრისფერი სახე ამ უხვფოთლოვან მწვანე ხეთა შორის ისე მოსჩანდა, თითქოს იგი განდევილი ვინმე ბერიკაცი ყოფილიყო მუშაობით თავდავიწყებაძღვე გატაცებული. ვერცხლისფრად მოელვარე ნაჯახს იქნევდა და მარჯვედ არქობდა მიწაში მესრებს. ეკლესიურს რალაცას ღიღინებდა, წვრილი ხმა ჰქონდა, თითქოს პატარა გოგო ყოფილიყო. ლობეს იქით აბრეშუმის წყლის ზედაპირი მომწვანოდ ვარვარებდა, რომელზედაც კარჩხანა თევზივით მიმოსხლტოდნენ მზის ოქროსფერი სხივები.

— გამარჯობა,—თვითონაც არ მოელოდა ისეთი ტკბილი ხმით მიესალმა მას ბაიმაკოვის ქერივი. ნიკიტამ თავისი ლურჯი თვალების სხივები ღბილად შეაფრქვია ქალს და ალერსიანად უპასუხა:

— ღმერთმა გაგიმარჯოს.

— ეს შენ მორთე ასე რიგად ბალი?

— მე.

— კარგი ნამუშევარია. გიყვარს ბალი?

მუხლებზე დამდგარმა ნიკიტამ ქალს უამბო, რომ იგი ბატონმა თავადმა შეგირდად მიაბარა მებაღეს, როცა ცხრა წლისა იყო, ახლა კი ცხრამეტი შეუსრულდა.

— კუზიანია, მაგრამ ბოროტი არ უნდა იყოს,—გაიფიქრა ბაიმაკოვამ.

სალამო ჟამს, როცა თავის ქალთან ერთად ჩაის შეექცვოდა, ნიკიტა კართან აეყუდა ყვავილების თაიგულით ხელში. შეყვითლებულ, უშნო და უმხიარულო სახეზე ღიმილი უკრთოდა.

— ინებეთ და მიირთვით თაიგული.

— რათა?—გაიკვირვა ბაიმაკოვამ და ექვით შეათვალღერა ლამაზად შეკონილი ბალახები და ყვავილები. ნიკიტამ აუხსნა, რომ როცა ბატონებს ემსახურებოდა, ვალდებული იყო კნეინასთვის ყოველ დილას ყვავილები მიერთმია.

— აი, თურმე რა ყოფილა, — სთქვა ბაიმაკოვამ და სახეზე ოდნავ წამოწითლებულმა, თავი მედიდურად მალლა ასწია: — ნუ თუ მე კნეინას ვგეგვარ?.. ის, ალბად, ლამაზია...

— თქვენც ისეთი ხართ.

ბაიმაკოვა კიდევ უფრო გაწითლდა. გაიფიქრა:

— მამამ ხომ არ ასწავლა, ასე უთხარიო.

— მადლობელი ვარ პატივისცემისათვის, — უთხრა, მაგრამ ჩაიხე მაინც არ მიიწვია. როცა ნიკიტა წავიდა, ხმამალლა გაიფიქრა:

— კარგი თვალები აქვს. მამამისისას არ უგავს. ალბად დედისაა. და ამოიოხრა.

— სჩანს, ბედი გვქონია ასეთი: ამათთან უნდა ვიცხოვროთ...

ის უკვე აღარ მოითხოვდა არტამონოვისაგან ქორწილის გადადებას შემოდგომამდე, ქმრის სიკვდილიდან ერთი წლის შესრულებამდე, მაგრამ გადაჭრით კი გამოუცხადა:

— შენ მხოლოდ, ბატონო ილია ვასილიევიჩ, თავი დაანებე ამ საქმეს... მომეცი საშუალება ყველაფერი მე ჩვენებურად მოვაწყო, კარგად, ძველებურად. ეს შენთვისაც ხელსაყრელია: ჩვენი ქალაქის გამოჩენილ კაცებში გაერევი, შეგხედავენ, შეგამჩნევენ.

— ეჰ—ამაყად უპასუხა არტამონოვმა—მე ისედაც შორიდანაც მამჩნევენ. ქალს ეწყინა ასეთი ამპარტავნობა და უთხრა:

— შენ აქ არ უყვარხართ.

— სამაგიეროდ შეეშინდებათ.

და შექირქილებით ბეჭები აიწურა:

— აი, პეტრესაც სულ სიყვარული აკერია ენაზე. უცნაური ხალხი ხართ...

— ჩემზედაც გადმოაქვთ ეს სიძულვილი...

— შენ, ჩემო მზახალო, ამისი ნუ შეგეშინდება!

— არტამონოვმა თავისი გრძელი თათი მალლა ამართა და ისე დამუშტა ხელი, რომ თითები გაუწითლდა.

— მე ადამიანების მოტეხა ვიცი... ჩემს გარშემო დიდხანს ვერავინ ვერ იხტუნებს, სიყვარული არ მჭირდება.

ქალი გაუჩუმდა. შიშიანმა ფიქრმა გაჰკრა:

— ეს რა მხეცი ვინმეა!

და, აი, მისი წყნარი სახლი მისი ქალის მეგობრებით აივსო, ქალაქის საუკეთესო ოჯახების ქალებით. ყველას მდიდრულად აცვია. ძველებური ფარჩის სარაფანით მორთულან, მარმაშისა და სალუქ ტილოს ბუშტივით გამოყვანილი სახელოებითა, მორღეული წესით ნაკერი აბრეშუმებითა და ბაფთებით მაჯებზე. საფიანისა და ძვირფასი თხის ტყავის ფეხსაცმელი აცვიათ, თმის ნაწინავეებში ლენტები აქვთ ჩაყოლებული. პატარძალი სულს ძლივს ითქვამს მძიმე ვერცხლის ფარჩის სარაფანში, რომელსაც ოქროთ ნაქარგი კდეული ღილები აქვს დაყოლებული სახელოდან ვიდრე კალთამდე. მხრებს ოქროს ფარჩის მოსასხამი უმძიმებს, თეთრი და ცისფერი ლენტებით დახლართული. იგი წინ კუ-

თხეში მიმჯდარა, როგორც ყინულიდან გამოკვეთილი, სახეზე ოფლს ბათთა-
შემოყოლებული ცხვირსახოცით იწმენდს და ლექს იმღერის:

По лугам, по зелены—им,
По цветам по лазаревым,
Родилася вода вешняя,
Студена вода, ой, мутная.

შეგობრები ხმაშეწყობილად განაგრძობენ ქალწულის მიმქრალეზულ ჩი-
ვილს:

Посылают меня, девицу,
Посылают меня по воду,
Меня босу, не обутую,
Ой, нагую, не одетую.

გოგოებშორის მიმალული ალექსი ხითხითებს და ჰყვირის:

— რა სასაცილო სიტყვებია. გოგო ფარჩაში ჩაუკრავთ, როგორც ინდო-
ური თუნუქის ჩაფში, თქვენ კი იძახით: შიშველია, არ აცვიაო!

პატარძალთან ახლოს ზის ნიკიტა. ახალი ლურჯი „პოდდიოვკა“ კუზიდან
კეფაზე დახვეტია უშნოდ და სასაცილოდ. ლურჯი თვალეები ფართოდ დაუღია
და ნატალიასთვის ისე უცნაურად მიუცივებია, თითქოს იმისი შიში აქვს,
აი, ამ წამში, გოგო დადნება და გაჰქრებაო. კართან მატრენა ბარსკაია სდგას,
კარის გასავალი თავისი ვეება ტანით ამოუვსია. თვალეებს ატრიალებს და ღრმა
ბანის ხმაზე იძახის:

— შესაფერისად ვერ მღერით, გოგოებო.

მერე წინ წამოდგება, ცხენივით გადადგამს ნაბიჯს, და გოგოებს მკაც-
რად აგონებს, თუ ძველებურად როგორ უნდა იმღერონ და რა მოკრძალებითა
და ცახცახით ემზადონ გვირგვინისათვის.

— ნათქვამია: „ქმარი ცოლის გალავანია ქვისაო“. თქვენც უნდა იცო-
დეთ: თუ მტკიცეა გალავანი—ვერ გაარღვევ, თუ მალალია—ვერ გადახტები.

მაგრამ გოგოები მას არ უსმენენ: ოთახში სივიწროვეა და ცხელა. დე-
დაბერს გვერდს აუვლიან გოგოები და გარედ გარბიან, ბაღში. მათ შორის,
როგორც ფუტკარი ყვავილნარში, ისე მოსჩანს ალექსი, რომელსაც ოქროსფე-
რი აბრეშუმის ხალათი და ხავერდის შალვარი აცვია. იგი მთვრალივით მზია-
რულია და ხმაურობს.

ნაწყენია ბარსკაია. სქელ ტუჩებს გაიბერავს, თვალეებს გადმოკაკლავს,
შტოფის კაბის კალთას აიწევს წინიდან და, როგორც შავი კვამლის ღრუბელი,
მალლა სართულში ადის ულიანასთან. წინასწარმეტყველურად ეუბნება.

— მხიარულია შენი ქალი, მაგრამ ეს წესი არ არის. ჩვენი ჩვეულება
სხეანაირია: როცა მხიარულად იწყებენ—ცუდათ ათავებენ.

ბაიამაკოვა რკინით ნაჭედ დიდ სკივრის წინ მუხლებზე დამდგარა და სა-
ხის მზრუნველიანი გამომეტყველებით შიგ იქექება. მის გარშემო, იატაკზე
ლოგინზე, როგორც ბაზრობის დღეს სავაქროში, დაყრილია ათასნაირი ნაჭრე-
ბი, შტოფისა, კანაუსისა, მოსკოვის ყუმაშისა და ქაშემირის შალეულობა, ლენტე-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი, ამოქარგული პირსახოცები. მზის სხივთა კონა ეფინება ძვირფას ქსოვილებს და ისინიც ისე ბრჭყვიალობენ, როგორც ღრუბლის ქულა მზის ჩასვლისას.

— არ არის წესი, რომ საქმრო გვირგვინამდე საცოლოს სახლში ცხოვრობდეს. არტამონოვები უნდა წასულიყვნენ აქედან.

— თავის დროზე უნდა გეთქვა, ეხლა გვიან არის, — ბუზღუნობს ულიანა და სკივრში უფრო ღრმად ჩაჰყოფს თავს, რომ ნაწყენიანი სახე დაიმალოს. ბოხი ხმა კი კვლავ გაისმის ოთახში:

— შენზე ამბობდენ, ჭკვიანიო, და მეც ვსდუმდი. მეგონა თვითონ მიხვდებოდი. მე რა? მე ის მინდა, რომ მართალი ითქვას. თუ მართალს მართლად აღამიანები არ ჩამომართმევენ, ღმერთთან ხომ მაღლად ჩამეთვლება.

ბარსკაია ძეგლივით აყუდებულა, თავი უძრავად უჭირავს, როგორც ფილა, რომელიც სიბრძნით არის თავამდის სავსე. პასუხს არ მოუცდის, ისე გადის ოთახიდან. ქსოვილების ცეცხლად ანთებულ ფერადებში ჩამდგარი ულიანა კი მწუხარებითა და შიშით ჩურჩულებს:

— ღმერთო, შემიწყალე, დამეხმარე... გონიერებას ნუ მომაკლებ.

კარებს ისევე მოუახლოვდება ვიღაცა. ულიანამ თავი კვლავ სკივრში ჩამალა, რომ თვალეზე მომდგარი ცრემლი არ დაუნახონ. ნიკიტას ხმა გაისმება:

— ნატალია ევსევნამ გამომავზავნა გავიგო, დახმარება ხომ არ გესაჭიროებათ...

— გმადლობ, ძვირფასო.

— სამზარეულოში ოლგუნკა ორლოვას ბადავი გადაესხა.

— მართლა? რას ამბობ?... ჭკვიანი გოგოა, — შენთვის ზედგამოჭრილია საცოლოდ...

— ჰე, მე ვინ გამომყვება...

ბაღში კი, ცაცხვის ძირში, მრგვალ მაგიდას შემოსხდომიან და რახს შეექცევიან ილია არტამონოვი, გავრილა ბარსკი, პატარძლის ნათლია, პომიალოვი და მეტყავე ჟიტეიკინი — გამოფიტული თვალებით, ურმის ვაჭარი ვოროპონოვი. ცაცხვის სვეტს მიყრდნობია პეტრე. მუქ თმაზე ზეთი უხვად წაუსვია და თავი რკინას მიუგავს. იგი მოკრძალებით უსმენს უფროსების საუბარს.

— თქვენ სხვა წესები გაქვთ, — ჩაფიქრებულად ამბობს მამა, პომიალოვი კი ტრაბახობს:

— ჩვენ აქაური მკვიდრები ვართ. დიდია რუსეთი!

— არც ჩვენ ვართ მარქათა ხალხი.

— ჩვენი წესი და ჩვეულება ძველთა ძველია...

— მორდველებიც ბევრია, ჩუვაშები...

ბაღში კისკასითა და ეივილ-ხივილით შემოიჭრენ გოგოები, სარათანების გვირგვინად გარს შემოერთყენ სუფრას და მზახალს ქება შეასხეს:

— Ой, свату великому,

Да Илье-то-бы Васильевичу

На ступень ступит — нога сломит.

На другую ступит—друга сломит,

А на третью—голова свернуть.

— აი, როგორ გვადიდებენ!—გაკვირვებით წამოიძახა არტამონოვა და შვილს შეხედა. პეტრემ ფრთხილად გაიცინა, ცალი ყური შეისრისა და გოგოებს თვალი გადაჰკრა.

— უსმინე, უსმინე!—ურჩევს ბარსკი და ხარხარებს. უსმინე უსმინე

— Того мало свату нашему

Да похитчику девичьему.

— ცოტა არისო?—აღელვებით ჰყვირის არტამონოვი და მაგიდაზე თითებს აკაკუნებს. ეტყობა, შემკრთალია.

გოგოები კი აფრთოვანებით განაგრძობენ:

С хором бы ты о борону,

Да с горы бы ты о камень,

Чтоб ты нас не обманывал,

Не хвалил бы, не пахваливал

Чужедальные стороны,

Нелюдимые слободы,—

Они горем насеяны

Да слезами поливаны...

— აი, თურმე რა ყოფილა?!—წამოიყვირა ოდნავ ნაწყენმა არტამონოვა —მე კი, გოგონებო, არ გეწყინოთ, და ჩემს მხარეს მაინც ვაქებ: ჩვენ უფრო რბილები ვართ და ხალხიც ჩვენში უფრო თავაზიანია. ასეთი ანდაზაც გვაქვს: „სვაბა და უსოფა სეიმს ერთვიან; მადლობა ღმერთს — რომ ოკას არაო“.

— დაიცა, დაიცა, შენ ჯერ კიდევ ვერ გვიცნობ, —თითქოს კიდევაც ტრახახობსო და კიდევაც იმუქრებაო, ისე სთქვა ბარსკიმ. — აბა, ერთი დასაჩუქრე გოგოები!

— რამდენი მივცე?

— რამდენსაც არ დაიზარებ

მაგრამ როცა არტამონოვა გოგოებს ორი ვერცხლის მანეთიანი გადასცა, გაჯავრებულმა პომიალოვმა წარმოსთქვა:

— ბევრს იძლევი, ბაქიბუქობ!

— ჰე, თქვენ კაცი ვერ გაამებს!—გაჯავრდა ილიაც. ბარსკიმ ამაზე ისე გადიხარხარა, რომ ყველანი გააყრუა. ეიტეიკინის სიცილი კი ჰაერში წვრილი საფანტივით გაიფანტა.

ქალების ლხინი განთიადზე გათავდა. სტუმრები დაიშალნენ. სახლში თითქმის ყველას დაეძინა. არტამონოვი კი ბაღში იჯდა პეტრესა და ნიკიტასთან ერთად, წვერზე ისობდა ხელებს და ხმადაბლა ლაპარაკობდა, თან ბაღს ათვალთვლიერებდა და მოვარდისფრო ღრუბლებს თვალებით სინჯავდა:

— ძელქი ხალხია. თავაზიანი არ არის. შენც, პეტრუხა, ისე მოიქეცი, როგორც სიდედრმა გირჩიოს. თუმცა ეს ყოველივე დედაკაცურია და სისულელეა, მაგრამ, —საჭიროა. ალექსი გოგოების გასაცილებლად წავიდა? გოგოებს

კი მოსწონს, ხოლო ბიჭებს კი—არა... დიახ... შენ, ნიკიტა, უფრო ალერსიანი იყავი, შენ ეს შეგიძლია. მამის ნაკლი დაჰტარე—მე რომ გავარღვევ, შენ ამოაფსე.

ერთი თვალით ხის დიდ ჩაფში ჩაიხედა და განაგრძო.

— სულ ამოულოკიათ. ცხენებივით სვამენ... რაზე დაფიქრებულხარ, პეტრე?

— სოფლად მეტი უბრალოებაა. იქ უფრო დამშვიდებულად შეიძლება ცხოვრება.

— შენც ერთი... მაგაზე ადვილი რა არის...

— აქიანურებენ ქორწილს.

— მოთმინება იქონიე.

და, აი, მძიმე და დიდი დღე დაუდგა პეტრეს. ზის იგი ოთახის წინა კუთხეში და გრძნობს, რომ წარბები მკაცრად შეუკრავს. იცის, რომ ეს არ შეეფერება, მაგრამ რაღაც ვერ პშლის წარბებს, თითქოს მაგარი ძაფით ჰქონდეს ერთმანეთზე მიკერებული. ქვეშქვეშა ათვალეერებს სტუმრებს, თავს გააქნევს, თითქოს თმას იბერტყოს. ზარხოში კი სუფრასა და ნატალიას თავსაკრავზე სცვივა. პატარძალიც მოწყენილია. მოქანცული თვალები დაუნაბავს. გაფითრებულია. ბაღლივით შეშინებულია და სირცხვილისაგან კრთის.

— „გორკო“! მეოცეჯერ ჰყვირიან ბანჯგვლიანი წითელი დინგები და კბილებს ჰკრეჭენ.

• პეტრე მგელივით მთელი ტანით მობრუნდება ნატალიასკენ, — კისერი გახევებია, თავსაკრავს აუწევს მას და მშრალ ტუჩებს ცხვირთან ერთად ლოყაზე აძგერებს. ქალის კანი ცივი ატლასის შეხებას აგონებს. იგრძნობს, რომ ნატალიას შიშისაგან მხრები უცახცახებენ. ეცოდება ქალი და თვითონაც რცხვენია. მაგრამ შეზარხოშებულთა ვიწრო რკალი ჰყვირის და ხმაურობს:

— ყმაწვილია, კოცნა არ იცის.

— ტუჩებში დაუმიზნე.

— ეჰ, მე კი ისე ვაკოცებდი, რომ...

ქალის მთვრალი ხმაც აწრიპინდა.

— მე შენ გიჩვენებ კოცნას!

— „გორკო“!—ბლავის ბარსკი.

კბილებს კბილებზე დაასობს პეტრე და ნატალიას ნამიან ტუჩებს ეამბორება. ქალვაჟი კანკალს შეუბყრია. ქალი ფითრდება და მზიანი დღის მკრთალ ღრუბელს დამსგავსებული, თითქოს დნებაო, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს. ორსავე პშია. გუშინდელს აქეთ არაფერი არ უქამიათ. პეტრე გრძნობს, რომ მთვრალია. სასმელის სუნმა და ორი ქიქა შუშხუნა ციმლიანის ღვინომ დაათრო. ეშინია, პატარძალმა სიმთვრალე არ შემამჩნიოსო. გარშემო ყველაფერი მერყეობს, ქანაობს,—ხან აკრულდება და ერთმანეთში ირევა, ხან კი საზიზღარი სახეები წითელი ბუშტების მსგავსად ყოველ მხრივ იფანტებიან. შვილი მამას შესცქერის, თითქოს ევედრება და თან უწყობაო. აბურძგვნილი ილია

არტამონოვი კი ანთებულა და ბაიმაკოვას წითლად ალუწილ სახეს მისჩერებია, ჰყვირის:

— მზახალო, მო, ეს თათლი დავცალოთ... დიასახლისივით ტკბილია იგი.

ბაიმაკოვა ფუნთუშა თეთრ ხელს გაუწვდის, — ფერად თვლიანი / ოქროს სამაჯური მზეხე იელვებს და აბურთულ გულმკერდზე მარგალიტის შუქი გაიკრთომარებს. ბაიმაკოვასაც დაუღევეია, მის ნაცრისფერ თვალებში ენება გაითამაშებს. ოდნავ გაპობილ ბაგეზე მაცდური ღიმილი გაუციალებს. დალევს და მზახალს თავს დაუკრავს. არტამონოვი გრუზა-თმიან თავს შეარხევს და ალტაცებით ამბობს:

— თავადის ქალის მოქცევა გაქვს, მზახალო... ღმერთმა დამწყველოს, თუ ეს ასე არ არის...

პეტრე ხედავს, რომ მამამისს შესაფერისად არ უჭირავს თავი. სტუმრების მთვრალ ხმაურობაში მის დაცქვეტილ ყურებს გარკვევით ესმის პომიალოვის დამცინავი შენიშვნები, ბარსკაიას საყვედურები და ფიტეიკინის წვრილხმიანი სიცილი.

— ქორწილი კი არა გასამართლებაა, — ფიქრობს იგი და თან ესმის:

— შეხედე, ის ქაჯი ულიანას როგორ უყურებს... ჰო-ჰო.

— სჩანს, გაჩაღდება კიდევ ქორწილი, მხოლოდ კი უღმედლო...

ეს სიტყვები ერთი ხნით ყურს ამოუვსებენ პეტრეს, მაგრამ იგი უმაღვე დაივიწყებს მათ, როგორც კი ნატალიას მუხლებისა და მკლავის შეხებას იგრძნობს. აენტება. ცდილობს არ შეხედოს ქალს და თავს გაიხვევებს, მაგრამ თვალები არ ემორჩილებიან, ნატალიასკენ ელამად იცქირებიან.

— როდის მოელება ამას ბოლო? — ჩურჩულებს იგი. ნატალია უპასუხებს:

— არ ვიცი...

— სირცხვილი...

— მართალია, — ესმის და უხარია, რომ ნატალიაც მისებურად გრძნობს.

ალექსი კი გოგოებშია. ისინი ბაღში ქეიფობენ. ნიკიტა გრძელ ხუცესს გვერდით მოჯდომია. ხუცესს წვერი სველი აქვს, ნაყვავილარ სახეზე მოყვითალო, სპილენძის ფერი თვალები უბრწყინავს. ეზოსა და ქუჩებში მოქალაქეები შექუჩულან. ღია ფანჯრებში იცქირებიან. რანდენიმე ათეული თავი ქანაობს პაერის სილურჯეში და ყოველ წამში ერთი-მეორეს სცვლის. პირი დაუღიათ, ჰყვირიან, ჩურჩულობენ, სისინებენ. ფანჯრები გატენილ ტომრებს ჰგავან: თითქოს ეს არის თავი გაეხსნებათ და ეს ახმაურებული სახეები საზამთროებივით ოთახში შეგორდებიანო. ნიკიტას განსაკუთრებულად მიწის მთხრელი ტიხონ ვიალოვის სახე მოხვდა თვალში, ძვლებამობურთული, მოწითალოდ შებანჯგვლილი და წინწყლებდაყრილი. მისი უფერული თვალები უცნაურად ბუბუბუდენ ახამხამებით, მაგრამ უხამხამებდა მხოლოდ თვალის კაკალი, წამწამი კი არ ერხეოდა. მისი მომცრო პირის წვრილი, მოკუმული ტუჩებიც, რომლებსაც ოდნავ გადაფარებოდა ხუჭუჭა უღვაშები, არ მოძრაობდენ. ყურები კი რაღაც არაკეთილად მიკვროდა თავის ქალაზე. ეს კაცი გულმკერდით მიბჯენოდა ფანჯარას, არ ხმაურობდა, არც იგინებოდა, როცა მოაწვებოდენ და ადგილიდან

დაძვრას დაუპირებდენ, თითქოს აქ არაფერიაო, მხრებისა და მკლავების მსუბუქი გაშლით თავიდან იცილებდა ყველას. მხარბეჭი მრგვალი ჰქონდა, კისერი არ მოუჩანდა და თავი თითქოს ტანზე უშუალოდ ჰქონდა მიზრდილი. კუხიანს ჰგავდა, და ნიკიტამ მასში რაღაც კეთილი, მიმზიდველი რამ შენიშნა.

ერთმა მრუდმა ყმაწვილმა მოულოდნელად და მძლავრად დაჰკრა დაფზე და მის ტყავზე თითები გაათამაშა. დაფი ახმაურდა, აღუშრდებდა. ვიღაცამ იფსტვინა, მუხლებზე ორკეც რიგის საკრავი გაიშალა და ამავე დროს პატარძლის მეგობარი, თმახუჭუჭა, მომრგვალო სტეპაშა ბარსკი, მარდი ტრიალით გამოხტა შუა ოთახში და ფეხები ააბაკუნა, თან მუსიკას ხმა ააყოლა:

Эй -девицы—супротивницы,
Хороводницы, Затейницы!
У меня ли густо денежки звенат,
Выходите что ли, супроти меня.

მამამისი წელში გაიმართა მაღალი და ვეება. შვილს დაუყვირა:

— სტეპკა! ჩვენი ქალაქი არ შეარცხვინო, აჩვენე ამ ქათმებს, რაც ბიჭი ხარ!

წამოხტა თავისი ადგილიდან ილია არტამონოვი და ცოცხივით აწეწილი თავი შეიბერტყა. სახეში სისხლი წამოაწვა, ცხვირი ნაკვერჩხალივით გაუწითლდა და ბარსკის შიგ სახეში შეაძახა:

— შენც გვნახე რაღა ქათმები! ჩვენ კურსკის ხალხი ვართ! ვნახოთ ვინ ვის აჯობებს! ოლეშა!

ლაქწასმულივით სახე გაბრწყინებული ალექსი ჯერ შორიდან ღიმილით დააკვირდა ქალაქ დრემოვოს მცვეკავს. მერე უცბად გაფითრდა და ფეხების თვალშეუსწრებელი ათამაშებით დატრიალდა ქარივით აწივლებული.

— მითქმა კი არ იცის, აი,—იყვირეს დრემოველებმა და მყისვე არტამონოვის საშინელი ბლავილიც გაისმა:

— ოლეშკა, მოგკლავ!

ალექსი არ შეჩერებულა, ათამაშებული ფეხები არც შეუჩერებია, ისე ორი თითი ჩაიწყო პირში და ოთახი ფსტვენით გააყრუა. მერე მოჰყვა:

У барины, у Мокея
Было пятеро лакеев,
Ныне барин Мокей
Сам такой же лакей.

— აი, ხომ სცოდნია!—გამარჯვებულის სახით სთქვა არტამონოვმა.

— ოჰო!—დიდმნიშვნელოვნად წამოიძახა ხუცესმაც და თითის მაღლა ამართვით თავი გაასაფსავა.

— ალექსი აჯობებს თქვენსას,—წასჩურჩულა პეტრემ ნატალიას.

— მსუბუქია,—უპასუხა ნატალიამ.

მამები ერთმანეთს უსევდენ შვილებს, როგორც მოჭიდავე მამლებს. ისინი ერთმანეთის მხარამოდგომით იდგენ ნახევრად მთვრალეები, ერთი—ვეება, უხეში, შერიით სავსე ტომარას დამსგავსებული; წარბებს ქვევით მიჩქმალულ წი-

თელ და ვიწრო ნახვრეტიდან ლოთური სიხარულის ცრემლი უხეად სდიოდა. მეორე ისე მომართული იყო, თითქოს გადასახტომად ემზადებო, *გრძელ ხელებს ასაესავებდა და გვერდებს იზელდა. თვალები გიჟს მიუგავდა.* პეტრემ დაინახა, რომ მამას ლოყაზე წვერი ერხეოდა, და გაიფიქრა:

— კბილებს აკრაჭუნებს: უთუოდ სცემს ვისმე...

— არტამონოვის ბიჭი უხეშად ცეკვავს, — გაისმის მატრენის ხმა. — ფიგურებს ვერ აკეთებს!.. არაფერი შეილია.

ილია არტამონოვი ბარსკაიას ტაფასავით მგვრალ სახესა და ბრტყელ ცხვირში უხითხითებს, — ალექსიმ გაიმარჯვა. ბარსკის ვაჟი ლასლასით კარისკენ მიდის. ილიამ კი ხელი ჩამოჰკრა ბაიმაკოვას და ეუბნება:

— აბა, გამოდი ერთი, მზახალო.

ქალი გაფითრდა. ხელი გააქნია. გაჯავრდა. დაიბნა. უარი სთქვა:

— რას ამბობ? განა შემშვენის!..

სტუმრები მიყუჩდნენ. პომიალოვმა დაღრეჯით გადახედა ბარსკაიას. ასინდენ მისი სიტყვები, თითქოს ზეთში ამოაელოო:

— არაფერია... გვასიამოვნე, ულიანა. იცეკვე. ღმერთი გაპატიებს.

— ცოდვა ჩემზე იყოს! — გაჰყვირის არტამონოვი.

— იგი ახლა თითქოს გამოფხიზლდა კიდევაც; სახე მოიღრუბლიანა და ვითომ ომში გასულიყოს, ისე თითქოს უნებურად დაიწყო ცეკვა. ბაიმაკოვა წრიდან გამოაგდეს, მთვრალი ქალი შებარბაცდა, ერთი უკან დაიხია, მეორე წელში გასწორდა, თავი გამართა და დაუარა. — პეტრემ ყური მოჰკრა დაკვირვებულ ჩურჩულს:

— ამას რას ვხედავთ! წელიწადი არც კი გასულა, რაც ქმარი მიწას მიაბარა, და ამან კი შვილი გაათხოვა და ახლა თვითონაც ცეკვავს.

პეტრემ იგრძნო, რომ მის ცოლს შერცხვა. არ შეუხედავს, ისე წაილულლულა:

— არ უნდა ეცეკვა მამაჩემს.

— დედაჩემსაც არ უნდა ეცეკვა, — უბასუხა ქალმა ჩუმად და ნალვლიანად. იგი სკამზე შემდგარიყო და ხალხის ვიწრო წრეს ზემოდან დაჰყურებდა. შებორძიკდა სკამზე და ხელებით პეტრეს მხრებს დაეყრდნო.

— ნელა, — ალერსით უთხრა პეტრემ და მკლავზე ხელი მოჰკიდა.

ილია ფანჯრებში, მაყურებლების თავებს ზემოდან, დაისის შუქის ანარეკლი შემოდინოდა და მისგან მოწითალოდ განათებულ ოთახში ბრმებივით ტრიალებდა ქალი და კაცი. გარედ — ბაღში, ეზოში, ქუჩაში — კვლავ ხარხარი და ყვირილი გაისმოდა. დახუთულ ოთახში ხალხი თანდათან მიწყნარდა. დაფზე გადაჭიმული ტყავიც ჩაყრუებულ ხმას გამოსცემდა, საკრავი ჩხაოდა, და გოგო-ბიჭების წრეში ორი ადამიანი, შერუჯულებივით, დაკრუნჩხვით ცეკვას განაგრძობდა. ახალგაზრდები მათ ჩუმად შესცქეროდნენ, რაღაც სერიოზულად, როგორც უჩვეულო რამ საქმეს. დიდები კი ნაწილობრივად ეზოში გასულიყვნენ, ოთახში მხოლოდ ღვინისაგან გაბრუებულები, უძრავად მთვრალები დარჩენილიყვნენ.

არტამონოვმა უკანასკნელად გააბაკუნა ფეხები და შედგა:

— მაჯობე, ულიანა ივანოვნა, მეტი აღარ შემიძლია!

ქალი მთელი ტანით შეირხა და, თითქოს წინ კედელი დაუხვდაო, ისე უცებ შესდგა. მერე ყველას სალამი მისცა ირგვლივ და ხალხს მიმართა:

— ნუ დაშძრახავთ.

ცხვირსახოცის ქნევით დაუყოვნებლივ ოთახიდან გაიქცა მისი შაგვერ აბლა ბარსკაია წამოდგა წინ.

— გაპყარეთ ჯვარდაწერილები! პეტრე, მოდი აქ, ჩემთან. მეგობრებო, მოჰკიდეთ ხელი და წამოიყვანეთ.

მაგრამ მამამ შვილს მეგობრები ჩამოაშორა და თავისი გრძელი მძიმე ხელები მხარზე გადააქდო.

— საბედნიეროდ, შვილო, მიჰყევი. მანამ მოდი, მაკოცე...

მერე უბიძგა. მეგობრებმა პეტრეს ხელი ჩაჰკიდეს და გაიყოლიეს. ბარსკაია მათ წინ მიუძლოდა, ყოველ მხრივ იფურთხებოდა და ლულულულებდა:

— ფუი, ფუი, სენს, მწუხარებას, შურს, უბატოხნებას. თავის დროზე ყოველთვის ცეცხლიც და წყალიც, ხოლო საბედნიეროდ კი, არა საუბედუროდ.

პეტრე, მას ნატალიას ოთახში შეჰყვა, სადაც მდიდრულად გაწყობილი ლოგინი დახვდა. დედაბერი მძიმედ დაეშვა სკამზე, შუა ოთახში.

— გამიგონე და არ დაივიწყო! — საზეიმოდ წარმოსთქვა მან. — აი, შენ ეს ორი ათ შაურიანი, ჩექმებში ჩაიდევინე, ქუსლთან. ნატალია რომ მოვა, შენს წინ მუხლებზე დაეშვება და მოინდომებს ჩექმები გაგხადოს. შენ კი არ დაანებო...

— ეს რისთვის არის საჭირო? — პირქუშად ჰკითხა პეტრემ.

— ეს შენი საქმე არ არის... სამჯერ არ დაანებო, მეოთხეჯერ რომ გთხოვს, ნება მიეცი. მაშინ შენ ის სამჯერ გაკოცებს, შენ კი ეს ათშაურიანები მიეცი და ასე უთხარი: მიჩუქნია შენთვის, ბედო ჩემო და ჩემო მონავ! დაიხსოვნე. მერე გაიხადე და დაწეკი, მაგრამ ზურგი ნატალიას შეაქციე. მაშინ იგი შეგებვეწება: ღამე გამათევიეო! შენ კი იყურე. მხოლოდ მესამეჯერ რომ გთხოვს — ხელი გაუწოდე. გესმის? მერე კი...

პეტრემ გაოცებით შეაშტერა თვალები დამრიგებელ დედაბრის ბრტყელ სახეს. ბარსკაიას ნესტოები გაბეროდა და ტუჩებს ილოკავდა. ცხვირსახოცით მსუქან ნიკაპსა და კისერზე ოფლს იწმენდდა და ბრძანების კილოზე უმგვანო, ურცხვ სიტყვებს მკაფიოდ გამოსთქვამდა:

— რომ იყვიროს — არ დაუჯერო, რომ ოტიროს — არც ის დაუჯერო! — დაამთავრა და ბარბაცით გავიდა ოთახიდან, იქაურობა ღვინის სუნით ააყროლა. პეტრეს კი ბრაზი მოერია. სწრაფად გაიძრო ჩექმები და ლოგინს ქვეშ შეაგდო, ტანთ გაიხადა და ლოგინში ისე შეგორდა, თითქოს ცხენს ზურგზე მოაჯდაო. კბილები მაგრა დაკრიჭა, რომ ტირილი არ მორეოდა, რაღაც დიდ შეურაცხებას გრძნობდა და ამისგან იყო, რომ ცრემლი აღრჩობდა.

— ჰო, ქაჯები...

ბუმბულის ლოგინში ცხელოდა. იგი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და გა-
ალო. ბალიდან მთვრალების ხმაურობა შემოიჭრა, ხარხარი, გოგოების წივილი-
მოლურჯო ბინდში, ხეებ შორის, ხალხის შავი ლანდები მიმოდიოდნენ, ნიკოლის
სამრეკლოს მახვილი წვეტი თითბერის თითივით ცას შერჭობოდა. იგი უჯვრო
იყო. ჯვარი დასაფერად წაელოთ. სახლების სახურავების მიღწევიდან ელ-
ვარებდა მდინარე ოკა, რომელსაც მთვარის ნაჭერი ზედ ადნებდნენ. თუკით
შავ ზვინებად იდგენ დაუსრულებელი ტყეები. პეტრეს მოაგონდა სხვა მიწა,
სხვა ადგილები, — თვალმიუწვდომელი ოქროს ყანები — და ამოიოხრა. კიბეზე
ხმაურობა გაისმა, ფეხის ხმა, ხითხითი. პეტრე ისევ ლოგინში ჩაწვა. კარი გა-
ილო. აბრეშუმის ლენტებმა ჩაიშრიალა. ფეხსაცმელის კრიალი გაისმა. ვილაცა
აქვითინდა და ატირდა. მერე კარში გასაღებმა გაიჩხრიალა. პეტრემ ფრთხი-
ლად წამოწია თავი. ბინდში, კართან მდგარი თეთრი ლანდი შეამჩნია, რომე-
ლიც ხელების შლით წელში იკეცებოდა, იატაკამდე ილუნებოდა.

— ლოცულობს... მე კი არ მილოცნია.

მაგრამ ლოცვა არ მონდომებია.

— ნატალია ევსეევნა, — ჩურჩულით წარმოსთქვა მან — თქვენ ნუ გეშინიათ.
მე თვითონ მეშინია... გავწვალდი.

ორივე ხელით თმა გაისწორა თავზე, ყურები დაიზილა და ლულულით
განაგრძო:

— არაფერი საჭირო არ არის: ჩექმების გახდა და სხვა ამისთანა. ყველა-
ფერი ეს სისულელეა. მე გული მტკივა, ის დედაკაცი კი თამაშის გუნებაზეა.
ნუ სტირით.

ქალმა ფრთხილად აუარა გვერდით და ფანჯარასთან მივიდა.

— ქეიფობენ კიდევ. — წარმოსთქვა ჩუმად.

— დიახ..

ვერ გაებედნათ ერთმანეთთან მისვლა, თითქოს ორსავე რაღაც აშინებსო.
ასე, დაღლილები დიდხანს საუბრობდნენ ისეთ რამეზე, რაც სრულიად საჭირო
არ იყო. განთიადზე კიბის კრიალი მოესმათ. ვილაცამ კედელზე ხელი გააფა-
თურა. ნატალია კარისკენ გაეშურა.

— ბარსკაია არ შემოუშვა, — წაუჩურჩულა პეტრემ.

— ეს დედაჩემია, — სთქვა ნატალიამ და კარი გაიღო. პეტრე წამო-
ჯდა ლოგინზე, ფეხები გადმოკიდა. იგი უკმაყოფილო იყო თავის თავით და
სწუხდა:

— არ ვარგვარ... ვერ გავბედე... ახლა უთუოდ დამცინებს იგი. ..

კარი ისევ გაიღო და შემობრუნებულმა ნატალიამ ჩუმად უთხრა:

— დედა გეძახის.

მერე ლუმელს მიეყრდნო. თითქმის დაიმალა მისი ჩუქურთმიანი ქვების
სითეთრეში.

პეტრე კი ოთახიდან გავიდა და იქ, კარს უკან, სიბნელეში, ნაწყენმა და
შეშინებულმა ბაიძაკოვამ მას ცხარე საყვედურით მიმართა:

— ამას რას სჩადიხარ, პეტრე ილიასძევ? რატომ გინდა, მე და ჩემი

ქალი ასე შეგვარცხვინო? ხომ ხედავ, რომ თენდება და სადაც არის ამოვლენ და გაგაღვიძებენ... ხალხს ხომ უნდა ვაჩვენოთ ქალწულის პერანგი... ხომ უნდა დარწმუნდეს ყველა, და ქვეყანამაც დაინახოს, რომ ჩემი ქალი პატარასანია.

ამას რომ ამბობდა, ცალი ხელი პეტრეს მხარზე ედგა, ცალით /კი იშორებდა და აღშფოთებით ეკითხებოდა:

— რას ჰგავს ეს? ძალა არ შეგწევს, თუ ხალისი არ გაქვს? ნუ მაშინებ, კაცო, ნუ გაჩერებულხარ..

პეტრემ ყრუდ უპასუხა:

— მეცოდება. შეშინია.

დედამთილის სახე არ დაუნახავს, მაგრამ ისე კი მოესმა, რომ ქალმა ამის გაგონებაზე მოკლედ გაიციინა.

— არა... მიდი, აბა, მიდი ერთი: მამაკაცის მოვალეობა აასრულე. ქრისტოფორე-წამებულს შეევედრე. მიდი... მოიცა, გაკოცო ერთი...

მაგრად მოხვია კისერზე ხელები პეტრეს, ღვინის სუნი შეაფრქვია სახეში, და ტკბილი წებოვანი ტუჩებით აკოცა. ვაჟმა ვერ მოასწრო კოცნითვე ეპასუხნა, მისი ტლოშნა ჰაერს შერჩა. საწოლ-ოთახში რომ შებრუნდა, კარი ჩაიკეტა შიგნიდან, და ნატალიას თამამად გაუწოდა ხელები. ქალმა დაანება თავი და ვაჟის გაშლილ მკლავების რგოლში მოექცა.

— დედა ცოტა ნასვამია.—სთქვა მან აკანკალებული ხმით.

პეტრე ამ შემთხვევაში მისგან სხვა სიტყვებს მოელოდა. ლოგინისკენ გაიყოლია ჩურჩულით:

— ნუ გეშინია. მე ლამაზი არ ვარ, მაგრამ სამაგიეროდ კეთილი ვარ...

ქალი მიეკრა ვაჟს. მერე ლოგინთან სულ ჩუმად უთხრა:

— ფეხზე ველარ ვდგები...

...დრემოვოში ქეიფი უყვარდათ: ქორწილმა ხუთი დღე და ღამე გასტანა. ყოველ დღეს ფერხული იმართებოდა დილიდან შუალამემდე. დადიოდენ ქუჩებში, სახლიდან სახლში შედიოდენ, თვრებოდენ და ტრიალებდენ. ბარსკებმა განსაკუთრებით უხვი და თავგამოსაჩენი ნადიმი გამართეს, მაგრამ ალექსიმ მათ შვილს მაინც სცენა, რადგანაც მან პატარა გოგონა ოღვა ორლოვა შეურაცჰყო, როცა გალახულის მშობლებმა არტამონოვს შესჩივლეს, ალექსი ასე მოიქცაო, მან გაიკვირვა და სთქვა:

— სად გაგონილა, ბიჭებმა არ იჩხუბონო?

არტამონოვი უხვად სთავაზობდა გოგოებს ლენტებს და სხვა საჩუქრებს, ბიჭებს—ფულს ურიგებდა. ხოლო მათ მამებს და დედებს ძალზე ათრობდა. ყველას ეხვეოდა, შეამედრედა და ეტყოდა:

— ჰე, ხალხო! ვცხოვრობთ თუ არა?

თავშეუკავებელი იყო, ბევრს სვამდა, თითქოს ცეცხლი უკიდია და მის ჩაქრობას ლამობსო. სვამდა, მაგრამ არ ითრობოდა. შესამჩნევად გახდა უკანასკნელ დროს. ულიანა ბიძაკოვასაგან თავი შორს ეჭირა, მაგრამ შვილებმა შენიშნეს, ის ხშირად ისე შეხედავდა ქალს, თითქოს მისგან რაღაცას მოითხოვს და თან უჯავრდებო. ბევრსაც ტრაბახობდა, რომ ღონიერი იყო. გორ-

ნიზონის ჯარისკაცებს ეჯიბრებოდა. ეჭიდავა და წააჭვია მებანძრე და სამი ქვისმთლელი. ტიხონ ვიალოვიც მივიდა და კი არ სთხოვა, არამედ მოითხოვა მისგან:

— აბა, ახლა მე დამეჭიდე.

არტამონოვი გააკვირვა ვიალოვის ტონმა. შეათვალა მიწის მთხრელის ჯმუხი ტანი და ჰკითხა:

— ვინ ხარ შენ: მართლა ღონიერი ხარ თუ მკვებარა?

— არ ვიცი, — სერიოზულად უპასუხა ვიალოვი.

ჩასკიდეს ერთმანეთს ქამრებში ხელი და დიდხანს სტკეპნენ მიწა ერთსა და იმავე ადგილას. ილია ვიალოვის ბეჭებს ხემოდან ქალებს შესცქეროდა და თვალს ურცხვად უშტერებდა. იგი მიწის მთხრელზე უფრო ნაღალი იყო, მაგრამ მასზე უფრო თხელი და რამდენიმედ უკეთესადაც მოყვანილი. ვიალოვი მას მკერდში შესწოლოდა და სცდილობდა ადგილიდან მოეწყვიტა და თავზე გადავლებით მიწაზე დაენარცხებია. ილიამ ეს შეუტყო.

— ვერ ხარ ეშმაკი, ძამია, ვერ ხარ ეშმაკი, — ეუბნებოდა იგი ვიალოვს.

და ანაზღად, ერთი წამოიგმინა, თვითონ გადივლო თავზე ტიხონი და ისე ძლიერად დასცა მიწაზე, რომ ვიალოვი თეხი დაიშავა. დამარცხებული მოლზე წამოჯდა. პირისახეზე ოფლი მოიწმინდა და დარცხვენით სთქვა:

— ღონიერია,

— ეს ჩვენც ვნახეთ, — უპასუხეს მას დაცინვით.

— ჯანი ერჩის, — გაიმეორა ვიალოვი.

ილიამ მას ხელი გაუწოდა:

— ადექი!

მიწისმთხრელმა ხელი არ ჩამოართვა, დაუხმარებლად შეეცადა ამდგარიყო, მაგრამ ვერ შესძლო და თეხი ისევ მოლზე გაჭიმა. თან უცნაური, დამდნარი თვალები გააყოლა ბრბოს. მასთან ნიკოც მივიდა, თანაგრძნობით ჰკითხა:

— გტკივა? დახმარება ხომ არ გჭირია?

მიწისმთხრელმა ჩაიციინა.

— ძვლები მეტკინა. მე მამაშენზე უფრო ღონიერი ვარ, მხოლოდ იგი ჩემზე უფრო მარდია. მაშ, გავყვეთ მათ, ალაღმართალო ნიკიტა ილიჩ.

მეგობრულად გაუყარა ხელი ხელში კუზიანს და მიმავალ ბრბოსკენ გაემართა თეხების ბაკუნით, რომ ტკივილის გრძნობა გაენელებინა.

უძილო ღამეებით მოქანცული და დაღლილი ახალგვარდაწერილები ძალაუნებურად, ხალხის დასანახავად, ქუჩა-ქუჩა მიმოდიოდნენ შეზარხოშებულ, აჭრელებულ და ახმაურებულ ბრბოსთან ერთად. სჭამდნენ, სვამდნენ და ურცხვ ხუმრობას დარცხვენით ისწენდნენ. ცდილობდნენ ერთმანეთისათვის არ შეეხედნათ. ხელებგაყრილები დადიოდნენ, თუ ისხდნენ ერთად, ორსავე შემთხვევაში სდუმდნენ, თითქოს ერთმანეთს არც კი იცნობენო. ეს ძალიან მოსწონდა მატრენა ბარსკაიას და ილიასა და ულიანას წინაშე ტრაბახობდა:

— ხომ კარგად გაწაფულია შენი შვილი?.. მაშ, როგორ გეგონა?.. შეხედე,

ულიანა, შენი ქალიც რა გაწვრთნილია!.. სიძე?.. ფარშავანგით დადის შენი სიძე; აქაო და, მე სხვა ვარო და ცოლიც, ვითომ ჩემი არ არისო.

მაგრამ როცა თავიანთ ოთახში შევიდოდენ, პეტრე და ნატალია ტანთსაცმელთან ერთად თავიდან იცილებდენ ყოველივეს, რითაც მთელი დღე შებორკილები იყვნენ, და რასაც ხალხში თავდაბლად ემორჩილებოდენ. როცა ოთახში პირისპირ დარჩებოდენ, თავისუფლად იწყებდენ საუბარს განცლილი დღის შესახებ:

— უნდა გითხრა, ძალიან სმა კი სკოდნიათ თქვენში, — გაკვირვებით ამბობდა პეტრე.

— თქვენში კი ნაკლებს სვამენ? — ეკითხებოდა ცოლი.

— როგორ იქნება: გლეხები და ასე სმა?!

— გლეხებს რომ არ ჰგეგხართ?

— ჩვენ შინა-ყმები ვიყავით... აზნაურებისთანა ხალხი...

დროთ კი ერთმანეთს გადაეხვეოდენ, ფანჯარასთან დასხდებოდენ და უსიტყვოდ, ჩუმად ბალის ტკბილი სურნელით სუნთქავდენ.

— რად გაჩუმებულხარ აგრე? — ჰკითხავდა ნელიად ცოლი ქმარს. ქმარიც ნელიადვე უბასუხებდა:

— ხალისი არ მაქვს ჩვეულებრივი სიტყვებით ვილაპარაკო.

მას უნდოდა არაჩვეულებრივი სიტყვების გაგონება, მაგრამ ნატალიამ ისინი არ იცოდა. როცა პეტრე ოქროსფერ ველების თვალმიუწვდომელ სიგრძესიგანეს მოიგონებდა, ცოლი შეეკითხებოდა:

— არც ტყეებია, არც არაფერი?.. ჰო, საშინელი რამ არის, ალბად...

— შიში — ტყეში ბუდობს! — მოწყენით ამბობდა პეტრე. — ველში კი შიშს რა უნდა? ზევით — ცაა, ძირს — მიწა და... მე.

და ერთხელ, როცა ისინი ფანჯარასთან ისხდენ და ჩუმად გასცქეროდენ ვარსკვლავიან ღამეს, ბალში, აბანოს გვერდით, რაღაც ხმაურობა ატყდა: ვილაცა გარბოდა და ჟოლოს ბუჩქნარის ტოტებს ამტვრევდა. შერე გაისმა თავშეკავებული, მაგრამ გამწყრალი ხმა, რომელმაც ვილაცას შეუტია:

— რას შვრები, ქაჯო?

შეშინებული ნატალია ზეზე წამოხტა.

— ეს დედაჩემია!

პეტრემ თავი გაჰყო ფანჯარაში და თავისი ფართე ზურგით ცოლს წინ ჩამოეფარა. დაინახა, რომ მამა მისი დედამთილს გადახვეოდა, აბანოს კედელთან მიემწყვდია და ცდილობდა მიწაზე წამოეჭკია. ქალი კი ხელებს იშველიებდა, მამაკაცს თავში სცემდა და სულშეხუთულად მაღალი ჩურჩულით ეუბნებოდა:

— გამიშვი, თუ არა ვიყვირებ.

შემდეგ თითქოს სხვისი ხმა ჩაედგაო, წამოიძახა:

— ძვირფასო, ნუ შვრები... შემიცოდე...

პეტრემ გაუხმაურებლად დახურა ფანჯარა. მაგრად ჩაბლუჯა ცოლი და ნუხლებზე დაისვა.

— არ შეხედო.

ნატალია შეფრთხილდა.

— რა იყო, ვინ არის?

— მამა, — უთხრა პეტრემ და ქალი უფრო მაგრად წყუქმუნა. — არ გესმის თუ...

— ჰო, ეს როგორ იქნება? — ჩურჩულებდა შეშინებული და დატყვევნილი ნატალია. ქმარმა აიყვანა იგი და ლოგინზე დააწვინა. თან მორჩილებით ჩაილაპარაკა:

— მშობლების გასამართლებას ვერ ვიკისრებთ, სწორე გითხრა...

ნატალიას თავზე ხელები წაეველო და მოსთქვამდა:

— ცოდვა, რა ცოდვა...

— ჩვენი ცოდვა ხომ არ არის, — უთხრა პეტრემ და მამის სიტყვები მოიგონა: — ბატონები უარეს სჩადიან. ასე სჯობია კიდევაც: შენზე იერიშს აღარ მოიტანს... ბებრები ამ შემთხვევაში ძალიან უბრალოდ იქცევიან: რძალთან გახუმრებას „ჩიტის ცოდვას“ უწოდებენ... ნუ სტირი.

ცრემლმორეული ნატალია ამბობდა:

— ასე რომ მოხდებოდა, მაშინაც ვიფიქრე, როცა ერთად იცეკვეს... თუ მამაშენი ძალმომრეობით სჩადის ამას, მაშინ რაღა გვეშველება...

მაგრამ აღელვებისაგან ისე მოქანცულიყო, რომ მალე გაუხდელადვე დაიძინა. პეტრემ კი ისევ გაალო ფანჯარა და ბალი დაათვალიერა. ბალში უკვე აღარავინ არ იყო. განთიადის წინამორბედი ნიავი ჰქროდა და ხეები სურნელოვანი ღამის სამოსელს იხდიდნენ. პეტრემ ფანჯარა ღია დასტოვა და ცოლს გვერდით მოუწვა. თვალშია დაიწყო იმაზე ფიქრი, რაც ამას წინად ბალში დაინახა. რა კარგი იქნება, რომ ნატალიასთან ერთად მარტო იცხოვრებდეს სადმე პატარა, განმარტოვებულ სახლში.

... ნატალიას მალე გამოეღვიძა. მოეჩვენა, თითქოს იგი შეურაცყოფილ დედისადმი სიბრალოულმა გამოაღვიძა. ფეხშიშველმა, პერანგამარამ საჩქაროდ ჩაირბინა ძირს. დედის ოთახის კარი, რომელიც ღამით ყოველთვის იკეტებოდა, გამოღებულნი დახვდა, ამან უფრო შეაშინა ნატალია. მაგრამ კუთხეში მიდგმულ დედის ლოგინისკენ რომ გაიხვდა, ზეწრის ქვეშ თეთრ ბელტად ამობურთული ტანი და ბალიშზე მიმოზნეული შავი თმა დაინახა.

— სძინავს. ალბად ბევრი იტირა, ბევრი იჯავრა...

საჭიროა რამე ილონოს, რომ შეურაცყოფილი დედა ანუგეშოს. ბალში ჩავიდა. ნამისაგან სველი ბალახი ფეხებში უღიტინებდა; ის-იყო მზე ტყის თხემით ამოცურდა და მისი თვალის მომჭრელი სხივები ალმაცერად აბრწყვიალდნენ. ბალში ოდნავი სითბო დაირხა. ნატალიამ ცვარით მოვერცხლული ნინოფის ფოთოლი მოსწყვიტა, ჯერ ერთ ლოყაზე მიიფარა, მერე — მეორეზე, და ასე პირისაზე გაიხალისა. შემდეგ წითელი მოცხარი დაჰკრიფა და ნინოფის ფოთოლზე დააგროვა; თან მამამთილზე ფიქრობდა უწყინრად. აი, მძიმე ხელს ზურგზე შემოჰკრავს იგი და შეხითხითებით ჰკითხავს:

— მაშ, ასე... ცხოვრობ, ა? სუნთქავ?... იცხოვრე, იცხოვრე...

როგორც სჩანს, სხვა სიტყვა მისთვის პირიდან არ ამოუდის მამამთილს, ხოლო ხელის გულის ალერსიანი შემოკვრა ნატალიას რაღაც შეურაცხებად ეჩვენება. ასე ცხენს მიუალერსებენ ხოლმე.

— ყაჩაღი ვინმეა, — გაიფიქრა ნატალიამ და მამამთილზე განზრახ/მტრული ფიქრები აღიძრა.

ნიბლიამ გალობა წამოიწყო, 'ჭივჭავმა—ჭიკჭიკი; ხეზე ~~ფიქრები~~ დაბრეშუ- მივით აშრილდა. ქალაქის განაპირას, სადღაც 'ზორს, მწყემსების სალამურის ხმა გაისმა. ვატარაკ'შის ნაპირიდან, სადაც ფაბრიკა შენდებოდა, ადამიანების დილის მყუდროებაში შეცურებული ხმიანობა მოდიოდა. ანახდად რაღაცამ გაიტკაცუნა შეფრთხილებით. ნატალიამ თავი ასწია: — ნაღლა, ვაშლის ხის ტოტზე, ჩიტის მახე ეკიდა და შიგ ჭივჭავი ფართხალებდა.

— ნეტავი, ვინ არის რომ ჩიტებს იჭერს?... ნიკიტა?

სადღაც გამხმარი ტოტი ჩამოტყდა.

როცა ნატალია სახლში დაბრუნდა და დედის ოთახში შეიჭვრიტა, დედამის უკვე გაღვიძებოდა და პირალმა იწვა, ხელები თავქვეით ამოედვა და წარბები შეკვირვებით მალლა აეწია.

— ვინაა... ვინ არის? — იკითხა შემკრთალმა და იდაყვზე დაყრდნობით წამოიწია.

— არაფერი, აი, მოცხარი დავკრიფე შენთვის ჩაის მისატანებლად.

მაგიდაზე ლოგინთან ბურახის დიდი ბოთლი იდგა, თითქმის ცალიერი. ბურახი სუფრაზე იყო დაღვრილი, ხოლო ბოთლის საცობი იატაკზე ეგდო. დედის ღია, მკაცრ თვალებს მოღურჯო ლანდი შემოვლებოდა, მაგრამ ცრემლისაგან სისივნე არ ეტყობოდა, როგორც ამას ნატალია მოელოდა. თვითონ თვალები კი ჩაშავებულიყვნენ, ჩაღრმავებულიყვნენ. წინად ისინი ყოველთვის რამდენიმედ მედიდურად გამოიციქირებოდნენ, დღეს კი ნატალიამ თითქოს ვერც იცნო დედის თვალები: საიდღამაც შორიდან იზხირებოდნენ დაბნეულად.

— კოლოებმა აქ არ მომასვენეს. ამიერიდან ბელელში დავწვები, — ამბობდა დედა და ზეწარს კისერზე იხვევდა. — სულ დამქამეს... შენ კი რად ამდგარხარ ასე ადრე?... ფეხშიშველი რატომ დადიხარ ნამში? კალთა დაგისველებია, გაცივდები...

— გამომეღვიძა თუარა, შენზე დავიწყე ფიქრი: წუხელ სიზმარში გნახე.

— რას ფიქრობდი ჩემზე? — ჰკითხა დედამ და თვალები ქერს მიაპყრო.

— ის, რომ შენ ახლა მარტო გძინავს, უჩემოდ...

ნატალიას მოელანდა, რომ დედას ლოყები გაუწითლდა, და როცა მან გაღიმებით უპასუხა — მე მშიშარა არა ვარო — მისი გაღიმებაც ყალბი მოეჩვენა.

— ახლა წადი, გენაცვალე... შენს ქმარს გაღვიძებია... ხომ გესმის: გიკაკუნებს... — უბრძანა შვილს დედამ და თვალები დახუჭა.

ნელა, მძიმედ აღიოდა კიბეზე ნატალია და ზიზღნარევიად ფიქრობდა.

— უთუოდ დედასთან იწვა იგი წუხელ... ბურახიც მას დაუღვევია... დედას რომ კისერი დაღურჯებული აქვს, კოლოს ნაკბენი კი არ არის, კოცნის ბრალია... პეტრეს არ გაუმხელ ამას... ამიერიდან ბელელში უნდა დავიძინო... ამას წინად კი ჰყვიროდა...

— სად იყავი?—ჰკითხა ცოლს პეტრემ და თვალები სახეში შეაცივა. ნატალიამ თვალები ძირს დახარა, თითქოს რაღაც დანაშაულს გრძნობსო.

— მოცხარი დავეკრიფე, დედას მივუტანე.

— როგორ არის, რას ამბობს?

— თითქოს არაფერი...

— ასეა,—სთქვა პეტრემ და ყური შეისრისა,—ასეა!

მერე ჩაიცინა ერთი, მოწითალო მუქ ნიკაპზე შეისვა ხელი და ამოიოხრა:

— სჩანს მართალი მითხრა იმ სულელმა ბარსკაიამ,—რომ იყვიროს, არ დაუჯერო, რომ იტიროს, არც ის დაუჯეროო.

შემდეგ მკაცრად ჰკითხა ცოლს:

— ნიკიტა ნახე?

— არა.

— როგორ არა? ხედავ, იქ ბაღში ჩიტებს იჭერს?

— ვაიმე,—შეჰკრთა ნატალია—მე კი პერანგამარა ვიყავი...

— საქმეც ესაა...

— როდის სძინავს მაგ კაცს?

პეტრე ჩეჩმების ჩაცმას შეუდგა, თან რამდენიმეჯერ ხიხინით ამოიკვნესა. ცოლმა კი ირიბად შეაფლო თვალი და გაცილებით უთხრა:

— კუზიანია ხომ, მაგრამ ალექსიზე გაცილებით უფრო სასიამოვნოა.

ქმარმა ერთხელ კიდევ ჩაიხიხინა, მაგრამ ახლა უფრო შენელებულად.

... ყოველ დღეს, მზის ამოსვლისას, როცა მწყემსი ჯოგის თავმოსაყრელად არყის ხის ქერქისაგან გაკეთებულ გრძელ საყვირს ჩაჰბერავდა და გარემოს მის ნაღვლიან ხმას მოსდებდა,—მდინარის გაღმა ნაჯახების ქახუნი დაიწყებოდა და ძროხებისა და ცხვრების გასარეკად ქუჩებში გამოსული მცხოვრებნი დაკინვიით ერთმანეთს ეუბნებოდნენ:

— ჯერ არცკი გათენებულა, ისინი კი აჭახუნდენ...

— სიხარბეა—მშვიდობის შეურიგებელი მტერი.

ილია არტამონოვს ხანდახან ეგონა, რომ მან უკვე დასძლია მისადმი ზარმაცი ქალაქის მტრული განწყობილება. დრემოველები ახლა მის წინ პატივისცემით იხდიდენ ქუდს და ყურადღებით უსმენდენ, როცა იგი მათ თავად რატსკების ამბავს მოუთხრობდა, მაგრამ ამავე დროს ვინმე მაინც უთუოდ შენიშნავდა მედიდურად:

— ჩვენი ბატონები უფრო უბრალო ხალხია; მართალია, უფრო ღარიბიც, მაგრამ თქვენს ბატონებზე უფრო მკაცრები კი არიან...

საღამოობით, უქმე დღე, როცა ილია არტამონოვი ბარსკის ტრაქტირში იჯდა, ოკას ნაპირზე გაშლილ ლამაზ ბაღში, იგი დრემოვოს შეძლებულ ხალხს ეტყოდა:

— ჩემი საქმე თქვენთვისაც სარფიანი იქნება!

— ღმერთმა ჰქნას.—უპასუხებდა პომიალოვი და მოკლედ ჩაიცინებდა, ძალის გაღმების მსგავსად. ძნელი იყო იმისი გაგება: მართლა მილაქუცებას

აპირებს თუ კბენასო. მის დაქმუქვნილ სახეს უხერხულად დაფარებოდა სელის წვერი, ნაცრისფერი ცხვირი უნდობლად სუნავდა იქაურობას და რკოსებური თვალები გესლიანად იმზირებოდნენ.

— ღმერთმა ჰქნას, — გაიმეორა მან — თუმცა უშენოდაც ცუდად არ ვცხოვრობდით... იქნება, შენთანაც კარგი ცოხვრება გვექნეს.

არტამონოვმა სახე მოიღრუბლიანა:

— ორაზროვანად ლაპარაკობ, არა მეგობრულად...

ბარსკი ხითხითებს და ჰყვირის:

— რას უზამ: ასეთი კაცია.

მას პირისახის მაგიერ მეწამული ფერის ხორცის ნაჭრები აქვს დავზე მიკოწიწებულნი. ვეებერთელა თავი, კისერი, ლოყები და ხელები — დათვის მომსახო თმიანი ტყავით შემოსილი. ყურები არ უჩანს. ქონის ნაოჭებში შემალული მისი თვალები, თითქოს ზედმეტი არიანო, ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ.

— მთელი ჩემი ძალ-ღონე ქონშია წასული, — ამბობს იგი და ხითხითებს, ფართედ აბჩენს ხახას, რომელიც ბლაგვი კბილებით აქვს ამოჭედილი.

ურმის მკეთებელი ეოროპონოვი ღია ფერის თვალებით შესჩერებია არტამონოს და მშრალი ხმით არიგებს...

— საქმე უნდა აკეთო, მაგრამ ღმერთიც არ უნდა დაივიწყო; ნათქვამია: ბევრსა ზედა ზრუნავ, მცირე კი საკმარ არს.

ეოროპონოვის უფერული, უშინაარსო თვალები ისე გამოიციქირებიან, თითქოს მას რაღაც საიდუმლო გაგებულნი აქვს და ეს-არის არაჩვეულებრივსა და ზარდამცემ სიტყვას წამოაყრანტალებსო.

ხანდახან კიდევ წამოიწყებდა:

— რა თქმა უნდა, ქრისტეც სჭამდა პურს, ასე რომ მართა...

— კარგია გეყოფა, — შეაჩერებდა მას მეტყავე ჟიტეიკინი, მნათე, — ნუ შეტოპე ეოროპონოვი ნაცრისფერ ტუჩებს გააბარტყუნებდა და დადუმდებოდა. ილია კი მეტყავეს მიმართავდა:

— შენ ხომ გესმის ჩემი სმქმე?

— ამას რად მკითხავ? — გულწრფელად გაიკვირვებდა ჟიტეიკინი. — საქმე შენია და შენი — შენვე უნდა გესმოდეს... მე ჩემი ვიცი, შენ — შენი.

არტამონოვი სტელ ლუდსა სვამდა და ხეებს იქით ოკას მღვრია ღარს გასცქეროდა, რომლის გვერდით, მარცხენა მხარეს, ნაძვნარსა და ჭაობს შორის მწვანე გველივით მოიკლაცნებოდა გალუნული ვატარაკმა. იქ, კონცხზე, ქვიშის ოქროვან ფარჩაზე ნაფოტი და ბურბუშელა ზეთის ფერად ბრჭყვიალებს, აგური წითლად ბზინავს და მარნას გათელილ ბუჩქებ შორის გართებულია გრძელი, ხორცის ფერი ფაბრიკა, რომელიც თავახდილ კუბოსა ჰგავს. მზეზე ბელელი ელვარებს, ჯერ შეუღებავი მქრქალი რკინით გადახურული, და ორსართულიანი სახლის გახურებულ ცისკენ ამართული ყვითელი კეზი ისე დნება, თითქოს სანთლისაგან ნაგები არისო, — ალექსიმ მოხდენილად სთქვა, ეს სახლი შორიდან ებანსა ჰგავსო. ალექსი ამ სახლში ცხოვრობს, დაშორებულია ქალაქელ ბიჭებსა და გოგოებს. ძნელად შესათვისებელი ხასიათის ადამიანი გამოდგა, ფიცხი და

ამაყია. პეტრე მასზე უფრო დინჯია, მაგრამ ბევრია მასში გაურკვეველი: ჯერ კიდევ არ ესმის, თუ თამამ, გაბედულ კაცს რისი გაკეთებაც შეუძლია.

არტამონოვის სახეზე ლანდი გადირბენს. ის გაღიმებული შესცქერის ხშირ წარბების ქვემოდან მოქალაქეებს. ეს სულ იაფფასიანი ხალხია. ~~ესენი/საქმეს ხარბად ვერ მოეკიდებიან, მორცხვი ხალხია, უცეცხლო.~~

ლამლამობით, როცა ქალაქს დაეძინება, არტამონოვი ~~ქუჩების~~ ^{ქუჩების} ~~გადასვლა~~ ^{გადასვლა} მდინარის ნაპირს, ეზოებზე პარვით გაივლის და ბაიმაკოვის ქვრივის ბაღში შედის. თბილ ჰაერში კოლოები ბზუიან და კიტრისა, ვაშლის და კამის ტკბილი სუნი სდგას, რომელიც თითქოს ამ მწერებს ერთი ადგილიდან მეორეში გადა-
ავქთო. მალლა მთვარე ნაცრისფერ ღრუბლებში მოჰგორავს, და მდინარეს ჩრდი-
ლები ეალერსებიან. არტამონოვი ღობეზე გადააბიჯებს და შეუმჩნეველად ეზო-
ში შედის. იგი მალე ბელელში შეიმართება და აი, ბნელი კუთხიდან შიშდაკრუ-
ლი ჩურჩული ესმის:

— ხომ არავის შეუმჩნევიხარ?

სასწრაფოდ გაიხდის ტანზე არტამონოვი და გაჯავრებული აბობს:

— მეჯავრება, რომ ვიმაღლები. არ შემეფერება... ბავში ხომ არა ვარ?

— მაშ, ნუ გაიჩენ საყვარელს.

— ჩემი ბრალი როდია, ღმერთმა მარგუნა.

— უი, რას ამბობ, ცოდვია... ღმერთი რა შუაშია? ჩვენი საქმე ღმერთის წინააღმდეგია.

— კარგია ახლა, გეყოფა. ამაზე—მერე. ჰე, ულიანა, ეს რა ხალხი ცხოვ-
რობს აქ...

— შენ კი შენთვის იყავ, ნუ მოიწყენ, — ჩურჩულდება ქალი და ხარბი მონ-
დომებით დიდხანს ეალერსება, ანუგეშებს. მერე, ცოტას რომ დაისვენებს, და-
წერილებით უამბობს, თუ ვის უნდა მოერიდოს, ვინ არის ჭკვიანი, ვინ უპა-
ტიოსნო და ვის ზედმეტი ფული აქვს.

— გაიგეს რა, რომ შენ ბევრი შეშა გჭირია, პომიალოვსა და ეოროპო-
ნოვს უნდათ გარშემო რაც ტყეებია, სულ შეისყიდონ და შენ შეგავიწროვონ...

— დაუგვიანებიათ, თავადმა ტყეები შე უკვე მომყიდა.

მათ გარშემო, ყოველი მხრით ბნელა, ერთმანეთის თვალსაც ვერ ხედავენ და სრულიად უხმოდ ჩურჩულდებიან. ბელელში თივისა და არყის ცოცხის სუნი სდგას, მარნიდან ნესტის საამო სიგრილე ამოდის. მძიმე, თითქოს ტყვიისაგან ჩა-
მოსხმული სიჩუმე ქალაქს თავზე დაწოლია. დროთ ვირთავვა გაირბენს, თავგები
აწრიპირდებიან და ყოველ წუთში ნიკოლას სამრეკლოს შებზარული ზარი თავის
დაავადებულ ხმას ბნელ სივრცეში ნალვლიანად არხევს.

— რა სავსე ტანი გაქვს და რა წარმოსადეგი ხარ, — ამბობს აღტაცებით
არტამონოვი და ქალს ცხელს ფუნჩულა ტანზე ხელს გადაუსვამს. — რა მაგარი,
ლონიერი ხარ!.. რატომ ერთის მეტი არ დაბადე.

— ნატალიას გარდა, კიდევ ორი მყავდა. სუსტები იყვნენ, დაიბოცნენ.

— მაშ, ქმარი არ ვარგებულა...

— არ დაიჯერებ, — ჩურჩულებს ბაიმაკოვა — მე ხომ შენამდე არც კი ვი-

ცოდი, თუ რა არის სიყვარული. ჩემი მეგობარი დედაკაცები ხანდახან მიამბობდნენ ხოლმე, მაგრამ მე არ მჯეროდა. ვფიქრობდი, რცხვენიათ და სტყუიან მეთქი. მე ხომ სირცხვილის მეტი, სხვა არაფერი მიგემნია ქმრისაგან, როგორც სასაკლაოზე ისე ვწვებოდი ლოგინზე. ღმერთს ვევედრებოდი: ნეტავი ხელი არ შემახოს, დაიძინოს მეთქი. კარგი კაცი იყო, მშვიდი, ~~ქვეყნის~~ ~~მშვენიერი~~ სიყვარულის ნიჭი კი მისთვის ღმერთს არ მიუცია.

ქალის ამბავი აკვირვებს არტამონოვს, თან ვნებას უშლის. გულმკერდზე ხელებს შეავლებს მაგრად და ბურღულულით ამბობს:

— აი, როგორ ხდება თურმე, მე კი არ ვიცოდი. მეგონა: ყოველი მამაკაცი ქალისთვის საამო არის მეთქი.

ამ ქალის გვერდით, რომელსაც მთელი ქალაქი სწავლისა და ჭკუისათვის დიდ პატივს ცემს, ამ უწყინარსა და გონიერ დიასხლისთან არტამონოვს თავი უფრო ღონიერი და უფრო ჭკვიანი ჰგონია. ერთხელ მისი ალერსით დამტკბარმა უთხრა:

— მე მესმის, შენთვის რა ძნელი იყო ასეთ საქმეზე დაყაბულება. ტყვილა დაწვრთვით ჯვარი ჩვენს შვილებს, ჩვენ უნდა გვექორწინებია.

— შენი შვილები კარგები არიან. ჩვენს ამბავს ისინი გაიგებენ, მაგრამ ეს არაფერია. უბედურება ის იქნება, თუ ქალაქმა გაგვიგო...

და ქალს მთელი ტანი აუკანკალდა.

— არაფერია, — დაამშვიდა ილიამ.

ერთხელ ქალმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— მითხარი კაცი რომ მოჰკალი, არ გესიზმრება?

ილიამ გულგრილად გაიჩეჩა წვერი და სთქვა:

— არა, მე ძალიან მაგრად მძინავს, სიზმრებს არ ვხედავ. რატომ უნდა დამესიზმროს? არც კი დამინახავს, ვინ იყო და როგორი. როცა დამარტყა, თავი ძლივს შევიმაგრე. მაშინ მე შურდული მოვიქნიე და პირდაპირ თავში დავკარი, ჯერ ერთს, მერე — მეორეს, მესამე კი გამექცა.

ამოიოხრა და ნაწყენი ხმით წარმოსთქვა:

— დაგესხმიან სულელები, შენ კი ღმერთს პასუხი უგე...

რამდენიმე წუთი შეუნძრევლად იწვა.

— დაგეძინა?

— არა.

— წადი, სადაც არის გათენდება. საშენებელზე მიდიხარ?... ჰო, დაიღლები შენ ჩემთან...

— ნუ გეშინია, თუ სხვა დროს მყოფნიდა ღონე, ახლა მით უმეტეს...

დაიტრაბახა არტამონოვმა და ტანს სწრაფად ჩაიცვა.

მაღე თავის გზას გაუდგა.

გრილა, აღრიანი დილის სადაფის ბინდი ჩამოწოლილა.

არტამონოვი საკუთარ მიწაზე მიდის, ხელები ზურგს უკან დაუწყვია, კაფტანის ქვეშ, და კალთა მამლის ბოლოსავით აუშვერია. მძიმედ მიაღაგებს ბურბუშელასა და ნაფოტებში და ფიქრობს:

— ოლეშკას უნდა მიეცეს საშუალება დრო გაატაროს. დეე, ეპატოს ჯარიმა. მძიმე ბიჭია, მაგრამ კარგი.

ქვიშაზე გაწვა, სადაც ბურბუშელა ეყარა. მალე დაეძინა.

მომწვანო ცაზე აისმა ალერსიანად გაითამაშა. მიწაზე ფარშავანგის ბოლოსავით მედიდურად გადმოეშვა მზის სხივთა კონა. შემდეგ, როდესაც ოქროს მზეც დიდებით ამოცურდა. გაიღვიძეს მუშებმაც. იქვე გადმოეშვა ტანი რომ დაინახეს, ერთმანეთი გააფრთხილეს:

— აქ არის!

ტიხონ ვიალოვს ხელში რკინის ბარი უჭირავს და ბუტავი თვალებით ისე დასცქერის არტამონოვს, თითქოს მასზე გადალაჯება უნდა და ვერც კი გაუბედავსო.

ვერც ჭიანჭველასავით აფაცფუცებული ხალხი, ვერც ძახილი და ხმაურობა დიდ ადამიანს ძილს ვერ უფრთხობს. პირაღმა გაწოლილი, იგი დაჩლუნგებულ ხერხივით ხვრინავს, — მიწისმთხრელი ვიალოვიც განშორდება მას, ხოლო უკან კი მოიხედავს და თვალებს ისე აახამხამებს, თითქოს თავში ლოდი დაჰკრესო. ალექსიც გამოვიდა სახლიდან, თეთრ ტილოს ხალათსა და ლურჯ საწივეში გამოწყობილი. თითქოს ჰაერს მიჰყავსო, ისე მსუბუქად ჩაუვლის ბიძას, რომ მძინარი ბურბუშელას ჩქრიალმა არ გამოაღვიძოს, და საბანაოდ გაემართა. ნიკიტა კი გათენებამდე ტყეში წავიდა. მას თითქმის ყოველ დღე ერთი ან ორი ურემი დამპალი ნეხვი მოაქვს ტყიდან და ბალის გასაშენებლად მიჩენილ ადგილას ჰყრის. მან უკვე დარგო არყის ხე, ნაკერჩხალი, ცირცელი, ყრუახე. ახლა უფრო ღრმად სთხრის ქვიშარს და შიგ ჰყრის ნეხვს, შლამს — ხეხილის ჩასაყრელად ნიადაგს ამზადებს. უქმე დღეებში მას ტიხონ ვიალოვი ეხმარება.

— ბალის გაშენება — უწყინარი რამ საქმეა — ამბობს იგი.

ყურს ისრესავს ჩვეულებრივად და ისე დადის პეტრე არტამონოვი მუშაობას თვალყურს ადევნებს. მაღიანად ხრიალებს ხერხი, ფრატუნობს და სტვენს შალაშინი, ჭახუნი გააქვს ნაჯახებს, თხლაშუნობს წყალნარევი კირი და ნაჯახის პირის გასწვრივ ქლიბი წრიალით ევლება. ძელის აწევის დროს ხუროები „Дубинушка“-ს მღერიან. ახალგაზრდის მჭუხარე ხმა წამოიწყებს:

Пришел к Марье кум Захарии,

Кулаком Марью по харе...

— უშვერი სიმღერაა, — უთხრა პეტრემ მიწისმთხრელ ვიალოვს, რომელიც მუხლებამდე ქვიშაში იდგა.

— განა სულერთი არ არის, რასაც არ იმღერებენ...

— რათა?

— უგულო სიტყვებია სულ... გრძნობა არ არის.

— უცნაური გლეხია — გაიფიქრა პეტრემ და მოშორდა. მოაგონდა, როცა მამამისმა ამ გლეხს ზედამხედველის ადგილი შესთავაზა, მან ფეხებში დაუწყო მამას ცქერა და ასე უპასუხა.

— არა, არ ვარგვარ ასეთ საქმისთვის, ბრძანებლობა არ შემიძლია... მე-ეზოვეთ ამიყვანე.

მამამ ბევრი აგინა.

...შემოდგომა დადგა ცივი და წვიმიანი. ბაღებს ჟანგი გადაეფარა. შავი რკინის ტყეებიც მოწითალო, ჟანგის ფერმა დაწინწკლა. ნესტიანი ქარი ფსტენით მოედვა არემარეს და ნატკეპნი, მოყვითალო ბურბუშელა მდინარეში ჩახვეტა. ყოველ დილას სელით დატვირთული აბურძგვნილი ცხენები, შებუქვით ღრმები ბელლის წინ დგებოდნენ. პეტრე იღებდა საქონელს და დაკვირვებით უყურებდა, რომ გულჩათხრობილ გლეხებს მისთვის „ოფლიანი“, წონის გასადიდებლად დასველებული საქონელი არ შემოეპარებინათ, ან უბრალო სელი არ მოეყიდათ „რჩეულის“ მაგიერ. ძნელი იყო გლეხებთან საქმის დაჭერა. ალექსის მოთმინება არ ყოფნიდა და გაცხარებით აგინებდა მათ. მამა მოსკოვს წავიდა. მას გაჰყვა დედამთილიც, ვითომ სალოცავად მივდივარო. სალამოობით, ჩაიზე, ან ვახშომობის დროს, ალექსი ჯავრობდა და სჩივოდა:

— მომწყინდა აქ ცხოვრება. არ მიყვარს აქაურები.

ეს პეტრეს აჯავრებდა.

— განა თვითონ კარგი ხარ? ყველაზე უფრო მაღლა სწევ ცხვირს. მკვეხარა ხარ...

— საკვებნიც ბევრი რამ მაქვს...

ხუჭუჭა თმას შეიბერტყავდა, მხარბეჭს გაშლიდა, მკერდს წინ გამოსწევდა და თვალების თავხედური მომართვით ძმებსა და რძალს შეაცქერდებოდა. ნატალიას მისგან თავი შორს ეჭირა, საშიშარ კაცად ეჩვენებოდა.

ნასადილევს, როცა მისი ქმარი და ალექსი კვლავ სამუშაოზე წავიდოდნენ, ნატალია ნიკიტას პატარა, სენაკისებურ ოთახში შევიდოდა და საკერავით ხელში ფანჯარასთან არყის ხის სავარძელში ჩაჯდებოდა, რომელიც მისთვის სავანგებოდ კუზიანს გაეკეთებინა. კუზიანი კანტორის გამგის მოვალეობას ასრულებდა, დილიდან სალამომდე სულ წერასა და ანგარიშში იყო გართული. მაგრამ გამომჩნდებოდა თუ არა ნატალია, მუშაობას თავს ანებებდა და ნატალიას უამბობდა, თუ როგორ ცხოვრობდნენ მისი ბატონები, თავადები, რადარანაირი ყვავილი იზრდებოდა მათ ბაღსა და ორანჟერეებში. მისი მაღალი, ქალური ხმა დაჭიმული იყო ყოველთვის, მაგრამ საალერსოდ ჯდებოდა. ლურჯი თვალებით ფანჯარაში იცქირებოდა ნატალიას მიღმა. ქალი კი თავდახრილი კერავდა და ისე ჩაფიქრებული სდუმდა, როგორც ეს ჩვევია ადამიანს, როცა სულ მარტო რჩება ოთახში. თითქმის არც კი შეხედავდნენ ერთმანეთს, ისე მთელი ერთი ან ორი საათი რჩებოდნენ ერთად. მაგრამ ხანდახან ნიკიტა ფრთხილად, ვითომ მისდაუნებურად, რძალს ლურჯი თვალების თბილ გამოხედვას ალერსით შემოავლებდა გარშემო და მაშინ დიდრონი, ძალის ყურებიც შესამჩნევად შეუწითლდებოდა. მისი თვალები ხანდახან მისკენ ქალსაც მიახედებდა. ასეთ შემთხვევაში ნატალია მოწყალე თვალს გადაჰკრავდა მას და უცნაურად გაულიმებდა. დროთ ნიკიტა გრძნობდა, რომ ქალი ხვდებოდა მისი ფარული ღელვის მიზეზს; დროთ ქალის ღიმილი მის მიერ მიყენებულ შეურაცხების გამომხატველად ეჩვენებოდა, დროთ კიდევ — თავად მის შეურაცხყოფელად, და დამნაშავესავეთ თავს ძირს დაჰხრიდა.

გარედ წვიმა შრიალებს. ზაფხულის გახუნებულ ფერებს ჰშლის. ისმის ალექსის ყვირილი და ეზოს კუთხეში მიმბული დათვის ბელი ღრიალებს. მჩეჩავი ქალები სელს სჩეჩენ. ხმაურით შემოდის ალექსი. სველია, გათხუპნული. კუდი კეჭაზე გადაუგდია. მაგრამ მაინც გაზაფხულის დღესა ჰგავს იგი. სიცილით ამბობს, ტიხონ ვიალოვმა ნაჯახით ხელზე თითი მოიჭრაო.

— ვითომ უცაბედად მოუვიდა. ჩემთვის კი აშკარაა: არ უნდა ვაჩუქო ცად წავიდეს, ეშინია. მე კი სიხმოვნებით წავიდოდი... ოღონდ აქედან შორს... შუბლს შეიკრავს და დათვის ბელივით ღმუის:

— ჩვენც წამოვედით რაღა, ეშმაკებთან... ჯანდაბაში.

მერე ხელს გაშლის და მოითხოვს:

— მომეცი სამი შაური, ქალაქს მივდივარ.

— რატომ?

— შენი საქმე არ არის.

წასვლისას მღერის:

„Бежит девка по дорожке

Ташит милому лепешки.

— ეჰ, ცუდად გაათავებს ეს ბიჭი,— ამბობს ნატალია.— ჩემი მეგობრები ხშირად ხედავენ მას ოლია ორლოვასთან... მეთხუთმეტე წელში მხოლოდ წელს გადავიდა და... ოლიას კი დედა არა ჰყავს, მამა მისი—ლოთია.

ნიკიტას არ მოსწონს, რომ ნატალია ასე ლაპარაკობს. ქალის სიტყვებში მას წუხილის სიჭარბე ელანდება, მეტი ყურადღება, და თითქოს შურიც კი.

კუზიანი დუმილით იცქირება ფანჯარაში. ნესტიან ჰაერში ფიქვი თათებს არხევს და მწვანე წიწვებიდან წვიმის ვერცხლოვან წვეთებს იბერტყავს. ეს ფიქვები სულ ნიკიტას დარგულია. სახლის გარშემო სხვა ხეებიც მისი გაშენებულია.

შემოდის პეტრე სახემოკუმული, დაღლილი.

— ჩაის დროა, ნატალია.

— ადრეა ჯერ.

— დროა, გეუბნები!—ჰყვირის ის, და როცა ცოლი ოთახიდან გავა, მის ადგილზე დაჯდება და ჩივილს დაიწყებს:

— ყველაფერი ეს მე ამკიდა ხურგზე მამამ. ბორბალივით ვტრიალებ, მაგრამ მე თვითონ არ ვიცი, სად მივდივარ... თუ საქმე ისე ვერ წავმართე, როგორც საჭიროა, ვიცი, ამიხირდება კიდევაც.

ნიკიტა ფრთხილად, რბილად ალექსისა და ორლოვას ამბავს უამბობს, მაგრამ პეტრე ხელებს გაიქნევს, მომშორდით. არაფრის გაგონება არ უნდა. არც კი გაუგია ნიკიტას სიტყვები.

— სად მაქვს იმისი დრო, რომ გოგოებზე ვიფიქრო. ჩემს ცოლსაც მე მხოლოდ ღამით, ძილში, ვხედავ. დღით კი ბრმა ვარ... შენ კი თავი სისულელით გაქვს გატენილი.

მერე ყურები შეისრისა და ფრთხილად სთქვა:

— ჩვენი საქმე არ იყო ეს ფაბრიკა... ჩვენთვის სოფელი იყო საჭირო,

ველი, მინდორი... გვეყიდნა მიწა და გვემუშავენა. ნაკლები ხმაურობა იქნებოდა, მაგრამ მეტი საქმე გაკეთდებოდა...

ილია არტამონოვი სახლში მხიარული დაბრუნდა, გაახალგაზრდავებული. წვერი ლამაზად შეეკრიჭა. ბეჭები უფრო გაგანიერებოდა. თვალები გაბრწყინდებოდა. ახალი გუთანით გამოიცქირება. ბატონივით სავარძელში ჩაბრძანდა და სთქვა:

— ჩვენი საქმე ისე უნდა მიდიოდეს, როგორც ჯარისკაცები მწყობრი რაზნი. სამუშაო იმდენი იქნება, რომ თქვენც გეყოფათ და თქვენს შვილებსაც. შვილის შვილებსაც კი დარჩება. სამასი წელიწადი იკმარებს. ჩვენი ქვეყნის მეურნეობა ჩვენ, არტამონოვებმა, უნდა დავამშვენოთ.

რძალს თვალები შეავლო და ჰკითხა:

— სივდები, ნატალია? ვაჟი თუ გეყოლა კარგს საჩუქარს მიიღებ ჩემგან. სალამოს დაწოლის წინ, ნატალიამ ქმარს უთხრა:

— კარგია ჩვენი მამა, ყოველთვის მხიარული.

ქმარმა ირიბად გადახედა და მკაცრად უბასუხა:

— კარგი იქნება უთუოდ! აკი საჩუქარი შეგპირდა.

მაგრამ ორი-სამი კვირის შემდეგ არტამონოვი ჩაჩუნდა, თიქრიანი შეიქნა. ნატალიამ ნიკიტას ჰკითხა:

— ვის უწყობა მამა?

— არ ვიცი. ვინ რას გაუგებს!

იმავე სალამოს, ჩაიზე, ალექსიმ უცებ ხმამაღლა და გარკვეულად განაცხადა:

— მამა, გამიშვი, ჯარისკაცად მინდა წავიდე.

— სსად? — წაბორძიკებით შეეკითხა ილია.

— მე აქ ცხოვრება არ მინდა.

— გადით აქედან! — უბრძანა შეილებს არტამონოვმა, მაგრამ როცა ალექსი კართან მივიდა, მიაძახა:

— ოლეშკა, დადექ.

იგი დიდხანს ათვალთვლებდა ოლეშას. ხელები ზურგს უკან დაეწყო და წარბებს ათამაშებდა. მერე სთქვა:

— მე კი ვფიქრობდი: აი, რა არწივი მყავს მეთქი.

— ვერ ვიცხოვრებ აქ.

— მიჰქარავ! შენი ადგილი სწორედ აქ არის. დედაშენმა შენი თავი მე ჩამაბარა, ჩემს სრულს განკარგულებაში.

ალექსიმ ისე გადადგა ნაბიჯი, თითქოს შეკრული ყოფილიყოს, მაგრამ ბიძამ მხარზე სტაცა ხელი:

— ასე კი არ უნდა შენთან ლაპარაკი! მე მამაჩემი მუშტით მელაპარაკებოდა... წადი.

ერთხელ კიდევ ბეჯითად მიაძახა:

— შენ დიდი კაცი უნდა იყო, გესმის?... წუწუნე არ გამაგონა!

როცა მარტო დარჩა, დიდხანს იდგა, ფანჯარასთან და წვერი ხელის გულ-

ში შეეკუმშა. იმას უყურებდა, თუ როგორ სცვივოდა სველი თოვლი მიწაზე. როცა გარედ ბინდი ჩამოწვა, როგორც სარდაფში, ქალაქში წავიდა. ბაიმაკოვას ჭიშკარი დაკეტილი დახვდა. ფანჯარაზე დაუკაკუნა. ულიანამ თვითონ გაულო კარი და უკმაყოფილოდ ჰკითხა:



— როდის მოხვედნი?

არტამონოვი ხმის ამოდებლად და გაუხდელად შევიდა, რთვებით განიარგამოიარა, ქუდი მოიხადა, იატაკზე დააგდო, მერე მაგიდას მიუჯდა, ზედ იდაყვით დაეყრდნო და ხელის თითები წვერში შეაცურა. ბაიმაკოვას ალექსის შესახებ აცნობა:

— ჩემი და ბატონს ეარშიყებოდა... და, აი, მის ვაჟს ეტყობა კიდევაც. ქალმა ფანჯრები შეათვალიერა, შეამოწმა მოხურული დარაბები. მერე სინათლე ჩააქრო. — კუთხეში, ხატების წინ ვერცხლის კანდელი და ბეუტავდა.

— ცოლი შერთე. მერე წასვლაც არ მოუნდება. — უთხრა არტამონოვს.

— ასეც უნდა მოვიქცე. მხოლოდ ეს არ კმარა. პეტრე უფოლადო კაცია, აი, რა არის ჩემი უბედურება. უფოლადო კაცი ვერც მოჰკლავს, ვერც აცოცხლებს. ისე უჭირავს თავი, თითქოს სხვის საქმეს აკეთებსო, კვლავ ბატონისთვის მუშაობსო... კიდევ ვერ გრძნობს თავს თავისუფლად, ვესმის? ნიკიტაზე არაფერს არ ვიტყვი: მახინჯია, თავში მხოლოდ ბალი და ყვავილი უტრიალებს. ვფიქრობდი, საქმეს ალექსი შეეთვისება მეთქი...

ბაიმაკოვა კი ამშვიდებდა არტამონოვს:

— აღრეა ამაზე წუხილი. დაიცადე: კიდევ უფრო ამუშავდება ფაბრიკა, და საქე ყველას ჩაითრევს... გამოსწორდებიან.

ასე ისხდნენ ერთმანეთის გვერდით თბილ მყუდრო ოთახში და შუალამემდე საუბრობდნენ. კუთხეში კანდელის ცეცხლის ყვავილი მორცხვი რხევით ცახცახებდა და გარშემო მოლურჯო ფერის სინათლეს მღერივ ნისლივით ანთხევდა. არტამონოვი გარდა იმისა რომ საქმისადმი სიყვარულს და გატაცებას უწუნებდა შეილებს, დრემოვოს მოქალაქეებსაც არ ივიწყებდა:

— სულმოკლე ხალხია.

— შენ იმისთვის არ უყვარხართ, რომ მარჯვე ხარ და ბედიც გწყალობს. ასეთი კაცი ჩვენ, დედაკაცებს, გვიყვარს, მამაკაცებს კი სხვისი გამარჯვება სძაგთ და ეჯავრებათ.

ულიანა ბაიმაკოვას ძალიან ეხერხებოდა ნუგეშის ცემა და დამშვიდება. ილიამ მხოლოდ მაშინ ჩაიხიხინა უკმაყოფილოდ, როცა ქალმა უთხრა:

— მე მხოლოდ ერთის მეშინია, როგორც სიკვდილის... შენგან რომ...

— მოსკოვში საქმე სდულს და გადადულს!.. — განაგრძო არტამონოვმა და წამოდგა. — ეჰ, ნეტაეი, მამაკაცი ყოფილიყავი!

— მშვიდობით, ძვირფასო... ახლა კი წადი.

ხელი მოხვია ქალს, აკოცა და წავიდა.

თარგმანი *ლეო ქიაჩელის.

(შემდეგი იქნება)

ქარიშხალა

(Буревестник)



ქეჩო-აყრილ ზღვის მკერდიდან ქარი ღრუბელთ ერეკება. ღრუბელსა და ზღვის შუა კი სივრცეს სერავს ქარიშხალა, შავს ელვას რომ ედარება.

ხან ზვირთს ჰკოცნის ფრთის შეხებით, ხან ღრუბელთ ჰკვეთს, ვით ისარი, და სწივის ის, — ღრუბელთ ატკობს ფრთოსნის მღერა, გაბედული.

ამ ხმაშია — ჯანყის ნდომა! წყრომის ძალა, ენის ცეცხლი და ძლიერი რწმენა ძლევის ესმისთ ღრუბელთ ამ ძახილში.

თოლიები სწუხან ამ დროს, — ჰკვნესენ, ძრწიან, ქარიშხლის წინ — მზად არიან — თვით ზღვის ბსკერზეც დაემალონ შიშით ქარსა.

ლორ-იხვებსა ჰზარავთ ქარი. მათ, ლორ-იხვებს, არ სჩვევიათ ყოფნის ბრძოლით გულის ტკობა: მათ აშინებსთ დარტყმის მეხი.

სულელ პინგვინს ეშინია და მსუქან ტანს კლდეთ აფარებს...

მხოლოთ სწრაფი ქარიშხალა სერავს სივრცეს ზღვის ქაფებზე ამაყათ და გაბედულათ...

სულ უფრო და უფრო კუპრად ეშვებიან ძირს ღრუბლები, სადაც ზღვაზე ხტიან მღერით ზვირთნი მეხთა შესახვედრათ.

მეხი გრგვინავს. წყრომის ქაფში ჰკვნესენ ზვირთნი, ქართან მბრძოლნი.

აი, ქარი ზვირთთ ქარავენებს რკინის სალტედ მკლავებს ჰხვევს და ანარცხებს მათ ველურ გრძნობით პიტალო კლდეთ გამეტებით და ამსხვრევს მათ, აქცევს მტვრად ამ ზურმუხტის მთა — გოლიათებს!..

ქარიშხალა სწივის, მიჰქრის; ის შავს ელვას ედარება; ვით ისარი, აპობს ღრუბელთ, ზვირთთა ქაფებს ფრთებით სხლეტავს.

აი, ჰქრის ის ვით დემონი, შავი ქართა მლძე დემონი, იცინის და მოსთქვამს თანაც... ის დასცინის თავზე ღრუბელთ... სიამისგან მოსთქვამს იგი.

მეხის ზარში გრძნეულ დემონს რა ხანია დალლა ესმის. მას ღრმად სწამს, რომ მზეს ღრუბლები ვერ დახშავენ, ვერა... ვერა!..

ქარი ჰქრის და მეხი გრგვინავს...

ლურჯი ალით გადიბუგა ზღვის სივრცეზე ღრუბელთ ჯარი. ზღვა ცას სტაცებს ელვის ისრებს და მათ აქრობს თვის წიაღში. თითქოს ცეცხლის გველებია, ზღვაში გრეხით რომ ჰქრებიან, ამ ელვათა ანარეკლნი.

მალე დაჰკრავს... დაჰკრავს წამი და ატყდება ქარიშხალი!

ეს რომ დაძრწის ელვებ შორის ზღვის გიჟ ხაფზე გაბედულათ, ქარიშხალა არის იგი, გამარჯვების რწმენით მხმობი:

„დე, უფრო მძლედ ასტყდეს ქარი!..“

თარგმანი ნ. ზომლეთელიძე.



ფ ე რ ი ა

(ლექსები)

დაბურულ ტყეში, მდინარის პირად,
 იდგა ფერია ცისფერ-თვალემა
 და ბანაობდა ზვირთებში ხშირად,
 დღის სიხალისე, ღამის ზმანება.

ერთხელ გადაცდა იგი სიფრთხილეს:
 თევზებთან ერთად ბადეში მოჰყვა.
 მეთევზეებმა ეს რა იხილეს,
 შეჰკრთენ, — შიშისგან დაიწყეს როკვა.

ხოლო მარკო კი აივსო ტრფობით;
 მიეარდა მაგრად ჩაიკრა გულში,
 ამოუკოცნა თვალები გრძნობით,
 დადნა, დაიწვა მის სიყვარულში.

და ისიც, როგორც მოქნილი წნელი,
 იგრიხებოდა მის მძლავ მკლავებში;
 ყელზე მოექდო მარჯვენა ხელი
 და შესცქეროდა ცეცხლ მფრქვევ თვალებში.

მაგრამ საღამომ რა მოატანა, —
 გაჰქრა ფერია, ნაზი, ცქრიალა;
 მან მარკოს სულიც თან წაიტანა
 და გულში ცეცხლი აუპრიალა.

და დიდხანს, მარკო, ბოღმა-ნაზარდი,
 დუნაის პირად მიმოდიოდა.

„სად არის ჩემი სიცოცხლის ვარდი?“ —
 ჰკითხულობდა და ცრემლი სდიოდა.

მაგრამ ტალღები, ბროლი, ანკარა,
 სიცილ-კისკისით წყნარად გალობდენ:

„სად არის იგი, არ ვიცი, არა,“ —
 და ცეკვა-თამაშს კვლავ განაგრძობდენ.

— სტყუით! — შესძახა უკანასკნელად, —
 „თვით თქვენ აღერსობთ იმასთან ალბად!“
 და შიგ გადღეშვა ჭაბუკი ხელად,
 უღმობელ ტალღებს შეერთო ხარბად.

ფერია ახლაც ბროლის ზვირთებში,
 როგორც მარკომდე, ისე ბანაობს
 და, ჭაფათ ქცეულ ტალღათ რითმებში,
 მზის სხივებს იჭერს და დაქანაობს.

მარკო არსად ჩანს, მაგრამ იმაზე
 სიმღერა მაინც დარჩა ლამაზი
 და დადის იგი მთელ ქვეყანაზე
 ვით სიყვარული — გრძნობის მალხაზი.

თქვენ კი მლიღებო! შავ მონის მკერდზე
 იცხოვრებთ ისე მონებით ბრმანი,
 არც ლამაზ ზღაპარს იტყვიან თქვენზე,
 არც იმღერებენ მუზათა ძმანი.

თარგმანი ვ. რუხაძის.



წიგნიდან „მოგონებანი“

ვ. ი. ლენინი

ვლადიმერ ლენინი მოკვდა.

თვით მოწინააღმდეგე ბანაკიდანაც კი აღნიშნავენ ზოგიერთები: ლენინის სახით ქვეყნიერებამ დაჰკარგა ისეთი კაცი, „რომელიც მის თანამედროვე დიდებულ ადამიანთა შორის, ყველაზე უფრო ნათლად გამოხატავდა გენიალობას“. გერმანიის ბურჟუაზიული გაზეთ „Prager Tageblatt“-მა, დაბეჭდა რა ლენინის შესახებ წერილი, აღსავსე მოკრძალებული გაკვირვებით მისი სიდიადის გამო, შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

„დიადი, მიუღწეველი და ძრწოლის მომგვრელი გვეჩვენება ჩვენ ლენინი თვით სიკვდილშიაც“.

წერილის ტონით სჩანს, რომ ეს წერილი გამოწვეულია არა ფიზიოლოგიური სიხარულის გამო, რომელიც შემდეგი აფორიზმით გამოიხატება:

„გვამს მუდამ კარგი სუნი სდის“.

არა ის სიხარული, რომელსაც ჰგრძნობს ხალხი, როდესაც დიდი მოუსვენარი ადამიანი შორდება მათ, — სრულიადაც არა, ამ წერილში მძლავრად ხმაურობს ადამიანის ალტაცება და ადამიანით სიამაყე.

რუსულ ემიგრაციის პრესამ ვერ, ჰპოვა თავისში ვერც ძალა და ვერც ტაქტი, რომ ლენინის გარდაცვალებას ისეთი პატივისცემით გამოხმაურებოდა, როგორც ეს ბურჟუაზიულმა გაზეთებმა შესძლეს, როდესაც ისინი აფასებდნენ მის პიროვნებას, როგორც ერთ უდიდეს გამომხატველთაგანს რუსეთის ხალხის სასიცოცხლო ნებისას და რუსული გონების უშიშრობისას.

პირადათ ჩემთვის ლენინი არამც თუ საოცარია თავისი ნებისყოფის სრული განხორციელებით, რომელიც მას მიმართული ჰქონდა გარკვეულ მიზნისაკენ და მის მოვლენამდე ვერავის ვერ გაებედა ეს მიზანი პრაქტიკულ ამოცანად დაესახა, — ის ჩემთვის აგრეთვე ერთი იმ სამართლიანობის მაძიებელთაგანია, ერთი იმ უზარმაზარი, სასწაულებრივი, ნახევრად ზღაპრული და მოულოდნელი ნებისყოფით აღსავსე და დიდი ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანთაგანი არის ჩვენს რუსეთის ისტორიაში, როგორიც იყვნენ, თუნდაც პეტრე დიდი, მიხეილ ლომონოსოვი, ლეონ ტოლსტოი და სხვ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი გაქანების

ხალხის წარმოშობა, მხოლოდ რუსეთს შეუძლია, რომლის ისტორია და ყოფა მუდამ სოდომსა და ჰომორრას მაგონებს.

ძნელი საქმეა მისი პორტრეტის დახატვა. გარეგნულად ლენინი, მის მიერვე წარმოთქმულ სიტყვებშია მოთავსებული, ისევე, როგორც თვეში თავის ქერცლში. ის უბრალო იყო და პირდაპირი, როგორც ყველაფერი ის, რასაც ის ლაპარაკობდა.

მისი გმირობა აცილებულია ყოველგვარი გარეგანი ბრწყინვალეობასა და ზიზილ-პიპილას, მისი გმირობა, ეს არა იშვიათი მოვლენაა რუსეთში. წყნარი, ასკეტიური ღვაწლმოსილება პატიოსან რუს ინტელიგენტ-რევოლიუციონერისა, რომელსაც გულწრფელად სჯერა ქვეყანაზე სამართლიანობის დამყარება, — ეს გმირობაა, თავგანწირვაა ადამიანისა, რომელმაც უარი სთქვა ყველა ამ ქვეყნიურ სიამოვნებებზე, რათა შრომის მძიმე ტვირთი ეკისრა მას საზიდავად და მით კაცობრიობისათვის ბედნიერება მიენიჭებინა.

ერთ საღამოს მოსკოვში ე. პ. პეშკოვას ბანაზე ლენინი ყურს უგდებდა ისაი დობროვეინს, თუ როგორი ოსტატობით უკრავდა ის ბეთჰოვენის სონატებს. ლენინმა ვერ მოითმინა და სთქვა:

„არაფერი არ ვიცი ქვეყანაზე „Apassionata“-ზე უკეთესი, მე მზად ვარ ყოველდღე ვისმინო ის. გასაოცარი, ზესთაადამიანური მუსიკაა. მე მუდამ სიამაყით, თავგამოდებით, შესაძლებელია, გულუბრყვილოდ და ბავშურადაც ვფიქრობ: აი როგორი სასწაულების ჩადენა შეუძლია ადამიანს. და თვალების შეხუშვით, ღიმილით, დაუმატა უსიხარულოდ:

„მაგრამ მუსიკის ხშირი მოსმენა არ შემძლია, ნერვებზე მოქმედობს, გინდა სასიყვარულო-სისულელეები ილაპარაკო და საღ ადამიანებს თავზე ხელი გადაუსვა, დაუყვავო, რომ ისინი ასეთ კუჭკუიან ჯოჯოხეთურ პირობებში ცხოვრობენ და მაინც შეუძლიათ შეჰქმნან ასეთი მშვენიერება. დღეს კი დაყვავება არავისი არ შეიძლება, არ შეიძლება თავზე ხელი უსვა ხალხს, — ხელს წაგჭამენ, ამიტომ საჭიროა ცემა თავში, ცემა დაუზოგველი, თუმცა ჩვენი იდეალია, რომ არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ჰქონდეს ადამიანის ბუნებაზე: ჰმ-ჰმ, — ეს ჯოჯოხეთურად ძნელი და აუტანელი ნოვალეობაა“.

ხალხის პატიოსან და უანგარო ბელადების მოვალეობა — არა ადამიანურად ძნელი საქმეა. შეუძლებელია იყო ბელადი, თუ, ამა თუ იმ რაოდენობით, არა ხარ ტირანი, მტარვალი. ალბათ, ლენინის სიცოცხლეში გაცილებით მეტი ხალხია გაწყვეტილი, ვიდრე უოტ ტაილორის, თომა მიუნცერის ანუ ჰარიზალდის დროს. მაგრამ რევოლიუციის საწინააღმდეგო ძალებიც ხომ გაცილებით უფრო ფართოდ და ძლიერად იყო გაშლილი, ამასთან ერთად ხომ უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ „ცივილიზაციის“ განვითარებასთან ერთად ადამიანის სიცოცხლის ღირებულება აშკარად ეცემა, რასაც ასე უდავოდ მოწმობს თანამედროვე ევროპაში ხალხის საელეტ იარაღების ტექნიკის ასეთი უმაღლესი განვითარება და საზოგადოდ ის დაწინაურებული გემოვნება ამ საქმეში.

მაგრამ აბა ერთი სინილისის ქვეშ ბრძანეთ: რამდენად ადგილიანია და ნუ თუ ზიზღს არ გგვრისთ თქვენ ის პირფერობა იმ „მორალისტებისა“, რომელნიც ლაპარაკობენ რუსეთის რევოლუციის სისხლის მსმელობაზე, მას შემდეგ, რაც მათ, იმ ოთხი წლის განმავლობაში წარმოებულ ევროპულ საზარცხვინო ხოცვა-ჟლეტის დროს, არამც თუ არ ებრალებოდათ ის მილიონობით გაელეტილი ხალხი, არამედ, პირიქით, აბოროტებდნენ ამ მილიონებს, აჭეზებდნენ „სრულ გამარჯვებამდე“ წარმოებულ საზიზღარ ომის წარმოებისათვის. ახლა კულტურული ერები აღმოჩნდნენ დამარცხებულნი, ნიათგამოლეულნი, გაველურდნენ და გამარჯვებული დარჩა მხოლოდ ზოგად-საკაცობრიო სისულელე და უჭკობა: მისი მჭიდროდ შემოჭერილი ყულფი ახლაც ჰგუდავს კაცობრიობას.

გასაოცრად ძლიერი ნებისყოფის პატრონი ადამიანი ლენინი, ყველაფერ დანარჩენში ნამდვილი ტიპიური რუსი ინტელიგენტი იყო. ის უაღრესად იყო დაჯილდოვებული იმ თვისებებით, რომელნიც ახასიათებდნენ რუსეთის საუკეთესო ინტელიგენციას, — თვითწეზღუდვა, ხშირად თავის წამებამდე დასული, თვითდასახიჩრება, რახმეტოვის ბასკა-ლურსმებით თვითწამებამდე მისვლა და ხელოვნების უარყოფა, ლ. ანდრეევის ერთი გმირის ლოლიკამდე დაყვანილი:

„ხალხი ცუდათ ცხოვრობს — მაშასადამე მეც ცუდათ უნდა ვიცხოვრო“.

მძიმე, დამშეულ, 19 წელს ლენინს სცხვენოდა იმ საჭმელის ჭამა, რომელსაც მას ამხანაგები, ჯარისკაცები და გლეხები უგზავნიდნენ პროვინციებიდან. როცა მის მოუხერხებელ და არამყუდრო ბინაში მოჭქონდათ ძღვნად გამოგზავნილი ამანათები, ის შუბლს იკმუხვნიდა, თავს უხერხულად ჰგრძნობდა და ჩქარობდა, რაც შეიძლება მალე დაერიგებინა ის ფქვილი, შაქარი და კარაჭი ავადმყოფ ან და უჭმელობით დასუსტებულ ამხანაგებისათვის.

ერთხელ სადილზე მიპატიჟების დროს მან მითხრა:

„გამოსულ თევზით გაგიმასპინძლდები — ასტრახანიდან გამომიგზავნეს“.

და სოკრატისებურ შუბლის შეკმუხვნიით, ყველაფრის მხილველ თვალების გვერდზე მოქცევით დაუმატა:

„ისე მიგზავნიან, თითქოს პატონი ვიყო. რით გადააჩვევ? უარს იტყვი და არ მიიღებ, შეურაცხყოფად მიიღებენ. ირგვლივ კი ყველა დამშეულია. სისულელეა“.

პატარა მოთხოვნილების, ღვინისა და თუთუნის მოძულე, დილიდან საღამომდე გართულს მძიმე და რთული მუშაობით, მას სრულიად არ შეეძლო და არც ეხერხებოდა თავის თავზე ზრუნვა, მაგრამ მუდამ ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს ამხანაგების ცხოვრებას. მისი ყურადღება ამხანაგებისადმი მოსიყვარულე სინაზემდე დადიოდა, რაიცა ახასიათებს ქალს, და ყოველ თავისუფალ წუთს ის სხვებს სწირავდა და ერთ წუთსაც არ იტოვებდა თავისი დასვენებისთვის.

აი, ის თავის კაბინეტში მაგიდას უზის, გაქნეული ხელით სწერს და ამბობს ისე, რომ კალამს არ აშორებს ქალაღს:

„გამარჯვებათ, როგორა ხართ? ახლავე გავათავებ... ერთ ამხანაგს

ვწერ, პროვინციაში, მოსწყინდა, როგორც სჩანს, დაიღალა. გამხნევებაა საჭირო. უგუნებობა—პატარა საქმე არ არის“.

მაგიდაზე დევს ტოლსტოის „ომი და ზავის“ ტომი.

„ჰო, ტოლსტოი არის. ნადირობის სცენის წაკითხვა ძალიანაა, და უეცრად გამახსენდა, რომ ამხანაგს წერაღი უნდა მივწერო. კითხვის დრო კი სრულებით არა მაქვს. მხოლოდ წუხელ წავიკითხე წიგნი ტოლსტოის შესახებ“.

თვალეები ღიმილით მოხუჭა, სავარძელში სიამოვნებით გაიხმორა და დაბალი ხმით სწრაფად განაგრძო:

„რამოდენა ჩამონახეთქია, ა? რა ბუმბერაზი... აი, ბიძია, მხატვარი ამას ჰქვია... და, — იცით, რა არის მასში სიაოცარი? მისი მუყიკური ხმა. მუყიკური აზრი, ნამდვილი, პირწავარდნილი მუყიკია. ამ გრაფის გამოჩენამდე ნამდვილი მუყიკი არც იყო ლიტერატურაში“.

მერე, აზიური თვალეებით შემომხედა და მკითხა:

„ვისი დაყენება შეიძლება მის გვერდით ევროპაში?“.

და თვითონვე გასცა პასუხი:

„არავის“.

და, ხელეების შმუშვნით ჩაიციხა, კმაყოფილი შმუშვნით, სწორედ ისე, როგორც კატა იშმუშნება ხოლმე მზეზე.

მე არა იშვიათად შემინიშნავს მასში სიამაყის გრძობა რუსეთით, რუსებით, რუსული ხელოვნებით. ხანდახან ეს თვისება მე უცნაურად უცხო მეჩვენებოდა ლენინისათვის და გულუბრყვილოდაც კი, მაგრამ მერე მე შევისწავლე, თუ როგორ უნდა მივხედრილიყავ ყოველივე ამაში მორცხვს გამოძახილს მისი გულჩახვეული და აღტაცებული სიყვარულის გრძობისას თავის ხალხისადმი. კაპრიში ის უცქეროდა, როგორ ფრთხილად შლიდენ ბადეს მეთევზეები, დახეულსა და დაგლეჯილს დაქერილ აკულისაგან და აღნიშნა:

„ჩვენში უფრო მარჯვედ მუშაობენ“.

და როცა მე ამის შესახებ ჩემი აზრი გამოვთქვი, მან შეფიქრიანებით სთქვა:

„ჰმ-ჰმ. არ დაგავიწყდესთ თქვენ თქვენი რუსეთი ამ კუნძულზე ცხოვრებით.“

ვ. ა. სტროევ-დესნიცკიმ მიამბო, რომ ერთხელ ის ლენინთან ერთად მიემგზავრებოდა შვეციაზე გავლით და გზად ვაგონში, გერმანულ მონოგრაფიას ათვალეებდა დიურერის შესახებ. გერმანელებიც მათთან ერთად ისხდენ კუბეში და ჰკითხეს ლენინს, თუ რა წიგნი უჭირავს მას ხელში. აღმოჩნდა რომ მათ არაფერი არც გაუგონიათ და არც იცნობდენ თავის დიდებულ მხატვარს. ამან თითქმის აღტაცებაში მოიყვანა ლენინი და ორჯერ სიამაყით უთხრა დესნიცკის:

„მაგათ თავისიანები არ იციან და ჩვენ კი ვიცით, ხედავ?“

მე ვერ წარმომიდგენია სხვა ისეთი ადამიანი, რომელიც, მდგარიყო ასე მალა და შესძლებოდა თავის ისე შენახვა, რომ არ მოჩეოდა პატივმოყვარეობის გრძნობა და არ დაეკარგოს ცოცხალი ინტერესი „უბრალო“ ხალხისადმი.

მასში იყო რაღაც უცნაური მაგნეტიზმი, რომლის შემწეობითაც ის იზიდავდა და იწვევდა მშრომელი ხალხის სიმპატიებს. მან არ იცოდა ეტალონიური ენა, მაგრამ კაპრის მეთევზეებმა, რომელთაც ნახული ჰყავდათ შუღლიანი და მტრავალი სხვა დიდებული ხალხი რუსეთისა, რაღაც სასწაულებრივი ყნოსვით გამოაცალკევეს უეცრად ლენინი მათგან და განსაკუთრებული საყვარულით ეპყრობოდნენ მას. მომხიბლავი იყო მისი სიცილი, — „გულიანი“ სიცილი ადამიანისა, რომელიც შესანიშნავად ხედავს ადამიანთა უგუნურების სიტლანქეს და გონების აკრობატიულ მზაკვრობას, და მაინც შეუძლია დასტკბეს „გულით უბრალოთა“ ბავშური გულუბრყვილობით.

მოხუცმა მეთევზემ ჯიოვანი სპადარომ სთქვა მის შესახებ:

„ასეთი სიცილი მხოლოდ პატიოსან ადამიანს შეუძლიაო“.

ლენინი ირწეოდა ცისფერ და გამსჭვირვალე ზღვაზე აცურებულ ნაეში და სწავლობდა თევზის „თითით“ დაქერას, ე. ი. თითზე გამობმულ ანკესიან კანაფით. მეთევზეები უხსნიდნენ, რომ თითს მაშინვე უნდა აქნევა, როგორც კი კანაფის თრთოლას იგრძნობს:

„კოზი: დრინ—დრინ. კაპიშ?“

მან მაშინვე აიქნია კანაფი, თევზი დაიჭირა და ბავშივით ალტაცებულმა მონადირის აზარტით დაიძახა:

„აჰა, დრინ—დრინ!..“

მეთევზეებიც ხმამალა, ბავშივით ალტაცებით იცინოდნენ და მეთევზე ლენინს სახელად დაარქვეს:

„სინიორ დრინ—დრინ“.

ის წავიდა და მას შემდეგ მეთევზეები სულ კითხულობდნენ:

„როგორ ცხოვრობს სინიორ დრინ-დრინი? მეფე ხომ არ დაიჭერს იმას? ვერა, ხომ?“

1907 წელს, ლონდონში, რამდენიმე მუშა, რომელთაც პირველად ნახეს ლენინი, ლაპარაკობდა მისი საქციელის შესახებ ყრალობაზე. რომელლამაც მათგან მეტად დამახასიათებლად სთქვა:

„არ ვიცი, იქნებ, აქაც, ევროპაში, მუშებს ჰყავთ სხვა ასეთივე კვიანი კაცი,—ბებელი, ან სხვა ვინმე, მაგრამ, რომ იყოს ისეთი სხვა კაცი, რომელიც მე ასე უცებ შემყვარებოდეს, როგორც ეს—არა მგონია.“

მეორე მუშამ ღიმილით დაუმატა:

— ეს—ჩვენია. გაბედული.

მას უპასუხეს:

— პლენხანოვიც ჩვენია.

და მე გავიგონე მოხდენილი პასუხი:

— პლენხანოვი ჩვენი მასწავლებელია, ჩვენი ბატონია, ლენინი კი—ჩვენი ამხანაგი.

18 წელს შემოდგომით მე შევეკითხე სორმოვის მუშას დიმიტრი პავლოვს, რა აოის მისი შეხედულებით, ყველაზე დამახასიათებელი ლენინისა?

— უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე.

სთქვა მან ისე, როგორც კარგად მოფიქრებული და დიდი ხნით გადაწყვეტილი რამ.

ცნობილია რომ ყველაზე სასტიკი მსაჯულნი ადამიანისა, მისი ხელქვეითნი არიან.

მაგრამ ლენინის შოფერი მილი, ბევრის მნახველი კაცი, ამბობდა:

„ლენინი — სხვაა. ასეთები არ არიან, აი — მიმყავს მე ის მიასნიცკის ქუჩით, დიდი მოძრაობაა, ძლივს ვატან, მეშინია, დაამტვრევენ მანქანას, საყვირს ვაბლავლებ. ვღელავ. მან გაალო კარი, საფეხურზე გამოვლით ჩემთან მოვიდა, იმ რისკით რომ მას ვინმე წამოედებოდა და ძირს ჩააგდებდა და დამემუდარება: თუ შეიძლება, ნუ ღელავთ მილ, იარეთ ისე, როგორც ყველა. მე ძველი შოფერი ვარ და ვიცი, რომ ასე არავინ მოიქცევა.“

ერთი ჩემი ძველი ნაცნობი, ისიც სორმოველი, კეთილი გულის ადამიანი, სჩიოდა ჩეკაში მძიმე მუშაობაზე. მე მას ურჩიე:

— მეც ეგრე მგონია, რომ ეს თქვენი საქმე არ არის, ეს თქვენი ხასიათის შესაფერი სამუშაო არ არის.

ის ნალვლიანად დამეთანხმა:

— არაა ჩემი ხასიათის, მართალია.

მაგრამ მერე დაფიქრდა და სთქვა:

— მაგრამ, როცა გამახსენდება, რომ, ალბათ, ილიჩსაც, უეჭველად, ძლიერ ხშირად სჭირდება თავის ძალდატანება მრცხვენია ჩემი წუწუნისა და ჩივილის.

მე ვიცნობდი და ვიცნობ კიდევ ბევრ მუშებს, რომელთაც უხდებოდათ და კიდევ უხდებათ „თავის ძალდატანება“, რომ გადალახონ ის თავისი ორგანიული სოციალური იდეალიზმი იმ საქმის გულისთვის, რომელსაც ისინი ემსახურებიან.

უხდებოდა თუ არა თვითონ ლენინს „თავის ძალდატანება?“ ის ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდა თავის თავს, რომ თავის შესახებ ელაპარაკა ვინმესთან. მას, როგორც არავის, შეეძლო ჩუმად ყოფილიყო თავისი სულში დამალული ქარიშხალის შესახებ. მაგრამ ერთხელ, გორკებში, როცა ის ვილაც ბავშვებს ეალერსებოდა, სთქვა:

„აი ესენი ჩვენზე უკეთ იცხოვრებენ; ის, რაც ჩვენ განვიცადეთ, ესენი არ განიცდიან. მათი ცხოვრება ნაკლებად სასტიკი იქნება.“

და შორეულ კორდებზე მიჩერებულმა, სადაც მაგრა ჩამჯდარიყო სოფელი, ჩაფიქრებით სთქვა:

„მე მაინც არ მშურს ამათი ბედი. ჩვენს თაობას მოუხდა შესრულება ისეთი სამუშაოსი, რომელიც გასაოცარია თავისი ისტორიული მნიშვნელობით. ჩვენ, ცხოვრების პირობათა გამო, იძულებულნი, რომ ათასი

სისასტიკე ჩაგვედინა, გასაგები ვიქნებით და გამართლებულნი. ყველაფერი გაგებული იქნება, ყველაფერი.“

ბავშვებს ის ეალერსებოდა ფრთხილად, რალაც სათუთი და მსუბუქი ხელის შეხებით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრება ისე ყალთაბანდურად არის მოწყობილი რომ, თუ სიძულვილი არ იცი, ისე შეუძლებელია გულწრფელი სიყვარული. და აი მხოლოდ ეს ერთი აუცილებლობაც, რომელიც ძირეულად ასახიჩრებს ადამიანის სულს და აორებს მის არსებას, აუცილებლობა რომ სიძულვილის დახმარებით შეგიყვარდეს ადამიანი, საკმარისი არის რომ ცხოვრება განწირულ იქმნეს და რღვევამ მოიცვას იგი.

რუსეთში, ქვეყანაში, სადაც წამებისა და ტანჯვის აუცილებლობა ატანილია მაღლა, როგორც უნივერსალური საშუალება „სულის საცხოვნებლად“, მე არ მინახავს და არც შემხვედრია ადამიანი, რომელსაც ისეთი სიღრმითა და ძალით, შესძლებოდეს გრძნობა, როგორც ლენინს, სიძულვილისა და ზიზლისა ადამიანის უბედურებისა და ტანჯვისადმი.

ჩემს თვალებში ეს მისი გრძნობანი და ეს სიძულვილი ცხოვრების ტრადიციისადმი განსაკუთრებით მაღლა სწევს ვლადიმერ ლენინს, ამ რკინის ადამიანს და შეილს იმ ქვეყნისას, სადაც წამების დიდებისა და კურთხევისათვის დაწერილია ყველაზე ნიჭიერი სახარებანი და, სადაც ახალი თაობა ცხოვრობს წიგნებით, რომლებიც აღსავსეა, არსებითად ერთფეროვანი ყოველდღიური წვრილმანი დრამათა აღწერილობებით. რუსეთის ლიტერატურა ყველაზე პესიმისტური ლიტერატურაა ევროპაში: ჩვენში ყველა წიგნები ერთსა და იმავე თემაზე იწერება: იმის შესახებ, თუ როგორ ვეწამებით ჩვენ ახალგაზდობაში და მოწიფულობაში უმეცრებით, თვითმპყრობელობის თავნებობით, როგორ გვაწვალებს ჩვენ ქალი, მოყვარის სიყვარული, მსოფლიოს უვარგისი მოწყობილობა და სიბერეში კი ვწუხვართ რომ ცხოვრება ამდენი შეცდომებით არის აღსავსე, რომ კბილები გვაკლია, კუჭი ვერ მუშაობს კარგად და რომ ჩვენი სიკვდილი აუცილებელი მოსალოდნელობაა.

ყოველი რუსი, რომელმაც ერთი თვე გაატარა ციხეში „პოლიტიკისთვის“ ან-და ერთი წლით გადასახლებული იყო შორეულ გუბერნიებში, თავის უწმინდეს მოვალეობად სთვლის აჩუქოს რუსეთის ხალხს მოგონებათა წიგნი იმის შესახებ თუ როგორ ეწამა იგი, და არავის, აქამდე, არ უფიქრია დაეწერა წიგნი იმის შესახებ თუ როგორ ხარობდა იგი მთელი მისი სიცოცხლის განმავლობაში, იმ დროს, როცა ყოველივე ამას იმ ქვეყანაში, სადაც ყველა წიგნებით ცხოვრობს, უდიდესი გამარჯვება ხვდებოდა წილად და მაშინვე წაჰბაძადენ სხვა მკითხველებიც. და რადგან რუსი იმთავითვე შეეჩვია თავის მიერვე გამოგონილსა და შექმნილ ცხოვრებას, გამოგონება კი მას კარგის არ ეხერხება, ამიტომ ასეთი წიგნი, წიგნი ბედნიერად გატარებულ ცხოვრების შესახებ, ასწავლიდა მას, თუ როგორი ცხოვრება უნდა გამოიგონოს მან თავისთვის.

იქნებ, ლენინს ჩვენი ცხოვრების ეს ტრალედია მიაჩნდა, როგორც უბრალო რამე და ფიქრობდა რომ ის ადვილად ასაცილებელია, ისევე ადვილად როგორც თუნდაც იმ გარეგნული მწვირისა და ჭუჭყისა, რომელიც ახე სწამლავს რუსეთის ცხოვრებას და ხუთავს მას.

მაგრამ ეს სულერთია, ჩემთვის განსაკუთრებით დიადი, სწორედ ეს გრძნობა შეურიგებელი სიძულვილისა ადამიანის უბედურებათაღმდეგ, მისი ნათელი რწმენა, რომ უბედურება არ არის რაღაც მოუშორებელი საფუძველი ყოფისა, არამედ ეს არის საზიზღრობა, რომელიც ხალხმა უნდა ჩამოიცილოს, ის ვალდებულიც არის და მას შეუძლია განიბერტყოს იგი ფერხთავან.

მე მის ამ დამახასიათებელ მომენტს დავარქმევდი მებრძოლ ოპტიმიზმს და ეს მომენტი მის ხასიათში იყო სწორედ არა რუსული ხასიათისა. და სწორედ ამ მხარემ მიძიხიდა მე განსაკუთრებით ამ ადამიანისაკენ—ადამიანისაკენ, რომელიც დიდი ასოთი იწერება.

1907 წელს, ლონდონში, ის მეუბნებოდა:

— იქნებ, ჩვენ, ბოლშევიკები, არ ვიქნეთ გაგებული მასების მიერ, ადვილად შესაძლებელია, ჩვენ ყველა გაგვგუდონ ჩვენი საქმის დასაწყისშივე. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ბურჟუაზიულმა სამყარომ უკვე იწყო სიღამპლის დულილი და ეს ხრწნილების სუნი და შმორი ყველას ჩვენ მოწამვლით გვემუქრება,—აი ეს არის მთავარი.

რამდენიმე წლის შემდეგ, პარიზში, როგორც მახსოვს, მგონი, ბალკანეთის ომის დასაწყისში, მან მომაგონა:

— ხედავთ,—მე მართალი ვიყავ. გახრწნა უკვე დაიწყო. საშიშროება იმისა, რომ ჩვენ ყველანი ხრწნილების შხამით მოვიწამვლებით, ახლა აშკარა უნდა იყოს ყველა იმისთვის, ვისაც შესწევს გამბედაობა პირდაპირ უცქიროს დიდ ამბებს.

ჩვეულებისამებრ ცერები ეილეტის ქვეშ ილღიებში გაიყარა, ოთახში ნელის ნაბიჯით გაიარ-გამოიარა და განაგრძო:

— ეს კატასტროფის დასაწყისია. ჩვენ მალე ევროპის ომსაც მოვესწრებით. ველური ხოცვა-ჟლეტა იწყება. ეს აუცილებელია. რა უნდა ჰქნას მაშინ პროლეტარიატმა? მე ვფიქრობ, რომ პროლეტარიატს არ ექნება იმდენი ძალა, რომ ქვეყანას ააშოროს ეს წეწა-გლეჯა. რასაკვირველია, ყველაზე მეტად ის დაიჩაგრება ამ წეწა-გლეჯის დროს, ჯერჯერობით ეს მისი ბედია. მაგრამ ამ ხოცვა-ჟლეტის მომწყობნი ჩაიფლობიან, ჩაიხრჩობიან მათის წყალობითვე უხვად დაღვრილ სისხლში. პროლეტარიატის მტერი დაილღება, ნიათი გამოელევა. ესეც აუცილებელია.

მან კბილები ააელვარა და ფანჯარაში სიერცეს მიაჩერდა.

— არა თქვენ ეს იფიქრეთ: რის გულისთვის ერეკება ეს მაძლარი ხალხი ამ დამშეულებს ერთი მეორის წინააღმდეგ, ა? განა შეიძლება ამას კაცი შეურიგდეს? შეგიძლიათ თუ არა თქვენ ამაზე სულელურ და ამაზე გაუმართლებელ დანაშაულობის მითითება? მეტად დიდ მსხვერპლს გაი-

ლებენ ამ საქმეში მუშები, მაგრამ საბოლოოდ მოგებაში მაინც ისინი დარჩებიან. ეს ისტორიის ნებაა და კანონი.

ის ხშირად ლაპარაკობდა ისტორიის შესახებ, მაგრამ მე არასოდეს არ მიგრძნვია მის სიტყვებში ისტორიისადმი ფეტიშისტური ქედის მოხრა.

უკრძნუნულო

17-21 წლებში ჩემი დამოკიდებულება ლენინთან სრულყოფილი იყო, როგორც მე მინდოდა რომ ყოფილიყო, მაგრამ მაშინ სხვანაირად ეს შეუძლებელი იყო.

ის პოლიტიკოსი იყო. ის მარჯვედ ხმარობდა იმ ხელოვნურს, მაგრამ გარკვეულად გამომუშავებულს შეხედულებას, რაც აუცილებელია ასეთი დიდი და მძიმე ხომალდის შესაქისათვის, როგორც იყო ტყვიასავით მძიმე გლეხური რუსეთი.

მე ორგანიულად მძულს პოლიტიკა და მეტად საეჭვო მარქსისტი ვარ, რადგან, ცუდათ მჯერა, საზოგადოო, მასის გონება და განსაკუთრებით კი გლეხური მასის გონება

როცა 17 წელს, ლენინი რუსეთში ჩამოვიდა და თავისი „თეზისები“ გამოაცხადა, მე ვიფიქრე რომ კომუნის ამ თეზისებით მას მსხვერპლად მიჰყავს მთელი ეს უმნიშვნელო, რაოდენობით, და გმირული, რომელობით, ლაშქარი პოლიტიკურად აღზრდილ მუშებისა და ალალი რევოლიუციონური ინტელიგენციისა და სწირავს მას რუსეთის გლეხობას. ეს ერთად-ერთი აქტიური ძალა რუსეთისა ჩაყრილი იქნება, როგორც ერთი მუჭა მარლი, სოფლის ამ ქაობში და ის უმნიშვნელოდ გაიხსნებოდა შიგ და არსებითად კი ვერაფრითარ ცვლილებას ვერ გამოიწვევდა რუსეთის ხალხის ისტორიასა და ყოფაში. მეცნიერული, ტექნიკური, — საზოგადოდ, კვალიფიციური ინტელიგენცია, ჩემის აზრით, რევოლიუციონურად არის განწყობილი თავის ბუნებით და ის მუშათა სოციალისტურ ინტელიგენციასთან ერთად — ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ძალაა, რუსეთის მიერ დაგროვილი, და სხვა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა ძალა-უფლების აღება და რუსეთის 17 წლის სოფლის ორგანიზაციის მოხდენა, მაშინ არ იყო და არც ახლა არის. მაგრამ ამ ძალას, რიცხვობრივად უმნიშვნელოსა და დაწეწილს აზრთა წინააღმდეგობებით, შეეძლო თავისი როლის შესრულება მხოლოდ იმ პირობით, თუ მას შინაგანი მთლიანობა და სიმტკიცე ექნებოდა. ამ ძალთა წინაშე უზარმაზარი ამოცანა იდგა: დაიპყროს სოფლის ანარქიზმი, მოახდინოს გლეხების ნებისყოფის კულტივაცია, ასწავლოს გონიერი გარჯა და შრომა, გარდაჰქმნას მისი მეურნეობა და ყოველივე ამით ჩქარის ნაბიჯით წინ წახსწიოს ქვეყანა; ყველაფერი ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, თუ სოფლის ინსტინქტები დამორჩილებული იქნება და დაქვემდებარებული ქალაქის ორგანიზაციულ გონებისა და შეგნების ქვეშ.

რევოლიუციის მიერ გადასაწყვეტ პირველ ამოცანად მე მიმაჩნია შექმნა ისეთი პირობებისა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყნის კულტურულ ძალთა ზრდასა და განვითარებას. ამ მიზნით რეაქციის დროს, 1907—1912 წლებში, მე შევიტანე წინადადება, მოწყობილი ყოფილიყო კაპრიში მუშათა სკოლა და შე-

საძლებლობის ფარგლებში ვცდილობდი ყოველგვარი ღონე მეხმარა მუშათა სულისკვეთების განმტკიცებისა და სიფხიზლისათვის. ამ მიზნით თებერვლის გადატრიალებისთანავე, 17 წლის გაზაფხულზე, მოწყობილ იქმნა „თავისუფალი ასოციაცია გამოყენებითი მეცნიერებათა განვითარებისა და გავრცელებისა“, დაწესებულება, რომელიც მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ რუსეთის მეცნიერო-სამკვლევარო ინსტიტუტების ორგანიზაციას და, მეორე მხრივ, — მათ და განუწყვეტელ პოპულიარიზაციას სამეცნიერო და ტექნიკურ ცოდნათა მუშათა წრეებში ასოციაციის სათავეში ჩადგენ გამოჩენილი მეცნიერები, რუსეთის „სამეცნიერო აკადემიის“ წევრები ვ. ა. სტეკლოვი, ლ. ა. ჩუგაევი, აკადემიკოსი ფერსმანი, ს. ბ. კოსტიჩევი, ლ. ა. პეტროვსკი და სხვ. დაიწყო ღონისძიებათა გამონახვა: ს. ბ. კოსტიჩევი უკვე შეუდგა ადგილის ძებნას, სადაც მოწყობილი უნდა ყოფილიყო კვლევა-ძიების ინსტიტუტი ზოო-ბოტანიკის საკითხებში. ეს საქმე განადგურებულ იქმნა ოქტომბრის რევოლუციის მიერ და „ასოციაციის“ საშუალებანი და ქონება კონფისკაცია ქმნილი.

მეტი გარკვეულობისათვის ვიტყვი, რომ მთავარი დაბრკოლება რუსეთის ევროპეიზაციისა და კულტურისა არის განუზომელად დიდი უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარ სოფლისა ქალაქზე, სოფლის გლეხობის ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი და სოციალურ ემოციათა თითქმის სრული უქონლობა. პოლიტიკურად მომზადებული მუშათა დიქტატურა, ინტელიგენციასთან უახლოეს დაკავშირებით, — აი ის შესაძლებელი გამოსავალი, ჩემის შეხედულებით, იმ ძნელ პირობათაგან, რომელიც კიდევ უფრო გართულებულ იქმნა ომით, რომელმაც მოახდინა სოფლის კიდევ მეტი ანარქიზაცია. კომუნისტებს მე არ ვეთანხმები ინტელიგენციის როლის შეფასების საკითხში რუსეთის რევოლუციაში, რომელსაც სწორედ ამ ინტელიგენციამ მოუმზადა ნიადაგი, სადაც შედიან ყველა „ბოლშევიკები“, რომელთაც აღზარდეს მუშათა ასეულებში სოციალური ჰეროიზმი და მაღალი ინტელექტუალობა. რუსეთის ინტელიგენცია — მეცნიერული და მუშური, იყო, არის და იქნება ის ერთად ერთი ყვეარი ცხენი, რომელიც შებმულია რუსეთის ისტორიაში მძიმე ტვირთის საზიდავად. მიუხედავად მის მიერ წარმოებულ ბიძგებისა და რყევისა, რომელიც მან განიცადა, მასების შეგნება ისევ იმ ძალად რჩება, რომელიც გარეგან ხელმძღვანელობას მოითხოვს.

მე ვიცი, რომ ამ აზრისთვის, მე კიდევ ერთხელ დამცინებენ რევოლუციის პოლიტიკოსები. მე ვიცი აგრეთვე ისიც, რომ უფრო ჭკვიანნი და პატიოსანნი მათ შორის არაგულწრფელად დამცინებენ.

18 წლამდე, ლენინის მოკვლის ყოველად საზიზღარ ცდამდე, მე მას არ შევხვედრივარ რუსეთში და შორიდანაც კი არ მინახავს იგი. მე მიველ მასთან სანახავად მაშინ, როცა ის ჯერ კიდევ კარგად ვერ ხმარობდა ხელს და დაქრილ კისერს ძლივს ამოძრავებდა. ჩემ მიერ გამოთქმულ აღმფოთების საპასუხოთ მან სთქვა ისე უხალისოდ, როგორც ისეთ რამეზე, რამაც მას უკვე თავი მოაძულა:

— ჩხუბია. რას იზამ? ყველა ისე მოქმედობს, როგორც შეუძლია.

ჩვენი შეხვედრა იყო მეტად მეგობრული, მაგრამ, რასაკვირველია, გამწონავი, გამჭრიახი წვრილი თვალები საყვარელ ილიჩისა მიცქეროდნენ მე აშკარა სიბრაღულით, როგორც „გზააბნეულს“. შემოხედვა, რომელსაც მე შევეჩვიე. აი ოცდაათი წელი იქნება, რაც მე ასე მიცქერიან. დაბეჯითებით მჯერა, რომ ასეთივე შეხედულებით მიმაცილებენ მე სამარის კარამდე. ამ დაჯერებაში არ არის ნატამალი კმაყოფილებისა, მე ამით არ მინდა ის ვთქვა, რომ სწორედ „გზააბნეულნი“ აღმოაჩენენ ხოლმე მუდამ ახალ გზებსა და ამერიკებს, მაგრამ ჩემთვის უფრო ადვილია დავეთანხმო მათ პატივისცემის გულისთვის, თუ გნებავთ, ზრდილობისთვისაც, და არა, როგორც მათთვის ნათელ და ჩემთვის გაურკვეველ აუცილებლობისათვის.

რამდენიმე წუთს შემდეგ ლენინი გატაცებით ლაპარაკობდა:

— ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი წინააღმდეგია. ისტორიისაგან დამოუკიდებელი ხალხი — ფანტაზიაა, რომ დაუშვათ კიდევ, რომ ასეთი ხალხი ოდესღაც არსებობდა, ახლა ისინი შეუძლებელი არიან. ისინი არაუის არ ესაჭიროებინ. ყველა ჩათრეულია სინამდვილის მორევში, რომელიც ახლა ისეა დახლართული, როგორც არასოდეს.

— თქვენ ამბობთ, რომ მე მეტად ვაუბრალოებ ცხოვრებას? რომ ეს ვაუბრალოება დაღუპვით ემუქრება, არა, კულტურას?

და ირონიული, დამახასიათებელი:

„ჰმ-ჰმ...“

ბასრი თვალები კიდევ უფრო ბასრდებიან და დაწეული ხმით, განაგსძობს:

— მაშ, თქვენის აზრით, ის ვინტოვკით შეიარაღებული მილიონები გლეხებისა არ არის მუქარა კულტურის წინააღმდეგ?.. არ არის? თქვენ ფიქრობთ, რომ უჩრდილკა მოათვინიერებდა მათ ანარქიზმს? თქვენ, რომელიც ამდენს და ასე სწორედ რომ ხმაურობთ სოფლის ანარქიზმზე, სხვებზე უკეთ უნდა გაგეგოთ ჩვენი მუშაობა. რუსეთის მასას უნდა უთხრა რამე მეტად უბრალო, მისალწევი და გასაგები მისი შეგნებისათვის. საბჭოები და კომუნისმი კი — მეტად უბრალო რამეა.

— მუშების კავშირი ინტელიგენციასთან, არა? ეს არ არის ცუდი საქმე, არა! ურჩიეთ ინტელიგენციას რომ მოვიდეს ჩვენთან. თქვენის აზრით, ის ხომ გულწრფელად ემსახურება სამართლიანობის ინტერესებს? რაშია მერე საქმე? მობრძანდით: ეს საქმე სწორედ ჩვენ ვიკისრეთ, უზარმაზარი შრომა რომ ხალხი ფეხზე დავაყენოთ, უთხრათ ქვეყნიერებას ცხოვრების სიმართლე და ჩვენ მიუთითებთ ერებს პირდაპირ გზას ადამიანურ ცხოვრებისაკენ, გზას გამოსულს მონობიდან, სილატაკიდან, დამცირებიდან.

მან გაიცინა და არა ბოროტად სთქვა:

— ამის გულისთვის მე უკვე მომხვდა კისერში.

და როცა მუსაიფის ტემპერატურა ზომიერს დაუახლოვდა, მან ნალვლიანად და გულის ტკივილით სთქვა:

— განა მე იმას ვდავობ რომ ჩვენ ინტელიგენცია არ გვესაჭიროება? მა-

გრამ ხომ ხედავთ თქვენ, თუ როგორ მტრულად არის ის განწყობილი ჩვენთან, რა ცუდად ესმის მას მომენტის მოთხოვნილებანი? და ვერ ხედავს, რომ ის უჩვენოდ უძღურია, ვერ მივა მასსებთან. და—~~დამნაშავეც თვითონვე იქნება~~, თუ ჩვენ მეტად ბევრ ქოთნებს დავამტვრევთ.

ბაასი ჩვენ ამ თემაზე მუდამ გვქონდა, როცა კი ერთმანეთს შეხვდებოდით. და, თუმცა სიტყვით მისი დამოკიდებულება ინტელიგენციასთან იყო უნდობელი და მტრული, —საქმით ის მუდამ სწორედ აფასებდა ინტელექტუალურ ენერჯის მნიშვნელობას რევოლუციის პროცესში და, თითქოს, არსებითად, ის თანახმა იყო იმისა, რომ რევოლუცია არის სწორედ აფეთქება ამ ენერჯისა, რომელმაც ვერ მონახა თავისთვის ამ დრომოქმულ და ვიწრო პირობებში კანონზომიერი განვითარების შესაძლებლობა.

მახსოვს, მე ვიყავ მასთან სამეცნიერო აკადემიის სამი წევრის თანხლებით. ლაპარაკი იყო პეტერბურგის ერთ უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულების აუცილებელ რეორგანიზაციის შესახებ. მეცნიერთა გაცილების შემდეგ, ლენინმა კმაყოფილებით სთქვა:

— აი ეს მესმის. ეს ჭკვიანი ხალხია. ყველაფერი უბრალოდ აქვთ, ყველაფრის გარკვეული ფორმულიროვკა აქვთ, ერთბაშად ხედავ, რომ ამ ხალხმა კარგად იცის, თუ რა უნდა. ასეთ ხალხთან მუშაობა სასიამოვნოა. მე განსაკუთრებით მომეწონა ის...

და მან დაასახელა ერთი უდიდესი სახელთაგანი რუსეთის მეცნიერებისა. ერთი კვირის შემდეგ კი უკვე ტელეფონით მეუბნებოდა:

— ჰკითხეთ Z-ს იმუშავენს თუ არა ის ჩვენთან?

და როცა Z-მა მიიღო წინადადება, ამან მეტად გაახარა ლენინი, ხელების მშუშვნა დაიწყო და იხუმრა:

— აი ასე, ერთი მეორეზე გადმოვწევთ ჩვენ ყველი რუს და ევროპიელ არქიმედებს და მაშინ სამყაროს, უნდა არ უნდა, — მაინც გადაბრუნდება.

პარტიის მე-8 ყრილობაზე ბუხარინმა, სხვათა შორის, სთქვა:

— ერთი — ნიშნავს ბურჟუაზიას პროლეტარიატთან ერთად. არაფერს არ ემსგავსებოდა რომ ჩვენ გვეცნო უფლება თვითგამორკვევისა რომელიღაც საზიზღარ ბურჟუაზიისა.

— „არა, უკაცრავად“ — უპასუხა ლენინმა — „ეს ჰგავს იმას, რაც არის, თქვენ ემყარებით პროლეტარიატის დიფერენციაციის პროცესს ბურჟუაზიისაგან, მაგრამ — ჯერ უყუროთ, როგორი გზით წავა ის“.

ამის შემდეგ, მიუთითა რა მან გერმანიის მაგალითზე, თუ როგორ ნელა და ძნელად ვითარდებოდა ამ დიფერენციაციის პროცესი და მოიგონა რა, რომ „არა ძალდატანებით ინერგება კომუნისმი“.

მან ასე გამოსთქვა თავისი აზრი საკითხზე ინტელიგენციის მნიშვნელობის შესახებ მრეწველობაში, არმიაში და კოოპერაციაში; მომყავს კამათის ანგარიში „იზვესტიადან“.

„ეს საკითხი ამ ყრილობაზე გადაჭრილ უნდა იქნას სრულის გარე“.

კვეულობით. ჩვენ შეგვიძლია კომუნიზმის აშენება მხოლოდ მაშინ, როცა ბურჟუაზიულ მეცნიერებისა და ტექნიკის საშუალებანი გახდინან მას მას-სებისათვის უფრო ხელმისაწვდომად. ამისთვის კი უნდა აღიქვას იქმნას ბურჟუაზიული აპარატი და მუშაობაში ჩათრეულ უნდა იქნას ყველა სპეციალისტები. ბურჟუაზიულ სპეციალისტების გარეშე შეუძლებელია საწარმოო ძალთა ფეხზე დაყენება. — მათ უნდა შეუქმნათ ეროვნული ამხანაგურ თანამშრომლობის ატმოსფერო მუშა კომისრებთან და კომუნისტებთან ერთად, ჩავაყენოთ ისეთ პირობებში, რომ მათ ვერ შესძლონ იქიდან გამოთიშვა, მაგრამ უნდა მივცეთ საშუალება უკეთესი მუშაობისა, ვიდრე ეს კაპიტალისტურ წყობილების დროს ჰქონდათ, რადგან ეს ფენა, აღზრდილი ბურჟუაზიის მიერ, სხვანაირად ვერ იმუშავებს. ჯობით იძულება მთელი ფენისა, რომ მან იმუშაოს, არ შეიძლება. — ბურჟუაზიული სპეციალისტები მიჩვეული არიან კულტურულ მუშაობას, ისინი ამოძრავებდნენ მას ბურჟუაზიულ წყობილების ჩარჩოში, ე. ი. ამდიდრებდნენ ბურჟუაზიას უზარმაზარ ნივთიერ წამოწყებებით და ოდნავი ნაწილს უთმობდნენ პროლეტარიატს. მაგრამ ისინი მაინც ამოძრავებდნენ კულტურას — ამაში მდგომარეობს მათი პროფესია. რამდენადაც ისინი ხედავენ, რომ მუშათა კლასი არამც თუ აფასებს კულტურას, არამედ ეხმარება კიდევ მის გატარებას მასსებში, ისინი იცვლიან თავის დამოკიდებულებას ჩვენთან. მაშინ ისინი არამც თუ დაშორებულნი იქნებიან პოლიტიკურად ბურჟუაზიისაგან, არამედ დამორჩილებულნი პროლეტარიატის მიერ მორალურადაც. ისინი ჩათრეულ უნდა იქნან ჩვენს აპარატში, ამისთვის კი ხანდახან მსხვერპლის გაღებაც არის საჭირო. სპეციალისტების მიმართ ჩვენ არ უნდა დავადგეთ კინკლაობისა და წვრილმანი უნდობლობის სისტემას. ჩვენ უნდა შეუქმნათ მათ, რაც შეიძლება უკეთესი პირობები არსებობისათვის. ეს იქნება საუკეთესო პოლიტიკა. — თუ გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიათა ლეგალიზაციის შესახებ და დღეს ვაპატიმრებდით მენშევიკებსა და მემარცხენე ესერებს, ამ რყევიდან ერთი მტკიცე ხაზი მაინც გამომდინარეობს: კონტრრევოლუციის აღმოფხვრათ, კულტურულ-ბურჟუაზიული აპარატი გამოვიყენოთ“.

ჩემი საქმე არ არის ლაპარაკი ლენინზე, როგორც პოლიტიკოსზე, ჩემთვის ძვირფასია და ახლობელი ლენინი — ადამიანი.

მე მუდამ ალტაცებაში მოვყავდი მასში ნათლად გამოსახულს ნებისყოფას სიცოცხლისადმი და აკტიურ სიძულვილს მის საზიზღარ მხარეებისადმი. მე ვტკბებოდი მისი იმ ახალგაზღვრი გატაცებით, რომლითაც ის იყო აღსავსე და რითაც ის ყოველ საქმეს ეკიდებოდა. მე მაოცებდა მისი არაადამიანური შრომის უნარიანობა.

გატაცება, აზარტი იყო თვისება მისი ბუნებისა, მაგრამ ეს აზარტი არ იყო ანგაარი გატაცება ქალაქის მოთამაშისა. ყოველივე ეს ამჟღავნებდა მასში განსაკუთრებულად ფხიზელ ქკუას, რაც თვისებაა მხოლოდ ისეთი ადამიან-

ნისა, რომელსაც ურყევად და უყოყმანოდ სწამს თავისი მოწოდება, ადამიანის, რომელიც ყოველმხრივ და ღრმად გზნობს მთელ თავის კავშირს გარემოსთან და რომელმაც ძირეულად შეიგნო თავისი როლი გარესკნელის ქაოსში, — ეს როლი როლია ქაოსის მტერისა.

ის ერთნაირი გატაცებით თამაშობდა ჭადრაკს, ათეალიერებდა „კოსტუმის ისტორიას“, მთელი საათი ეკამათებოდა ამხანაგს, ^{თეოლოგობდა} დადიოდა მზისაგან გავარვარებულ კაპრის ღორღიან ბილიკებზე, ტკბებოდა ოქროთი ნავარაყევი დრეკითა და შავტრუხა ახალგაზდა მეთევზეების ცქერით.

მას უყვარდა სასაცილო შემთხვევები და იცინოდა, მართლაც „კედებოდა“ სიცილით ცრემლების ღვრამდე. თავისი მოკლე აღმოხდომას: „ჰმ-ჰმ“ ანიჭებდა უთვალავ ნიუანსებს—დაწყებული მომწამლავ ირონიით, გათავებული ფრთხილი დაეჭვებით, და ხშირად ამ „ჰმ-ჰმ“-ში გამოჰკრთოდა ბასრი ჰუმორი, რომელიც მისალწვევი იყო მხოლოდ ფხიზელი ადამიანისთვის, რომელსაც კარგად აქვს შესწავლილი ათასი ეშმაკეული მოულოდნელობა ცხოვრებისა.

ჯაგველა, ძვალმსხვილი, სოკრატის შუბლით და ყოვლის მხილველ თვალე-ბით დიდებული ცბიერისა, ის ხშირად იღებდა რალაც უცნაურსა და ოდნავ კომიკურ პოზას—გადიდებს უკან თავს, გადახრის ცალ მხრივ, ფილეტის ილღიაში გაიყრის თითებს და იცქირება. ამ მის პოზაში იყო, რალაც გასაოცრად საყვარელი და შესაქცევი, რალაც მამლაყინწური ძლევა მოსილების გრძნობა და ამავე დროს ის მთლიანად ბრწყინავდა სიხარულით, ეს დიდებული ბავში დაწყველილი ქვეყნისა, შესანიშნავი, მშვენიერი ადამიანი, რომელსაც უნდოდა მიეტანა თავისი თავი ზვარაკად მტრობისა და სიძულვილის წინაშე, რომ ამით განხორციელებულ ყოფილიყო ქვეყანაზე სიყვარულისა და სილამაზის საქმენი.

მოდრაობა ჰქონდა მსუბუქი, მოხდენილი და გამოზოვილი, მაგრამ განიერი ხელის მოქნევა საფეხებით ეთანხმებოდა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვას, სადაც ყოველი სიტყვა გამოზომილი იყო და ამასთანავე აღსაესე აზრითა და შინაარსით.

და მის მონგოლურ ტიპის სახეზე ენთო, თამაშობდნ გამჭრიახი თვალე-ბი ცხოვრების სიცრუისა და სიმწარის დაულალავ მონადირისა და მეველისა. ენთებოდნ მოჭუტული თვალე-ბი, პაქუნობდნ, ირონიულად ილიმებოდნ, რისხვით ეგზნებოდნ. ამ თვალე-ბის ბრწყინვა უფრო ანთებდა და შემაშინებლად ნათელყოფდა მის სიტყვას. ხანდახან, გეგონებოდა, რომ რალაც დაუგეშელი, დაუოკებელი, უდრეკა ენერგია მისი სულისა განმოსხივდებიან ნაპერწკლებად მის თვალთაგან და სიტყვები, გაჟღენთილი ამ ენერგიით, ბრწყინვენ ჰაერში. მისი სიტყვა მუდამ იწვევდა ფიზიკურ ტანხლებას მოუგერიებელ სიმართლისა და, თუმცა ეს სიმართლე ხშირად ჩემთვის მიუღებელი იყო, მაგრამ მისი ძალის არ გრძნობა მე მაინც არ შემეძლო.

უჩვეულო და საოცარი იყო ლენინი გორკების პარკში სეირნობისას, — რადგან ისე შეეჩვია თვალი მას მუდამ გრძელ მაგიდის ბოლოში მჯდომს, საიდანაც ის აპნევდა სიცილს, უბრწყინავდა მესაქის გამჭრიახი თვალი და მოხერხებულად, მარჯვედ ხელმძღვანელობდა ამხანაგების კამათს, ან-და ესტრადაზე მდგომს, უკან

გადაქანებულ თავით, როგორ აბნევდა იგი მიწყნარებულ ხალხში უბრალო, ადვილად გასაგებ ქეშმარიტებას, როგორ აყრიდა სიმართლეს დამწეულ ხალხის თვალებში და ცვივოდა მკაფიო და ნათელი სიტყვები. ეს სიტყვები მე მუდამ რკინის მოელვარე ნახერხის ბრწყინვას მაგონებდა და გასაოცარი უბრალოებით დგებოდა ამ მხატვრულად გამოკვეთილ სიტყვების უკან ნათელი ნაკეთი სიმართლისა.

სიზღოიქოთა

ბევრს სწერდენ და ლაპარაკობდენ ლენინის სისასტიკის შესახებ. რასაკვირველია, მე არ შემიძლია ჩემ თავს ნება მივცე და სასაცილოდ და უტაქტოდ მოვიქცე და მისი დაცვა დავიწყო ამ ცილისწამებისა და სიცრუისაგან. მე ვიცი რომ სიცრუე და ცილისწამება დაკანონებული მეთოდია პოლიტიკოსთა, ჩვეულებრივი ხერხია, მიმართული მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წარმთების დროს. ამ ქვეყნის დიდბუნებოვან და დიდებულ ადამიანთაგან ძნელად თუ მოიპოვება ვინმე ისეთი, რომლის ტალახში ამოსვრაც არ მოენდომებინოსთ. ეს ყველასთვის ცნობილი ამბავია.

ამას გარდა, ყველა ადამიანებს აქვთ ლტოლვა იმისადმი, რომ არამც თუ დაამდაბლონ თავის შეგნების დონემდე გამოჩენილი ადამიანი, არამედ ამას გარდა კიდევ შეეცადონ რამენაირად ფეხი გამოუშალონ მას, წააქციონ, ფეხქვეშ გაიგდონ და ჩააგდონ იმ წებიერ და მოწამლულ ლაფში და ჭუჭყში, რომელიც მათ მიერვე არის შექმნილი და უწოდეს მას „ყოველდღიური ცხოვრება“.

მე ზიზღით ვიგონებ შემდეგ ფაქტს: 19 წელს პეტერბურგში „სოფლის ლატაკთა“ ყრილობა იყო. რუსეთის ჩრდილო გუბერნიებიდან ჩამოვიდა რამდენიმე ათასი გლეხი და ისინი ასობით იქმნენ მოთავსებული რომანოვების ზამთრის სასახლეში. როცა ყრილობა დამთავრდა და გლეხები წავიდ-წამოვიდენ თავიანთ გუბერნიებში, აღმოჩნდა რომ მათ არამც თუ სასახლის ყველა აბაზანები, არამედ აუარებელი უძვიფასესი სევრისა, საქსონური და აღმოსავლური ვახებიც კი გაეოხრებინათ, დამის ქოთნებათ ეხმარათ. ეს ჩაიდიწეს მათ არა იმიტომ რომ იძულებული გახდენ, — სასახლის საპირფარეშოები წესიერი აღმოჩნდა და წყალსადენებიც მოქმედობდა. არა, ეს ხულიგნობა იყო, იმ სურვილის გამოხატვა, რომ გაეოხრებიათ და წაეხილწათ ლამაზი ნივთები. ორი რევოლიუციისა და ომიანობის განმავლობაში, მე ბევრჯერ, ძლიერ ბევრჯერ დავკვირვებივარ ამ ბნელ, შურის მაძიებელ ლტოლვას ხალხში, რომ დაამტვრიონ, დაასახიჩრონ, გაამასხარავონ და გააბიაბრუონ, წაჰბილწონ ყველაფერი მშვენიერი.

არ იფიქროთ, რომ „სოფლის ლატაკთა“ საქციელს მე განგებ გაუსვი ხაზი ჩემი გლეხისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო, არა, — მე ვიცი, რომ ამ ავადმყოფური სურვილით, წაჰბილწონ ყველაფერი ლამაზი, აღსავსენი არიან ინტელიგენციის ზოგიერთი ფენებიც, მაგალითად, ის ემიგრანტები, რომელნიც, როგორც სჩანს, ფიქრობენ, რომ, თუ ისინი არ არიან რუსეთში, — მაშინ იქ არაფერი კარგი არ შეიძლება მოიპოვებოდეს.

გაბოროტებულ სწრაფვას იმისადმი, რომ გააფუჭო განსაკუთრებით მშვენიერი ნივთები, აქვს ერთი და იგივე სათავე იმასთან დამოკიდებით, რომ რათაც არ უნდა დაგიჯდეს, სახელი გაუტეხო არაჩვეულებრივ ადამიანს. ყველაფერი არაჩვეულებრივი ხელს უშლის მათ იცხოვრონ ისე, როგორც უნდათ. ხალხს უნდა, თუ

კი მას რაიმეს სურვილი აქვს—არა ძირიანი შეცვლა თავისი სოციალური ჩვეულებათა, არამედ მისი განვრცობა, გაშლა. მთავარი კენესა და გოდება უმრავლესობისა არის:

„ნუ გვიშლით ისეთ ცხოვრებას, როგორსაც ჩვენ უკვე შევეჩვიეთ“.

ვლადიმერ ლენინი იყო ისეთი ადამიანი, რომელმაც ხელი ისე შეუშალა ხალხს, რომ მათთვის ჩვეული ცხოვრების მიმართება ძირბუნებრივად აწობარუნა.

არ ვიცი მე, რა გამოიწვია მან უფრო მეტი თავის თავისადმი: სიყვარული თუ სიძულვილი? მისდამი სიძულვილი გაშიშვლებულია და ზიზღის მომგვრელად ნათელი. მაგრამ მე ვშიშობ რომ ლენინისადმი სიყვარული მხოლოდ ბნელით მოცული რწმენაა ისეთი ხალხისა, რომელნიც გაწამდენ და სული ამოსდით წმინდა სასწაულთმოქმედის მოლოდინში, და ის სიყვარული, რომელიც სასწაულს მოელის და არაფერს აკეთებს, რომ განასხეულოს თავისი ძალა და შთანერგოს იგი ცხოვრების ტანჯვა-წამებისაგან თითქმის მოკლულ სხეულში, რაც გამოწვეულია, ერთის მხრივ, განუსაზღვრელ სიხარბისაგან და, მეორეს მხრივ, განუზომელ სიჩერჩეტისაგან.

მე ხშირად მქონია ბაასი ლენინთან რევოლუციონური ტაქტიკისა და ყოფის სიმკაცრის შესახებ.

„რა გინდათ თქვენ?“—გაკვირვებული და გულმოსული მეკითხებოდა ის— „განა შესაძლებელი არის ასეთი ჯერ არ არსებულ გამწარებული ბრძოლის დროს ჰუმანიურობა? რა დროს გულჩვილობა და სულგრძელობაა? ჩვენ ბლოკადა გამოგვიცხადა ევროპამ, ჩვენ არავითარი იმედი არა გვაქვს ევროპის პროლეტარიატის დახმარებისა, რომელსაც ასე მოველოდით, ჩვენ წინააღმდეგ ყოველ მხრიდან გამძვინვარებული დათვივით მობობლავს კონტრრევოლუცია და რა უნდა ვქნათ ჩვენ? ჩვენ არ შეგვიძლია, ნება არა გვაქვს რომ ვიბრძოლოთ, წინააღმდეგობა გაუწიოთ? ჰო და, ნურას უკაცრავად ჩვენ რომ ასე მოვიქცეთ, ჩვენ სულელები არა ვართ. ჩვენ კარგათ ვიცი: ის, რაც ჩვენ გვსურს, ჩვენს გარდა ვერავინ გააკეთებს. ნუ თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მე ასე რომ არ ვფიქრობდე აქ ვიჯდებოდი?“

„რა საწყაულით გინდათ თქვენ იანგარიშით რაოდენობა აუცილებელ და ზედმეტ დარტყმათა ჩხუბის დროს?“—შემეკითხა ის ერთხელ, ცხარე ბაასის შემდეგ. ამ უბრალო შეკითხვაზე მე მხოლოდ ლირიკული პასუხის გაცემა შეეძელი. ვფიქრობ რომ ხანდახან სხვა პასუხი არ არსებობს.

მე ხშირად ვაბეზრებდი მას თავს ათასნაირი სათხოვრებით და ხშირად ვგრძნობდი, რომ ჩემი შუამდგომლობანი ვინმეს შესახებ, ლენინში ჩემდამი სიბრალოულსა და თითქმის ზიზღსაც იწვევდა. ის მეკითხებოდა:

„თქვენ არა გგონიათ რომ რაღაც ფუჭ საქმეს აკეთებთ?“

მაგრამ მე ვიქცეოდი ისე, როგორც ეს აუცილებელ საქიროებად მიმაჩნდა, და ირიბული, გულმოსული გადმოხედვა იმ ადამიანისა, რომელმაც კარგად იცოდა პროლეტარიატის მტრის ანგარიში, გარეთ არ მაგდებდა. ის შეწყობებული იქნედა თავს და ამბობდა:

„თქვენ მაგით სახელს იტყებთ ამხანაგებისა და მუშების თვალში“.

მე კი მიუთითებდი რომ ამხანაგები, მუშები, ხშირად „გაბოროტების ან გაბრაზების“ გამო მეტად იოლად და „უბრალოდ“ ებყრობიან თანესუფლებას, ადამიანთა ძვირფას სიცოცხლეს და რომ, ჩემის შეხედულებით, ეს არამც თუ სახელს უტეხს პარტიოსანსა და მეტად ძნელს და ხშირად ზედმეტს და კუაზრო სისასტიკით რევოლიუციის საქმეს, არამედ ობიექტიურად შეფუთული ერთ-ერთი არის ამ საქმისათვის, ვინაიდან ყოველივე ეს არავითარ საშუალებას არ აძლევს ბევრ მნიშვნელოვან ძალებს მოვიდნენ ჩვენთან სამუშაოდ.

— „ჰმ-ჰმ“.—სკეპტიკურად ბუზღუნებდა ლენინი, მუშათა კლასის საქმეზე, ინტელიგენციის ლალატის გამო.

„ჩვენ შორის იყოს,—ამბობდა ის—ისინი ხომ ლალატობენ, გამცემლობენ შიშის გამო. ეშინიათ რომ არ დაირღვეს მათი საყვარელი თეორია პრაქტიკასთან შეხლის გამო. ჩვენ ამისი არ გვეშინია. თეორია, ჰიპოტეზა ჩვენთვის არ არის რალაც „ღვთაებრივი“ სანუკვარი, ჩვენთვის ის სამუშაო ხელსაწყოა“.

და მაინც, არ მახსოვს ისეთი შემთხვევა, რომ მე ილიჩს გავეწებილებინე და მას უარი ეთქვას ჩემ თხოვნაზე. თუ იყო ისეთი შემთხვევა რომ ეს თხოვნა სისრულეში არ მოდიოდა, ეს მისი მიზეზით კი არ ხთებოდა, არამედ, ალბათ, იმ წყეულ „მექანიზმის ნაკლულოვანებათა“ გამო, რითაც მუდამ უხვად იყო დაჯილდოვებული რუსეთის სახელმწიფოებრივობის ტლანქი მანქანა. დასაშვებია განა რომ ვილაც ბოროტის განზრახვის გამო არ იყოს შემსუბუქებული ადამიანის ბედი და სიცოცხლზე შერჩეს მას, და ეს სისრულეში იქნას მოყვანილი? შურისძიება და გაბოროტებაც ხშირად ინერციით მოქმედობს. და, რასაკვირველია, არიან ფსიქიურად არა ჯანმრთელი ადამიანები, რომელთაც სწყურიათ რომ დასტკბენ მოყვასის ტანჯვა-წამებით.

ხშირად მე მაკვირვებდა ლენინის სურვილი, როგორმე დახმარება აღმოეჩინა იმ ხალხისათვის, რომელთაც ის თავის მტრად სთვლიდა, და არამც თუ სურვილი, დახმარების აღმოჩენისაც კი, როცა ის დაპატიმრებული იყო, არამედ ზრუნვა მის მომავალზედაც. ასე, მაგალითად, ერთ გენერალს, სწავლულ ქიმიკოსს, სიკვდილით დასჯა მოელოდა.

— ჰმ-ჰმ,—სთქვა ლენინმა, მოისმინა რა მან ჩემი ნალაპარაკევი.—მაშ, თქვენის აზრით, მან არ იცოდა, რომ მისმა ვაჟებმა მის ლაბორატორიაში იარაღი დამალეს? აქ რალაც რომანტიკაა. მაგრამ—საჭიროა რომ ეს საქმე ძერეინსკიმ გაარჩიოს, მას სიმართლის კარგი ყნოსვა აქვს.

რამდენიმე დღის შემდეგ ის მე პეტროგრაღში ტელეფონით შირეკდა:

— თქვენ გენერალს გავანთავისუფლებთ, მგონი გაანთავისუფლეს კიდევ-რა უნდა მას რომ აკეთოს?

— ჰომოემულსია...

— ჰო, ჰო,—რალაც კარბოლი, მაშ, აი, დაე ხარშოს მან ეს კარბოლი. ერთი თქვენ ეს მითხარით, რა დასჭირდება მას ამისთვის...

და იმიტომ, რომ თავისი დამორცხვებული სიხარული დაეფარა, რომელიც ადამიანის სიცოცხლის გადარჩენით იყო გამოწვეული, ლენინი ამ სიხარულს ირონიით ჰფარავდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ის ხელმეორედ შეკითხებოდა:

— როგორ არის გენერალი? მოეწყო თუ არა?

— კარგი, კარგი, — მეუბნებოდა ის მეორედ, ერთი ჩემი განსაკუთრებული დიდი საქმის სათხოვარზე. —

„— კარგი, — ამ ხალხის თავდები თქვენ იქნებით. მაგრამ მათ ხომ მოწყობა უნდა ისე რომ, რამე შინგარევეშჩინის მსგავსი ატყაფოვდეს, კრა უყოთ ჩვენ იმათ? სად იცხოვრობენ? ეს გამოსარკვევი საქმეა!“

ორი დღის შემდეგ ის უპარტიო და მისთვის ნაკლებად ნაცნობ ადამიანების თანადასწრებით, მზრუნველობით შემეკითხა:

„მოაწყეთ თუ არა თქვენ ყველაფერი, რაც საჭიროა იმ ოთხის თავდებობისათვის? ჰმ-ჰმ, — შეგვჭამა ჩვენ ამ ფორმალობამ.“

ამ ხალხის გადარჩენა არ მოხერხდა, აჩქარდენ რომ დაეხვრიტათ. მე გამომცეს რომ ამ მკვლელობამ ლენინი გააცოფა.

19 წელს პეტერბურგის სამხარეულოებში მოვიდა ერთი ქალი, მეტად ლამაზი, და მკაცრი კილოთი წოითხოვა:

„— შე კნეინა ც. ვარ, მომეცით ნარჩენი ძვლები ჩემი ძაღლებისათვის“.

ამბობდენ, რომ მან ვერ აიტანა დამცირება და სიმშილი და გადასწყვიტა თავი დაეხრჩო ნევაში, მაგრამ ვითომ მისმა ოთხმა ძაღლმა იგრძნეს პატრონის არა სასიკეთო განზრახვა და ღმუილით გამოედევნენ უკან და მით აიძულეს პატრონი რომ თავის დახრჩობა გადაეფიქრა.

მე უამბე ლენინს ეს ლეგენდა. მან გვერდით ირიბულად ამომხედა, ქვემოდან ზევით, თვალების ხუშვა დაიწყო, ბოლოს სულ მთლად მოხუჭა და დაღვრებით სთქვა:

„თუ ეს გამოგონილი ამბავია, მაშინ, ის არ არის ცუდათ გამოგონილი. ეს რევოლიუციის ხუმრობაა“.

გაჩუმდა. მე რე ადგა, ქალაღლები გადაშალა და ჩაფიქრებულმა სთქვა:

— დიახ, ამ ხალხს ცუდი დღე დაადგა, ისტორია — მეტად სასტიკი დედა და შურისძიების საქმეში არაფერს არ ერიდება. აქ ლაპარაკი ზედმეტია, რას იზამ? ეს ხალხი ცუდ დღეში ჩავარდა. ჭკუათა მყოფლებს მათ შორის, ეს მით, რომ ისინი ძირფესვიანად არიან ამოგლეჯილნი და მიწაზე ფესვს ვერ მოიკიდებენ. ჭრანსპლანტაცია კი, ევროპაში გადანერგვა, მათ არ დააკმაყოფილებსა. ვერ შეეგუებიან ისინი იქაურობას, როგორ ფიქრობთ?


— ვფიქრობ, რომ ვერა.

— მაშასადამე — ან ჩვენთან ერთად წამოვლენ, ან — და ხელახლა შეეცდებიან ინტერვენციის მოწყობას.

მე შევეკითხე: მეჩვენება თუ ნამდვილად ასეა, რომ მას ასე ებრალება ხალხი?

„— გონიერი მებრალეებიან. ცოტაა ჩვენში გონიერი ხალხი. ჩვენ უმთავრესად ნიჭიერი ხალხი ვართ, მაგრამ ხარმაცი გონების. რუსი ჭკვიანი კაცი მუდამ ებრაელი, ან და ებრაულ სისხლნარევი“.

მერე გაიხსენა ზოგიერთი ამხანაგები, რომელთაც მოიშორეს კლასიური ზოო-ფსიქოლოგია და ახლა „ბოლშევიკებთან“ ერთად მუშაობენ და ეს გასაოცარი სინაზითა და ალერსით ლაპარაკობდა მათ შესახებ.

ის უკვე თითქმის ავადმყოფი, მეტად დაღლილი, მწერდა მე  VIII. 1921 წელს.

ა. მ.!

თქვენი წერილი ლ. ბ. კამენევს გადაუგზავნე. მე ისე ვარ დაღლილი რომ არაფრის ნიათი აღარა მაქვს. თქვენ კი სისხლს არწყევთ და მაინც არ მიდიხართ!! ეს ღმერთმანი, უნამუსობაც არის და უნაგარიშობაც. ევროპაში, კარგ სანატორიუმში კიდევ იექიმებთ და სამჯერ მეტ საქმესაც ვაკეთებთ, ღმერთმანი. ჩვენში კი—არც ექიმობა, არც საქმე, მხოლოდ ფაცურია, უქმი დავიდარაბა და სხვა არაფერი. წადით, მორჩით, ნუ ჯიუტობთ, გთხოვთ!

თქვენი ლენინი.

ის მთელი წლის განმავლობაში გასაოცარი სიჯიუტით მოითხოვდა, რომ მე გავმგზავრებულყავ რუსეთიდან და მე მაკვირვებდა: სად ეცალა მას, მთლიანად ჩაფლულს მუშაობაში, სად ახსოვდა, რომ სადღაც ვიღაც არის ავად და მოსვენება ესაჭიროება.

ასეთი წერილები, როგორც ზემოთმოყვანილია, მან, ალბათ, ათეულები დასწერა და დაუგზავნა სხვა ამხანაგებსაც.

მე უკვე ვილაპარაკე მისი ამხანაგებისადმი განსაკუთრებული ყურადღებით მოპყრობის შესახებ, ის თავის გამჭრიახი ჭკუით ხვდებოდა მათ წერილმან უსიამოვნებებს ცხოვრებაში. მაგრამ მის ამ გრძნობაში მე არასოდეს არ შემიმჩნევია ანგაარი მზრუნველობა, რომელიც, ხანდახან, ახასიათებს ჭკვიან ბატონს თავისი პატიოსან და მცოდნე მუშაკებისადმი მოპყრობაში.

არა, ეს იყო ნამდვილი გულითადი ყურადღება, ნამდვილი ამხანაგისა, თანასწორის სიყვარული თანასწორისადმი. მე ვიცი, რომ ვლადიმერ ლენინსა და მისი პარტიის უდიდეს წევრთა შორის არ შეიძლება დასვა თანატოლობის ნიშანი, მაგრამ თვითონ მან ეს, თითქოს არ იცოდა, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, არ უნდოდა რომ სცოდნოდა. ის იყო დაუნდობელი ადამიანების მიმართ კამათის დროს, უღმობელად დასცინოდა, ხშირად გესლიანად—ეს ნამდვილია.

მაგრამ რამდენჯერ გამიგონია მე გარკვევით, მისი მსჯელობის დროს, ამ ხალხის შესახებ, რომელთაც ის გუშინ ჯვარს აცვამდა და „ანადგურებდა“, გულწრფელი გაკვირვების ტონი მათი ნიჭისა და მორალური სიმტკიცის გამო, მათი დაჟინებული და მძიმე მუშაობის შესახებ 1918 წლიდან 1921 წლამდე, რომელთაც ირგვლივ რკალივით ერთყვით ყველა ქვეყნისა და პარტიების ჯაშუშები, შეთქმულებები, დამწიფებულ ბალღამიან მუწუკებივით რომ ჩნდებოდნენ ომისაგან ნიათგამოცლილ ქვეყნის სხეულზე. მუშაობდნენ შეუსვენებლივ, სკამ-

დენ ცოტას და მეტად ცუდ საქმელს, ცხოვრობდენ გამუდმებულ საგანგაშო მდგომარეობაში.

მაგრამ თვითონ ლენინი, თითქოს არ გრძნობდა ცხოვრების ამ სიძნელეებს, ცხოვრების, რომელიც ძირბუდიანად იყო შერყეული სამოქალაქო ხოცვა-ჟლეტის სისხლიან ქარიშხლისაგან. და მხოლოდ ერთხელ ემყრებოდა ვლადიმერ ილიჩის ბაასის დროს, მას, მ. ფ.—ს სიტყვით, წამოსცდა რაღაც მსგავსი:

— „რას იზამ, ძვირფასო მ. ფ.? უნდა ვიბრძოლოთ. აუცილებელია. ძნელია? რასაკვირველია, ძნელია, გვიჭირს! თქვენ ფიქრობთ: მე არ მიჭირს? მიჭირს და მერე როგორ! მაგრამ აბა ერთი ძერჟინსკის შეხედეთ, რას დაემსგავსა! რას იზამ! დეე, უკეთესია, ჩვენთვის იყოს ძნელი, ოღონდ ვძლიოთ!“

პირადათ მე მხოლოდ ერთხელ გავიგონე მისგან ჩივილი:

„— საწყენია, სამწუხაროა, რომ მარტოვი ჩვენთან არ არის, ძლიერ სამწუხარო! რა საოცარი ამხანაგია, რა წრფელი, უმწკვილო ადამიანი!“

მახსოვს, როგორ მხიარულად და დიდხანს იცინოდა ის, როცა მან სადღაც მარტოვის შემდეგი სიტყვები წაიკითხა:

„რუსეთში მხოლოდ ორი კომუნისტია: ლენინი და კოლონტაი.

როცა სიცილით გული იჯერა, ოხვრით სთქვა:

— „რა ჭკვიანია!.. ეხ!...“

სწორედ პატივისცემითა და გაკვირვებით აღსაესემ მომშართა მე მან, ერთხელ, როცა მან ერთი ამხანაგი „მეურნე“ მიაცილა კარებამდე.

„თქვენ დიდი ხანია იცნობთ მას? ევროპის, რომელიც გინდა იმ ქვეყნის, მინისტრთა კაბინეტის სათავეში იდგომებოდა“.

და ხელების შმუშვნითა და კმაყოფილი სიცილით დაუმატა:

„ევროპა ჩვენზე ღარიბია ნიჭიერი ხალხით“.

მე წინადადება მივეცი მას მთავარ საარტილერიო სამმართველოში წამოსულიყო და ერთი ბოლშევიკის მიერ, ყოფილი არტილერისტის, გამოგონილი აპარატი ენახა, რომელიც კორექტივაციას უშვებოდა ჰაერობლანის საწინააღმდეგო სროლას.

„რა მესმის მერე მე მაგ საქმეში?“— შემეკითხა ის, მაგრამ მაინც წამოვიდა. ჩამობნელებულ ოთახში, მაგიდის ირგვლივ, შვიდი მოლუშული გენერალი შემოკრებილიყო, ყველა ჭალარით მოსილნი, უღვაშიანი მოხუცები, მეცნიერები. მათ შორის იდგა სამოქალაქო ტანისამოსში ლენინის მორცხვი ფიგურა, ის როგორღაც დაიკარგა მათ შორის, ძნელად შესამჩნევი გახდა. გამომგონებელმა დაიწყო აპარატის კონსტრუქციის ახსნა-განმარტება. ლენინმა ყური უგდო მას ორი-სამი წუთი და კმაყოფილებით სთქვა:

„ჰმ-ჰმ!“ და დაუწყო გამოკითხვა გამომგონებელს ისე იოლად, თითქოს გამოცდას უკეთებდა მას პოლიტიკურ საკითხებში:

— როგორ მიაღწიეთ მერე თქვენ ერთდამავე დროს მექანიზმის მიერ ორმაგი მუშაობის წარმოებას, რომელიც სამიზნო წერტილს ადგენს? არ შეიძლება განა იარაღების ხორთუმების დადგმულობის ავტომატიურად დაკავშირება მექანიზმის მითითებებთან?

ეკითხებოდა სამოქმედო არის მოცულობას და კიდევ რაღაცას. გამომგონებელი და გენერლები მოცოცხლდნენ და უხსნიდნენ მას. მეორე დღეს კი გამომგონებელი მიამბობდა:

„მე უთხარ გენერლებს, რომ მოხვიდოდით თქვენ ამხანაგით, მაგრამ მე განზრახ არ უთხარი მათ, თუ ვინ იქნებოდა ეს ამხანაგი. მათ ვერ იცნეს ილიჩი, და, ალბათ, ვერც წარმოედგინათ, რომ ის მოვიდოდა ყოველგვარ ხმაურობისა, პომპისა და მცველთა გარეშე. მეკითხებიან: ტეხნიკოსია, პროფესორია? ლენინი? საოცრად გაუკვირდათ—როგორ? არა ჰგავს! და—მომითმინეთ!—საიდან იცის მან ეს ჩვენი სპეციალური სიბრძნეები? ის ისეთ საკითხებს იძლეოდა, როგორც მხოლოდ ტექნიკურად მომზადებულ ადამიანს შეუძლია! მისტიფიკაციაა! მგონი, არც დაიჯერეს, რომ მათთან სწორედ ლენინი იყო“...

ლენინი კი მთავარ საარტილერიო სამმართველოდან გამობრუნებული ხარხარობდა და ამბობდა გამომგონებლის შესახებ.

„ხედავ როგორ შეიძლება შეცდეს კაცი ადამიანის დაფასებაში? მე ვიცოდი რომ ის ძველი პატიოსანი ამხანაგია, მაგრამ ის რომ ერთი იმათგანი იყო, რომელნიც ცაში ვარსკვლავებს იტაცებენ, ეს არ მეგონა. ის კი, სწორედ ამისთვის აღმოჩნდა ვარჯისი. ყოჩაღ! არა, გენერლები როგორ აიგროუზენ ვირთხებივით, როცა მე ექვი გამოვსთქვი იმის შესახებ, რომ ამ აპარატს რაიმე პრაქტიკული ღირებულება ჰქონდეს. მე კი განგებ მოვიქეცი ასე,—მინდოდა გამეგო, როგორ აფასებდნენ ისინი ამ გონებასმახვილ აპარატს“.

იცინოდა, მერე შემეკითხა:

„— მიპასუხეთ, ი-ს კიდევ აქვს რაიმე გამოგონება? რაშია საქმე?“

„საჭიროა, რომ ის სხვას არაფერს აკეთებდეს. ეხ, საშუალება რომ მოგვცა, ყველა ამ ტექნიკოსებისათვის იდეალური პირობები შეგვექმნა სამუშაოდ! ოცდახუთი წლის შემდეგ რუსეთი ქვეყნიერებაზე მოწინავე ქვეყანა იქნებოდა!“

დიახ, ხშირად მსმენია მე მისგან ამხანაგების ქება. იმათიც კი, ვინც,—როგორც ხმა დადიოდა,—თითქოს არ სარგებლობდა მისი პირადი სიმპატიებით. ლენინმა იცდოა სამაგიეროს მიგება, ვინც უნდა ყოფილიყო იგი.

მე, გაოცებული მისი ასეთი ღირსეული შეფასებით, შევნიშნე რომ მრავალთათვის ეს შეფასება მოულოდნელი ამბავი იქნებოდა.

„ხო, ხო,—მე ვიცი! იქ რაღაცას სტყუიან ჩემი დამოკადებულების შესახებ მასთან. ბევრს ცრუობენ და, მგონი, ყველაზე ბევრს ჩემსა და ტროცკის შესახებ“.

მაგიდას მუშტი დაარტყა და სთქვა:

„აი, აბა მაჩვენონ მე მათ მეორე კაცი, რომელსაც შეეძლოს ერთი წლის განმავლობაში სამაგალითო არმიის შექმნა და ამას გარდა კიდევ სამხედრო სპეციალისტებს პატივისცემის ასეთი დამსახურება. ასეთი კაცი ჩვენ გვეყავს. ჩვენ—ყველაფერი გვაქვს! და—სასწაულებიც მოხდება“!

მას საზოგადოდ უყვარდა ხალხი, უყვარდა თავგანწირულებამდე. მისი სიყვარული შორს ატანდა, თვით სიძულვილის ღრუბლებშიც კი ატანდა იგი.

ის სისხლიან-ხორციანად რუსი იყო, ვასილი შუისკის გამჭრიახი ტკუით,

პროტოპოპ ავაკუმევიტ რკინის ნებისყოფის. პეტრე დიდის პირდაპირობით, რაც ასეთ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს რევოლუციონერისათვის. ის იყო ისეთი რუსი, რომელსაც დიდი ხანია რუსეთში არ უცხოვრია და გვერდრიდან აღევნებდა თვალ-ყურს ყურადღებით, — შორიდან ის უფრო მომხიბლავად და ბრწყინვალედ მოსჩანს. მან სწორედ შეაფასა მისი პოტენციალური ძალა, — განსაკუთრებული ნიჭიერება ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ სუსტად ბრის განმომტლავებულნი, არ გამოუღვიძებია ისტორიას, რომელიც ჯერ ტლანქია და მძიმე, მაგრამ ნიჭიერებით მაინც უხვად არის დაჯილდოვებული, რაც ისე მკაფიოდ ბრწყინავდა, როგორც ოქროს ვარსკვლავები ფანტასტიურ რუსეთის ცხოვრების ჩამობნელებულ ფონზე.

ვლადიმერ ლენინმა შესძლო რუსეთის გაღვიძება და ის მეტს აღარ დაიძინებს.

მას თავასებურადაც — კარგად — უყვარდა რუსი მუშა. ეს სიყვარული განსაკუთრებით მაშინ მჟღავნდებოდა, როცა ის ვეროპის პროლეტარიატზე ლაპარაკობდა, სადაც ის მიუთითებდა იმ გარემოებას, რომ ის სულ სხვანაირია, სულ სხვაგვარი, რაც ასე გარკვეულად აღნიშნა კარლ კაუცკიმ თავის ბროშურაში რუსეთის პროლეტარიატის შესახებ.

ვლადიმერ ლენინი დიდი, ნამდვილი ადამიანი ამა ქვეყნისა — მოკვდა. ამ სიკვდილმა ბევრის არსება შეარყია და ვინც მას იცნობდა, მისთვის ეს ამბავი განსაკუთრებით მტკინვეული იყო.

მაგრამ სიკვდილის შავი ხაზი კიდევ უფრო მკაფიოს ხდის მის მნიშვნელობას მსოფლიოს თვალში — მნიშვნელობას საერთაშორისო მშრომელი ხალხის ბელადისას.

და ის ნისლი და ბურანი მისდამი სიძულვილისა, ცილისწამებისა და სიცრუისა მის ირგვლივ კიდევ უფრო სქლად რომ იყოს შემობურვილი — სულერთია: არ არსებობს არავითარი ძალა, რომ შესძლოს იმ ჩირალდანის დაფარვა, რომელიც ლენინმა ასწია მალლა გადარეულ ქვეყნიერების სულის შემხუთავ უკუნეთში.

ჯერ არ ყოფილა ისეთი ადამიანი, რომელსაც ისე, როგორც ლენინს, დაემსახურებინოს ამ ქვეყნად საუკუნო ხსენება.

ვლადიმერ ლენინი მოკვდა. მისი შეგნებისა და ნებისყოფის მემკვიდრენი ცოცხალი არიან.

ბოლოს და ბოლოს გამარჯვებული მაინც უანგარობა და სიმართლე არის, რომელიც შეჰქმნა ადამიანმა, გამარჯვებული მაინც ის არის, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი.

ლეონიდ კრასინი

პირველად მე ლეონიდ კრასინის სახელი ნ. გ. გარინ-მიხაილთსკისაგან გავიგონე.¹⁾ ეს სამარაში მოხდა 95-6 წლებში. როცა მან ვერ დამარწმუნა იმაში, რაშიც მას უნდოდა რომ დარწმუნებული ვყოფილიყავი, მაშინ გარინი დამემუქრა:

— თქვენ ლეონიდ კრასინი უნდა გაგაცნოთ, ის თქვენ ერთ თვეში დაგათლიდათ მაგ ანარქისტულ კოპებს და გაგასალაშინებდათ!

ამ მუქარამ მე გამახსენა ნიუეგოროდელი პავლე სკვორცოვი, რომელიც მე არ მომწონდა. ერთი პირველი მარქსისტთაგანი და წიგნის ფანატიკოსი, ჩემი ცხოვრების გზაზე მე ბლომად შემხვედრია მოციქულები და ქეშპარიტების გზაზე დამყენებელნი და მე მუდამ ვგრძნობდი—ყველა ესენი ჩემგან მოითხოვდნენ ერთსა და იმავეს: რომ მთელი ჩემი პირადი გამოცდილებანი, რაც შეიძლება მალე და თვით ამ გამოცდილებათა საზიანოდ, ჩამელაგებინა მათ მიერ ბოძებულ ფორმებში.

1903 წლის ზამთარს მე კურორტ სესტრორეცკში ვცხოვრობდი. მე მარტო ვცხოვრობდი ერთ უზარმაზარ ოთახში; მასში, მგონი, სეზონის დროს, „პანეგმატიური ინგალიტორი“ იყო მოთავსებული, კედლებში ბალის მხარეს ორი ფანჯარა ჰქონდა დატანებული, ფანჯრები მაღალი იყო და კარებზე განიერი მაგრამ მისი ვიწრო და ხშირი ჩარჩოები მე მუდამ საპატიმროს მაგონებდა. ორთქლით სათბობი მილი ყოველ დილით თითქოს შიშინით მეკითხებოდა:

„თევზს ხომ არ ინებებთ?“

ჩემს გარდა კურორტში ვილაც ა. გ. დოსტოევსკია ცხოვრობდა. შეაბანოვე პროხოროვმა მიაშობო რომ ის ვილაც კავკასიელ გენერლის გრიბოედოვის ქერივი იყო, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ნიკოლოზ I-ის დალატისათვის, და ამიტომაც ცხოვრობს ის ახლა სხვისი გვარით. მე გაფრთხილებული ვიყავი რომ ჩემთან „ნიკიტინი“ მოვიდოდა, რომელიც სულ იმ ხანებში იყო კოოპტაციის წესით შეყვანილი ცეკას წევრად, მაგრამ როცა ფანჯარიდან ბაღში თვალი მოვკარი ვილაც ელევანტურად ჩაცმულ კაცს თავზე კატელოკით, ყვითელი ხელთათმანებით და კოპწია ფეხსაცმელებით უკალოშოდ, მე არ შემეძლო დამეჯერებინა, რომ ეს „ნიკიტინი“ იყო.

— ლეონიდ კრასინი, — გამაცნო თავი და მაგარი მუშის ხელი ღონივრად ჩამომართვა. ამ ხელმა ჩემში ნდობა აღძრა, მაგრამ კოსტუმი და მისი უჩვეულო დამახასიათებელი სახე მაინც მოკრძალებასი მაგდებდა. უნდა მოგახსენოთ რომ მაშინ „ზუბატოვის“ დროები იყო, თუმცა ის დაისის პერიოდს განიცდიდა.

გამახსენდა გარინის სიტყვები, პავლე სკვორცოვი, პარტიის მრავალი აქტიური მომუშავენი, მუდამ დაწეწილნი, დაქანცულები და ნერვიულნი. ეს კი არ ჰგავდა კონსპირაციისათვის გამოწყობილ „ბატონს“, კოსტუმი ტანზე ისე მოხ-

1) ნ. გ. გარინ მიხაილთსკი — რუსეთის რომანიისტი, ავტორი „გიმნაზისტების“ „ინჟინერებისა“ და სხვ. მთარგმნ.

დენილათ აჯდა, თითქოს კრასინი ამ კოსტუმში დაბადებულიყოს და შესჩვევოდეს. ყველა პარტიულთაგან, რომელთაც კი მე ვიცნობდი, ის მეტად განირჩეოდა, რასაკვირველია, არა მხოლოდ გარეგანი პეწითა და დამშვიდებული ზუსტი ლაპარაკით, არამედ კიდევ რაღაცით, რომლის გამოთქმაც მე არ შემიძლია. მან სავსებით დამარწმუნებელი საბუთები წარმომიდგინა იმისა რომ ის „ნიკიტინი“ იყო, — ლენინი კრასინი. ნიკიტინის შესახებ მე უკვე ვიცნობდი, რომ ის პარტიის ერთი ენერგიული პრაქტიკოსთაგანი იყო და ნიჭიერი ორგანიზატორი.

ის მაგიდასთან დაჯდა და მაშინვე დაიწყო ლაპარაკი, რომ ლენინის აზრის მიხედვით, აუცილებლად საჭიროა ინტელიგენტ და მუშათა პროფესიონალურ რევოლუციონერთა კადრის შექმნა.

— ასე ვთქვათ — ოსტატების, ინჟინრების, დაბოლოს თუნდაც ამ საქმის არტისტებისა, — განმიმარტა მე მან სასიამოვნო ღიმილით, რამაც გასაოცრად შეცვალა მისი თხელი პირისახე, რომელზედაც რაღაც სილბილე მოეფინა, რასაც ოდნავაც არ შეუმცირებია მისი ენერგიული გამომეტყველება.

შემდეგ მან მიაშობ პარტიის განზრახვის შესახებ, რომ მას დაეალებული აქვს გამოსცეს სოციალ-დემოკრატიის ზოგად-რუსული პოლიტიკური ორგანო.

— ყველაფერ ამას ფული სჭირია. და აი გადავწყვიტეთ თქვენ მოგმართოთ: შეგიძლიათ თუ არა თქვენ ისარგებლოთ საბა მოროზოვთან¹⁾ მეგობრული დამოკიდებულებით ამ საქმეში? რასაკვირველია, გულუბრყვილობაა — სთხოვო კაპიტალისტს ფული იმისთვის რომ მასვე ებრძოლო, მაგრამ — „რით არ იქცევს თავს ეშმაკი, როცა ღმერთს სძინაუს!“ რა კაცი არის ეს საბა?

როცა მან ყურადღებით და მაგიდაზე თითის კაკუნით მოისმინა ჩემგან მოროზოვის დახასიათება, შემეკითხა:

— მაშასადამე, შეეცდებით, არა? და გამარჯვების იმედიცა გაქვთ? ჩინებულია!

ბაასის ეს მხარე მან მალე მოსკრა და ყველაფერი ისე მოათავა, რომ უკვე არაფერი დამატებითი ცნობები, არავითარი საკითხი აღარ იდგა ამ მხრივ გადუქრელი და გაურკვეველი. შემდეგ ის ჭაბუკური ვატაცებით მიაშობდა ლენინის ბრძოლის შესახებ ეკონომისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ და შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვებით დაამთავრა:

— ალბათ, — განხეთქილება მოხდება. ლენინს ეს არ აშინებს, ის იმ აზრისაა რომ ორგანიზატორთა და ბელადების უთანხმოება — ნიშანია მასსების რევოლუციონერ განწყობილების ზრდა-განვითარებისა. თითქოს ის მართალია და თითქოს კიდევ ჩქარობს, მაგრამ, ჯერჯერობით, ის არ შემცდარა, როცა კი მას წინ წაუბრებია და თავი გადაუსწრია.

პროხოროვმა სამოვარი შემოიტანა, ჩაიზე კრასინი ლაპარაკობდა ლიტერატურაზე და მე მაკვირვებდა მისი ესოდენი ნაკითხობა, ლაპარაკობდა თეატრზე, აღტაცებული იყო ვ. ფ. კომისარევესკაიათი, მოსკოვის სამხატვრო თეატრით.

1) საბა მოროზოვი — რუსეთის ცნობილი კაპიტალისტი, რომლის ჩითსაც საკმაოდ იცნობს ქართველი ხალხი „მოროზოვის ჩითის“ სახელწოდებით, მეცენატი.

როცა მე გამოეთქვი აზრი რომ ჩეხოვის პიესები უნდა იდგმებოდეს, არა როგორც ლირიკული დრამები, არამედ როგორც ლირიკული კომედიები, მან გადინხარხარა.

— მაგრამ ეს ხომ თითქმის სკანდალი იქნებოდა! — წამოიძახა მან, მაგრამ მერე ნახევრად დამეთანხმა:

— იქნებ, თქვენ მართალი იყოთ, თუმცა კომედიის სწორედ გასცემდა პასუხს ახალგაზრდობის ჩამოყალიბების გზაზე დამდგარ სოციალურ ყოფასა და განწყობილებას. პანაშვიდები არა თანადროულია, თუმცა ლამაზია. —

მერე სიცილით მიაშპო როგორ ინახულა ლეონ ტოლსტოი.

— მე მაშინ ჯარისკაცი ვიყავ და სულ ახლად მქონდა დაყნოსილი მარქსი.

მიაშპობდა ის ცოცხლად, მოხდენილად, მხიარული ჰუმორით, და ჩემს გონებაში მტკიცეთ გამოინაკვთა გაგულისებული სახე ტოლსტოისა და მისი მჩხვლეტავი შემოხედვა.

სამი საათის შემდეგ ლეონიდ ბორისოვიჩი მატარებლით წავიდა პეტერბურგს, გამოთხოვებისას მითხრა:

— თქვენ აქ ისე ხართ, როგორც ბუზი ტიტველ თავზე, შპიკებისათვის მეტათ ადვილი საქმეა იმ ხალხის თვალყურის დევნება, რომლებიც თქვენთან მოდიან. გაფრთხილებთ, რომ მე კუდი არ გამოწყოლია. მე უჩრდილო კაცი ვარ ისევე, როგორც პიტერ შლეშილი.

მოროზოვთან პაემანი სამი დღის შემდეგ მქონდა. ის მუდამ წესიერად და ყურადღებით კითხულობდა „Искра“-ს და, საზოგადოდ, პარტიულ ლიტერატურას. საბა კარგად იცნობდა ლენინის პოზიციასა, მოსწონდა იგი და, როცა მე გავაფრთხილე, თუ ვისთან ექნება მას ლაპარაკი, მან ისე მიპასუხა, რომ არაფერს არ მპირდებოდა:

— მოვილაპარაკოთ.

რომ შემდეგ ამბავმა არ გააკვირვოს მკითხველი, ისევე, როგორც მე ამან მაშინ გამაკვირვა, ამიტომ საჭიროდ ვთვლი ორიოდ სიტყვა ვთქვა საბა მოროზოვის შესახებ. მე ის 1901 წელს გავიცანი და ამის შემდეგ ორი წლის განმავლობაში დავმეგობრდით, კიდევ, ჩვენ „შენობითაც“ კი ვლაპარაკობდით, რაც მე საზოგადოთ არ მიყვარს. მოროზოვი განსაკუთრებული კაცი იყო თავისი დიდი განათლებით, კკუით, სოციალური გამჭრიახობითა და გარკვეულ რევოლუციონურ განწყობილებით. ეს განწყობილება მასში ნელ-ნელა შეიქმნა, მაგრამ შეიდი წლის წინად, ამ ამბავამდე, ის სრულებით არ მალავდა თავის „რადიკალიზმს“.

96 წელს, ნიჟნიში სრულიად რუსეთის სავაქრო-სამრეწველო ყრილობის ერთი სექციის სხდომაზე საბაეო პოლიტიკის საკითხები ირჩეოდა. ვილაცის საპასუხოდ, წამოდგა დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევი, ლომის ფაფარივით ხშირი თმა-წვერი შეარხია და გაბრაზებულმა განაცხადა, რომ მისი შეხედულებების თანახმა თვით ალექსანდრე III-ც კი იყო. სახელგანთქმულ ქიმიკოსის სიტყვებმა

უხერხული სიჩუმე ჩამოაგდო სხდომაზე. მაგრამ აი მელორტ და ჭალარით მოსილ თავთა შორის ამოტივტივდა მრგვალი, გაკრეჭილი თავი, წელში გაიმართა თათრული სახის ჯაგველა კაცი და გამჭრიახი თვალების კვესით, ხმამაღლა, მკაფიოდ და გესლიანი თავაზიანობით სთქვა, რომ დიდი მეცნიერის დასკვნები, რომელიც გამაგრებულია მეფის სახელით, არამც თუ ჰკარგავს თავის დამარწმუნებლობას, არამედ, პირიქით—სახელს უტეხს საზოგადოებრივ მოქმედებას. იმ დროს ეს დიდი თავხედობა იყო. სთქვა მან ეს სიტყვები და მისგან მთელ დარბაზში საპროტესტო და კმაყოფილების გამომხატველი ხმები ტალღებივით გაიფანტა ირგვლივ.

მე ვიკითხე:

— ვინ არის ის კაცი?

— საბა მოროზოვი.

... რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად რუსეთის ვაჭრები საბაზრო კომიტეტში ლაპარაკობდნენ ვიტტეს უარის განცხადების შესახებ კომიტეტის შუამდგომლობაზე, იმის შესახებ რომ სახელმწიფო ბანკს ვაჭრებისათვის კრედიტის უავლი გაეგრძელებინა. შუამდგომლობა იმით იყო გამოწვეული, რომ იმ წელს ნიჟეგოროდის ბაზრობა გახსნილი იყო გამოფენასთან ერთად, ჩვეულებრივ დროზე ორი თვით ადრე. უარით შეწუხებული მრეწველობის წარმომადგენელი ლაპარაკობდნენ ჩივილითა და ზანტი კილოთი.

— სიტყვას ვიღებ!—სთქვა საბა მოროზოვმა, წამოდგა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო. მერე წელში გაიმართა და ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი, განიერი მოქნევით მოხდენილად მოხაზა რუსეთის მრეწველობის მნიშვნელობა რუსეთისა და ევროპისათვის. ჩემს მუხსიერებაში დარჩა რამდენიმე ფრაზა, რომელსაც ხაზი გაუსვა ორატორმა:

— ჩვენში ბევრს ზრუნავენ პურზე და ცოტას რკინაზე, ახლა კი ისეთი დროა რომ სახელმწიფო რკინის ჯებირებზე უნდა აშენდეს... ჩვენი ჩალის სახელმწიფოს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია... როცა მოხელეები ლაპარაკობენ საქარხნო საქმეებისა და მუშათა მდგომარეობის შესახებ—თქვენ ყველამ კარგად იცით რომ ეს მდგომარეობა „კობოში მდგომარეობაა“.

სიტყვის დასასრულ მან წინადადება შეიტანა, განახლებულ ყოფილიყო შუამდგომლობა კრედიტის შესახებ და მკაფიოდ უკარნახა ვიტტესთან გასაგზავნ ტელეგრამის ტექსტი,—მისი სიტყვები მე გამომწვევი და თავალებული მომეჩვენა. ვაჭრები მოცოცხლდნენ და ღიმილითა და ხითხითით დაადგინეს: ტელეგრამა გაიგზავნოს. მეორე დღეს ვიტტემ უპასუხა რომ კომიტეტის შუამდგომლობა დაკმაყოფილებულია.

ორჯერ ვნახე მე მოროზოვის თათრული სახე და ამ სახემ ჩემზე ერთი მეორის საწინააღმდეგო შთაბეჭდილება მოახდინა: სახის ნაკეთები ლბილ ხასიათს ამჟღავნებდნენ, მაგრამ ხმამაღალ სიტყვებში და გამჭრიახ შემოხედვაში, ხალხის არაფრად ჩაგდება და ბატონობას ჩვეული ადამიანი ცხადდებოდა. არ გადავამეტებთ, თუ ვიტყვით რომ მას დასანახავად სძულდა თავისი წოდების ხალხი და იმათ შესახებ კი, რომელნიც 1901—5 წლებში „ლიბერალობდნენ“, ის ამბობდა:

— ლეკვები. თამაშობენ.

საზოგადოდ, ის მრეწველთა შესახებ მუდამ ირონიით ლაპარაკობდა და მგონი, მათ შორის მეგობარი არც ჰყავდა. შესაძლებელია, ყველაზე უკეთ მის შესახებ ის ფაქტი ლაპარაკობდეს, რომ ორეხოვო-ზუევის მუშებმა არ დაიჯერეს მისი სიკვდილის ამბავი და ამ ამბავს ასე ხსნიდენ: საბჭოთა რევოლუციის ყველა თავისი საქმეები „რევოლუციონერად“ წავიდა და სხვისი გვერდით დადგას მთელ რუსეთში და პროპაგანდას ეწევა. ამას 1914 წელსაც კი ლაპარაკობდენ.

და ვილაც მარკო აზადოვსკი წიგნში «Беды синирателя», სამხრეთ ციმბირის გეოგრაფიულ საზოგადოების განყოფილების მიერ 24 წელს გამოცემულ წიგნში, გვიამბობს, რომ 15 წელს მის მიერ მდინარე ლენაზე ჩაწერილია ასეთი ლეგენდა:

„იპონელებთან ომის დროს საბა მოროზოვი მილიონი არშინი ტილო შესწირა სალდათებისთვის. შეწირულება დიდ მთავარს გადასცა. გაიარა რამდენიმე ხანმა, შედის საბა მოროზოვი დუქანში რალაციის სასყიდლად და ხედავს: მის შეწირულ ტილოს ჰყიდიან. ეტყობა „მოშენიკობა“ გაუწევიათ. ადგა და ამის შესახებ პირდაპირ დიდ მთავარს მოახსენა. მან ეს ითაკილა. უბრძანა დაეპატიმრებინათ საბა მოროზოვი და ციხეში ჩაეგდოთ. როგორც კი საბა მოროზოვი დააპატიმრეს, ქარხნები გაჩერდა, სამუშაო არ იყო, — რა უნდა ექნათ. მუშებმა გაფიცვა მოაწყვეს და წავიდენ მეფესთან სათხოვარით, რომ საბა მოროზოვი გაენთავისუფლებინათ. მეფემ კი ყველა ისინი დახვრიტა. ეს მოხდა იანვრის 9-ს“.

იმისთვის რომ 1906 წლის შემდეგ მუშათა ხსოვნაში ასეთი ლეგენდა დარჩენილიყო, საჭირო იყო, რომ მისი გმირის პიროვნებას სრულიად დაეკმაყოფილებინა მშრომელი ხალხის სოციალური გრძნობა.

მექარხნის საქმიანი საუბარი პროფესიონალ რევოლუციონერთან, რომელიც ამწვავებდა კლასიურ მტრობას, იმდენადვე საინტერესო იყო, რამდენადაც მოკლე. თავში ლეონიდმა დაიწყო ლაპარაკი ვრცლად და „პოპულიარულ“ ფორმებში, მაგრამ მოროზოვი შეხედა მას გამჭრიახ თვალებით და წყნარად სთქვა.

— ეს მე წამიკითხავს, ვიცი. მაგისი თანახმაცა ვარ. ლენინი გამჭრიახი კაცია.

და პეტად მჭერმეტყველურად დახედა თავის ცუდსა და ჯიუტს ნიკელის საათს, რომელიც ან მუდამ უკან რჩებოდა, ან-და წინ გარბოდა ოცი წუთით. შემდეგ დაახლოებით ეს მოხდა:

— რამდენი გინდათ? — იკითხა საბამ.

— რაც შეიძლება მეტი.

საბამ ჩქარი ლაპარაკი დაიწყო. — ფულის შესახებ ის მუდამ უხერხულობას გრძნობდა, ჩქარა ლაპარაკობდა და არ ჰფარავდა განზრახვას, რომ რაც შეიძლება მალე გაეთავებინა ეს ლაპარაკი.

— პირადათ ჩემი შემოსავალი წლიურად სამოციათას მანეთს უდრის, არის

ხოლმე, რასაკვირველია, მეტიც, — ასამდე. მაგრამ მესამედი ჩვეულებრივად ათას წვრილმანებზე მიდის, სტიპენდიებზე და სხვა ასეთებზე. ოციათასი წელიწადში, კმარა?

— ოცდაოთხი სჯობია! — მიუგო კრასინმა.

— ორ-ორი თვეში, არა? კარგი.

ლევონიძე ჩაიციხა, მე შემომხედა და იკითხა:

— არ შეიძლება რამდენიმე თვის ერთად მიღება?

— სახელდობრ?

— ხუთი თვის, მაგალითად?

— ვიფიქრებთ.

და ფართო ღიმილით იხუმრა:

— თქვენ გორკის მეტი გამოართვით, თორემ ის მეეტლეს აბაზად ქირობს და საჩუქრად კი ათ შაურს აძლევს.

მე უთხარი რომ მექარხნე მოროზოვი ლაქიებს საჩუქრად ორ-ორ შაურს აძლევს და მერე ხუთი წლის განმავლობაში მთელი ლამეები სინანულით ოხრავს და იგონებს თუ რომელ წელში იყო ის ფულები მოჭრილი, მან რომ ლაქიებს აჩუქა.

საუბარმა მხიარული ხასიათი მიიღო. განსაკუთრებით ცოცხალი და გონებაშახვილი იყო ლევონიძე. ეტყობოდა, ის ძლიერ მოეწონა მოროზოვს. საბა იცინოდა და ხელებს ისრესდა. მერე მოულოდნელად იკითხა:

— თქვენ, — რა სპეციალობის ხართ? იურისტი არა ხართ — ხომ?

— ელექტროტექნიკოსი ვარ.

— კეთილი.

და კრასინმა გვიამბო მის მიერ აშენებულ ელექტროსადგურების შესახებ ბაქოში.

— მინახავს. მაშასადამე, ის თქვენი აგებულია, არა? არ შეიძლება რომ ორენოვო-ხუევში განათება გამისინჯოთ.

რამდენიმე სიტყვებში ისინი შეთანხმდნენ — გაემგზავრონ ორენოვოში. და, მგონი, 1904 წლის გაზაფხულიდან კრასინი უკვე იქ მუშაობდა. შემდეგ ისინი მატარებელზე წავიდნენ და დამტოვეს მე ოდნავ გულაცრუებული. გამოთხოვებისას კრასინმა მიჩურჩულა:

— თავიანი მუჟიკია!

მე მეგონა, რომ მათი საქმიანი ბაასი მოჭადრაკეთა თამაშს ემსგავსებოდა, რომ ისინი ცოტას იეშმაკებენ ერთიმეორესთან, იდავებენ და თავიანთი გონებაშახვილობას აჩვენებენ ერთიმეორეს. მაგრამ ყველაფერი რაღაც მეტად უბრალოდ გამოვიდა, მოკლედ მოსჭრეს და არ მომცეს მე, ლიტერატორს, არაფერი საინტერესო. ორი ერთი მეორისაგან ძირეულად სხვადასხვანაირი კაცი იჯდა ერთი მეორის პირისპირ. ერთი შუა ტანის, ჩასკენილი, კეთილი თათრული სახით, წვრილი, უსიხარულო და ჭკვიანი თვალებით, ქიმიკოსი სპეციალობით, მექარხნე, პუშკინის პოეზიაზე გადარეული, აუარებელი ლექსები იცოდა მისი ზეპირად და თითქმის მთელი „ევგენი ონეგინი“. მეორე — თხელი, კაფანდარა, პირხმელი, სახე — ერთის შეხედვით, თითქოს „სუზდალური“, ჭკვიანი, მაგრამ, რო-



ქართული
ბიზნესი

ცა დააკვირდებოდი, დარწმუნდებოდი, რომ მისი მკაფიოდ მოხაზული პირი, ხრტილოვანი ცხვირი, კოპიანი შუბლი, ღრმა ნაოჭით შუა გადასერილი, ყოველივე ეს ამჟღავნებდა ადამიანს რუსს თავისი მომხიბლავობით და არა-რუსს თავისი ენერგიით.

საბა, განზრახ, უცნობებთან თავს უბრალოდ, ხეპრე მსგავსად ეკატუნებდა, განგებ ხმარობდა ხალხურ დაბოლოვებებს ლაპარაკში, მაგრამ კრასინთან მან მალე დაანება თავი ამას. ლეონიდი კი ლაპარაკობდა სხარტად, მკაფიოდ, ყოველფრაზაზე იმდენ სიტყვას ხარჯავდა რამდენიც საჭირო იყო მისი აზრის სისწორისათვის და მისი ლაპარაკი მაინც ლამაზი იყო, აღსავსე მოულოდნელი მიმოქცევებით, მოხერხებულად შეტანილ ანდაზებითა და თქმებით. მე შევამჩნიე რომ საბა, რომელსაც უყვარდა რუსული ლაპარაკი, კრასინს სიამოვნებით უსმენდა.

კრასინთან დაახლოვებამ მეტად შესამჩნევი გავლენა მოახდინა მასზე. ის მოცოცხლდა, ჩვეულებრივად უმხიარულო, სკეპტიკოსი და ხშირად მოღუშული სახე გაიხსნა. სამიოდ თვის შემდეგ ის მეუბნებოდა:

— კარგია. უწინარეს ყოვლისა—იდეალური მუშაკია. თვითონ უყვარს მუშაობა და სხვასაც აიძულებს. ჭკვიანიც არის. ყოველმხრივ ჭკვიანია. პატრონის თვალში აქვს; უცებ აუღებს ალლოს საქმეს, და შეაფასებს.

მეორეთ კიდევ შითხრა:

— ოცდაათი ასეთი კაცი კიდევ რომ აღმოჩნდეს გერმანელებზე მაგარ პარტიას შექმნიან.

— მარტო? მუშებს გარეშე?

— რატომ? მუშები თავისით გაჰყვებოდენ...

ის ამბობდა:

— თუმცა მე ნაროდნიკი არა ვარ, მაგრამ მაინც დიდათ მჯერა ბელადებისა.—და დაუმატა:

— უსადავო გოგოლის ტროიკა გაიტანს ეკიპაჟს მთელი თავისი უსაჭიროო და საჭირო მსხდომებით.

კრასინიც მეტად კმაყოფილი ამბობდა საბაზე:

— ევროპიელია, — ამბობდა ის, — სახე მონგოლური აქვს, და — მაინც ევროპიელია!

ჩაიცინა და მერე დაუმატა:

— რუსი ევროპიელია, ასე თუ ითქმის. მე მზად ვარ ვიფიქრო რომ, ეს ახალი ტიპია და ტიპი კარგი მომავალით.

1905 წელს, როცა საბას დახმარებით, პეტროგრადში «Новая Жизнь» და მოსკოვში «Борьба» გამოვიდა, კრასინი აღტაცებული იყო:

— მეტად საინტერესო კაცია ეს საბა! ასეთები, აი, კარგია გყავდეს არამც თუ მეგობრებად, არამედ მტრადაც კი. ასეთი მტერი კარგ მასწავლებელს სჯობია.

მაგრამ საბას ქებით კრასინი არსებითად თავის თავს აქებდა, რასაკვირველია, სრულიად შეუგნებლად. მისი გავლენა საბაზე ჩემთვის ექვს გარეშე იყო. მე ვხედავდი, როგორ ემორჩილებოდა საბა ლ. ბ.-ს პიროვნების მომნიბლავრებას და როგორ თანდათან ცოცხლდებოდა, ფხიზლდებოდა და მეტის უღარდელობით მიჰქონდა თავისი შექმნილი მდგომარეობა სარისკოდ. ეს განსაკუთრებული ეჭვი მომჩინდა მაშინ, როცა მოროზოვმა დამალა თავის სახლში, სპირიდონოვსთან ერთად, რომელსაც ჯაშუშები ფეხდაფეხ დასდევდნენ, დაჰყავდა იგი ეტლით ძვირფას წამოსახამში პეტროვის ბაღში სასეირნოდ. კრასინის მომჯადოებელი ხასიათი ყოველად მოუგერიებელი იყო, მისი პირადი მნიშვნელობა უეცრად ხდებოდა გასაგები ძირეულად განსხვავებულ ხალხისთვისაც კი.

დავარდნილი ხმის გამო, რომ თათქოს ის ც. კ.-ს სხვა წევრებთან ერთად დაპატიმრებულ იქმნა ლეონიდ ანდრეევის ბინაზე, ვ. ფ. კომისარევესკაია მეუბნებოდა.

— მე პირველად ის ბაქოში გავიცანი. მან მთხოვა, რომ სპექტაკლი მომეწყო ვილაციის, თუ რაღაცის სასარგებლოდ. ძლიერ კარგად მახსოვს ის უცნაური შთაბეჭდილება: მშვენიერად გამოწყობილი ელევანტური მამაკაცი, მარჯვე, მხიარული. ერთის შეხედვით ეტყობოდა, რომ ის მიჩვეული იყო ქალებთან ლაციცს და თითქმის რაოდენადმე ხელთავისუფალიც იყო ამ მხრივ, მაგრამ თავისუფალი რაღაც სხვანაირად, უხერხულად არ ჰგრძნობ თავს, არ გაფრთხობს, არაფერი მასში იღუმალი არ არის, დიდ-დიდ სიტყვებს არ ხმარობს, მაგრამ მე მან მაინც მომაგონა რევოლიუციონურ რომანის ყველა გმირები, რომელიც კი ახალგაზრდობაში წამიკითხავს. ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ ის რევოლიუციონერი იყო, მაგრამ სავსებით ნათლად ვიგრძენი, რომ ჩემთან მოვიდა დიდი ადამიანი, დიდი და სულ ახალგაზრად ახალი. შემდეგ, როცა მე მითხრეს, რომ ის გადასახლებული იყო, ციხეებში იჯდა, მე ეს უცებ არც დავიჯერე.

— გადასარევად ენერგიული კაცია, — მეუბნებოდა ლეონიდზე 20 წელს ერთი ცნობილი ელექტროტექნიკოსი პროფესორი, — და გასაოცრად ორგანიზაცია ქმნილია მისი ენერგიის გარეგანი გამოვლინებანი სიტყვაში და საქმეში.

და ასე, მუდამ და ყველა ხედავდა, რომ ლეონიდ კრასინი, „ნიკიტინი“, „ვინტერი“, „ზიმინი“, — განსაკუთრებული ადამიანი იყო.

— მე არ ვიცი ისეთი ამხანაგი, რომელიც ისე საიმედოდ იყოს ჩვენი, როგორც „ნიკიტინი“, — მითხრა მე ერთხელ ჩემმა თვისტომმა „ვიბორგელმა“ პ. ა. სკოროხოლოვმა იუდენიჩის პეტერბურგზე შემოტევის ხანებში, როცა ის ტოსნოზე მოდიოდა იერიშით და მით პეტერბურგს მოსკოვისაგან მოჭრით ემუქრებოდა.

იმ დღეს პეტერბურგში ბევრი დაიბნა, პანიკამ მოიცვა, ლეონიდი კი იდგა ფანჯარასთან ჩემ ბინაზე, კრივოვერკაზე, ყურს უგდებდა როგორ გრუხუნობდა ჯავშნოსანი გეში და ბუზლუნობდა:

— ნავთსადგურში ისვრიან, როგორც ეტყობა. სახურავებს ჰგლეჯს სახლებს და შუშები იმსხვრევა ფანჯარებში. ინგრევა ყველაფერი!

ვილაცა შეეკითხა:

— მოვიგერიებთ?

— რასაკვირველია, გავრეკთ. სულელები — გაიქცევიან, უხარადი კადარჩება. და გაკვირვებისაგან მხრები აიჩეჩა:

— რა უნდათ რომ მოძვრებიან, ეშმაკმა წაიღოს ვგენი! ბრმისთვისაც ხომ ნათელია რომ მათი საქმე წასულია.

შემდეგ შემოგვიჩივლა:

— რაა რომ აგიბოლებიათ აქაურობა! კაცს სული ვერ მოუთქვამს!

ის იმდენად ღრმა სიმპატიებს აღძრავდა თავის თავისადმი, რომ ხშირად ეს რომანტიულ ხასიათს იღებდა. მე ვიცი რომ, მისი სიტყვებით წაქეზებული ხალხი კმაყოფილი და მხიარული მიდიოდა უდიდეს სახიფათო საქმეებზე. აბელ ს. ენუქიძეს, ალბათ, შეუძლია ბევრი რამ გვიამბოს მისი ამხანაგებთან დამოკიდებულებისა და გავლენის შესახებ, რომელნიც მზად იყვნენ ლეონიდის სიტყვით, თუნდაც წყალში გადაცენილიყვნენ და როგორი ყურადღებით ექცეოდა იგი თავის ამხანაგებს! თუ არ ვცდები, თვით ამხ. ენუქიძე იყო მონაწილე იმ გიჟური განზრახვისა, რომ როგორმე გაენთავისუფლებინათ კრასინი ვიბორგის მონუმენტალურ საპატიმროდან. ამ განზრახვის შესრულება მათ დამოუკიდებლად მოიფიქრეს, არავის დაჰკითხებიან და ეს გამოწვეული იყო ამ გაბედულ რევოლუციონერების პირადი სიმპატიებით ლეონიდისადმი, რამაც კინაღამ არ გაართულა კრასინის მდგომარეობა.

სახელგანთქმული „კამო“, „ჩორტი“, — ბოგომოლოვი, გროჯანი, რომელიც შავრაზმელებმა მოჰკლეს მოსკოვში, ერთი იმ მუშათაგანი, რომელთანაც ერთად ლეონიდი ფარულ სტამბას აწყობდა 1904 წელს მოსკოვში, მგონი, ლესნოი ქუჩაზე, ყველა ისინი, ვისაც მე ვიცნობდი და ვინც კრასინს იცნობდა, მელაპარაკებოდენ მე ლეონიდის შესახებ, როგორც თითქმის ლეგენდარულ ადამიანზე.

და, იქნებ, ყველაზე უკეთ ეს სთქვა მის შესახებ, ჩემმა მეგობარმა ექიმმა ალექსინმა, კაცმა, რომელიც გულგრილად უცქეროდა რევოლუციას, რევოლუციონერებს კი სკეპტიკურად:

— მათ, ყველას, „დაუღეჭავი“ წიგნების სუნი სდით, ამას კი არავითარი წიგნი არ „უღეჭია“.

ერთხელ მე ამ ექიმთან ერთად ლეონიდ ანდრეევთან ვიყავი სტუმრად გრუნაში და კრასინი იქ ჩამოვიდა ჩემთან რაღაც საქმეზე მოსალაპარაკებლად. ანდრეევი ცუდ გუნებაზე იყო და რაღაც უხერხულად, უადგილოდ დაიწყო ლაპარაკი, რომ მას აღარ სჯერა რევოლუციის კეთილი გავლენის ხალხზე. კრასინიც ვერ იყო კარგ გუნებაზე, რაღაც აწუხებდა; მან მოისმინა მასპინძლის პესიმისტური განცხადება და მერე ჰკითხა:

— თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ტანის დაბანა საჭირო არ არის, — მაშინ რაღას ადუღებთ ამ საპონს? განა თქვენ არ დასწერეთ „ბასილი თიბელი“, „წითე-

ლი სიცილი“ და კიდევ მრავალი სხვა, რომელთა რევოლუციონური მნიშვნელობა უდავოა?

და, როგორც ეს ლეონიდს ჩვეულებად ჰქონდა ხოლმე, ის აერთო, ლამაზი თვალები ალევზნო და წარმოსთქვა ერთი იმ დიდებულ სიტყვათაგანი, რომელსაც, თუ მოწინააღმდეგის დარწმუნება არა, სრული იარაღის აყრამაინც შეუძლია.

ყველამ კარგად იცის, თუ რა დიდებული ლაპარაკი იცოდა კრასინმა, როცა ის გუნებაზე იყო.

მისი სიტყვის დროს ალექსინმა ჩამჩურჩულა:

— აი ამას ისტორიის სუნი სდის.

კუოკალლაში და კაპრიში, ბერლინში, სადაც კრასინი სიმენს შუკერტისა თუ სიმენს—ჰალსკეს ქარხანაში მუშაობდა სამას მარკად თვეში და ოჯახს ძლივს ინახავდა, პეტერბურგში, ჩემს ბინაზე, იმ სახლში ახლა სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტია მოთავსებული, სადაც ის სამხედრო გემებზე ელექტროგანათების გაყვანილობებზე მუშაობდა, ყველგან სადაც კი „ნიკიტის“ ვნახავდი, ის ჩემში მუდამ უტეხი და შეუდრეკელი ძალღონისა და ამოუწურავი ენერჯით აღსავსე ადამიანის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ცნობილია რომ ის უცებ არ მისულა საბჭოთა ხელისუფლებასთან სამუშაოდ, ის, როგორც მრავალი მაშინ, 17-18 წლებში, ჯერ კიდევ ყოყმანობდა.

— არაფერი გამოვა, — მეუბნებოდა ის. — მაგრამ, რასაკვირველია, ეს რევოლუცია კიდევ მეტს მებრძოლს მოგვცემს მომავალში; გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ცხრაას ხუთმა და ექვსმა მოგვცა. მესამე რევოლუცია გადამწყვეტი იქნება და მალეც მოხდება. ახლა კი მხოლოდ ანარქია იქნება და გლეხთა ამბოხება.

მაგრამ ის მალე დარწმუნდა, რომ აქედან ბევრი რამ „გამოვიდოდა“ და მაშინვე მუშაობას მოჰკიდა ხელი. მან მე მაშინვე მომცა წინადადება რომ მომეწყო „მეცნიერთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია“.

— თუ კი ბურჟუაზია ახერხებდა, თუმცა არც ისე მარჯვედ, კვალიფიციურ ინტელიგენციის ძალთა გამოყენებას, მით უფრო უნდა შევძლოთ ეს ჩვენ, — ამბობდა ის. — ილიჩი სავსებით თანახმაა ჩემი აზრის, რომ აუცილებლად საჭიროა მეცნიერების მუშაკებს მიეცეს ყველაფერი ის, რის მიცემაც კი ჩვენ ამ ჯოჯოხეთურად ძნელ პირობებში შეგვიძლია.

ამაზე უფრო ადრე, 17 წლის გაზაფხულზე, ის ხელს უწყობდა „გამოყენებითი მეცნიერებათა განვითარებისა და გავრცელების ასოციაციის“ დაარსებას, რომლის წევრადაც ის იყო, ისეთ მეცნიერებთან ერთად, როგორიც იყვნენ აკადემიკოსი მარკოვი, ფედოროვი, სტეკლოვი, როგორიც ლევ ჩუგაევი, ზაბოლოტნი, ფილიპჩენკო, პეტროვსკი, კოსტიჩევი და სხვები იყვნენ. ასოციაციაში წევრებად შევიდნენ აგრეთვე კაპიტალისტებიც — ნობელი, ულემანი და კიდევ ვილაცა. „ასოციაციის“ მიზანი იყო რუსეთში სამეცნიერო კვლევა-ძიებათა ინსტიტუტების დაარსება.

კრასინის ინიციატივით იქმნა აგრეთვე პეტერბურგში დაარსებული „სა-
ექსპერტო კომისია“, რომლის მოვალეობაში შედიოდა მხატვრული, ისტორიუ-
ლი, ანუ მატერიალური ღირებულების ძვირფასი ნივთების გადასწავლა პეტერ-
ბურგის საწყობებში და უპატრონოდ დარჩენილ ბინებში, რომლებსაც სძარ-
ცვავდნენ ხულიგნები და ქურდები. ამ კომისიამ შეუნახა ერმიტაჟისა და პეტერ-
ბურგის მრავალ სხვა მუზეუმებს მრავალი ასეული მეტად ძვირფასი ნივთები
ხელოვნურად შესრულებულ ნივთებისა.

ჩემის აზრით, ხალხის უმეტესობისათვის შრომა—უღელია. იმათთვისაც კი,
რომელნიც ხარბნი არიან დოვლათისა და ავლა-დიდების მოხვეჭაში,—საქმე,
მაინც ტვირთია, ისინი კი—ტვირთის მზიდავი ხარები და მონები. მაგრამ არიან
არტისტებიც ჩვენი, მიწიერი საქმეებისა,—მათთვის შრომა და მუშაობა ნეტა-
რებაა. ლეონიდ კრასინი იყო ერთი იმ იშვიათ ადამიანთაგანი, რომელიც
ღრმად განიცდიდა შრომის პოეზიას და მისთვის მთელი ცხოვრება ხელოვნებაა.

თარგმ. დემნა შენგელაიასი.



გორკი

ზამთრის სასახლე
პეტერბურგის მხრებზე ნაშენი,
როცა მეზღვაურთ
უმზადებდა ტყვიას და ბორკილს,
რუსეთის ხალხთა აზვირთებულ ოკეანეში
რევოლუციის ხომალდებით სცურავდა გორკი.
შორს იყო მთვარე
რესპუბლიკის ნისლის მკრებელი,
როცა მნათობებს
გუშავდა ღრუბლებში ბორგვით;
გასცილდა სადგურს თებერვლის მატარებელი,
საბჭოთა ქვეყნის თანამგზავრად დასტოვა გორკი.
შფოთავდა ნევა,
ღვრივ ტალღებს ბრძღვნიდა „ავრორა“,
ჯანყით, მუშებით
ბობოქრობდა დრო და ვიბორგი;
როცა ზვირთები ბალტიის ზღვამ კვლავ ააგორა
ახალ გრიგალის შესახვედრათ გამოჩნდა გორკი.
ისმოდა სროლა,
სადაც გული ბრძღლისთვის სძღვრდა
პქუხდა პიტერი—
ოქტომბერის ბურჯი და მორგვი,
როცა მოსკოვი შემოსეულ მტრებს იგერებდა
ლენინის კრემლის დასაცავად დგებოდა გორკი.
საბჭოთა მხარე,
ინდუსტრიის ძარღვით ნაშენი,
როცა ამრავლებს:
ელსადგურებს, ხიდებს და ბოგირს,
რევოლუციის მიწყნარებულ ოკეანეში
ლიტერატურის ტირაჟით იზრდებდა გორკი.
იმ გრიგალების,
იმ ქუხილის გზით რომ იარო,
გვიმღერე კიდევ—
სამოცი წლის იუბილიარო.

ტრინიტისა მღვდნობა
კუბანის ტრინიტის

საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სააგენტოს მიერ



პრიტიკული ჟანიშვნები

მაქსიმ გორკი

Пусть сильнее грянет буря!!

მ. გორკი.

I

მწერალი ს. ელპატიევი, ერთი იმ ეშვიათი ადამიანთაგანი, რომლებითაც ასე ამაყობს გორკი, ამგვარად გვიხატავს ალექსეი მაქსიმეს-ძეს თავის მოგონებაში.*)

მახსოვს გორკი იტალიაში, პეტერბურგში, კაპრიზე, — უწინ მიხვრა-მოხვრა გრძელი ხელები. გეგონებათ ზურგზე კუხი აქვსო, როგორც საერთოდ ყველა მეკურტნეთ, რომელთაც ათ წლობით უზიდავთ ათფუთიანი ტომრები; დადის მონრილი, — და მე სულ ასე მეგონა: ალბათ სამეზავრო ჩანთა ჯერ კიდევ არ მოსცილებია მის ბეჭებს. ჯდომა არ იცის, ჯერაც ვერ შეუსწავლია რაიმე წესი ჯდომისა, როგორც ეს იციან საერთოდ ყველა იმით, ვისაც ხშირად უხდება ჯდომა, — თითქოს ეს-ეს არის დაჯდა და სადაც არის უკვე აღგებო. სახე ყომრალი, მოწყვნილი და მხოლოდ თვალები, — მტრედის ფერი, გამსჭვირვალე — თვალები მნიშვნელოვნად ბრწყინავენ მოღრუბლულ სახეზე. როდესაც იღიმება სახე უახალგაზრდაედება; აღურსით ივსება და ცოტა ეშმაკურ ელფერსაც ღებულობს. სიტყვებს ისერის ზანტად: და სიტყვებიც რაღაც განსაკუთრებით მძიმეა, თითქოს დიდხანს არ ელფოდა მათ მათი პატრონი და ისინიც, როგორც იქნა, დიდის გაკირვებით დაუსწლტენ მას; გორკის სულ არა აქვს „მსუბუქი სიტყვები“, მან არ იცის რა არს „სასტუმრო ბაასი“, — ის ბაასი, რომელსაც ფრანგულათ უწოდებენ „causerie“, რაიც რუსულად ნიშნავს „беседа“. მისი სიტყვები ყოველთვის მწერალია, გამკიცხავი, ან და აღფრთოვანებული და ღმობიერი. კიცხავს და ლანძღავს რუსეთს იმის გამო, რომ იგი უსუფთაო, არ არის ისეთი სილამაზის, როგორც ეს სურს მას, და უნდა დააჯგროს საკუთარი თავი, რომ მართლაც ძაგს იგი. მწერალია და უკმაყოფილო, როდესაც ვერ ნახულობს მასში — რუსეთში — ვასკა ბუსლაევის და რიჩარდს ლომის გულს, მაგრამ თუ ნაზავს ან და „იგონებს“, — გონია, რომ ნაზა, უნდა უყუროთ მაშინ მის აღფრთოვანებას და სინარულს!! როდესაც კი შეხედება ახალ ნიკს, ან და ნიკის პატარა, თუ გინდ უმნიშვნელო ნასახსაც უზომოდ ბედნიერია: გულში იხუტებს ახალ ადამიანს თავისი უხეში, მაგ-

*) С. Елпатьевский, Горький, Чехов и Толстой.

რამ მზურვალე აღერსით. სიზარულისაგან აღელვებული მისი თვალები ცრემლ-
ბით ივსებიან. ის სტირის, ნამდვილად სტირის, როდესაც უცქერის ასე მაღლა კა-
პრიზე—სადმე სირაჯ-ზანაში—საყვარელ ტარანტელას—იტალიელთა ამ საოცარ
ზღაპარს.

ის არ არის პოლიტიკოსი და მართლაც როგორ უნდა შეეფუოს პოლიტი-
კა ზღაპარს?

ასეთი ყოფილა გორკის გარეგნობა. კიდევ უფრო მსუბუქი იგი ტოლსტოვა-
ფიულ სურათებზე. დაღვრემილი, ნალვლიანი, ყოველთვის ჩაფიქრებული, ყო-
ველთვის დამძიმებული, რაღაც მწარე და უსიამოვნო ფიქრებით. აი გორკი და
ტოლსტოვი ერთად გადაღებული: უმზეო, უხალისო ფონი. ზედმეტად ჩაფიქრე-
ბულა ტოლსტოვი, მაგრამ მაინც „გემოიანად“ გამოიყურება. ცალი ხელის თი-
თები ქამარში გაუყრია, მეორე ხელში ჯოხი უკავია და ცერით აგრეთვე ქა-
მარზე დაყრდნობილა; გრძელი ბლუზა, წინ ცოტა—ეტყობა ხელოვნურად დანაო-
კებული; გახსნილი პალტო... ეშმაკურად ჩაფიქრებულია—პატარა თვალები განზე
იციქირებიან... ეს ტოლსტოვი—არა მარტო საოცარი ადამიანი იასნაია პოლიანი-
დან,—არამედ ავტორი „ომისა და ზავის“, „აღდგომის“ და „ახალი სახარების“.
სურათზე ტოლსტოვი მწერალი ნათლად სჩანს,—„ბარინი“, რომელსაც უნდოდა
ახალი ღმერთი შეექმნა...—და მის წინასწარმეტყველად თავისი თავი მოჰქონდა.
ერთი სიტყვით, დიდი ადამიანი, რომელსაც ისტორიის სარკეში არა ერთხელ
და ორხელ ჩაუხედავს—აბა როგორი ვარო?!

და აი გორკი: გრძელი, უშნოთ მოყვანილი; პალტო—შებნეული: ორივე
ხელი დამალული, ერთი—პალტოს ჯიბეში, მეორე კი პალტოს სახელოში
ჯოხზე დაღლილი დაყრდნობილა... მაგრამ სახე დაუვიწყარია თავისი სასოწარ-
კვეთილებით, თითქოს მისი კლექი სწორედ სახეს გადაჰფარებოდეს. გამხდარი
სახე—მაღალ ტანზე განსაკუთრებით—ტუჩები თითქოს ცოტა გახსნილი, ცრემ-
ლიანი თვალები, არა სიზარულის ცრემლებით, არამედ რაღაც გარდუვალი მწუ-
ხარების. და მის მთელ მოყვანილობაში: უშნოთ დაბჯენილ ჯოხში, დამალულ
ხელებში, გრძელ პალტოში, მოღრუბლულ სახეზე და სოველ თვალებში—არ
არის ნატამალი რაიმე ხელოვნურობისა, რაიმე, თუნდაც ოდნავი აქტიურობისა.
მისი სოველი თვალები ნათლათ ამტკიცებენ, რომ ისტორიის სარკეში მათ არა-
სოდეს ჩაუხედავთ და ეტყობა ისე დაიხუჭებიან სამუდამოთ, რომ არც ჩაიხე-
დვენ...

ასეთია გორკი მის უკანასკნელ სურათზეც, რომელიც მოათავსა „კრასნა-
ია ნივამ“ გორკის საიუბილეო ნომერში... მაგრამ ასეთი არ არის გორკი თავის
ნაწერებში. გორკი ავტორი „დედის“, „აღსარების“, „ბოსიაკების მოთხრობე-
ბის“, „არტამონოვების“, „კლიმ სამგინის“, თუ გინდ „На дне“-საც... განა შეი-
ძლება ასეთი გარეგნობა ქონდეს იმ ფანტასტიურ ოპტიმისტს, რომელმაც დაი-
ყვირა უჩვეულო სიმხნევით და სიმაგრით: „Безумству храбрых поем мы пес-
ню“, რაც მასთან ერთად გაიშეორა მთელმა ახალმა რუსეთმა!! განა შეიძლება
სასოწარკვეთილება იმ ადამიანის სახეზე, რომელიც ყოველთვის იმას გაიძახის
და მზად არის სულ იმეოროს იგი, რომ ადამიანს უფლება აქვს იამაყოს თავი-
სი თავით... გორკი ყველაზე უფრო იმედიანი, ყველაზე უფრო ოპტიმისტი

მწერალია მთელ რუსეთის ლიტერატურაში. ამ მხრივ შეიძლება პუშკინი დაგვეყენებია მის გვერდით, რომ პუშკინის ოპტიმიზმს მხიარულ ახალგაზრდის უღარდებლობის სუნი არ ასდიოდეს. პუშკინს—ეს ხომ ცხადია ებლა—მაინც-დამაინც დიდად არ აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები. მისი ოპტიმიზმი—კმაყოფილებაა თავისი ბედით გენიალურ პოეტის; ემსჯინ როდესაც გორკის წარმოდგენაც კი შეუძლებელია გარეშე—სასწრაფოებრივ განახლების საკითხებისა. გორკის ოპტიმიზმი კაცობრიობის აუცილებელ ბრწყინვალე მომავლით გაელენთილი სიხარულია. მომავალი ბედნიერება ადამიანებისა—ეს გორკისათვის ურყევი ქეშმარიტბაა—აი ის საფუძველი, საიდანაც გამომდინარეობს მთელი მისი ცხოველმყოფელობა, ოპტიმიზმი, სიხარული და სიამაყე ადამიანით... ტოლსტოიც ოპტიმისტი იყო, მაგრამ მისი ოპტიმიზმი გამომდინარეობდა მდგომარეობასთან შერიგების ფილოსოფიიდან; არა-ბრძოლა, არამედ შერიგება არსებულ მდგომარეობასთან... გორკის ოპტიმიზმი კი ეს ბრძოლი ოპტიმიზმი ია, მომავალ გამარჯვების აუცილებლობაზე აღმოცენებული სიხარული... ვიმეორებთ, ოუსეთის ლიტერატურამ არ იცის მეორე ისეთი იმედინობით და გამარჯვების აუცილებელი გრძნობით გახარებული მწერალი, როგორც გორკია. თვით ნეკრასოვი—ეს ყველაზედ უფრო რევოლუციონერი დამებრძოლი პოეტი—ძველი წარსული დროებისა, რომელიც გამალებით ებრძოდა ძველ ქვეყანას, იგიც ხშირად გულგატეხილი ეცემოდა ძირს. ეს სწორედ მას აღმოხდა საშინელი სასოწარკვეთით აღსავსე სიტყვები იმედ დაკარგულ ადამიანისა:

Иль судьб подчиняясь закону,
Все что могли уже совершил;
Создал песню подобную стону
И духовно навеки почил!

და ეს არც გასაკვირია. რუსული კლასიკური ლიტერატურის ყველა კორიფეები—ძველის ჩარჩოებში მოქმედებდნენ... მართალია ძალიან ხშირად—და მიტომაც არიან ისინი კორიფეები. ისინი ხელოვნების ისეთ სიმალლეს აღწევდნენ, რომ თივის ვიწრო ჩარჩოებს იქეთაც გადასცქეროდნენ; კაცობრიობის მტკივან და საბედისწერო ადგილებს სჭერეტდნენ—თავის ნამოქმედარს საკაცობრიო ხასიათს აძლევდნენ—მაგრამ,—მათი მხატვრული მოქმედების საფუძველი მაინც ვიწრო იყო, მათი ფესვები ძველი ქვეყნის მიწის სიღრმიდან იკვებებოდა—გორკი ერთად-ერთია, ძველი ლიტერატურიდან, რომელმაც ახალი საფუძველი გამოუნახა მწერლობას... ახალი დასაყრდნობი ქვაკუთხედი მისცა მას... გორკიმ პირველმან—რუსულ ლიტერატურაში—პროლეტარიატის სავალი გზა აირჩია—თავის მხატვრულ სამოქმედო გზათ. გორკი პროლეტარიატის მწერალია და ამიტომაც მოხდა, რომ თითქმის ერთ და იმავე დროს გამოვიდნენ ბრძოლის ასპარეზზე ლენინი და გორკი—ერთი როგორც ბელადი პროლეტარიატის პოლიტიკური ბრძოლების ძალა-უფლებისათვის, მეორე როგორც მხატვარი პროლეტარიატის თვალთახედვისა. და ისევე, როგორც ლენინი იყო ყოველთვის ოპტიმისტი პოლიტიკოსი, რადგან ოპტიმისტი იყო კლასი, რომელსაც ის მეთაუ-

როადა, ისევე ოპტიმისტი იყო და არის გორკი, რადგან ის მხატვარია პროლეტარიატის, კაცობრიობის ბედის გადამწყვეტი კლასის.

ამიტომ, ვამბობთ, არა გავს გორკის გარეგნული სახე — გორკის „ქარიშხალას“ შემოქმედებას, ალექსეი მაქსიმისძე პეშკოვი — მაქსიმ გორკის, ელპატიევსკი, რასაკვირველია, მართალია, ალექსეი პეშკოვის სწორედ ისეთი გარეგნობა ექნება, როგორც ის გვიხატავს, ალბად ფოტოგრაფებიც არ სჩუქუნენ, — ალექსეი პეშკოვის გარეგნობაზე აღიბეჭდა, ალბად, ის საშინელი დღეები, რომლებიც ასე უხვათ ეკვმოდა მის თავზე და რომელთა შესახებ შემდეგ ის სწერს:

Было мучительно обидно, почему я встречаю так много грязного и жалкого, тяжело глухого или странного.

მისი ცრემლებით სავსე თვალები, ნაოკები შუბლზე და ღრუბლიანი ნალველით აღსავსე სახე — წარსულის ნიშნებია — კოშმარებით და საშინელებით სავსე წარსულის მისი პირადი ცხოვრებისა; მაგრამ სიხარულით, სიყვარულით, იმედით და გამარჯვების უტყუარი რწმენით არის აღსავსე მისი გული. „ჭკვიანი გული“ — ამ გასაოცარ მწერლისა, რომელმაც რამდენათაც უფრო მეტი ტანჯვა-წვალება იგემა სიბნელეში და უვიცობაში ჩაფლულ ადამიანთაგან, იმდენათ უფრო მეტი სიყვარულით აავსო მის მიმართ, მის მომავლისადმი — თავისი შრავალი გრძნობების დამტევი გული...

ის, ვინც გორკის შემოქმედებას იცნობს, გაუჭირდება ალექსეი პეშკოვის სურათებში გორკის დანახვა. ფოტოგრაფიული აპარატი უძლური ინსტრუმენტია, — ის მხოლოდ ადამიანის გარეგნობას ხატავს; გული კი მისთვის დაფარულია... თვალებიო, ამბობენ სარკეა — გულის, მაგრამ ეს იმის სურვილზეა დამოკიდებული, ვისაც ეს თვალები ეკუთვნის. გორკი ეტყობა, არც თუ ისე დიდი ხალისით უხსნის თავის შინა ქვეყანას ფოტოგრაფის მამუზარ აპარატს; ან და იშვიათად... იმიტომ ვამბობთ იშვიათად, რომ ერთხელ მე ვნახე ალექსეი მაქსიმისძე პეშკოვის სურათი, რომელიც განსაკუთრებული კემშარიტებით გვაძლევს საყვარელი მწერლის — მაქსიმ გორკის — სურათს, სწორედ ისეთს, როგორიც უნდა იყოს ეს პოეტი თავის ნაწერების მიხედვით. ეს სურათი აგრეთვე ფოტოგრაფიულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ფოტოგრაფიული აპარატი მოუხმარია არა რომელიმე სპეც ფოტოგრაფს, არამედ ახალგაზრდა, ნიჭიერ ბელეტრისტ ლეონი დ ლეონოვს. სურათს ასე აწერია: გადაღება ლეონიდ ლეონოვის. ფოტოგრაფიის არაფერი მესმის და არ ვიცი რა როლს თამაშობს თვით აპარატის პატრონი ე. ი. გადამღები სურათის მხატვრულად გამოყვანაში... მე ეს არ ვიცი... მხოლოდ ეს კია რომ ლეონიდ ლეონოვის ხელში ეს აპარატი საოცრად ამუშავებულა: ჩვენს წინ არის ნამდვილი გორკი, ე. ი. ის მწერალი, რომელსაც დაუწერია ამოდენა ტომები — გამარჯვების სიხარულით აღვსილ მხატვრულ ამბებისა, რომლებშიაც უველაფერია, გარდა გულგატეხილობისა, პესიმისმისა, უიმედობისა და სასოწარკვეთილებისა, შეიძლება ეს გასაოცარი ამბავი მიეწერება არა იმდენად ლეონოვს და მის აპარატს, რამდენადაც გორკის: მოისურვა, ხათრი დასდო ახალგაზრდა „კოლეგას“ — გორკის ხომ ასე იშვიათი სიყვარულით უყვარს ნიჭის მქონე ახალგაზრდები — და მის აპარატს და თავისი ში-

ნაგანი სინათლე მხატვარისა, მწერალისა, შემოქმედებისა თავის გარეგნობას გადასცა... შეიძლება...

ზაფხული. ნათელი დღე. უზომო მზის სხივები. ბალი თეთრად ბრწყინვალე ფოთლებით და ხის შტოებით. ყველაფერი სიცოცხლითაა ავსილი, სიცილით... და გორკიც იცინის. სწორედ რომ იცინის: საკვირველი სიხარულით. უღიაშებს ქვევით კბილები მოსჩანს. ცხვირის ნესტოები გადიდება. სწორედ რომ იცინის ხშირ ფოთლებს გამოპარვია მზის ერთი სხივი და სწორედ აქ ცხვირის მარცხენა მხარეზე უთამაშებს. თვალები მიჭუტული—მარცხენა უფრო: იმიტომ, რომ მზის „ბაჭია“ ხანდისხან მასაც სწვდება... მიხუტულ თვალებში, ეშმაკური სიხარულია: თითქოს ამბობენ თვალები—ჩვენ რაღაც ისეთი ვიცით, რომ... ჩვენ—შკითხველებმა—კარგათ ვიცით თუ რა იციან მათ... ვიცით, როგორ არა! სიყვარულზე და სიხარულზე—აი რას ამბობენ პატარა—ეხლა სრულებითაც არა სოველი თვალები.. თეთრ ბლუზაშარვალში,—საზაფხულოთ, ბლუზის საყულო გადაკეცილი, გრძელი ხელები მუხლებზე გადაწყობილი, ბალის უბრალო სკამზე—ფართოდ, გემოიანად, ხალისიანად ზის მაქსიმ გორკი... ეს ვინ სთქვა, რომ გორკიმ ჯდომა არ იცისო? ეს ხომ ალექსეი პეშკოვმა არ იცის ჯდომა, თორემ მაქსიმ გორკიმ? თქვენგან მოწონებული. ლაზათიანად ზის, არც აპირებს, ეტყობა, კარგა ხანსაც აღგომას: გრძელი ფეხები შნოიანად და თავისუფლად გაუშლია; ერთი ფეხი იქვე გადებული ქვაზე მიუბჯენია. თავი მაღლა აუწევია და მთელი სახით—არა მარტო თვალებით—გაიყურება შორს, შორს. ალბად საყვარელ სამშობლოსკენ—მშრომელები რომ არიან გამარჯვებული. სორენტოში—ის ხომ ყოველ წამს თავის ქვეყანაზე ფიქრობს არა ნალექით, არა მწუხარებით, არამედ სიხარულით და იმედიანი სიყვარულით. სურათი გადაღებულია იტალიაში, სორენტოში 1927 წ. რ თავის შემდეგ მას სამოცი წელი შეუსრულდება. სამოცი წელი! მაგრამ მოხუცებულობის რომ არაფერი ნიშანი აქვს?! მომწიფებული ვაჟკაცი—ჯან-ლონით სავსე (სად არის მისი ქლეჭი)—სიხარულით შემყურე მომავალ წლებისა; იმდენად იმედიანად გვპირდება დიდი წიგნის დაწერას—ახალ ადამიანზე. ასეთია გორკი ლეონიდ ლეონოვის სურათზე, ასეთია იგი სინამდვილეში, ე. ი. თავის შემოქმედებაში.

II

იმ მწუხარე დღეებში, როდესაც მთელი ჩვენი საზოგადოებრივობა დაჯარული იყო მძიმე სუდარით მე-80 წლების რეაქციისა, როდესაც ცხოვრების ზედაფენაზე უხალისოთ და უსაქმოთ დაეხეტებოდნენ ულონო, ფერწასული ტიპები ჩეხოვისა—აბალი ძალ-ლონით სავსე ძალა კა, რაიც უკვე დაიბადა სადღაც სიღრმეში და ჯერ კიდევ იმალებოდა საზოგადოების წიაღში—აი ამ მოსაწყენ დღეებში გორკი გამოვიდა შეუპოვარ ქადაგათ მამაცთა სიგიჟისა.

ასე იწყებს თავის საინტერესო წერილს გორკიზე თეთრგვარდიელთა ტყვიით უდროოდ დაკარგული დაუვიწყარი ვოროვისკი *).

„1 მარტის ადამიანებზე“ გამარჯვებული რეაქცია თავს ურყევად გრძნობდა. პობედონოსცევის შავი ანათორა შავად ეფარა მთელ რუსეთს, ლიტერა-

*) А. Воровский. Литературные очерки.

ტურა ემზადებოდა ვლადიმერ სოლოვიოვის რეაქციონურ ფილოსოფიისა და ესთეტიკის დასაგვირგვინებლად. ნეკრასოვის და ჩერნიშევის „მიმდევარნი“ — მხოლოდ სანტიმენტალურ ნადსონით და უნიჟო ზლატოვრატსკი-ბობოროკინით „ამოიწურებოდენ“. ქლეჩიანი ნადსონი თავის ბედზე სტიროდა და მხოლოდ ხანდისხან აიმაღლებდა ხმას უსამართლობის წინააღმდეგ. მაშინაც ეს ხმა უფრო გალახულის ტირილს წააგავდა, ვიდრე მებრძოლის რისხვას.

Облетели цветы, догорели огни,

Непроглядная ночь, как могила темна.

ეს კარგად იყო ნათქვამი ნადსონის მიერ, დასახასიათებლად იმისა, რასაც გრძნობდა მაშინ ეგრედწოდებული „მოწინავე ნაწილი“ საზოგადოებისა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ეარგოდა იმისათვის, რომ ვინმე ბრძოლაში წაგეყვანა. რა ბრძოლა! რის ბრძოლა! აქ უსაზღვრო უიმედობა და სასოწარკვეთილება იყო მხოლოდ. ღამე მართლაც რომ ბნელი იყო და გზას ნადსონი აბაროგორ გამონახავდა?... იგი მისთვის, როგორც სხვა მრავალ „პატიოსან“ ადამიანთათვის, არსად სჩანდა, გარდა სანტიმენტალურ ოხერა-გოდებაში. ნადსონი კარგი დამტირებელი გამოდგა... „სინათლის სხივი ბნელეთის სამეფოში“ — მას არ შემოუტანია. მისი სანთელი მხოლოდ ბეუტავდა საცოდავად. არც ზლატოვრატსკი, ნაუმოვი და ბობოროკინი, ანათებდენ ჩირალდნებით, ჩერნიშევსკის და გლებ უსპენსკის — ეს უნიჟო ეპიგონები; მათ ვერ მონახეს თავიანთ „შემოქმედებაში“ ისეთი მაგარი, მჭრელი სიტყვა, რომ პატარა ნიავის მსგავსი ძალის ღელვა მაინც გამოეწვიათ ლიტერატურის ქაობზე... გლებ უსპენსკის ნატურალიზმს კიდევ ქონდა გამართლება... უმთავრესად იმიტომ, რომ უსპენსკი კარგი მხატვარი იყო, ეპიგონები კი, ამ მხრივ სრულიად უვარგისი გამოდგენ. შეყვარებული ქალვაჟნი, — სანტიმენტალურ წუთების დროს ნადსონს ალბად დღესაც კითხულობენ, ზლატოვრატსკი და ნაუმოვი კი აბა ვის ახსოვს! პოლიტიკურად სასიკვდილოდ განწირული „ნაროდნიკობა“ ლიტერატურაშიც კვდებოდა. ჩეხოვის გმირები ცოცხალი იყვნენ, მაგრამ ვაი ასეთ სიცოცხლეს... უღონონი, უძღურნი — ყველაფერში და ყოველ საქმეში — ისინი საზოგადოებრივ ბრძოლებისათვის, ცხადია, ვერ გამოდგებოდენ... ჩეხოვი არც ცდილა მოეცა ასეთი ადამიანები... ის ბუნებრივად შეიქნა მხატვარი „ზედმეტ ადამიანებისა“. „ალუბლის ბალი“, „ძია ვანია“ და სხვები — ეს იყო ნამდვილი სურათი სადღაც საზოგადოების ინტერესებისაგან მიმალულ, შორს გადახვეწილ, თავის ვიწრო, საკუთარ უინტერესო „მეში“ ჩაფლულ, ხერხემალ გატეხილ ადამიანისა. ჩეხოვი დიდი ნიჭის პატრონი იყო, ამგვარი ტიპებიც ბლომად დაფარფატებდენ ბნელეთით მოცულ მაშინდელ რუსეთის ზედა ფენზე. მათი დანახვა ადვილი იყო, მით უმეტეს ჩეხოვისათვის, რადგან პირადი თავისი განწყობილებითაც ჩეხოვი ანტი რევოლიუციონური, არა მებრძოლი, ბუნებით პესიმიისტი ადამიანი — ახლო იდგა მათთან. ჩეხოვმა ხანგრძლივი სიცოცხლე მიანიჭა ამ უსისხლო ადამიანებს თავისი მხატვრული ნიჭის წყალობით. სამხატვრო თეატრმაც ხელი შეუწყო ამას... სავალალო აქ მაინც და მაინც არაფერი იყო, რადგან ყველას დასანახათ გამოაშკარავდა ამ ადამიანთა

მთელი უსუსურება და ულონობა. „ქვეყნის ხსნას“, ცხადია მათგან არაფერ მოელოდა. ჩეხოვი არ იყო მებრძოლი მწერალი, მსგავსად თავის გამირებისა; ის არც ცდილა გამხდარიყო ასეთად...

ბურჟუაზიულ „რაზნოჩინულ“ ინტელიგენციის ერთი ნაწილი — განსაკუთრებით ახალგაზრდობა — არ დაკმაყოფილდა არც ნადსონის ლიტერატურული უიმედო ჩივილით ბედის სიდუხჭირეზე, არც ზლატოვრატსკი-ბობოვიჩის კონიქო დი უპერსპექტივო ნატურალიზმით, არც ჩეხოვის უილაჯო ადამიანებით, რომლებმაც არ იცოდნენ, არ უნდოდათ და არც შეეძლოთ ბრძოლები და წინსვლა. მდგომარეობა კი წინააღმდეგობის გაწევას მოითხოვდა — დასაყრდნობი წერტილი, ძალა — ამ ახალგაზრდობამ ვერ გამოიხატა — და ბრძოლა ვითომც „ინდივიდუალიზმის“ საკითხებში გადაიტანა. ეს ანარქული იყო ძველი „ნაროდნიკობის“, მაგრამ შეკვეცილის გლეხობისადმი პესიმიზმით... ლიტერატურაში ამას მიყვა, ეგრედწოდებული, სიმბოლიზმის გაჩენა. საკვირველია, მაგრამ ეს ფაქტია: სიმბოლიზმი, ლიტერატურული დეკადანსი, რომელიც საზღვარ გარეთ ნამდვილ რეაქციით მოველინა კლასიკურ ევროპის ლიტერატურას (რეაქცია ზოლას, ბალზაკის, დიკენსის, ტეკერეის, იბსენის, გიუგოს — რევოლიუციონურ რეალიზმს და რომანტიზმს), რუსეთში იგი ვითომც და რევოლიუციის ფარ-ხმალით და დროშით შემოიჭრა... პიროვნების თავისუფლება — ძირს ყოველივე რაც უშლის ამას ხელს! — ასეთი იყო მხატვრული ასახვა რუსულ სიმბოლიზმის პირველი ნაბიჯებისა. მაგრამ ასე იყო მხოლოდ პირველ ხანებში: ადრე, ძალიან ადრე ფარხმალის ქარქაშში ჩააგეს, დროშა დაკეცეს და ახალგაზრდა „წინასწარმეტყველები“ თითქმის სრულიად დაშორდნენ საზოგადოებრივ საკითხებს, თუ გინდ პიროვნების განთავისუფლების საზომითაც... დასაყრდნობი საფუძველი არ ქონდათ, გამოსავალი წერტილიც მათი მხოლოდ „მე“ იყო და ასეთ პირობებში, ცხადია, სიმბოლიზმი, როგორც საზოგადოებრივ მამოძრავებელი ძალა, ფიქციით უნდა გამხდარიყო... ყველაზე ნიჭიერმა მათ შორის, ბალმონტმა ადრე შეიცნო ეს და გულახდილად სთქვა:

В моих песнопениях — журчание ключей,
 Что звучат все звончей и звончей.
 В них женственно страстные шлопоты струй,
 И девический в них поцелуй.
 В моих песнопениях застывшие льды,
 Беспредельность хрустальной воды,
 В них белая пышность пушистых снегов
 Золотые края облаков...

ეს ლამაზად იყო ნათქვამი, მაგრამ გაბედულადაც... საზოგადოებრივ ცხოვრებიდან გაქცევის შესახებ.

ასეთი იყო გაბატონებული დრო და ლიტერატურაც შესაფერისად აეწყო... ძველი „ქვეყნის ბატონ-პატრონი“ არ იძლეოდა არაფერთარ მასალას, საკვებს — ძლიერ მებრძოლ ადამიანისათვის... ის დრო, როდესაც რადიკალური ინტელიგენცია ბადებდა ბელინსკის, პისარევის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის, ნეკრასოვის, გლებ-უსპენსკის — ეს დრო წავიდა. საჭირო იყო ახალი დასაყრდნობი ძალის გამო-

ნახვა; იგი არსებობდა, ეს ახალი ძალა იყო, ახალი კლასი, პროლეტარიატი, რომელიც ის-ის იყო რუსეთში გამოდიოდა ბრძოლის ასპარეზზე, როგორც „თვით შემგნები კლასი“, კლასი, რომელსაც უკვე მოენახა თავისი თავი. მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან სუსტი იყო მისი ხმა, ჯერ კიდევ არ სჩანდა ნათლად, რომ მომავლის ბედი სწორედ ამ კლასს ეჭირა ხელთ. „და რომ გაგეგონათ ეს სუსტი ხმა ახლად დაბადებულ ახალ ცხოვრებისა, საჭირო იყო იმ წლებში შინგვან-განახლებებისა—თვით ყოფილიყავ ახალგაზრდა სულით!.. ამ მისიისათვის საჭირო იყო სპეციალურად დაბადება. და ასეთი მხატვარი დაიბადა: ეს იყო მაქსიმ გორკი“...

III

გორკიმ რომანტიზმით დაიწყო. მაგრამ ეს რომანტიზმი არ იყო რეაქციონური, ე. ი. წარსულ დროებაში არ ეძებდა იგი ხსნას; რეგრესით არ მიდიოდა. გორკის რომანტიზმი ეს რევოლუციის რომანტიკა იყო, მღელვარე, დაუდრგომი, სულ წინ მსვლელი, დღევანდლის საფსებით უარყოფელი... ახალგაზრდობას ყოველთვის სჩვევია აღფრთოვანება—ლიტერატურაში იგი ხშირად რომანტიზმის სამოსით გვევლინება, რევოლუციონური რომანტიზმით... ახალგაზრდა იყო გორკის კლასი, რომელსაც ის ერყუნობოდა და რომელიც იყო მისი ქვაკუთხედი, ახალგაზრდა იყო თვით გორკი—ცხოვრება, სინამდვილე კი ბნელით და უკუნით იყო მოცული—მით უფრო თავხედურათ გამოიყურებოდა ახალი პროტესტანტ-ბოსიაკებით, რომ დაიწყო „წმინდა ლიტერატურის“ საქმე და ცხოვრების ფსკერზე რომ დაინახა ადამიანები... არ არის სრულიათაც გასაკვირი, რომ პროლეტარიატის პირველი მწერალი რომანტიზმით შემოიჭრა ძველ ქვეყანაში... კარლ მარქს ერთ ადგილას კარგად აქვს ამის შესახებ ნათქვამი:

იმ ხანაში, როდესაც პროლეტარიატს ჯერ კიდევ ნაკლებად აქვს შეგნებული თავისი თავი, და, მაშასადამე, თავისი მდგომარეობა თვითონაც რამდენიმედ ფანტასტიურად აქვს წარმოდგენილი,—მომავალ საზოგადოების ფანტასტიური წარმოდგენა აღმოცენდება. პირველივე შეგრძნობით აღსავსე ლტოლვაში პროლეტარიატისა საზოგადოების სრულ გარდაქმნისაკენ.

სწორედ ასეთ მდგომარეობაში იყო რუსეთის პროლეტარიატი, როდესაც მაქსიმ გორკი გამოვიდა მის მხატვრად. ნათელია და ცხადი, რომ მის შემოქმედებას დაღს დააჩენდა ეს ფანტასტიკა, პროლეტარიატის წარმოდგენისა. „ფანტასტიკა, როგორც ამას სამართლიანად შენიშნავს ვოროვსკი,—ხელოვნებაში ყოველთვის იძლევა რომანტიზმს“. საშიში აქ არაფერი იყო, რადგან ეს ფანტასტიკა თავის თავად გულისხმობდა ძველის დანგრევას და ახლის შექმნას. და თუ ეს ახალი ფანტასტიური იყო, მერე რა? განა ის არ იყო ახალი? განა ის არ იყო რევოლუციონური, განა ის არ არღვევდა არსებულ სინამდვილის ჭაობს ცხოვრებაში და ლიტერატურაში? გორკის რომანტიზმი პროლეტარიატის რომანტიზმი იყო.. იგი მოუხმობდა საზოგადოების გაბატონებულ ფენების მიერ განზე გაყრილ ადამიანებს ბრძოლისაკენ, თავისი თავის მონახვისაკენ... გორკის რომანტიკა ამავე დროს მასიური იყო—

ე. ი. არ ემწყვდოდა პიროვნების „მეს“ ვიწრო ფარგლებში. მართალია, გორკი პიროვნების უფლებების დამცველად გამოდიოდა, იგი აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მეფის რეჟიმით გათელილ, უფლება ახდელ პიროვნებას, მაგრამ ეს როდი იყო სიმბოლისტების ვიწრო ინდივიდუალიზმი:—„მე“ და სხვა არაფერი. გორკის პიროვნება თავისუფლებას მოითხოვდა არა მარტო თავისთვის, არამედ ყველა თავისიანებისათვის, ყველა ერთ გვარ პირობებში მყოფებისათვის. პიროვნების თავისუფლება საერთო ძალ-ღონით, ყველანი ვისთვისაც საჭიროა ეს—ერთად ბრძოლაში!!

სიმბოლისტებისათვის საკმაო იყო პირადი კმაყოფილება, რომ მათი „თავისუფალი“ პიროვნება შერიგებოდა არსებულ მდგომარეობას. გორკისათვის კი ბრძოლა უნდა დამთავრებულყო მხოლოდ საერთო გამარჯვებით... ამიტომ მოხდა, რომ ეს ანარქისტი მწერალი, ბოსიაკების მხატვარი, დაუდგრომელი მეშფოთე და მუდამ აჯანყების ქადაგი—ასე მკიდროდ დაუკავშირდა ყველაზე უფრო ანტიანარქისტულ, ყველაზედ უფრო დისციპლინის მქონე პარტიას ბოლშევიკებისა. მართალია ის პოლიტიკოსი არ იყო, ანდა უკეთ რომ ვსთქვათ, მისივე სიტყვებით „პოლიტიკა ეჯავრებოდა, სძულდა მას“. ამიტომაც ხშირი იყო მისი კონფლიქტები პარტიასთან. მაგრამ, როგორც მხატვარი, იგი ყოველთვის ჩვენთან იყო, არავითარი მნიშვნელობის კონფლიქტები მხატვარ გორკის ბოლშევიკებთან არ ქონია. ტყვილათ კი არ უყვარდათ ასე ღრმად ერთმანეთი ლენინს და გორკის.

IV

ვლადიმერ ილიჩი უდიდესი დამფასებელი იყო გორკის, როგორც მხატვარის. მგონი მან უწოდა პირველად გორკის „პროლეტარიატის პოეტი“. ყოველ შემთხვევაში უდაოა, რომ ლენინისათვის გორკი ასეთი დასაფასებელი იყო არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც მხატვარი, მწერალი. ამ მხრივ უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ლენინის წერილები გორკისადმი და გორკის მოგონებანი ლენინზე... ლენინის წერილები გორკისადმი უმთავრესად იმ წლებს ეხება, როდესაც გორკი პოლიტიკოსი, პარტიის წევრი—ლენინის მოწინააღმდეგე—ბოგდანოვის ჯგუფს მიემხრო. ლენინი, ჩვენ ვიცით, როგორი დაუზოგავი, შეუბრალებელი იყო თავის მოწინააღმდეგეთა მიმართ. ისიც ვიცით თუ როგორი რისხვით დაეცა იგი თავს ბოგდანოვის ჯგუფს (ბოგდანოვი, ლუნაჩარსკი, იუშკევიჩი, ბაზაროვი და სხვები), რომელიც მარქსისტულ მატერიალიზმს ლალატობდა და მახავენარიუსის ნახევარ იდეალიზმში უნდოდა დაემყნა მარქსიზმზე. ბოგდანოვის ემპირიომონიზმი რეაქციონური ფილოსოფია იყო მარქსიზმთან შედარებით, გაყალბება იყო ამ უკანასკნელის; და ლენინიც დაუზოგავად შეებრძოლა ამ ახალ რეაქციონურ სკოლის მეთაურთ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ის მეგობრული, სიყვარულით გამთბარი კილო, რომლითაც განირჩევა ლენინის ბრძოლა გორკის მიმართ, რომელიც აგრეთვე ემხრობოდა ბოგდანოვს. შეიძლება ითქვას დაჯერებით, რომ ეს იყო ერთად ერთი შემთხვევა ლენინის ბრძოლების ისტორიაში—მოწინააღმდეგეთა

მიმართ, როდესაც იგი იყო ლმობიერი, არა დაუზოგავი, არა მკაცრი. რატომ? იმიტომ, რომ ლენინი გორკიში აფასებდა არა პოლიტიკოსს უმთავრესად, არა-ნედ მხატვარს, მწერალს, პოეტს. მისთვის გასაგები იყო გორკის შეცდომები, როგორც პოლიტიკოსის, ამას ის არც თუ იმდენ მნიშვნელობას მისცემდა, თუ კი გორკი, როგორც მხატვარი შერჩებოდა ძველ ნაცად გზას. ლენინი ხედავდა მასში თავის მოკავშირეს, რომელიც გაშმაგებით, ლენინის მხარეს იბრძოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ—საკუთარი განსაკუთრებული იარაღით—ხელოვნებით. საფასვრით მართალია და სწორი ლენინის გორკისადმი მიწერილ წერილების რედაქტორი, როდესაც სწერს:

ვლადიმერ ილიჩი აფასებდა გორკის არა როგორც მართლ უდიდეს მხატვარს ახალი რევოლუციონური რუსეთისა. ამ მწერალში ის ხედავდა უძლიერეს მოკავშირეს საერთო საქმეში, თანამებრძოლს, რომელიც, მართალია, იბრძვის სხვა იარაღით, მაგრამ იბრძვის სწორედ იმავე მტრის წინააღმდეგ—იმავე მიზნებისათვის. გორკის იარაღს—მხატვრულ სიტყვას—ვლადიმერ ილიჩი აფასებდა მეტად დიდად და აძლევდა მას უდიდეს მნიშვნელობას, და რამდენათაც უფრო მალლა აყენებდა, დიდად აფასებდა გორკის ლენინი,—მით უფრო მეტად სურდა მას ყოფილიყო გორკი თავის გვერდით საერთო ბრძოლაში, მით უფრო ყურადღებით თვალყურს ადევნებდა მის თითოეულ ლიტერატურულ-პოლიტიკურ გამოსვლებს, მით უფრო დიდი ყურადღებით აფრთხილებდა მას იმ იდეურ წუმპეთა საფრთხეთაგან, რომლებითაც გარშემორტყმულია გზა პროლეტარულ იდეოლოგიის შექმნისა...

როდესაც ბოგდანოვი და მისი ჯგუფი, —გორკიც მათ შორის,—ბოლშევიკურ პარტიას გამოეყო, როგორც ცალკე ფრაქცია—და დაარსა თავისი ორგანო „Вперед“, ბურჟუაზიულმა პრესამ თითქმის ყველა ქვეყნებისა მოაწყო მთელი კამპანია, რაიც აგებული იყო ვითომც გორკის საბოლოოდ წასვლაზე სოციალ დემოკრატიიდან. ამის საპასუხოდ ლენინი შემდეგს სწერდა:*)

ცილისმწამებელია მთელი ეს კამპანია, ნათელია და მისახვედრი. ბურჟუაზიულ პარტიებს სურთ, რათა გორკი წავიდეს სოციალ-დემოკრატიიდან. ტყუილად სცდილობენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამხანაგი გორკი ისეთი მაგარი ჯაქვებით გადაება თავისი დიადი მხატვრული ნაწერებით მუშათა მოძრაობას რუსეთისა და მთელი ქვეყნის, რომ მხოლოდ ხიზლით უპასუხებს იგი მათ ყველას, როგორც ცილისმწამებელთ.

„სადისკუსიო ფურცელში“ (№ 1—1910 წ.) ლენინი წერილში „ოტხოვიზმის მომხრეთა და დამცველთა პლატფორმის შესახებ“ შემდეგს სწერს გორკიზე:

გორკი უთუოდ უდიდესი წარმომადგენელია პროლეტარული ხელოვნების, მან ბევრი რამ გააკეთა მისთვის და საფუძვლია კიდევ უფრო მეტს გააკეთებს. სოციალ-დემოკრატიის ყოველ ფრაქციას შეუძლია იამაყოს გორკის მასთან ყოფნით... გორკი ყოველმხრივ ავტორიტეტია პროლეტარულ ხელოვნების დარგში... პროლეტარულ ხელოვნების საქმისათვის გორკი უდიდესი პლიუსია, მიუხედავად მისი თანაგრძნობისა, მარხვისა და ოტხოვიზმისადმი,

არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ეს სიტყვები ამოღებულია იმ წერილიდან, რომელიც, ლენინისათვის ჩვეული სიმკაცრით, მიმართულია იმ პლატფორმის წინააღმდეგ, რომლის ერთი მეთაურთაგანი მაშინ გორკიც იყო. გორკი პოლი-

*) „Пролетарий“. 1909 წ. № 50.

ტიკოსი—მოწინააღმდეგე, მტერი იყო მაშინ ლენინის, — ლენინის წერილიც პოლიტიკური წერილი იყო და არა სრულებით ხელოვნების დამფასებელი—დასაშვები იყო აქ გორკისაც—როგორც პოლიტიკოსს—მოხვედროდა ლენინის მკაცრი „მათრახი“—მაგრამ ლენინი სხვაფრივ მიუდგა საკითხს: მან გორკი ცალკე გამოყო და სთქვა: მიუხედავად იმისა, რომ გორკი ჩემი მოწინააღმდეგეა, მე მაინც ვამბობ, რომ გორკი უდიდესი მხატვარია და ხელოვნების სიწმინდე.

გორკის შესახებ ლენინი ერთ წერილში ლუნაჩარსკისადმი შემდეგს სწერს:

თქვენი პროექტი „პროლეტარში“ ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა გორკის ხელმძღვანელობით—ჩინებულა და მეც ძალიან მომწონს. მე სწორედ იმაზე ვოცნებობდი, რომ ლიტერატურულ-კრიტიკული განყოფილება შეგვექმნა „პროლეტარში“ მუდმივად და მისი მეთაურობა ალ. მაქსიმესძესათვის ჩავუბარებინა. მაგრამ მე შეშინოდა (კურსიერ ლენინისაა), საშინლად შეშინოდა, პირდაპირ უშუალოდ გამეცხადებინა ეს მისთვის, რადგან მე არ ვიცი ალ. მაქსიმისძის დღევანდელი მუშაობის ხასიათი; თუ კი ადამიანი ჩაბმულია სერიოზულ დიდ მუშაობაში, თუ კი ამ მუშაობას აწევს, ხელს შეუშლის მისი ახალი დატვირთვა ამ წერილმანებით, გაზეთით, პუბლიცისტიკით, ასეთ პირობებში მართლაც რომ სისულელე და ბოროტმოქმედება იქნებოდა, ხელი შეუშალოთ მას და მოეცდინოთ სამუშაოს! მე ეს ძალიან კარგად მესმის და ვგრძობ კიდევც.

თქვენთვის ყოველივე ეს უფრო მისახვედრია, ძვირფასო ანატოლი ვასილისძევ; თუ კი თქვენ ფიქრობთ და დარწმუნებული ხართ, რომ ხელს არ შეუშლით ალ. მაქსიმეს ძეს პარტიულ მუშაობაში—რეგულიარული ჩაბმით (პარტიული მუშაობა კი ამით მგტად მოიგებს)—მაშინ მოაგვარეთ ეს საქმე ამ გვარად.

ამას სწერს ლენინი! პარტიული მუშაობა დიდად მოიგებს, თუ კი გორკი მოჰკიდებს მას ხელსო, მაგრამ... ვაი თუ ამით ხელი შეუშალოთ მის დიდ საქმეს—ე. ი. ხელოვნებისათვის სამსახურს... ლენინის უნივერსალური გენიოსობა აქაც გამოსჭვივის: ხელოვნების მნიშვნელობა ლენინს კარგად ესმოდა და ხელოვნების დაფასებაც იცოდა, — როგორც, შეიძლება, ბევრმა არავინ. ლენინი სწერს გორკის:

ძვირფასო ალექსეი მაქსიმეს ძევ!

გიგზავნით დღეს დახლებული ბანდეროლით რომანის დასაწყისს, რომელ იც იბეჭდება „პროსვეშჩენიაში“. ვფიქრობთ, რომ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით მისი დაბეჭდვისა, მაგრამ თუ კი, მიუხედავად ჩვენი იმედებისა, თქვენ წინააღმდეგი იქნებით—მაშინ გვიდგებეთ: „გოიტინსკი გადაღვეით“, ან და „გოიტინსკის რომანი არ დაბეჭდოთ“.

ეს ის გოიტინსკია, რომელიც შემდეგ მენშევიკების მხარეზე გადავიდა, თავი ისახელა უსაზღვრო ინსინუაციებით და ცილისწამებით ბოლშევიკების, კერძოთ ლენინის წინააღმდეგ. ერთ დროს მოღვაწეობდა საქართველოშიც მენშევიკების გაზეთების „ლეიბ-მეპრესეთ“...

გორკიმ არ გაამართლა „პროსვესჩენიას“ რედაქციის, კერძოთ ლენინის, იმედები...

გოიტინსკის რომანი დაიწუნა და დაბეჭდვის წინააღმდეგი შეიქნა. ლენინი დაეთანხმა გორკის ავტორიტეტს ამ საკითხში და გოიტინსკის რომანი არ დააბეჭდია.

ვიმეორებთ: ლენინი არა მარტო აფასებდა გორკის, როგორც მხატვარს,

ხელოვანს, პროლეტარული ხელოვნების საფუძველს, მას უყვარდა იგი, როგორც დიდი ადამიანი, ამავე დროს გამოსული სწორედ იმ დაბალ ფენებიდან, რომელთა გამარჯვებაში დარწმუნებული იყო ვლადიმერ ილიჩი, და რომელთა გამარჯვებისათვის იბრძოდა ის ტიტანიურად, და აკი შეუწყო მან კიდევაც ხელი მის განხორციელებას. გორკის ავადმყოფობა მოსვენებას ვერ უძლებდა ლენინს. მის წერილებში სულ ხშირად შეხვედებით საყვედურებს გორკისადმი, რომ ის საკმაოდ არ უფრთხილდება თავის თავს. როგორც მზრუნველი მამა, ისე უკიჟინებს გორკის ამის შესახებ ლენინი. ერთ თავის წერილს გორკისადმი იგი ასე იწყებს:

— ძვირფასო ალექსეი მაქსიმეს ძე!

ეს რასა ჰგავს, ჩემო ძმაო, როგორ ცუდათ იქცევი? დაილაღეთ, ნერვები გტკივთ, ალბად ზედმეტი მუშაობით. ეს ხომ დაუშვებელი უწყისრიგობაა. ვხლანათარია, სტუმრები ხაკლები გეყოლებათ მანდ—კაპრიზე, და საჭირო იყო, უფრო მეტი წესრიგი შემოგელოთ ცხოვრებაში. ალბად ყუროსმგდები არვინა გყავთ და თავიც აიშვით. ღმერთმატი, არ ვარგა ასე, არა. მაგრათ მოჰკიდეთ თქვენს თავს ხელი, შექმენით საჭირო „პრივიმი“ (რეჟიმი), რაც შეიძლება მეტი სიმკაცრით, აუცილებლივ. ავადმყოფობა ასეთ დროებაში პირდაპირ დაუშვებელია. განა ღამ-ღამობითაც დაიწყეთ მუშაობა? ნუ თუ? უნდა დაისვენოთ და „პრივიმი“ გამოიმუშაოთ აუცილებლივ.

1913 წელს, 30 სექტემბერს ლენინი კიდევ სწერს გორკის:

...საშინელ საგონებელში ჩამაგდო ყოველივე იმან, რასაც თქვენ მწერთ თქვენი ავადმყოფობის შესახებ. განა შეიძლება თქვენი ასე უეჭიმოთ ცხოვრება კაპრიზე? ჯერმანელებს ჩინებული სანატორიუმები აქვთ (მაგ. ს. ბლაზიენში, შვეიცარიის ახლოს), სადაც წამლობენ და კიდევაც საჯსებით არჩენენ ფილტვების ავადმყოფობას... თქვენ კი ფიქრობთ კაპრის შემდეგ ზამთარში რუსეთში წასვლას??? მე წარმოუდგენლად მეშინია, რომ ეს აენებს თქვენს ავადმყოფობას და სრულბით წაგართმევთ მუშაობის უნარს. ნუ თუ არ არიან მანდ, იტალიაში, პირველ-ხარისხოვანი ექიმები? ღმერთმანი, აჯობებდა, ეჩვენოთ რომელიმე კარგ ექიმს შვეიცარიაში. (მე შემძლია გაგეგოთ მათი გვარი და მისამართი) ან და გერმანიაში; რადიდი რამ არის, ერთი ორი თვე სერიოზულად იექიმოთ რომელიმე კარგ სანატორიუმში, თორემ ასე უმიზნო ფლანგვა სახაზინო ქონებისა—ე. ი ავადმყოფობა და წრომის უნარის დაკარგა, ყოველ მხრივ მიუტოვებელი რამ არის.

წერილს ასე ათავებს:

მომწერეთ, როგორი გეგმები გაქვთ და როგორ გრძნობთ თავს ჯანმრთელობის მხრივ. ძალიან გთხოვთ, დაბეჯითებით, სერიოზულად მოჰკიდოთ ხელი ექიმობას,— გარწმუნებთ სავსებით შეიძლება სრული გამოჯანსაღება, თორემ თავის მინებება პირდაპირ უღმერთობა და ბოროტმოქმედება იქნებოდა.

თვით გორკი თავის წერილში „ლენინი“ გადმოგვცემს შემდეგს:

თითქმის უკვე სავსებით ავადვყოფი, ზედმეტად დაღლილი, ის მწერდა მე აგვისტოში 1921 წელს.

ალექსეი მაქსიმეს ძე!

თქვენი წერილი გადაუგზავნე ლ. მ. კამენევს. მე ისე დაღლილად ვგრძნობ თავს, რომ არაფრის, სრულბით არაფრის კეთება არ შემიძლია. თქვენ კი სისხლის ხველება დაგიწყიათ და არსად არ აპირებთ წასვლას. ეს დიდი უსინდისობა და უანჯარიშობაა. ევრობაში, კარგ სანატორიუმებში იაქიმებთ და სამჯერ უფრო

მეტ საქმესაც გააკეთებთ... ნამდვილად, ჩვენთან კი არც წამლობა, არც საქმე, მხოლოდ უაზრო ფაცა-ფუცი, მეტი არაფერი. გაემგზავრეთ სახლვარგარეთ. ნუ ჯიუტობთ, ძალიან გეხვეწებით.

თქვენი ლენინი.

ერთ წელზე მეტია—გაკვირვებით შენიშნავს გორკი—გასაოცარი უნდათ მაიძულდება ის მე წავსულიყავი რუსეთიდან და მე შეკვირვებდათ, როგორც მას, ამდენი მუშაობით დატვირთულს, რომ ვიღაც, სადღაც უფრო მეტს უნდასაქიროებს.

რასაკვირველია, ყოველივე ხემოთ მოყვანილი ლენინის მზრუნველობის შესახებ გორკიზე, პირველად ყოვლისა, ახასიათებს ლენინს, როგორც უკეთილშობილეს გულის პატრონს, ადამიანს, რომელმაც იცოდა თავისი თავის დაფიქრება სხვებისათვის. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ლენინის დაფასება, დამოკიდებულება ვინმესადმი, ახასიათებს, აფასებს არა მხოლოდ ლენინს—არამედ იმასაც ვისაც ეს ეხება. ლენინი თვით იყო ავადმყოფობით შეპყრობილი, დაღლილი არა ადამიანური შრომით, რომელსაც იგი ტიტანიური მოთმინებით, ძალღონით ეზიდებოდა ათეულ წლებით, თვით სჭირდებოდა ყველაზე მეტად დასვენება და ექიმობა,—ის ივიწყებს თავის თავს და გორკის დაჟინებით ურჩევს, ეხვეწება—თავს მოუაროს, რუსეთიდან წავიდეს—ევროპაში, იექიმოს... და ამას სჩადის ლენინი არა მარტო იმიტომ, რომ მას „კეთილი“ გული აქვს, ადამიანები „ებრალება“ და სხვა... არამედ იმიტომაც და უმთავრესად იმიტომ, რომ გორკი არის ხალხისთვის, მშრომელი ხალხისთვის, რევოლუციისათვის უძვირფასესი საუნჯე,—გორკი დიდი მწერალია—ხალხის წიაღიდან გამოსული და ხალხისათვის თავდადებული. ამიტომაც საქიროა აუცილებლივ მისი კარგად ყოფნა... გორკის იარაღი—კალამი—ერთი საუკეთესო მახვილთაგანი იყო ძველის დასანგრევათ და ახალის საწინად. ლენინის წერილებში გორკისადმი ნათლად სჩანს არა მარტო ლენინის სახე—როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწის და როგორც უმშვენიერესი, ამ სიტყვის სოციალისტური გაგებით—ადამიანისა, არამედ უკვდავი სახეც მაქსიმ გორკისა, პროლეტარიატის დიდი მწერლისა, ხელოვნების საკაცობრიო ერთ-ერთ ურყევ ფუძესი... საკმაოა ლენინის ამ წერილების გულდადებით წაკითხვა, რომ სათანადოთ დააფასო მაქსიმ გორკი...

V

გორკის პირველი მხატვრული ნაწერები უმთავრესად ბოსიაკების, ცხოვრების ფსკერზე მყოფ ადამიანთა ყოფაზე ლაპარაკობენ... აქედან წარმოსდგა ჯერაც არ მიფიქვებულ ლეგენდა, თითქოს გორკი ბოსიაკების იდეოლოგი ყოფილიყოს, თითქოს მას შეექმნას რაღაც კულტი ბოსიაკებისა... შემცდარი შეხედულებაა ეს, ყალბი დაფასებაა გორკის ნაწერებისა. მართალია, გორკი—ბოსიაკებში, ცხოვრებიდან დევნილ ადამიანებში ნახულობდა, უმთავრესად მასალებს თავის მოთხრობებისათვის, მართალია, გორკი პირადათვე კარგად იცნობდა მათ ცხოვრებას—თვითონ მისი ცხოვრებაც ხომ „ბოსიაკური“ იყო—მაგრამ „ფსკერზე მცხოვრებთა“ იდეოლოგი ის არასოდეს ყოფილა. ბოსიაკების ცხოვრების დახატვით გორკიმ აჩვენა მთელ მკითხველ რუსეთს და მერე მთელ

მსოფლიოს, თუ ვის დევნის გაბატონებული რუსეთი, გაბატონებული წესწყობილება ცხოვრების ჯურღნულში. გორკიმ ყველას დაგვანახა, რომ საუკეთესო პიროვნებები, მედგარი ადამიანები, საჭირო კაცები ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, უხეირო და აუტანელ ცხოვრების პირობების გამო, პარაზიტებათ, ზედმეტ ადამიანებათ, ხალხის მუწუქებათ ხდებიან. კაცის მკვლევლები, ქურდები, პროსტიტუტკები, უსაქმოთ მოხეტიალენი, ქუჩის ფილანტროპისტები, ალოთები და მაწანწალები—ე. ი. ყველა ისინი, რომლებითაც ავსებულია ორივე ჩვენი ცხოვრებისა, რომლებითაც მოფენილია მისი ფსკერი—ყველა ესენი მსხვერპლია უსამართლო, აუტანელ ცხოვრების პირობების, არსებულ წყობილების, იმის, რაც არის და რასაც რუსეთი ეწოდება. თორემ აი შეხედეთ, რა მშვენიერი ადამიანის თვისებები იმარხება მათში... რა საამაყო ადამიანები ჩაკლულან მათში. გაუსწორებელი, მაწანწალა ქუჩის ანარქისტი, რომლისაგან აბა რა კარგი უნდა იქნეს, — ემელიან პილიაი — აი რას ამბობს:

იცი, — მოუთხოვს ის ავტორს თავის ამბავს, იმის შესახებ თუ როგორ გადაარჩინა მან სიკვდილისაგან ერთი ქალიშვილი, — 17 წლისა ვარ და ამაზე უკეთესი მოსაგონი მე ცხოვრებაში არაფერი არა მაქვს.

ქურდია, მტაცებელი, კაცის მკვლელი და მუდამ ლოთი ჩელკაში, მაგრამ ნახეთ, როგორი ამაყია იგი, ნამდვილი ადამიანის სიამაყით, აბა რომელი „განათლებული“, „კულტურული“ წრიდან გამოსული, თუ გინდ თავმომწონე ინტელიგენტიც, ისეთი ზიზლით და სიძულვილით იხსენიებს ფულს — ამ ყველაფრის შემძლე დიქტატორს კაპიტალისტური წესწყობილებისა — როგორც ეს ჩელკაში... ვისი ბრალია რომ ის გაუსწორებელი მაწანწალა, ქურდი და ყაჩაღია? განა სხვა პირობებში, ადამიანურ არსებობის პირობებში, არ შეიძლებოდა ჩელკაშიდან გამოსულიყო საამაყო პიროვნება?... არსებული მდგომარეობაა ამაში დამნაშავე. ჩელკაში მსხვერპლია დამპალი რუსეთის... აი მოხუცი ქალი იეზერგილი, მალგა, მარკა და სხვები — არა ადამიანურ პირობებში რომ მიათრევენ თავის არსებობის შავ დღეებს და მაინც შერჩენიათ სადღაც კუნჭულში თავის სულისა — ნამდვილი ბუნება ნამდვილ ადამიანებისა. უკანასკნელი პარაზიტი, არაფრას მქონე და არაფრის გამკეთებელი, ერთი სიტყვით საბოლოოდ განწირული ადამიანი — მაწანწალა პრომატოვი — გაბედულათ ამაყობს ყველას წინაშე თავის ადამიანობით: უფლებაც აქვს — ის არ არის „შაურიანი“ — როგორც მრავალი სხვები. პროსტიტუტკები, ქუჩის ანარქისტები, ქურდები და კაცის მკვლევლები — ხშირად უფრო მეტ ადამიანურ თვისებებს იჩენენ, ვიდრე „კულტურული“ წევრები „კულტურულ“ საზოგადოებისა... გორკის ბოსიაკები — ეს გაბედული სილაა ძველი საზოგადოებისათვის გაწნული. სირცხვილი და ზიზლი იმ წესწყობილებას, რომელიც საზოგადოებიდან დევნის და საზოგადოების მუწუქებათ ქმნის მათ, ვინც უფრო მეტად იყო ღირსი — საზოგადოების უფლებიანი წევრობისა, ვიდრე ეს „საუკეთესონი“ გაბატონებულ უმცირესობისა... გორკიმ ბოსიაკებში ადამიანები აღმოაჩინა. ხშირად ძალიან რთული ხასიათის მქონენიც. ცხოვრების ფსკერზე აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ღირსნი იყვნენ „მალლა“ ცხოვრების — შეიძლება უფრო მეტადაც — ვიდრე ისინი, ვინც დღეს

იქ ცხოვრობს. საშინელი, წარმოუდგენელი ტანჯვით და წვალებით აღსავსე არსებობის პირობები ბატონობენ აქ „ფსკერზე“. მდიდარია მისი ცხოვრება გაჭირვებით, უიმედობით, ცრემლებით, ტანჯვით და ვაებით. მაგრამ ჯუტებიც არიან აქ, გაუტეხავნი. ისინი მალე შესძლებენ ზევით ასვლას არა იმისათვის, რომ თვით ჩაერიონ მონაწილეებათ განცხრომულ ცხოვრებაში—არამედ მის დასანგრევათ. გორკიმ გასაოცარი მხატვრული სიძლიერით დაგვანახა მსგავსი ფსკერი, ჯურღმული, დაგვანახა მისი ადამიანები, დაგვანახა ისიც, თუ ვინ არის საბოლოოდ დამნაშავე ამ ადამიანთა არა ადამიანურ არსებობაში. დაგვანახა ეს და ამით მაგარი მუჯღუგუნე უთავაზა არსებულ სინამდვილეს. ბევრმა აქ „ბოსიაკების იდეოლოგია“, „ბოსიაკების კულტის“ შექმნა დაინახა... საკვირველია. განა გორკი ოდნავათაც იმას ამბობდა, რომ ბოსიაკები და „მათი სამოქმედო გზა“ არიან მხსნელი არსებულ უბედურებისაგან? განა გორკი იმას ამბობდა, რომ ბოსიაკები თავისი არა ადამიანურ ცხოვრებით მისაბაძია, საჩვენებელი მაგალითია მისაბაძათ სხვებისათვის? განა გორკი ოდნავდაც იზიარებდა იმ „მოძღვრებებს“, რომლებსაც ასე ხშირად და უხვად ფანტავდენ უსაქმო მაწანწალანი უსაზღვრო რუსეთის მრავალ კუთხეებში? გორკიმ ბოსიაკები მსხვერპლებად დაგვიხატა არსებულ წესწყობილებისა—ზოგიერთებმა კი „მისაბაძ“ გმირებად, ქვეყნის მხსნელ მოძღვრების პიროვნებათ წარმოგვიდგინეს ისინი. შეხედეთ ამათ, ჯურღმულებში რომ არიან, კარგათ დააკვირდით მათ ცხოვრებას, შეიგრძნეთ მათი ტანჯვა-წამება და თქვით: ღირსია თუ არა უმოწყალო დამსხვრევის, განადგურების ის წესწყობილება, რომელსაც თან სდევს ისეთი რამ, რომელიც თვით არის დამნაშავე და პასუხისმგებელი ამისა?

„ფსკერი“ უნდა ნოისპოს—და ეს მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინგრევა ზევითა ფენების „მშვენიერი“ ცხოვრება. აი რას ამბობს გორკი და არა იმას, თითქოს ჩელკაშები იყოს „ქვეყნის მარული“. პიესა „ფსკერზე“ საბოლოოდ ააშკარავებს ამას. მხატვრული ღირსებით ეს ტრაგედია განწირულ ადამიანთა ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია არა მარტო გორკის შემოქმედებაში, არამედ მთელ რუსეთის და შეიძლება მსოფლიო ლიტერატურაშიაც. გორკის რომ მის მეტი არაფერი დაეწერა, დიდ მწერალთა პატარა ჯგუფში მის ადგილს მაინც ვერავინ დაიკაფებდა. მაგრამ ჩვენ აქ არ გვაინტერესებს ეს მხარე „На дне“-სი. ჩვენთვის ეს პიესა განსაკუთრებით საყურადღებოა მით, რომ მასში გორკიმ საბოლოოდ გვაჩვენა, ნათლად დაგვანახა, რომ ბოსიაკების ქვეყანა—ახალი ცხოვრების დასაყრდნობათ არ გამოდგება, რომ „ფსკერის“ მცხოვრებნი მხოლოდ მსხვერპლებია არსებულ წესწყობილების და არა რეფორმატორები ცხოვრების... უმრავლესობა ამ ადამიანებში საბოლოოდ განწირულები არიან... მათი განთავისუფლება, მათი ცხოვრების პირობების შეცვლა—მათ საკუთრივ არ შეუძლიათ. ეს სხვების საქმეა. გორკი შემდეგ გვეტყვის თუ ვინ არიან ეს სხვები... მათი ბედი მათ არ ეკუთვნის. ფსკერს ვერ მოსპობენ მისი მცხოვრებნი, რადგან მათ არა აქვთ ის „სიმართლე“, რომელმაც უნდა გარდაქმნას ცხოვრება... სიმართლე კი არა აქვთ იმიტომ, რომ ისინი აგრეთვე ძველი ცხოვრების „ნატეხი“ არიან. „სიმართლეს“ გორკი შემდეგ დაგვანახებს—ახალ

კლასში—პროლეტარიატში... „ნა დნე“-ში კი პროლეტარიატი არ არის და არც მისი „ფილოსოფია ცხოვრებისა“.

რა სიმართლე?! რის სიმართლე? (აჩვენებს ძონძებს, რომლებიც ფარავს მის ტანს) აი სიმართლე! სამუშაო არ არის. ძალღონე არ არის. არ სიმართლე! არ არის კუთხე, რომ თავი შევაფარო! უნდა ჩავძაღღდე სადმე... არ ეს თქვენი სიმართლე. ეშმაკმა წაიღოს, რათ მინდა, რათ — თქვენი სიმართლე!

ტრადიკულად გაყვირის კლეშჩი. ის მართალია, რატიკულად სიმართლე როდესაც იგი მას სიკვდილს, ძალღონით უპატრონო სიკვდილს პირდება! რათ უნდა მას ფიქრები სხვის ბრწყინვალე მომავალზე, როდესაც მისი ხვალის-დელი დღე—საბოლოო და დაუბრუნებელი დაღუპვაა. მართალია ეს ყველაფერი, მართალია კლეშჩის ჩივილი და სასოწარკვეთაც მისი გასაგებია, მაგრამ მომავალის საკითხს იგი ხომ არ სჭრის, ვერ სჭრის ამით. ხვალისდელი დღისათვის—უკეთეს დღისათვის—კლეშჩის ტრადიკული თავგანწირვა—დავიღუპო, დეე დავიღუპო!—არაფერ სანუგეშოს იძლევა. კლეშჩი ფსკერს ვერ მოსპობს, მის მცხოვრებთა ბედსაც ვერ გამოასწორებს... ამავე დროს არ დაგვაფიწყდეს, რომ კლეშჩი ერთი საუკეთესოთაგანია ფსკერზე მცხოვრებთა შორის. მაგრამ მისი ბედიც უკვე გადაწყვეტილია: საბოლოო დაღუპვა, ცოცხალი სიკვდილი. სიმართლე ეშმაკებმა წაიღოს!! ბრძოლა—როგორ? ვისთან? ვის წინააღმდეგ? რით? კლეშჩი და სხვა განწირულები „ფსკერიდან“ მებრძოლებად არ ვარგან. მარქსის მოძღვრება მათთვის არ გამოდგება, სამაგიეროთ—ლუკას ფილოსოფია სწორედ რომ მისაღებია. ეს სიმპატიური—შარლატანი, —უსაქმურობის ქმნილება, ბედნიერი თავის არარაობაში, მირაჟების მხატვარი და შეგნებული მატყუარა, გაჭირვებულთა დასამშვიდებლათ, —უკვდავი ტიპია. ლუკას ფილოსოფია „ფსკერზე“ მცხოვრებთა ფანტაზიის ნაყოფია... ქრისტედან დაწყებული, —შეიძლება უფრო ადრინდელ დროებიდანაც—ბეჩავთ და ულონოთ, ჩაგრულთა და წამებულთ—სხვადასხვა რეფორმატორები ლუკას ფილოსოფიის თესლებს უხვად უყრიდენ:

Если в правде святой
Мир дорогу найти не сумеет,
Честь безумцу, который навсест
Человечеству сон золотой!!

ფრანგი პოეტის ეს ლამაზად თქმული სიტყვები—დიდ გასაველშია „ფსკერზე“, იმიტომ, რომ „ფსკერის“ სიმართლე სწორედ ამ „ოქროს სიზმრებშია“. დეე, იყოს ძილი, ოღონდ დაგვაფიწყდეს ეს სინამდვილე! დეე—მირაჟები იყოს ყოველივე ის, რასაც გვიხატავთ—მხოლოდ ისე დაგვიხატეთ, რომ ჩვენ ვიწამოთ!! გვატყუეთ, გვატყუეთ, მხოლოდ ტკბილი იყოს ეს ტყუილი და ჩვენც გვჯეროდეს მისი!! ასეთია მოთხოვნილება „ფსკერის“ მცხოვრებთა და ლუკაც შესაფერ საკვებს იძლევა, დაუვიწყარი ლუკა, წყნარი და მშვიდი, ყველას შემწყალე ტკბილი ენით, ზღაპრების ჯამბაზი და საკვირველი ტყუილების შემომქმედი—სიმპატიური, შარლატანი!! აი „ფსკერის“ მეთაური და წინამძღოლი... არაყი, ბანქო, პროსტიტუცია, ქურდობა, კაცის კვლა. . და ლუკას უტკბილესი ზღაპრები... არ არსებულ ბედნიერების შესახებ...

არა, გორკი არ იყო ბოსიაკების იდეოლოგი! გორკიმ მხოლოდ დაგვანახა საშინელი „ფსკერი“ არსებულ ცხოვრებისა. ეს იყო პროტესტი მაშინდელ „უსამართლო“, „ულამაზო“, „მჩაგვრელ“ და „მტანჯველ“ დღის წინააღმდეგ.

ხვალინდელ დღეს, ახალ დღეს—რევოლიუციის გამარჯვების დღეს—გორკი სხვა ადამიანების დროშით ხვდებოდა.

VI

ეს ადამიანები იყვნენ მუშათა კლასის მებაირახტრენი, პროლეტარიატის მედროშენი. გორკიმ თავისი ბედი მხატვრისა და პოლიტიკოსისა მათთან გადაჯაჭვა... ამიტომაც მოხდა რომ 1905 წლის რევოლიუციის დამარცხებას ოდნავაც არ შეურყევეთა გორკის რწმენა რევოლიუციის აუცილებელიე გამარჯვებისადმი. ჩვენ ვიცით, რომ 1905 წლის რევოლიუციის მარცხი საბედისწერო შეიქნა მრავალ-რევოლიუციონერ მწერლისათვის და, განა მარტო მწერლისათვის! ეს იყო დრო „ვეხების“ შეკვლისა—რუსეთის ინტელიგენციის დიდ უმრავლესობაში, რომელიც წინად დაიმედებული რევოლიუციის ახლო გამარჯვებით—ძალიან „რევოლიუციონერობდა“... პესიმიზმი, უიმედობა, წმინდა ესთეტიზმი, ცხოვრებიდან შორს—ცაში ფრენა—სულ ერთია, ძველი მაინც ვერ დაინგრევა, ახალს ვერ მოვესწრებით, და კიდევ რომ მოვესწროთ—მისაღებია კი ის ჩვენთვის? და ეს ახალი ფილოსოფია, რომელიც გაბატონდა ინტელიგენციაში და მწერლობაში, იყო გამოძახილი ბურჟუაზიის რეაქციისაკენ საბოლოოდ გადასვლისა... 1905 წლის გამარჯვებით—მეფის რეჟიმმა საბოლოოდ გასტეხა რუსეთის ბურჟუაზიის „ოპოზიცია“, დაუკარგა მას ხალისი „რევოლიუციონერობისა“, წაართვა ყოველივე იმედი გამარჯვებისა. ბურჟუაზია შეურიგდა მეფის რეჟიმს—ეს არც თუ ისე ძნელი იყო: ვინაიდან მეფის რეჟიმის ეკონომიური პოლიტიკა ფაქტიურად ბურჟუაზიას უვარდებოდა ხელთ... ლიბერალურ ბურჟუაზიის წასვლა რევოლიუციიდან, —ნიშნავდა ინტელიგენციის წასვლასაც, რადგან იგი სისხლი და ხორცი იყო „ფულიანთა კლასის“; ცხადია, ლიტერატურამაც იგრძნო ეს... იგრძნო და მერე როგორ? ზოგიერთები—პირადი პატიოსნებით და ინდივიდუალური სიძულვილით გაქვინთილი ძველი წესწყობილებისადმი—კიდევ იბრძოდნენ... კიდევ ლამობდნენ—შეენარჩუნებიათ რევოლიუციის ფარ-ხმალი. მაგრამ საფუძველი არ ჰქონდათ, რადგან მუშათა კლასის კოლექტივიზმი მიუღებელი იყო მათთვის.—და ისინიც დანებდნენ—ძალიან ადრე—რეაქციას... ასეთივე ბედი ხვდა—ყველაზე უფრო სიმპატიურს, ნიჭიერს და დასაუფასებელს მათ შორის—ლეონიდ ანდრეევს—ახლო მეგობარს და ამხანაგს მაქსიმ გორკისა... გორკი, ვიმეორებთ, ოდნავაც არ შეხრილა—ოდნავათაც არ „უცვლია ვეხები“ რეაქციის სასარგებლოდ: პირიქით, სწორედ აქედან იწყება ახალი ხანა გორკის შემოქმედებაში, როდესაც იგი საბოლოოდ თავისუფლდება ნიცშეს გავლენისაგან, რომელიც უეჭვოა თან ახლდა მისი მწერლობის პირველ ხანას.

„აღსარება“ მიუხედავად მისი მრავალი დეფექტებისა და განსაკუთრე-

ბით „დედა“ ნათლად მოწმობენ, რომ გორკი კიდევ უფრო ახლო მივიდა მუშათა კლასთან, როგორც მხატვარი... შეიძლება მხატვრული ღირსებებით გორკის ახალი ხანა—კერძოდ ზევით დასახელებული ორი რომანი—ნამორჩებიან „ბოსიაკურ“ პერიოდის ნაწერებს... არ არის ეხლა ის მოჯადოებულ პათოსი, რომლითაც გორკი წინად უმღეროდა „მამაცთა სიგიჟეს“ მხატვრულ-სამხატვროდ შემოქმედების საფუძველი ეხლა უფრო ფართოა, უფრო მყარია... ახალგაზრდობის რომანტიზმი—ასეთი ამალფრთოვანებელი და მებრძოლი—შეცვლილია უფრო გულდადებული, ცოტა ცივი, მაგრამ სამაგიეროთ რწმენიანი, ურყევი—რეალიზმით... გორკი თანდათან ხდება იმით, რათაც შემდეგ საბოლოოდ გახდება „არტამონოვთა საქმეში“ და „კლიმ სამგინში“—მხატვარ ტოლსტოის ტიპის რეალისტად.

VII

ცხოვრების „წყველი საკითხები“ მოსვენებას არ აძლევდა გორკის. მისი შემოქმედება—ნამდვილათ ხომ აზროვნება იყო სახეებით“. და „აზროვნობდა“ იგი ყველა იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რაც კი აწუხებდა მისი დროის სინამდვილეს... „ჩემს უნივერსიტეტებში“ და სხვა მოგონებებში—გაფანტულია ბევრი საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ გახდა გორკი—გორკით, თუ როგორი გზა გაიარა მან ხელოვნების სარბიელზე.

გორკი „მსოფლმხედველობის“ მწერალია. მას არ უყვარს „ცარიელში“ სიარული... ამიტომ არის ხშირათ დამძიმებული მისი ნაწერები სხვადასხვა „ჭკუის სწავლებით“. გორკის გმირები საოცარი ადამიანებია იმიტომ, რომ საოცარი ნიჭის პატრონია თვით გორკი.

რაც უნდა ჩვეულებრივ უბრალო, არაფრით სხვებისაგან გასარჩევი არ უნდა იყოს ადამიანი, გორკი მაინც აღმოაჩენს მასში რალაც თავისებურს, საკუთარს, მხოლოდ მისთვის ჩვეულს: იმას, რითაც ის განირჩევა სხვებისაგან... და მართლაც, ადამიანები მხოლოდ გარეგნობით ხომ არ განირჩევიან მართო ერთი მეორისაგან?? გორკის უყვარს ადამიანში ის, რაც მას ადამიანათ ხდის, რაც ამართლებს მის არსებობას და ცხოვრებას. ეს არ არის სრულებითაც ანარქისტული ინდივიდუალიზმი, ეს არის მხოლოდ დაფასება ადამიანში იმისა, რაც მას ადამიანათ ხდის. ამიტომაც არის, რომ გორკის გმირები ყველა ასეთი საინტერესონი არიან, ადვილათ გამოსარჩევი: რალაც ისეთ რაიმეს იტყვიან, ან ჩაიდენენ, რომ უნებლიეთ ყურადღებას მიაქცევ მათ... საქმე ის კა არ არის მართო, რომ იყო „კეთილი“, „ლმობიერი“, „ჭკვიანი“, ერთი სიტყვით „კარგი“. საქმე ის არის, რომ რალაც უნდა იყოს ისეთი რამ შენში, რაც შენს არსებობას ამართლებს, ადამიანთა შორის საკუთარ „ფიზიონომიის“ მქონეთ გხდის... ის რასაც „ცოცხალი სიცოცხლე“ ეწოდება... სიკვდილი, გაბრუნა—არ უნდა იყოს ადამიანში, სანამ ის ცოცხალია. სიცოცხლით კი ყველაფერი გამართლდება, რადგან სიცოცხლე მოძრაობაა—მოძრაობა კი საბოლოო ანგარიშში ყოველთვის ამართლებს იმას, რაც ცხოველმყოფელია, საჭიროა მომავლისათვის, ყოველივე ამას ადამიანს აძლევს აზრი. ქვეყანაზე, მსოფლიოში მტკიცე და იმე-

დიანი მხოლოდ ადამიანია, ადამიანში კი მისი გონება, აზრი. ამიტომ არის, რომ გორკის გმირები ყველანი პირველათ ყოვლისა ცოცხალი აზრით განირჩევიან... რაც არ უნდა უარყოფითი იყოს გორკის გმირი, თუ კი მისი ტვინი დამპალი არ არის და აზროვნება საბოლოოთ ჩამკვდარი — იგი საინტერესოა და რაღაც ახალის მქნელი. ამიტომაც არის, რომ გორკის გმირებს ყველას აზრის ბეჭედი, რასაც რუსები «озарство»-ს უწოდებენ. სწორეთ ის «озарство», რომელიც ისე უყვარდა ტოლსტოიში გორკის.

В нем, как я думаю жила дерзкое и пылкое озарство Васи Булавина.

„ოზარნიკებია“ თითქმის ყველა გორკის გმირები — იმიტომ რომ ლალი და თავბეღია მათი გონება და აზრი. რაღაცას ეძებენ, რაღაცით უკმაყოფილო არიან.

მეაბანოვე სტეფანე პროხოროვი ამოხსნა:

გამიტაცა ცნობისმოყვარეობამ; ვერ იქნა და ვერ მოვიშორე საკითხი: რატომ არის, რომ ყველაფერში ბედი მწყალობს? მხოლოდ მე? ყველაფერში წარმატებას ვნახულობ... ანთო ჩემში ეს საკითხი და მოსვენებას არ მაძლევს, ღამე მილი წამიძდა.. მაშინ მოვიფიქრე: მოდი ერთი არა პატროსნურ ცხოვრებას დავიწყებ, ვნახოთ რა იქნება?... და სალაროდან 400 მანეთი ამოვიღე, მოვიპარე..

ეკითხებიან — რატომ მოიმოქმედა მან ეს, ნუ თუ იმისთვის, რომ სხვებთან ერთათ იმასაც ვანეცადა ტანჯვა?

არა — უპასუხებს იგი, — ტანჯვა რათ მიზნდა? — რატომ უნდა ვიტანჯო? მე წყნარი ცხოვრების მოყვარული ვარ. არა — უბრალო ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა —, რატომ ყველაფერში მწყალობს ბედი... ხომ იცით... ხშირათ თამაშობს ადამიანი საკუთარ თავთან... ადამიანები ჩემს გარშემო დაღვრემილი, ტანჯვით აღსავსენი დაიარებიან — ჩემთვის კი უფალ მღეროს ყველაფერში წარმატება და გამარჯვება მოუსჯია, — უწყინარ ცხოვრებაში უნდა დავლიო ჩემი დღეები...

ლამლამობით დაეჯდები სადმე ასე, ხელებს მხსლებით დავიკერ და ვფიქრობ: მაშ ასე, უფალო ღმერთო, მაშ თქვენთვის სულ ერთი ყოფილა, როგორათაც ვცხოვრობ მე? ხედავ ხომ, რომ მე კაცის მოკვლა განვიხრახვ, უნდა მოვკლა ადამიანი, ჩემი მსგავსი, მოვკლავ კიდევაც, რადგან ადვილათ შემიძლია ეს. როგორ მაძლევ ამის ნებას? რასა ჰგავს ეს?

მაგრამ სდუმს უფალი ღმერთი!!

ხშირათ ეს „ოზარსტვა“ საზიზღარ ხასიათს იღებს, მაგრამ აქ დამნაშავეა არა თვით ცოცხალი აზრი — მამოძრავებელი სტიმული — მეფე ადამიანში — არამედ ის ხარჩოები, რომლებშიაც მომწყვდეულა უკუღმართი პირობების გამო ადამიანის გონება, აზროვნება...

ცოცხალ ადამიანებს ვერ მოუნახავთ რას მოახმარონ თავისი ენერგია, რაში დახარჯონ იგი, რა გააკეთონ... ცხოვრება ისე უკუღმართად, უშინოთ არის მოწყობილი, რომ ეს გენიალურათ აშენებული აპარატი, რომელსაც ადამიანი ეწოდება, და რომელიც პოტენციაში ყველაფრის შემძლეა „სიცარიელეში“ ღრტიანებს, ან და მხოლოდ მახინჯდება, იყანგება... მოწყენაა გამეფებული. მოწყენილია ადამიანი — რადგან ვერ მოუნახავს გამოსავალი თავისი ენერგიისათვის, ვერ აუშუშავებია გონიერათ თავისი ძვირფასი განძი — აზრი...

ქუჩის ქალი, საბოლოოთ გახრწნილი, რომელსაც დაუკარგავს სინდისის უკანასკნელი ნატამალი — ლესკა გრაფოვა... ასე ხსნის თავის დაღუპვას:

— ეს, მოწყენისაგან, დამეკარგა მე სინდისი და ნამუსი. მომწყენდა, ადამიანო, მომწყენდა. სხვებიც ამბობენ: ყველა მოწყენილია, ყველას ჰკლავს მოწყენა, ყველას სურს გააკვიროს თავის თავი და სხვებიც რაიმეთი, ეს „რაიმე“

კი არსად არის; „რითი უნდა გააკვიროვო?“ ამიტომ მახინჯდება ადამიანი, ამიტომ ჰკარგავს ის ადამიანობას, ამიტომ ხდება, რომ

სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ყოველ დღე შეხვედრით ამბობდა თავის ცოლს აბაშოში; ხანდახან ხელიდან დაუსხლტებოდა ქალი და გამობრუნდა გარეთ: შიშველი, სოფელი, — დარბოდა იგი ბაღში, ქმარი კი შოლტით ხელში დასდევდა უკან.

ან და:

ისპრავნიკის მზარეული ქალი ხაკაპურში თავის „სწიქის“ შენახულ სისხლს ურევდა და ისე აჭმევდა თავის ნაცობ მეგობრებს, რათა სიყვარულის გრძობა დაერთო მის გულში. მზარეული ქალის ერთმა მეგობარმა უამბო ეს საშინელება მეგობრებს; საბრალომ თავი ჩამოიპარჩა!

ასე ათახსიროებს, ყრვნის, ამხეცებს ადამიანს უკუღმართათ მოწყობილი ცხოვრება. მაგრამ გორკის არ უტყდება ოდნავთაც გული. მან იცის, რომ ადამიანი მაინც გაიმარჯვებს, მან იცის, რომ ძველი დაინგრევა — მხეცი მოკვდება და ახრი გაიმარჯვებს...

თუ კი არსებობს მსოფლიოში რაიმე კვშიარითად წმინდა და დიადი, ეს არის პირველად ყოვლისა — მაოად მოზარდი, წინ მავალი ადამიანი, — ძვირფასი მაშინაც კი, როდესაც გეგაგება ის შენ.

ასე მასწავლა ცხოვრებამო — ამბობს გორკი. ადამიანი ღირსია პატივისცემის; საჭიროა ფრთხილათ, სიყვარულით მოეპყრო მას... იშვიათად მოინახება სხვა ხელოვანი, არა მარტო რუსულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში, რომელიც ასე მალლა აყენებდეს, ასე ამაყობდეს ადამიანის გონებით; ასე უყვარდეს ადამიანი — და ამავე დროს ასე დაუზოგავათ ააშკარავებდეს მის პირველყოფილ მხეცობას. გორკის, როგორც მწერალს, აქვს ერთი უძვირფასესი თვისება, რაიც მას განსაკუთრებულ სიძლიერეს ანიჭებს: გორკი არასოდეს არ იეიწყებს ხვალისდღელ დღეს, მომავალს. დღევანდელ ადამიანებს გვიხატავს და ამავე დროს გვაჩვენებს, რომ ხვალ, მომავალში ადამიანი უკეთესი იქნება... მას სწამს, რომ მომავალი ადამიანს ბუნების მეფეთ გახდის.

ამიტომაც არის, რომ გორკის მხატვრობა ყოველთვის რევოლიუციასთანაა. ამიტომაც არის, რომ ოქტომბრის რევოლიუციის პოლიტიკაში მოწინააღმდეგე, იგი შეიქმნა მისი მხატვარი. სულ მალე პოლიტიკაც დაუმორჩილა მხატვარს. საბედნიეროთ მისი და რევოლიუციისა. ამიტომაც არის, რომ გორკი მწარეთ უსაყვედურებს თანამედროვე ახალგაზრდა მწერლებს: ახალ ადამიანს ნაკლებ ყურადღებას აქცევთ, ძველებში ხედმეტი სიყვარულით ისვრებით, ხვალისდღელ დღეს კი ვერა ხედავთ.

თავის შესანიშნავ „მკითხველის შენიშვნებში“ ის შემდეგს სწერს:

მე მგონია, რომ ახალგაზრდა ლიტერატურას ეფრო აინტერესებს და უფრო გაუგია „ძველი ადამი“ ვიდრე პრობუთეიდან ცეცხლის მომტანი და ღმერთების მტერი. ყველა წიგნებში მოქმედებენ — ერთ ხშირათ კი არ მოქმედებენ, მხოლოდთ ლაპარაკობენ — ადამიანები გუშინდელი დღისა გარემოცული და დასვრილი — წერილმანი ცოდვებით... ახალი ლიტერატურისათვის ადამიანი უმნიშვნელო რამ არის, თუმცა ანა ერთი და ორი ამ ახალი ლიტერატურის ავტორთაგანი ათეული წლების განმავლობაში ხშირათ ხედავდა მას, ზოგიერთი მათგანი კი თვითონ პირადათაც ღებულობდა მონაწილეობას გმირულ ამბებში. და მიუხედავათ ამისა, ადამიანი მაინც დარჩა მათთვის ადამიანათ, „იმისათვის რომ, მან“ და არა ადამიანათ, „ამიტომ რომ“, ის არის წყარო უსაკვირველეს ენერჯის, რომელიც იმარჯვებს და თელავს ყოველგვარ დაბრკოლებებს...

— მოკლეთ რომ ვსთქვათ და გავიწეოროთ ისინი აგვიწერენ ჯერ კიდევ სულ ძველ, ნავს მოკიდებულ რუსის კაცს და მერე ისეთად, თითქო განკლილ ტრალიკულ წლებს არც არაფერი შეუცვლიათ მასში. არ მჯერა — რომ ეს მართალი იყოს, რომ სტოცხლობს და ოდნავთაც არ შეცვლილა ძველი ადამიანი, განა ის არის დამაზასიათებელი ჩვენი დროის, ჩვენი ეპოქის? თავის უმრავლესობაში ამ ტიპის ადამიანები — ეს ის ლაზარეებია, რომელთაც ვერ აღადგენს მკვდრეთით ხელოვნების საოცარი ძალაც.

ზედმეტი არ იქნებოდა ჩვენს მწერლებს წაეკითხათ, გაეკოთ და შეეთვისათ გორკის ეს სიტყვები... თორემ, მოგვწყინდა სულ უკან ცქერაც მოგვებზრდა კიდევ. ხელოვნებასაც მოეთხოვება წინ ცქერა... ვიცით, ვნახეთ, გავიგონეთ—წყეული, ძველი, გვაჩვენეთ ახალიც...— ცოტათი მაინც ასწიეთ ის ფარდა, რომლითაც იფარება ნამდვილი სახე ხვალისდელ ადამიანსა, კარგნი მომავლისა. არავის არ უნდა დაკანონებული შექება და ხოტბის შესახებ— ამისა, რაიც სულაც არ მოითხოვს ამას... ახალი ადამიანი არა სჩანს— ან და უფერულათ, იშვიათად ახალ ლიტერატურაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ იგი არ არის... ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მისი დაბატვა უფრო ძნელია, უფრო მეტ „მწერლობას“ მოითხოვს... დიადი ბრძოლები მოგველის, მძიმე გამოცდები უნდა დავიჭიროთ— მომავალში გადაწყდება დაწყებული ახალ ქვეყნის შენების ბედი... იმედით შევსცქერით მილიონები ამ მომავალს, დარწმუნებული, რომ გავიმარჯვებთ... ნუთუ ხელოვნება საკმაო მასალებს ვერ ნახულობს ამ მილიონებში, ახალი ქვეყნის მშენებელთა რიგებში, ახალი ცხოვრების, ახალი ადამიანის დასახატათ?! სამართლიანია და დროულიც გორკის სიტყვები. ჩვენის აზრით— ამისათვის საჭიროა— გარდა იმისა რომ „მწერალი“ მწერალი უნდა იყოს ნამდვილათ, ე. ი. ხელოვანი, საჭიროა მას უყვარდეს, შეუყვარდეს განსაკუთრებული სიძლიერით ეს ახალი ადამიანი, მისი აზრები, მისი გონება, მისი მოქმედება. აი სწორედ ისე, როგორც გორკიმ იცის გულით და სულით შეყვარება თავის გმირების, ადამიანების... იმის შესახებ, თუ როგორ უყვარდა და უყვარს გორკის ადამიანი და ადამიანში სწამს, სჯერა აზრის, გონების — რომ იგი ყველაფერის შემძლეა:

ადამიანს უკვე ათასჯერ დაუმტკიცებია, რომ მას შეუძლია გაზღვა ისეთი როგორიც მას უნდა.

ამის შესახებ განსაკუთრებით საინტერესოა გორკის იშვიათი სიძლიერით და მხატვრობით დაწერილი წერელი ლეონიდ ანდრეევზე. გორკი თვითონ ამბობს ამ წერილში, რომ ლეონიდ ანდრეევი ერთად ერთი ჩემი მეგობარი იყო ლიტერატორთა შორისო. მით უფრო საინტერესოა ის წინააღმდეგობანი, რომელნიც ჰქონდა მას ლეონიდ ანდრეევთან. ეს უთანხმოებანი, ბრძოლა, რომელიც ხშირათ ძალიან მწვავე ხასიათსაც ღებულობდა მათ შორის და ბოლოს, კიდევ დააშორა ისინი ერთი მეორეს, უმთავრესად ტრიალეზდენ ადამიანის და მის მომავლის დაფასების გარშემო. როგორც ვიცით, ანდრეევმა თავის მოღვაწეობის, განსაკუთრებით, უკანასკნელ ხანებში— 1905 წლის დამარცხების შემდეგ, იქვი შეიტანა ყველაფერში, რაიც კი აინტერესებს ადამიანს, რაც კი საერთოდ საჭიროთ ხდის არსებობას, ცხოვრებას.

ჩვეული ვნერგიით, ნიჭით და გაბედულობით დაიწყო ანდრეევმა ყველა იმ კერპების და იდეალების მსხვრევა, რომლებიც ამდენ ხანს და ალბათ მომავალშიც არსებობდა და იარსებებს ადამიანთან ერთად, რომელთა გარეშე ცხოვრების ყოველგვარი მინიმუმი აზრისა ეკარგება.

— რწმენა— სისულელეა, რადგან სარწმუნო არაფერია იმ ქვეყნათაც, აქ კი ხომ თავის თავად ცხადია („ვასილი ფიგიელი“). სიყვარული ფიქციაა, ან და

უსაშინელესი სისაძაგლე, სიღამბლე... („Бездна“)... კაცობრიობის სამსახური, ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის, — გმირობა, თავის განწირვა სხვებისთვის — მიუღებელია: რადგან, რა უფლება გაქვს შენ იყო კარგი, როდესაც შენს გარშემო — ტალახში და სიწამხდარეში იბრძობიან მილიონები („ბნელეთი“)... გონება, აზრი! მოგონებაა, მიქარება! რა აზრი აქვს აზრს, როდესაც შეიძლება ყველაფრის უარყოფა და ყველაფრის ცხადყოფა: თუ გონებას შეეძლება — ადამიანის ეს დაუძინებელი მტერი — სწორეთ მისი საჩუქარი იქნებოდა აზრი ადამიანისათვის რათა უფრო მეტად საბრალო და უძლური გაეხადა იგი („Мысль“). ცვადა, თუ როგორ მოწინააღმდეგეს ნახავდა ლეონიდ ანდრეევი ამ საკითხებში გორკში... ლეონიდ ანდრეევის ასეთი პესიმიზმი და სკეპტიციზმი გამომდინარეობდა იქიდან, რომ მას არ სჯეროდა — ადამიანის აზრი, მისი სიძლიერე, ყველაფრის შემადლებლობა. ხშირად — ამბობს გორკი — ანდრეევს იკვირებოდა ჩემს გულწრფელობაში ადამიანის აზრის დაფასების შესახებ.

— თუ კი შენ ჩემზე ადრე მოკვდი, მე შენს საფლავის ქვაზე შემდეგ წარწერას ამოვაკრეფინებ: „მაშინ როდესაც ქადაგებდა თავყანისცემას, გონების წინაშე, საიდუმლოდ, ფარულათ თვით დასცინოდა მის (აზრს) უძლურებას.“

ანდრეევის ეს სიტყვები გორკის შესახებ ამტკიცებენ მხოლოდ იმას, თუ როგორ არ სწამდა თვით ანდრეევს ადამიანის აზრი და არა იმას, რომ იგი მართალი იყო.

ჩემთვის აზრი — წყაროა ყოველგვარი არსებობის, აზრიდან დაიბადა ყოველივე ის, რასაც ზედავს და გრძობს ადამიანი. მე თავს ისე ვგრძობ, თითქოს აზრის ატმოსფეროში ვცხოვრობდე, და ვბედავ რა, თუ რამდენი დიდი და დიადი შეუქმნია მას, — მჯერა რომ მისი უძლურება მხოლოდ დროებითია —

ამბობს ერთ ადგილას გორკი. თავის მოგონებებში „ალექსანდრე ბლოკზე“ გორკის აქვს მოყვანილი ერთი საუბარი, რომელიც მას ჰქონია ბლოკთან. ბლოკი სკეპტიკი იყო აზრის მიმართ, მას არ სწამდა ადამიანის ტვინის სიძლიერე, ის ამბობს:

ესი რომ შეგვეძლოს ერთი ათი წლით მაინც სრულიად არ ვიაზროვნოთ, არ ვიფიქროთ, დავაქროთ ეს ჭაობის მატყუარა სინათლე, მსოფლიო ლამეში რომ მიგვათრევს სულ შორს და შორს... ტვინი! ტვინი! ეს არა საიმედო და ყალბი ორგანო, იგი უმსგავსოდ დიდაა და მახინჯად განვითარებული. სიმსიენე, როგორც ჩივი.

ბლოკის ასეთი სიძულვილი აზრისადმი გასაგებია. ეს შიშის ნაყოფია. ბლოკს ეშინია მომავლის, ხვალისდელი დღის, მსოფლიო საიდუმლოებათა ახსნა გაგება — მისთვის ნიშნავს მსოფლიო ლამეში შესვლას. და აქედან გამოსული ბლოკი მართალია: თუ კი მსოფლიო ლამეა და ბნელით არის მოცული, — რა საჭიროა შიგ შესვლა, მისი ნახვა; სულერთია, მაინც ვერაფერს დაინახავ... მაშინ ძირს ეს მატყუარა, თვალთმაქცი ტვინი და მისი ენერჯია — აზრი...

გორკი კი სულ სხვაფრივ ფიქრობს და შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ მისი მოსაუბრე — ასეთ უარყოფამდის წავიდა აზროვნებისა, რომ მისი გაუქმებაც კი მოითხოვა, — გორკი ფანტასტიურ სურათს ხედავს აზროვნების მომავალ ჰეგემონობის შესახებ:

არაფერი გარდა აზრისა არ იქნება; ყველაფერი გარდაიქცევა წმინდა აზრად. იარსებებს მხოლოდ ის, განმანორციელებელი თავის არსში—ადამიანების მთელი აზროვნებისა, დაწყებული შენების პირველი ნიშნებიდან და დამთავრებული აზრის უკანასკნელ აფეთქების მომენტით.

შეიძლება ეს გადამეტებაც იყოს. ჩვენ სწორედ ასე ვფიქრობთ... მაგრამ გორკის ეს ახასიათებს—აზრის უმაღლეს საფეხურზე აყვანის უწყვეტად და ანდრეევთან და ბლოკთან ბრძოლაში ჩვენ გორკისთან ერთად ვართ. მაგრამ არ შეიძლება, სრულიად და სავსებით დავეთანხმოთ გორკისა. საქმე იმაშია, რომ გორკის ძალიან განყენებულად აქვს წარმოდგენილი აზრი—გონება. ჩვენ არაფერი სადაო გვექნებოდა მასთან, რომ მას მხედველობაში ჰქონდეს მხოლოდ ის მომავალი, როდესაც ადამიანთა შორის არ ექნება ადგილი ჩაგვრას, ექსპლოატაციას, ძალადობას—როდესაც იქნება სავსებით განხორციელებული: ძმობა, ერთობა, თავისუფლება,—სიტყვები, რომლებიც ასე გაიცვითა ბურჟუაზიის ბატონობის, ბოროტ და ერთიმეორის ტანჯვაზე აგებულ მატყუარა დროში,—მაგრამ რომლებიც აუცილებელ საფუძვლად დაედება მომავალში ადამიანთა ურთიერთ დამოკიდებულებას. საქმე იმაშია, რომ დღევანდელ ადამიანების აზრი ეკუთვნის დღევანდელ ადამიანს: დღევანდელი ადამიანი კი—ეს მგონი საბანო ქეშიმარიტებათ იქცა—უალრესათ საზოგადოებრივია, ე. ი. კონკრეტულ, ამა თუ იმ ისტორიულ ყოფა-ცხოვრებაში მოქცეული. დღევანდელი ყოფა-ცხოვრების და ისტორიული პირობები—ქველის და ახალის შორის უალრესად გამწვავებულ ბრძოლების ეპოქის პირობებია. ადამიანსაც—მაშასადამე, მის აზრებსაც სწორედ ამ პირობებში უხდებოდა ნუშაობა, მოქმედება, შენება და ნგრევა. და საჭიროა პირველად ყოველისა—რათა ადამიანის და მისი აზრის მუშაობა უფრო დიდი, უფრო ნაყოფიერი იქნეს, გარკვევა იმის—თუ რომელ საქმეს ემსახურება იგი, საით მიდის მისი გზა. კარგია, როდესაც ადამიანის ტვინი ისეა მოწყობილი როგორც ეს გორკის აქვს, როდესაც იგი ყოველთვის ახალთან არის და ახალის წინამორბედი. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ეს საუბედუროდ ასე არ არის... ამიტომ პირველად ყოველისა გასარკვევია, ვის ემსახურება აზრი? გორკიმ ყველაზე უფრო კარგათ იცის, თუ როგორ სამარცხვინო ჩიხში მოემწყვდა, მსოფლიოს საუკეთესო, კაცობრიობის საამაყო ინტელიგენტთა აზრი მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის დროს... გორკიმ ეს ყველაზე კარგათ იცის, რადგან გორკი იყო ერთი იმ თითზე ჩამოსათვლელ დიდ პიროვნებათა შორის—რომელთა აზრი პროტესტს აცხადებდა ამ „კულტურულ ბალხთა“ ველურობის წინააღმდეგ...

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ პოლიტიკით უნდა იზომებოდეს ყველაფერი, მაგრამ არის მომენტი, როდესაც ადამიანის აზრმა სწორედ პოლიტიკის ადლით უნდა გაზომოს ყოველივე. ასე იყო ომის დროს... ვინ იტყვის, რომ ჰერგარდტ ჰაუპტმანი, ან და მორის მეტერლინგი, ან და ემილ ვერხარნი, ან და თუ გინდ ლეონიდ ანდრეევი აზროვნების ჩირაღდნები არ არიან... მაგრამ მათი აზროვნება ომის დროს—ეს ხომ ისეთი რამ სამარცხვინო იყო, რომ კაცობრიობას ქეშიმარიტად სავალალო მოსაგონად ექნება ეს...

ლენინი, გორკი, როზა ლიუქსემბურგი, როლანი — რადიკალურ მოწინააღმდეგე აზრს ადგენ... ისტორიამ გაამართლა გორკი ანდრეევის წინააღმდეგ და გაამართლა სწორეთ იმით, რომ ანდრეევის აზრი დაამარცხა გორკის აზრის წინაშე... ჩვენი ცხოვრება იმდაგვარათ არის მოწყობილი, რომ აზრთა ჭიდილი აუცილებლივ ერთი აზრის მოსპობას მოითხოვს მეორის მიერ, განსაკუთრებით ღარიბთა და მდიდართა ბრძოლების საქმეში. ღარიბთა და მდიდართა ბრძოლების ბედი კი — ხომ საბოლოოთ სწყვეტს ადამიანთა ბედს... ეს ყველაზე უკეთ გორკიმ იცის. თავის პატარა წერილში „ანატოლ ფრანსზე“ გორკი სწერს:

ფრანსის აზრი თითქმის სრულიათ თავისუფალია ფანატიზმისაგან, ისევე როგორც პესნიზმისაგან.

და კიდევ:

მე მჯონია, რომ პროკრუსტოს საწოლი — საყვარელი ავეჯი პედანტებისა, რომლებიც ყოველთვის მტრები იყვნენ თავისუფალ შემეცნების, — ეს ავეჯი არასოდეს არ ყოფილა საფრანგეთში მაინც და მაინც პოპულიარული...

გორკის ამ სიტყვებზე ჩვენ გაგვახსენდა საფრანგეთის „დადი რევოლიუცია“, ის, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელია საფრანგეთისა. გაგვახსენდა აზრთა ბრძოლა ამ რევოლიუციის დროს — და ვფიქრობთ, რომ აზრის „პროკრუსტოს საწოლი“ თუ კი სადმე იყო, სწორეთ რომ საფრანგეთში. განა რევოლიუციის აზრი — პოლიტიკაში განხორციელებული — არ იყო მიზეზი ლაფუაზიეს თავის მოკვეთისა? ლაფუაზიეს თავი მიტომ მოკვეთეს, რომ იგი აზროვნებდა სხვაფორმ, ვიდრე რევოლიუციის მეთაურთა თავები. ცხადია, აქ არავინ არ ასამართლებს არც ლაფუაზიეს და არც რევოლიუციას; საქმე მხოლოდ იმაშია, რომ კაპიტალისტურ საფრანგეთსაც მისი ყველაზე უფრო გმირულ პერიოდშიაც — სჩვევია ის, რაც საერთოთ ახასიათებს კაცობრიობის განვლილ დროებს... და კიდევ... არც ისე ბევრია კაცობრიობის ისტორიაში ისეთი საამაყო ადამიანები, როგორც იყვნენ დანტონი და რობესპიერი, და ყველამ იცის მათი ბედი. რა საჭიროა შორს წასვლა: არც ისე შორეულ დროის ამბავია სამარცხვინო „დრეიფუსიადა“, აგრეთვე საფრანგეთის „აზროვნების“ ნაყოფი. მართალია, დრეიფუსი გაამართლეს დაბოლოს, მაგრამ ბეილისიც ხომ გაამართლეს რუსეთში... ცნობილია, რომ ვიქტორ ჰიუგო მრავალი წელი საფრანგეთის გარეთ ცხოვრობდა: იმიტომ, რომ ზოგიერთ ფრანგთა აზრით — ესენი გაბატონებული იყვნენ საფრანგეთში, საჭირო არ იყო საფრანგეთის საამაყის ჰიუგოს ცხოვრება საფრანგეთში. არავისთვის არ არის დამალული ის სამარცხვინო დევნა საფრანგეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილისა, რომელსაც განიცდიდა სრულებითაც არა „ქვეყნის ამფეთქებელი“ მწერალი, პატიოსანი და სიმართლის მოყვარული პოლ მარგერიტი... იმის შესახებ კი, თუ როგორ ითმენს საფრანგეთის ბურჟუაზიის აზრი, პროლეტარულ საფრანგეთის აზრს — ეს საფრანგეთის „კულტურულმა“ საპრობილემებმა იციან...

დაჭირავებულ მუშათა მრავალ-მილიონიანი კლასი — პროლეტარიატი ერთადერთი კლასია, რომელსაც ნამდვილათ და სერიოზულათ სწამს აუცილებლობა და საჭიროება აზრის ჰეგემონობისა... არც ერთი სხვა მოძღვრება კაცო-

ბრიობის ისტორიაში არ გამოსულა ისეთი მედგარ მომხრეთ ადამიანის გონების ბატონობისა, როგორც მარქსიზმი: პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვება მთელ მსოფლიოში ეს იქნება განთავისუფლება ადამიანის გონებისა სადღეისო მატერიალურ ინტერესთა ბატონობისაგან, ეს იქნება დრო ადამიანის ნამდვილ მეფობისა ბუნებაზე, ეს იქნება გორკის ოცნებების, ზორცხესხმა... და ეს მოხდება მით უფრო ადრე, მით უფრო ნაკლები მსხვერპლები უფრო სრულად, რაც უფრო ადრე და რაც უფრო გულწრფელათ ამოუდგებიან გვერდით, ახალ ქვეყნის გასამარჯვებლათ მებრძოლ პროლეტარულ პარტიას ყველა ისინი, რომლებიც მუშაობენ ადამიანის გონების, აზრის სფეროში—სწორედ ისე, როგორც გორკი... ამისათვის შეიძლება, საჭირო შეიქნეს—ზოგიერთ არაერთისა და ორის—ჯიუტთა თავების—ძველი ქვეყნიდან მსხვერპლათ შეწირვა, მაგრამ... ეს აუცილებელი უბედურება ყოფილა ყოველ გვარი ბრძოლისა და ამას უნდა შეურიგდეთ...

გორკის ესლა-ხან გადახდილი იუბილე ნათლათ ამტკიცებს, რომ პროგრესიული წინ-მაეალი აზრი მთელი მსოფლიოსა ახალი-ქვეყნის მშენებელთა აზრს უერთდება... მთელი მსოფლიოს კულტურა—ცოცხალ ადამიანთა სახეებში განსახიერებული—უზომო სიყვარულით, პატივისცემით და გამარჯვების სურვილით შეხვდა მუდამ უამს ახალგაზრდა გორკის 60 წლის შესრულებას. ეს იყო დემონსტრაცია ძველი ქვეყნის ბატონების წინააღმდეგ, ძველი მსოფლიოს დამცველ აზრის წინააღმდეგ—რადგან გორკის სახელი სიმბოლოა და გამომნათველი საბჭოთა კავშირისა, აქ წარმოებულ გიგანტიურ შრომისა სოციალიზმის ასაშენებლათ,—ოქტომბრის რევოლიუციისა.

VIII

ცოტა ყრუნი და ცოტა ბრმანი—შეიძლება ისინიც, რომლებიც სულ ბრმა არიან და სულ ყრუ—სარკასტიული ღიმილით—ობ! გაგვანადგურეს!—გაგვიხსენებენ: მაქსიმ გორკი ოქტომბრის რევოლიუციის სიმბოლო... კი, მარა ოქტომბერში, რომ მაქსიმ გორკი თქვენს მოწინააღმდეგე ბანაკში იყო, გებრძოდათ, განა დაგავიწყდათ, „ნოვია ეიზნ“-ი „არადროული აზრები“?..

არა, ძვირფასებო, არა! ჩვენ არაფერი დაგვიწყნია, ყველაფერი გვახსოვს! ისიც გვახსოვს, თუ როგორ—ოქტომბრიდან არც ისე დიდათ დაშორებულ დღეებში,—გორკი ლენინთან ერთათ—გერმანიის იმპერიალიზმის აგენტათ მონათლეს, თითქმის ვილჰელმის ფულებით მოყიდულათაც... და მერე იცით, ვინ? ძვირფასებო—ესლა რომ ვითომც გესლიანათ იგონებთ გორკის უთანხმოებას ლენინთან ოქტომბრის დღეებში—სწორედ თქვენ—თქვენმა „რეჩ“-მა, „ედინსტვო“-მ, „ბირჟევაია ვედომოსტი“-მ, „რუსკოე სლოვო“-მ, „ერთობა“-მ, „საქართველო“-მ—და ვინ იცის კიდევ ვინ... ვიმეორებთ, ჩვენ გვახსოვს კარგათ, რომ გორკი პოლიტიკოსი ოქტომბრის დღეებში არ იყო ჩვენთან. ეს გორკისაც კარგათ ახსოვს, არც მალავს...

ოქტომბრის რევოლიუცია ეს ისეთი რადიკალური გარდატეხა იყო არამც თუ ცხოვრებაში, არამედ ადამიანთა თავებშიაც—რომ ბეგრს, რევოლიუციის

გულწრფელ მეგობრებსაც, დამღუპველათ მოეჩვენათ იგი. და არა მარტო გორკიმ—ადამიანმა, რომელიც ყოველთვის ამბობს, რომ ის ცუდი პოლიტიკოსია, რომ პოლიტიკა „ბუნებრივად უძაგება მას“, არამედ უფრო მეტად გამოცდილებმა პოლიტიკაში ფეხი მოიტეხეს ოქტომბრის დღეებში—თვით ბოლშევიკთა პარტიაშიაც... ზინოვიევის, კამენევის ამბავი— ეს ხომ ყველამ იცის, გორკი მხატვარი, სწორედ ის გორკი, რომელიც განსაკუთრებით ძვირფასად ჩვენთვისაა და რაითაც უმთავრესათ ფასდება ის, როგორც გენიოსი, არასოდეს არ გამოსულა ოქტომბრის მძაგებლათ თავის შეშოქმედებაში.

თვით გორკი შემდეგნაირათ ხსნის თავის შეცდომების სათავეებს ოქტომბრის დღეებში:

როდესაც, 1917 წელში, ლენინმა, ახლად ჩამოსულმა რუსეთში, გამოაქვეყნა თავისი „თეზისები“, მე ვიფიქრე, რომ კომუნის ამ თეზისებით ის მსხვერპლათ სწირავს მთელ საოცრათ მცირერიცხოვანს, მაგრამ თვისებით გმირულ რაზმს პოლიტიკურათ აღრზდილ მუნებშია და მთელ გულწრფელათ რევოლიუციონურ ინტელიგენციას—მსხვერპლათ სწირავს რუსეთის გლეხობას. ეს ერთათ ერთი აქტიური ძალა რუსეთში გადასროდილი იქნება, როგორც ერთი მუჭა მარილი სოფლის ქაობიან წყალში და უშედეგათ გადნება, შეისრუტება მასში და ვერაფერსაც ვერ შესცვლის მის სულში, ყოფა-ცხოვრებაში, — რუსეთის ხალხის ყოფა-ცხოვრებაში... რომ უფრო ნათელი გახდეს ჩემი პოზიცია ვიტყვი, რომ ძირითად დაბრკოლებას რუსეთის გზაზე ევროპისა და კულტურისაკენ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის უცოდინარი სოფელი წარმოუდგენელ სიმძიმით აწევს თავს ქალაქს, აგრეთვე გლეხობას ზოოლოგიურ ინდივიდუალიზმი და ის რომ, მასში სრულებით არ არის სოციალური ემოციები. პოლიტიკურათ აღბრდილ მიუშვების დიქტატურა ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში, არის ჩემის აზრით, ერთათ-ერთი გამოსავალი მძიმე მდგომარეობიდან, რომელიც განსაკუთრებით გართულდა ომით. ამ უკანასკნელმა უფრო მეტათ გააძლიერა სოფელში ანარქიული ძალები. კომუნისტებს მე არ ვეთანხმები ინტელიგენციის როლის დაფასებაში რუსეთის რევოლიუციაში... მე ვიცი, ჩემი ასეთ მოსაზრებათა გამოკიდევ ერთხელ დამცინებენ რევოლიუციის პოლიტიკოსები. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ჭკვიანები და პატიოსნები მათ შორის დამცინებენ არა გულწრფელათ...

ეს ნაწყვეტი ამოღებულია გორკის მეორე წერილიდან „ლენინზე“. აქ ნათლათ არის დასახელებული ის მიზეზები, რომელთა წყალობით გორკი, ცხადია, ვერც ისე ერთბაშათ მიიღებდა ოქტომბრის რევოლიუციას. პირველი მიზეზია გლეხობის უარყოფა, როგორც რევოლიუციონური ძალის, თითქმის მისი მონათვლა როგორც რეაქციის ქვაკუთხედის. მეორე—ინტელიგენციის როლის გადამეტება...

გორკი არ არის მართალი იმაში რომ, „რევოლიუციის ბევრი პოლიტიკოსები“ დასცინებენ მას ამ აზრების გამო. რევოლიუციის მეგობრები, თუ გინდ პოლიტიკოსებიც, გორკის არასოდეს არ დასცინებენ—მიუხედავათ იმისა, რომ შეიძლება მისი აზრები არ გაიზიარონ, არ მიიღონ... გლეხობის იმ არა ბოლშევიკური დაფასებით, რომლითაც უახლოვდებოდა გორკი—პოლიტიკოსი—ოქტომბერს, ცხადია, ბოლშევიკური რევოლიუციის უყოყმანოთ მიღება შეუძლებელი იყო. ყველამ იცის, თუ როგორი აქტიური და, შეიძლება ითქვას, თავისი ძალით გადამწყვეტი როლი ითამაშა ძველი არმიის პოლკებმა—ოქტომბრის

გამარჯვებაში, არა მარტო ლენინგრადში და მოსკოვში, არამედ და უმთავრესათ პროვინციებში... ბოლშევიზმი სწორეთ მიტომ გამოვიდა ბრწყინვალეთ გამარჯვებული ოქტომბრის დღეების გამოცდიდან, რომ მან მოახერხებ ისეთი პროგრამის — რევოლუციის, განსახორციელებელის — წამოყენება, რომელიც მისაღები იყო არა მარტო მუშათა კლასისთვის, არამედ გლეხობის ფართო მასებრისათვისაც... იმიტომ, რომ ბოლშევიზმს თავიდანვე სწამდა, მას თავიდანვე უნდა ეხერხებოდა ის მთავარი დებულება, რომ რუსეთში რევოლუცია გაიმარჯვებს როგორც მუშური, მაგრამ მუშათა კლასის კავშირით გლეხობასთან ერთად — ეს იყო კარდინალური სხვაობა ბოლშევიკ-მენშევიკთა ისტორიულ დავაში რევოლუციის მამოძრავებელ ძალთა შესახებ. და ცხადი იყო: თუ კი გლეხობის რევოლუციონურობას უარყოფდი — მაშასადამე უარყოფდი ობიექტიურ რევოლუციონურობას გლეხობის საუკეთესო ნაწილისა, ფარაჯაში რომ იყო გამოწყობილი. ცხადია — ასეთი პროგნოზით ოქტომბრის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, როგორც განწირული, დაღუპვა, განადგურება. შედეგი კი მას მოყვებოდა — ესეც ცხადია იმ ძალების განადგურება, ფიზიკურათ მოსპობა, რომლებიც ნამდვილათ ჩაებმებოდენ ოქტომბერში და შეეცდებოდენ მასში რევოლუციის პროგრამის განხორციელებას — ე. ი. მუშათა კლასის მოწინავე ავანგარდის და იმ ინტელიგენციის, რომელიც მას მიყვებოდა ამ საქმეში. აქ ლოლიკა რევოლუციის შემცდართ გამგებ, მაგრამ მაინც მისი ინტერესებიდან გამოსულ ადამიანისა, — სავსებით დაცულია. თუ კი გლეხობა ანტი რევოლუციონურია, მაშასადამე რუსეთში — სადაც გლეხობა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, მუშური რევოლუცია დამარცხდება ისევე, როგორც იგი დამარცხდა 1905 წელს. ასე ფიქრობდა გორკი — ასე ფიქრობდა ნაწილი ბოლშევიკებისაც. ამიტომ სთვლიდენ ლენინის ტაქტიკას ოქტომბერში დამლუპველათ... მაგრამ ასე არ ფიქრობდა ლენინი და ყველა ისინი, ვინც მასთან ერთათ მეთაურობდა მაშინ ოქტომბერს. გორკი არა ერთხელ და ორხელ გაიმეორებს შემდეგაც რუსის მუეიკის პასივობის, უმოძრაობის, უკულტურობის შესახებ მწარე სიტყვებს. მაგრამ ოქტომბრის რევოლუციას, რომელმაც საბოლოოთ დაამტკიცა ლენინის სიმართლე და გორკის შეცდომა ის მიიღებს „სერიოზულათ და საბოლოოთ“.

მეორე სადაო საკითხი, რომელიც გორკის ქონდა ჩვენს პარტიასთან, ეს იყო საკითხი ინტელიგენციის შესახებ. გორკის აზრით კომუნისტები ისეთ როლს არ ანიჭებენ ინტელიგენციას რევოლუციაში, როგორც ეს საჭირო იყო და აუცილებელიც რუსეთის ინტელექტუალურ სიღარიბის და საერთო უკულტურობის გამო. გორკის მიერ ინტელიგენციის — ჩვენი აზრის გარდამეტებული დაფასება რევოლუციის გამარჯვების საქმეში — გამომდინარეობს მისი განყენებულ შეფასებიდან ადამიანის აზროვნებისა, როგორც ყველაფრის შემძლესი — დღეს თუ არა ხვალ მაინც, ყველაზე უფრო ძვირფასის მსოფლიოში... ინტელიგენცია, გორკისთვის ეს ის მარილია ნიწისა, რომელშიაც ასე ვთქვათ ხორც-შესხმულია ადამიანობის საუკეთესო აზროვნება.

ზევით ჩვენ გვქონდა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საკმაო არ არის და-

აფასო აზრი, დიდი მნიშვნელობა მიანიჭო მას, — საჭიროა აგრეთვე გაარჩიო, ვის ემსახურება ეს აზრი, რა გზით მიყავს მას კაცობრიობა — მრავალი მილიონები, ვისი მომხრეა იგი — ხალხის თუ ძველის? ასე სდგას ჩვენთვის საჭირო ინტელიგენციის შესახებ, რომელიც სხვათა შორის, არც არსებობს, როგორც ცალკე დამოუკიდებელი სოციალური კატეგორია — იგი სხვადასხვა კლასების კულტურული ზედა-ფენაა...

ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ ლენინის სწავლებას ბურჟუაზიულ ინტელიგენტურ ძალების გამოყენების შესახებ, მაგრამ იმასაც ვერ დავივიწყებთ — ეს იქნებოდა რევოლუციის დავიწყება, — რომ გამოყენება შეიძლება იმდენათ, რამდენათაც ისინი შორდებიან თავის კლასს, რამდენათ ისინი მოდიან ჩვენთან, ნამდვილი სურვილით და გადაწყვეტილებით ემსახურონ იმას, რაც შექმნა ახალმა... თორემ ისეთი ამბები, როგორის მოწამეც ჩვენ ვიყავით ამ დღეებში შახტინის კონტრრევოლუციის სახით, ვერაფერი სამსახურია რევოლუციისათვის. რაც არ უნდა „დავაფასოთ“ მათი კულტურული ავლა-დიდება, მათი აზრი — ვინც ხელმძღვანელობდა ამ საზიზღარ საქმეს, ერთი კი ცხადია: ასეთი აზრი უნდა ძირშივე ჩაიკლას, შეიძლება მათ დამტევ თავებთან ერთადაც. ინტელიგენტურ ძალების ერთ ნაწილის სახით აქ ძველმა ქვეყანამ, ჩვენ წინააღმდეგ აჯანყებულმა ბურჟუაზიამ — ძალიან მძიმე ლახვრის ჩაცემა მოგვიწოდოდა და აკი საკმაო ზიანი მოგვაყენა კიდევ!

აქ ჩვენ გამოგვიყენა ძველმა ქვეყანამ ინტელიგენტების, სპეცების, „განათლებულ აზრის მქონე“ პიროვნებათა საშვალეობათ — ჩვენ კი ვფიქრობდით რომ ისინი ჩვენ, ე. ი. ხალხს, გვემსახურებოდნენ. ვფიქრობთ, გორკი შემცდარია, როდესაც მისი აზრით რევოლუციის სარგებლიანობა მოითხოვს მეტ დამოუკიდებლობას, მეტ გასაქანს, მეტ უფლებებს მეტ თავისუფლებას ინტელიგენციისათვის, იმისდა განურჩევლათ, თუ რომელ კლასის კულტურულ ზედა-ფენას წარმოადგენს იგი.

გორკის დავა ბოლშევიკებთან არ იყო დავა მტერისა, მოწინააღმდეგე ბანაკში მოქცეულ ადამიანისა — ეს იყო დავა მეგობრისა, თანამებრძოლისა ოქტომბრის რევოლუციის მეთაურებთან, — სწორეთ ამ რევოლუციის სწორი გზით წაყვანის საკითხებში. გორკი ფიქრობდა: რევოლუცია მოიგებს, თუ უფრო მეტი დათმობები იქნება ინტელიგენციის მიმართ — რევოლუციის მეთაური პარტია ბოლშევიკებისა კი ფიქრობდა, რომ დათმობებს საზღვრები უნდა ექნეს და რომ არა ყოველი ინტელიგენტი ან და ინტელიგენტთა ჯგუფი გამოდგება რევოლუციის მეგობრად: ზოგიერთ მათ წინააღმდეგ საჭიროა „უხეში ძალის“ მოხმარაც: მაგ. — იმათ წინააღმდეგ, რომლებიც ლენინგრადაში ვოლოდარსკის და ჟრიცკის მოკლავენ, მოსკოვში ლენინის ფილტვებს დახვრეტენ ტყვიებით, ქარხნებს ააფეთქებენ, ხიდებს ანგრევენ, აჯანყებებს აწყობენ, საბოტაჟს ეწევიან, ჯაშუშობენ და შახტის მსგავს ამბებით გვიმასპინძლებიან. ჩვენ ძალიან კარგათ გვესმის გორკის ფიზიკური სიძულვილი ყოველ კაცის კვლისადმი. მას ამის შესახებ კარგად აქვს დაწერილი თავის „კაცის მკვლელებში“. მაგრამ ჩვენ ესეც კარგათ გიცით, რომ სჯობს ერთეულების თავი შეეწიროს მსხვერპლათ ათასებს

და მილიონებს. მით უმეტეს, როდესაც ეს თავი გარდა იმისა რომ მილიონების ინტერესთა წინააღმდეგ აზროვნობს და მოქმედებს, ისტორიის წინსვლასაც უშლის ხელს.

დრომ, რომელიც ყველაფრის და ყველასი პირუთენელი მოსამართლეა, უკვე შეგვარიგა ჩვენ გორკისთან—პოლიტიკასთანაც.

მხატვარ გორკისთან კი ჩვენ დიდი სადაო მაინც დავსწავლეთ. მისი აზრების გვერდებია. თავის „მკითხველის წინაშე“ გორკი საბჭოთა ხელისუფლების შესახებ შემდეგს სწერს (ჩვენ უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავსაკმაოთ დიდი ანონაწერი მოვიყვანოთ.—გორკის მსჯავრი არც თუ ისეა ინტერესს მოკლებული):

ათი, აგერ ათი წელი სრულდება რაც რუსეთში დაშვიდრდა ახალი ფორმა სახელმწიფოსი და მისი მიზანი, როგორც მე ეს მესმის, მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, გასაქანი მისცეს ხალხის ფართო მასების მომქმედ ძალ-ღონეს.

ფანტასტიური მუშაობა, რომელიც დაიწყო ჩვენში მთელი ხალხის ძალღონის დაკომბით, და ბოლოს ის შედეგები, რომლებსაც ეს მუშაობა უკვე იძლევა, ყოველივე ეს მშვენიერათ, რომ უკეთ არ შეიძლება ისე, ლაპარაკობენ იმ შეხედულებების სასარგებლოთ, რომელიც ამბობს, რომ ადამიანი საერთოთ უკეთესია ვინემ მანე ჩვეულებრივ ფიქრობენ. უტყუარი ქვემარტებაა, რომ მასა რადიო-აქტიური ნივთიერებაა, მაგრამ საჭიროა მთელი რიგი პირობებისა იმისათვის, რომ წმინდა რადიო იქნეს მიღებული მისგან. საბჭოთა რესპუბლიკებში ეს პირობები უკვე შექმნილია ნაწილობრივ და განაგრძნობენ შეუწყვეტლივ განვითარებას.

მუშის და გლეხის კულტურული ზრდა, ამაღლება—ურყვევი ფაქტია.

უნდა ითქვას, რომ ჯერ არ ყოფილა და არც არის სხვაგან არსად ისეთი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ასე ნაყოფიერათ და გულ დადებით ემსახურებოდეს ხალხის კულტურული აღზრდის საქმეს, როგორც ეს ხდება რუსეთში. მე ამას ვლაპარაკობ არა მარტო იმ უფლებით, რომ ვიცნობ ისეთ ჩინებულ გამოცემებს, როგორიც არის „გლეხის“ და „მუშის“ განათები, ყოველ-კვირულურ ჟურნალებს, „მსურს ვიცოდე ყველაფერი“, „გლეხის ქალი“, „მუშა ქალი“ და ათეულ სხვა გამოცემებს. ვამბობ ამას არა იმიტომ, რომ ყურადღებით, რამდენათაც კი შემოძლია, თვალყურს ვადევნებ მეშკორების და გლეხკორების მუშაობას, ამ ქვემარტად „აბალ“ ადამიანების კულტურულ ზრდას.—არა, არა მარტო ეს—რაიც ცნობილია უჩემოთაც,—მაძლევს მე გამბედაობას ვილაპარაკო ასე დაჯერებით და დარწმუნებით, მწრომელ მასების კულტურული ზრდის შესახებ.

გაცილებით უფრო მეტ მნიშვნელობას ვაძლევ მე იმ წერილებს, რომლებსაც ვღებულობ სხვადასხვა აბალგაზრდა და მოხუც მცხოვრებთაგან სოფლებსა და ქალაქებისა, წერილებს, რომლიდანაც სრული სიმართლით ირკვევა, თუ როგორ იზრდება და ღრმავდება აქტიური ინტერესი რუსი კაცისა თავის ქვეყნისადმი და საერთოთ მთელ მსოფლიოსადმი: მეცნიერებისადმი, ლიტერატურისადმი და ყოველივე იმისადმი, რაიც ნიშნავს ცხოვრებას.

რომ რუსეთი სცხოვრობს მეტათ მძიმე პირობებში—ეს ისევე ურყვევი სიმართლეა, როგორც ის, რომ ამ მძიმე პირობათა შექმნაში და გამაგრებაში ბევრითად მუშაობენ ევროპის მაღალ კულტურულ ქვეყანათა მთავრობები, რასაც სრულიადაც არ უშლის ხელს აგრეთვე ბრძნული სიმუნჯე და უმოძრაობა ევროპიელ სოციალისტებისა, აგრეთვე მეტად კულტურულ ხალხისა.

მაგრამ ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავათ და მათ წინააღმდეგ რუსეთის შემოქმედებითი სიძლიერე სწრაფათ იზრდება. მეცნიერულ გამოგონებათა სიმრავლე, ქვეყნის მცოდნეობის ფართო განვითარება სამეცნიერო ექსპედიციების

რაოდენობათა რზდა, მთელი რიგი ახალ მცენიერულ დაწესებულებათა, და ბოლოს მნიშვნელოვანი მიღწევები ქვეყნის ელექტროფიკაცია საქმეში—ყოველივე ამან და მრავალ სხვა გამარჯვებებმა ჟნდა დაარწმუნონ ბრძანიც და ყრუნიც მასში, რომ რუსეთი ნამდვილათ სცხოვრობს ახალი ცხოვრებით და რომ მისი ადამიანი შეიქმნა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ის იყო ათა წლის წინად. მაგრამ მე არა მაქვს არავითარი სურვილი დავაჯერო რაიმეწი ყველა ეს თავისივე უძლურობით და უღონობით „დაჩაგრული და შეურაცხველი“ უკანონოები.

ამხ. ხალატოვთან მიწერილ წერილში გორკი გამოსთქვამს იმედს, რომ იგი მალე დასწერს ახალ წიგნს ახალ რუსეთზე, ახალ ადამიანზე, რევოლიუციისაზე. გორკის აზრები რევოლიუციის მიღწევებზე, მისი სიყვარული ახალი ქვეყნისადმი, მისი საოცარი დაინტერესება ამ ახალი ქვეყნის ცხოვრებით და მხატვრული ინტუიცია, რომლითაც ის სჭვრეტს არა მარტო წარსულს და დღევანდელს, არამედ ხვალისდელ დღესაც—ყოველივე ესენი უეჭვოთ ხდია იმას, რომ ეს ახალი წიგნი ახალ ადამიანზე დაწერილი იქნება მარადიული განძი კაცობრიობის სიმშვენიერეთა სალაროში.

IX

დimitრი მერეჟკოვსკი, ერთი იმათთაგანი, რომლებსაც ვერ უშველეს ვერც მეფემ, ვერც ღმერთმა და ვერც ეშმაკმა—მერეჟკოვსკი გულწრფელად ცემდა თაყვანს პირველსაც, მეორესაც და მესამესაც—თავის ქამურ წიგნში—უკვე ყველასაგან დავიწყებულში—„Грядущий хам“—ასე სწერდა გორკის შესახებ:

გორკიზე, როგორც მხატვარზე, ორი სიტყვის მეტის თქმა არც ღირს... მისი პოეზია მეტის ღირსი არ არის გარდა მოწყალე დაგიწყებისა. ავტორის, ყველა ღირიკული თქმანი, ბუნების აღწერილობა, სასიყვარულო სცენები—ყოველივე ეს უკეთეს შემთხვევაში საშუალო ღირსების ლიტერატურაა, ან და სრულიად უვარგისი. თუმცა იმ გულუბრყვილო კრიტიკებს, რომლებიც გორკია, როგორც მხატვარს ადარებენ პუშკინს, გოგოლს, ტოლსტოის, დოსტოევსკის—სულერთია ვერაფერს დაუმტკიცებ... საერთოდ ბოსიაკი პოეზიით ძალიან გვაგონებს სმერდიაკოვს გიტარით („Грядущий хам“)..

ლიტერატურის ამ სმერდიაკოვის—მერეჟკოვსკის—ეს ღვარძლიანი სიტყვები, რომლებიც სამუდამოთ დავიწყებულა ყველას მიერ, დღის სინათლეზე გამოსატანი არც იყო, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, ზედმეტი არ არის ხანდისხან მტრებსაც ვსცეთ „პატივი“, და მათი დინგი, სიბინძურეში დასვრილი ღორისა—ყველას დავანახოთ. მით უმეტეს საჭიროა ეს, რომ გორკის მეტად ბევრი ყავს დღესაც მტერი სწორედ იმ ბანაკიდან, რომლის წინააღმდეგ ბრძოლაში მისი აზრით ახალი ქვეყანა ვითომც და ზედმეტ სისასტიკეს იჩენს.

მერეჟკოვსკი გამოხატავს განწყობილებას იმ ბანაკისა, რომლის მოსახლეობას წარმოადგენს ბლოკის მიერ ასე მშვენიერად დახასიათებული ცხოველები:

Так—негодует все что сыто,
Тоскует сытость важных чрев,
Ведь опрокинуто карыто
В тревожен их прогнивший хлев

(„Сытые“).

მერვეკოვსკი და გორკის სხვა მტრები ისტორიისაგან უკვე განწირული არიან. ხვალინდელ დღისათვის ისინი არაარაობას წარმოადგენენ, როგორც მხატვრები კი დღესაც მკვდარი არიან. მათი არსებობა მხოლოდ ამით საზრდოობს რასაც კრეფავენ ისინი კაპიტალიზმის სიძულვილის სუფრიდან საბჭოთა ქვეყნების მიმართ... გულუბრყვილო კრიტიკები — და განა მარტო კრიტიკები? — ეს ხომ ცნობილია, რომ რუსეთში არ ყოფილა არც ერთი სხვა მწერალი, რომელსაც ქონებოდეს ისეთი ავტორიტეტი ხალხის უფართოეს მასებში და კულტურულ ზედა ფენებშიაც, რომლებიც გორკის ადარებდენ გოგოლს, პუშკინს, ტოლსტოის მართალი გამოდგენ... მსოფლიო ლიტერატურამ გორკი გაუთანასწორა არა მარტო ზევით დასახელებულ რუსულ ლიტერატურის სიამაყეთ, არამედ მსოფლიო მწერლობის ერთეულ მწვერვალებსაც. გორკი ღირსეულად ამშვენებს მწერალთა იმ გაღვრვის, სადაც ტოლსტოის, დოსტოევსკის, პუშკინის და სხვა რუს მწერლების გარდა იმყოფებიან: დიკენსი, ბალზაკი, ფლობერი, ჰამსუნი, ანატოლ ფრანსი, რომენ როლანი და სხვა დამამშვენებელნი მსოფლიო ხელოვნებისა.

მერვეკოვსკი, როგორც მწერალი ვის ახსოვს, მაშინ როდესაც გორკი სამართლიანად ითვლება მეთაურად თანამედროვე ახალ რუსულ პროზისა. საკმაოა წაიკითხოთ ავტობიოგრაფიული ცნობები იმ მწერლების, რომლებსაც მოწინავე ადვილები უჭირავთ თანამედროვე რუსულ ლიტერატურაში, რომ სამართლიანად იილო გორკის გენიალური სახე, არა მარტო დიად ნაწარმოებთა ავტორისა, არამედ მზრუნველისა, მეთაურისა, ხელმძღვანელისა — ახალი ლიტერატურის. სრულიად შემთხვევით შეკრებილი ცნობები ზოგიერთ ახალ მწერალთა დამოკიდებულების შესახებ გორკისთან — ნათლათ ამტკიცებს ამას.

თედორე გლადკოვი, კომუნისტი მწერალი — ავტორი სახელგანთქმულ „ცემენტისა“, ასე აგვიწერს გორკის გავლენას მასზე — როგორც მწერალზე და ადამიანზე:

ჩემი ცხოვრების ისტორიაში მას უკავია ერთად-ერთი და განსაკუთრებული ადგილი. მე მქონდა მიწერ-მოწერა მრავალ მწერლებთან, გორკის თანამედროვეებთან, მე მათ ხშირათ ვიგონებ თბილი გრძნობით და მადლობით, მაგრამ მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება, გრძელი და მძიმე მრავალწლიანი გზა ჩემი ლიტერატურული განვითარებისა — არ შეიძლება წარმოადგენილი იქნეს გარეშე გორკისა, როგორც მწერლისა და ადამიანისა. ეს იყო ჩემი ერთად ერთი მასწავლებელი, ალფრესიანი, ბრძენი, ყველაფრის გამგები და სიყვარულით აღსავსე.

მე ხშირად მომდის ასეთი აზრი: ჩემი გზა რომ გორკის არ შეხვედროდა, მე არ ვიქნებოდი მწერალი, არ ვიქნებოდი ჩვეულებრივ კულტურული ადამიანიც, დავიკა-გებოდი ჩავიღუპებოდი სადმე ცხოვრების ფსკერზე, ისევე უაზრათ როგორც იღუპებოდენ სხვა ათასები.

როდესაც მე ვწერდი „ცემენტს“ (და საერთოდ ყველაფერს, რასაც კი ვსწერდი), მე მხოლოდ ერთი რამ მახსოვდა, როგორ დააფასებს ამას გორკი? როგორ მიჩვენდა და მითითებდა გორკი გამეკეთებია ესა და ეს? რას ამბობდა გორკი ჩემი ცდების შესახებ ამა და ამ შემთხვევაში? რა მიზნებს და ამოცანებს უსახავს გორკი ხელოვნებას?

მე უღრმეს ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ვსცხოვრობ ამ დიდ ადამიანთან ერთად და უსაზღვროდ მადლიერი ვარ მისი, რომ თავისი შემოქმედების და-

ლით და პირადი სიყვარულით მან—ერთად-ერთმა—დამაყენა მე ჩემი მოწოდების გზაზე. მიყვარს კი იგი გამოუთქმელად.

(თ. გლადკოვი, გორკი—„ბელადი და ჩემი ბებარი“)

ი. ბებელი, თანამედროვე რუსული ლიტერატურის ერთი უნიკიერესი წარმომადგენელი და რეფორმატორიც, ასე სწერს თავის *კვლევებში* გორკის შესახებ:

სიზღაპრულია

1911 წელს მე დამქონდა ჩემი ნაწერები სხვადასხვა რედაქციებში. მაგრამ არსად არ მიმიღეს, ყველგან შერეკებოდნენ, ყველა რედაქტორები (იხმიაილოვი, პოსუ და სხვები) მარწმუნებდნენ, რომ ჩემთვის გაცილებით უკეთესი იქნება, მწერლობას თავი მივანებო და სადღაც საგაქროში მოვეწყო, მაგრამ მე მათ არ დაუჯერე და როგორღაც 1916 წლის ბოლოს მოვხვდი გორკისთან. და აი მთელი ჩემი მომავლით მე მოვალე ვარ ამ შეხვედრის და დღემდის უტკბილესი სიყვარულით ვიგონებ ალექსეი მაქსიმეს-ძის სახელს. მან დამიბეჭდა „ლექტორის“ ნოემბრის წიგნში პირველი ჩემი მოთხრობები, მან მასწავლა გასაოცარ მნიშვნელობის რამეები და შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ თრი სამი „ჩემი ყინაწვალის“ მოთხრობების „გამარჯვება“ იყო შედეგი მხოლოდ შემთხვევისა და რომ ლიტერატურის საქმეში არაფერი გამომდის და ესწერ მეტად ცუდათ, ალექსეი მაქსიმეს-ძემ გამაგზავნა მაშინ ხალხში.

ვსევოლოდ ივანოვი, ერთ იმ ახალგაზრდა მწერალთაგანი, რომლითაც სამართლიანად ამაყობს თანამედროვე რუსული ლიტერატურა სწერს:

ჩემი მოთხრობა გაფუგზავნე გორკის „ლექტორისათვის“. გავგზავნე და ვუცდი დიდებას. უბედნიერესი დღე ჩემს სიცოცხლეში იყო ის დღე, როდესაც სტამბის-ტალახთან გრძელ და ბნულ სარდაფში შემოვიდა ფოსტალიონი და გადმომცა წერილი; ეს იყო თრი კვირის შემდეგ ჩემი მოთხრობის გაგზავნისა. მთელი სტამბა შეიკრიბა გორკის წერილის წასაკითხად. ამის შემდეგ ყველამ გადაწყვიტა, რომ მე დიდი კაცი ვარ; სტამბის განგეც დაეთანხმა ასეთ აზრს და მომცა ავანსათ ათი მანეთი „ყელის გასასოღებლად“. მეგობრები დამითვრენ, მე კი ვიჯექი მათ შორის ერთად-ერთი ფბიხელი, ვგრძნობდი კი თავს ყველაზე უფრო მთვრალად... მაშინ მე თრი კვირის განმავლობაში ხედიხედ დაეაწერე ოცი მოთხრობა და ზოგიერთი გადაუგზავნე გორკის. მან კი მომწერა, რომ ეს ცუდია და რომ საჭიროა ვისწავლო და ვიკითხო.

20 წლის ბოლოს გორკი დამეხმარა პეტერბურგში გადასასვლელად. აქ პირველად მიმშილით კინალამ მოგვედი (გორკი მოსკოვში იყო და მე ჩანოვედი ჩემთვის უცნობ ქალაქში) შემდეგ ალექსეი მაქსიმეს-ძემ მომაწყო კვებაზე „მეცნიერთა სახლში“. მე მაშინ ძალიან მორცხვი და მორიდებული ვიყავი, ის კი თავისი ბოხი ხმით, როგორც მისი უღვაშები, ამბობდა. „ნუ ფიქრობთ. თქვენთვის საჭიროა კარგი კვება. სჭაშუთ“. მე კარგი აღამიანები არ მწამს, ვფიქრობ რომ ისინი პირმოთხებენ ადამიანისადმი ზიზლის გამო,—გორკიმ კი შეარყია ეს და ბევრი სხვა ჩემი აზრები.

ივანე კასატკინი, მოკლე ცნობებში თავის წარსულის შესახებ, სხვათა შორის ამბობს:

როგორღაც მოვიპაზრე გამეგზავნა გორკისთვის კაბრიზე რამდენიმე გაზეთში მოთავსებული ჩემი მოთხრობები; მის შემდეგ გორკისთან მე მაქვს მუდმივი მიწერ-მოწერა. ჩემი მოთხრობები კი იბეჭდებოდნენ „Книжник“-ს კრებულებში და სხვა სტელტანიან ქურნალებში. 1906—14 წლებში მე ვსცხოვრობდი სადღაც ყოველივეს მოწყვეტილ პროვინციაში და არავითარი კავშირი ცოცხალ მწერალთა

ქვეყანასთან არ მქონდა, ისევე როგორც ძველადაც. ამ ქვეყნიერების გავლენას ვნახულობდი მხოლოდ გორკის წერილებში.

ავტორი „რასტრატჩიკე“-ბის ვლ. კატაევი თავის ნახევარ-გვერდიან ავტობიოგრაფიაში შემდეგს სწერს:

1920 წლის ბოლოს მე ჩამოვედი პეტროგრადში და ჩემი პირველი მოთხოვნა „მეთერთმეტე აქსიომა“ ვაჩვენე გორკის. სწორედ მაშინვე დაიწყო „სერაპიონელ ამათა ორდენი“. გორკის და სერაპიონების მოვალეობა ჩემი ლიტერატურული მუშაობით.

მეორე სერაპიონელი ნიკ. ნიკიტინი აგრეთვე ამბობს:

ლიტერატურაში შევედი 1922 წელს. დავსწერე მოთხოვნა „KOA“ და ამ დროს გავეცანი გორკის. მისი სიტყვები მარად დაუვიწყარი დარჩება ჩემთვის. ის არაჩვეულებრივი ადამიანია.

ავტორი „პუგაჩევშჩინის“ და „ლიუბოვ იაროვაიასი“ კ. ტრენევი გვიამბობს:

უდიდესი მნიშვნელობა ჩემს ლიტერატურულ ბიოგრაფიაში ქონდა მაქსიმ გორკის; კუნძულ კაპრიდან ისეთი გამამბნეველი, უდიდესი თანავარძლობით აღსილი პასუხი მომწერა ერთ ჩემს მიერ მისთვის გაგზავნილ ნაწერის შესახებ, რომ ამ პასუხით ხშირათ დამიძლევია ბევრი მძიმე წუთები ჩემი ცხოვრებისა. ვფიქრობ, რომ გორკი არა, მე აღბად არ დავიწყებდი სერიოზულად ლიტერატურაზე ფიქრს. ძალიან ნაკლებად ვიყავი დარწმუნებული ჩემს ძალღონეში.

ცნობილი რომანის „წლები და ქალაქები“ ავტორი კონსტანტინ ფედინი ასე იგონებს გორკის:

1920 წელს გავეცანი გორკის, რომელთანაც შეხვედრა საჭირო იქნება მოვიგონოთ სხვა ადგილას, მან ჩემთვის გააკეთა წარმოუდგენელი ბევრი რამ, სხვათა შორის, ხელი შეუწყო ჩემს მიერ გაზეთებში მუდმივი მუშაობის შეწყვეტას, მანვე შემიყვანა მე 1921 წ. „სერაპიონელ ამათა ორდენში“.

შეგვეძლო აქ მოგვეყვანა პოდიაჩევის, დემიდოვის და სხვა არა ერთი და ორი გამოჩენილი რუსი მწერლის გულახდილი სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა მოუხდენია მათზე, როგორც მწერლებზე, გორკის—პოეტს და ადამიანს. მაგრამ ნათქვამიც ნათელყოფს იმას, თუ ვინ არის გორკი რუსულ ლიტერატურისათვის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მწერლების ხევით გამოთქმული აზრები მოყვანილია არა სპეციალურად გორკიზე დაწერილ (გარდა გლადკოვის წერილისა) მოგონებებიდან, არამედ, სხვათა შორის, ძალიან მოკლე ავტობიოგრაფიულ ცნობებიდან. ნახევარ გვერდის ოდენა ავტობიოგრაფიაში, სადაც მოთავსებულია მწერალის ცხოვრება, ნაწერებთა შექმნის ისტორია, მომავალი პერსპექტივები, ავტორი საჭიროთ და აუცილებლათ ნახულობს მოიხსენიოს გორკი, როგორც მზრუნველი, ნასწავლებელი, მეგობარი და ამხანაგი.

როგორც შეშვენის ბელადს და მეთაურს, გორკი ყოველთვის პირში მთქმელია და გულახდილი. და არა მარტო იმათ მიმართ, რომლებიც მის მოწაფეებათ ჩაითვლებიან, არამედ ყოველგვარ ავტორიტეტების მიმართაც. გორკის საზოგადოებრივ გამბედაობის და რევოლიუციონრობის წარსულში მრავლათ მოინახება ისეთი მომენტები, როდესაც იგი თავის მკვეთრ და მრისხანე ხმას აღიმალლებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა საერთოთ და კერძოთ ლიტერატურაშიაც. ლიტერატურულ ბრძოლების—და განა მარტო ლიტერატურულ?—ისტორიაში

დაუვიწყარია გორკის საჯარო პროტესტი რეაქციის წლებში სამხატვრო თეატრის მიერ დოსტოევსკის „Бесы“-ს დადგმის გამო. დიდმა მხატვარმა, მაგრამ ძალიან პატარა მოქალაქემ, უკეთ ვსთქვათ—რეაქციონერმა—დოსტოევსკიმ დასწერა ვითომც რევოლიუციის გასამასხარებლათ რომანი—პასკევილი—„Бесы“. სამხატვრო თეატრმა—ალბათ გაბატონებულ რეაქციის გულის მოსაგებათ—სამარცხვინო ფურცელი ამ თეატრის საერთოთ ბრწყინვალე ისტორიაში—დადგათავის სცენაზე სწორედ ეს რომანი. გორკი გახეთ „რუსული სოციალიზმი“ 1913 წელს მოთავსებულ თავის პროტესტში სხვათა შორის, სწერდა: „ეს წარმოდგენა საექვოა ესთეტიურად და აუცილებლივ მავნე სოციალურად“. რეაქციონერმა და ლიბერალურმა პრესამ მთელი აურზაური და განგაში ასტება გორკის ასეთი „თავხედობის“ გამო. მას ლიტერატურული „ანათემა“ გამოუცხადეს. და მართლაც, არც ისე ადვილი იყო და იოლათ გასაბედი დოსტოევსკის წინააღმდეგ ასეთი „მოურიდებელი“ გამოსვლა.

გორკის მიერ რევოლიუციის შემდეგ დაწერილი წიგნი ტოლსტოიზე გაბედული ცდაა ფარდა ახადოს ტოლსტოის „წმინდანობას“, მის ფილოსოფიას—დაგვანახოს ნამდვილი სახე დიდი მხატვრისა, ადამიანისა და მოძღვარისა:

ლევ ტოლსტოი დიდი ადამიანია, მაგრამ სრულიადაც არ ჩრდილავს მის ბრწყინვალე სახეს ის ფაქტი, რომ არაფერი ადამიანური არ იყო უცხო მისთვის

ტოლსტოი, მორალისტი, მქადაგებელი, ახალი მოძღვრების შემქმნელი, პასიობის და არსებულ მდგომარეობასთან შერიგების მქადაგებელი—„ნუ ებრძვი ბოროტს“—გორკისათვის მიუღებელი იყო და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ტოლსტოი მხატვარი არც არავის დაუფასებია ისე, როგორც გორკის, შეიძლება სწორედ ამიტომაც, ასე არ უყვარს მას ტოლსტოი—ფილოსოფოსი. ერთ თავის წერილში უკრაინელ მწერალ მიხაილ კოციუბინსკისადმი იგი ამბობს:

ენლა ვცხოვრობ აქ იმის ფიქრებში, თუ რა ცნობები მოვა რუსეთიდან მის შესახებ, ნაციია, ხალხის სულის შესახებ. ამ სოფელში ბევრია ჩემთვის უცხო და პირდაპირ სამტროც... წარმოდგენლივ მამრანებს და ვერ შევრიგებთვარ იმას, რომ სურთ შექმნან მისგან „ლეგენდა“, რათა საფუძვლად დაუდონ იგი ახალ „სარწმუნოებას“, ფატალიზმის სარწმუნოებას, დამღუპველს განსაკუთრებით ჩვენთვის, როგორც ისედაც ხედმეტად პასიურ ადამიანთათვის.

ტოლსტოის ამ რელიგიას—პასიობაზე და ფატალიზმზე აგებულს—დაუღალავად ებრძვის გორკი არა მარტო თავისი წიგნით „ტოლსტოიზე“, არამედ მთელი თავისი შემოქმედებით. ტოლსტოის რელიგიის უნიკიერესი მოწაფე და წარმომადგენელი—განსაკუთრებით თავის ბოლო ნაწერებში—„კლიმ სამგინ“, „არტამონოვთა საქმე“—შეყვარებული ტოლსტოიზე, როგორც გენიოს მხატვარზე—გორკი დაუძინებელი მტერია „კრეიცეროვა სონატის“ და „ახალ სახარების“ ავტორისა. პლატონ კარატაევი, არასოდეს არ ყოფილა გორკის საყვარელი გმირი. პასიობა და უმოძრაობა, კმაყოფილება საკუთარი თავით,—„Царство божие внутри нас“ და გარემო მდგომარეობით,—„не противляйся злему“—ტოლსტოის რელიგიის საფუძვლები, გორკის სამართლიანად მიიჩნია რეაქციის ერთ წერტილზე გაყინვის, ჩვენი უკულტურობის და უილაჯობის საფუძვლებად. იგი ყოველთვის ამბობს ამას. ტოლსტოის პლატონ კარატაევი პატარა ადამიანის კმაყოფილების განსახიერებაა: მას მეტი არაფერი უნდა, რაც არის, ყველაფრით მადლიერია, ყველაფერთან შერიგებული, მისი აზრი და გონება ისეთ ვიწრო პორიზონტშია მომწყვდეული და ისე უკულმართად, რომ მას არ შეუძლია თავის გალიის იქით გადინედოს და არც სურს, რადგან ბედნიერია

თავის პატარა „კარატაეულ“ ბედნიერებით. გორკის ადამიანები კი ხომ კარი-შხლის, ბრძოლების, წინ-სვლის, დაუდრგომელ გონებისა და აზროვნების განსახიერებანი არიან!

ჩემთვის ადამიანი ყოველთვის გამარჯვებულია, სასოველია და კრიტიკ კი, მომაკვდავიც. მშვენიერია მისი ლტოლვა თვით, შემეცნებისადმი და ბუნების საიდუმლოებათა ახსნისადმი და, თუმცა მისი ცხოვრება საუკუნეებია მაინც სულ უფრო და უფრო აფართოვებს და აღრმავებს ამ ხეობას, საბოლოოებს, კმნის რა თავისი გონებითა და აზრით ბრძნულ მეცნიერებას, საოცარ ხელოვნებას. მე ვგრძნობდი რომ გულწრფელად და ნამდვილად მიყვარდა ადამიანი, — იაიც, რომელიც ეწეა ცხოვრობს და მოქმედებს ჩემთან, ჩემს გვერდით და ის ჭკვიანი, კეთილი, ძალ-ღონით აღსავსე, რომელიც მოვა ხომ, ოდესმე მომავალში.

Человек—это звучит гордо!

* * *

ძველის და ახალის ჯერ დაუმთავრებელ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში—მაქსიმ გორკის არაოდეს არ უძებნია მყუდრო ადგილი. ამაყი—მომავალ კოლექტიურ ადამიანის სიამაყით, რომ ის მეფეა ბუნების დღეს თუ არა, ხვალ მაინც, —ის არაოდეს არ ცდილა არამც თუ ოდნავათ დაემძიმებია თავისი ნიჭით ძველი ქვეყნის სასწორი, არამედ რაიმე მსგავსი ხიდისა გაედვა ძველისა და ახალს შორის. ბუნებით მებრძოლი, მწერლობაში და ცხოვრებაში — ის არ ჰგავდა მის მიერ ისე მალლა — ხშირად შეუფერებლივ მალლა — დაყენებულ მრავალ „ქორუმებს“ — კულტურისა და ცივილიზაციისა: საშუალოს რომ ეძებენ ყოველთვის და ყველადღერში. გორკის რწმენა არასოდეს არ შერიგებია ლაჩართა საქმეს: არც აქეთ, არც იქეთ.

გორკის უსაზღვრო ზიზღი და სიძულვილი მათდამი — გასაგებია: რადგან ადამიანს, როგორც მშენებელს ახალი დიადი ქვეყნისა, მეფეს ბუნებისა და შემძღეს ყველადღერისა — ამ ადამიანს — გორკის იდეალს — ისე არაფერი არ ამცირებს და აპატარავეს, როგორც ეს მსჯელობა გლახაკთა ტვინისა: არც იქეთ, არც აქეთ. მათ შესახებ გორკის — ლენინთან და სხვა კაცობრიობის საქმისათვის მებრძოლ ერთეულ გენიოსებთან ერთად — შეუძლია გაიმეოროს სიტყვები თქმული დანტეს მიერ რამოდენიმე ასეულ წლების წინ:

И ангелы в толпе презренной этой
Замешаны. В великой той борьбе,
Какую вел господь со князем скверны,
Они остались — сами по себе.
На бога не встали, но и верны
Ему не пребывали. Небо их
Отринуло, и ад не принял серный,
Не видя чести — для себя таких.

ისაკ ნიუტონის საფლავზე ამოკრილ სიტყვების გამო: „მომაკვდავთ შეუძლიათ მიულოცონ ერთმანეთს, რომ არსებობდა ასეთი და ასე დიადად დამამშვენიებელი ადამიანთა მოდგმისა“, — გორკი შენიშნავს:

ეს მშვენიერად არის ნათქვამი. ადამიანი დამამშვენიებელია ქვეყნიერების და მას ჭეშმარიტად აქვს უფლება გაიკვიროს თავისი თავით.

მაქსიმ გორკი ნათელი და ურყევი დამტკიცებაა ამის.



გორკის თვალი

გორკის მდიდარი ბიოგრაფია აქვს. თანადროული მწერალი ამ მხრით მას ვერ შეედრება. რა არ ყოფილა იგი? ხელზე მსახური, მზარეული გემზე, ნოქარი, ბურის მცხობი, კვასით მოვაჭრე, მტვირთავი, გადამწერი, ხორისტი. შემდეგ: რევოლუციონერი და სახელგანთქმული მწერალი. გორკი—ყოფილი „самоучка“ და გორკი—თანადროულ კულტურით დატვირთული: ამ ორ კიდურის შორის რას არ გვაძლევს მისი ბიოგრაფია? გორკიმ მოიარა მთელი რუსეთი, რომელსაც ბოლო არ უჩანს. მოვლო უთვალავი ქალაქი და ურიცხვი სოფელი. მოიარა თითქმის მთელი ქვეყანა. ათასი შეხვედრა და ათასი გაცნობა. სხვადასხვა რასსა და სხვადასხვა ხალხი. ათასი ტიპი და ათასი პროფილი. მას ახსოვს ყველაფერი. ხსოვა მისი უშრეტია. მას აქვს მახვილი დაკვირვება. არ გამოეპარება არც ერთი დეტალი. კიდევ მეტი: მას არ რჩება შეუმჩნეველი ის, რაც სხვებისთვის უმჩნევია. ხშირად ეს „უმჩნევია“ სწორედ სახასიათო: საგანის თუ მოვლენის. აქ ახელს თვალს გორკი. აქაა იგი მხატვარი. მისი მხატვრული აპერცეპცია „თვალთ“ სწარმოებს. „გორკის თვალი“—თემაა მთელი.

Там, среди грузчиков, босаков, жуликов, я чувствовал себя куском железа, сунутым в раскаленные угли; каждый день насыщал меня множеством острых впечатлений.

სწერს გორკი თავის „მოგონებებში“.

გორკის უყვარს „ძრო“ და „ნაძირალი“.

„ძრო“ დოსტოევსკისაც უყვარს. მაგრამ დოსტოევსკი „სმენაა“ უფრო, ვიდრე „თვალი“. მისთვის არ არის საჭირო, მოიაროს სოფლები და ქალაქები. საკმაოა, იგი ძველ პეტერბურგში იჯდეს. „მებლირაშკა“ მისთვის მთელი სამყაროა. ხანდახან—„სალუდეც“. შეყრის იქ მოქმედ პირებს—და იწყებს ხატვას. გაშლილ ჰაერზე დოსტოევსკი ისე გრძნობს თავს, როგორც მუდო მიწიდან ამოგდებული. მისი ბერი ზოსიმა ბევრს ლაპარაკობს „მიწაზე“. ლაპარაკობს „მიწაზე“ ბავშური ენით მარია ტიმოფეევნა („Бесс“). მაგრამ ეს „მიწა“ არ არის გეოლოგიური ამბავი. დოსტოევსკის იპურობს ყველაფერი „შინაგან“: იგი „ისმენს“ და „უსმენს“. მისი მხატვრული ორგანო „ყურია“. „იდიოტში“ თქვენ ვერ „ხედავთ“ ცრუპენტელა გენერალ ივოლგინს. თქვენ „ისმენთ“ მხოლოდ მის უბოლოო მონოლოგებს, საცა ტყუილი მოსდევს ტყუილს და „შთაგონებაში“ გადადის. ხოლო, თუ „ხედვა“ არაა აქ, „ხილვა“ მაინც არის.

სტეფან ცვაიგ თავის მახვილ ნარკვევში „დოსტოევსკი“ ამტკიცებს: მე ვისმენ ტყუილებს ივოლგინისას და მეტს არაფერს, მაგრამ მე შემძლია გრაფიკულად დაგიხატოს, თუ რომელ ტყუილის დროს რომელ ფეხს დგამს იგი წინ, როგორ ასწევს ხელს და რომელ ხელს, როგორ ნაბავს თვალებს, როგორ ჩქარობს და სად ჩერდება და სხვა.

გორკი სხვა რიგის მხატვარია.

მას აქვს პლასტიური ხედვის ნიჭი.

ავილოთ „არტამონოვების საქმის“ დაწყება:

უკრუხუხუნი
გინგუნირუსუა

Мужчина могучий, с большою, колечками, сильно тронутый проседью, в плотной шапке черноватых, пощыгански курчавых волос, носяще крупный, на-под бугристых, густых бровей дерзко смотрят серые, с голубинкой, глаза, и было отмечено, что когда он опускал руки, широкие ладони его касались земли.

აქ მთელი პორტრეტია მოცემული.

საინტერესო დეტალი: გორკი სახავს არტამონოვს ჩვენ თვალწინ, მხოლოდ ხელების ნიშნულებების ცნობა წარსულში გადააქვს („и было отмечено“). ხელების დეტალი ამ პორტრეტში მთავარია და ამგვარი „გადატანილი“ გორკის ხერხულობა იმარჯვებს.

არ იციან, ვინ არის არტამონოვი:

ვინ რას ფიქრობს და ვინ რას ამბობს.

მხოლოდ მნათე ევსეი ბაიმაკოვ ჩაიჩურჩულებს:

Уповательно,—из дворовых людей, старь или что другое по части барских забав.

ეს თქმა კი—(გარდა იმისა, რომ იგი სწორუბოვარია ეანრული კოლორით, საცა სურნელიცაა)—პირდაპირ სდაღავს არტამონოვის ფიგურას.

გორკის უყვარს „დაღვა“ და ემარჯვება კიდევ.

Древний ткач Борис Морозов, маленький, хилый старичек, с восковым личиком, уютно спрятанным в седой, позеленевшей бороде, белый весь и вымытый, как покойник.

აქაც ნამდვილი ხედვა. აქაც დეტალი, თითქო ხაზგასმული („вымытый, как покойник“), რომელიც მძაფრად ამთავრებს სურათს.

ან კიდევ—ტიხონ ვიალოვ:

Неприятно было видеть это скуластое, пятнистое лицо, странные глаза и прилипшие к черепу уши, спрятанные в рыжеватых волосах; эту туго растущую бороду, походку тихона, не быструю, но спорую...

აქაც იაპონური ხერხი ხატვის: სვლა—„на быстрая, но спорая“. ტიხონს არა თუ „ხედავთ“, ხელით ეხებით.

კიდევ ამგვარი—ასახვა მამა ნიკოდიმის:

А настоятель, огромный, костлявый, волосатый и глухой на одно ухо, был похож на лешего, одетого в рясу.

„Леший в рясе“—ეს მთელი სურათია. იაპონური ხაზი აქ ყურია, რომელსაც არაფერი ეყურება.

ასეთივეა ერთი ბერის ახატვაც: „ბერი ჰგავდა ობობას, თავწაგლეჯილს“... „როცა მან „კლობუკი“ მოიხადა, გაბრწყინდა მის ნახევრად ტიტყვლი, თითქო გატყავებული, ძელიანი თავის ქალა“.

ასეთივე ხაზებითაა მოცემული:

Явился какой-то туманно струящийся человек, похожий на палку с костяным набалдашником.

ბოლოს ერთიც: აქ დინამიურობაცაა შეტანილი:

Морозов приобрел еходство с большой собакой, которая выучилась ходить на задних лапах.

თქვენ ხედავთ, როგორ დადის მოროზოვი.

ასეთია „თვალი“ გორკის.

ხერხი თითქო ხაზგასმული დეტალის ხშირია გორკის ნაწერში. ლაპარაკია მიწაზე — „нарядно одетая юной зеленью трав и листьев“. აქ ეს დეტალი ერთი სიტყვაა: „юной“, რომელიც სრულიად სხვა ფერადს აძლევს თქმულს. ან კიდევ: „веселая сила людей“, — დეტალი პირველი სიტყვაა... ორსული ნატალია „шагала сытой уткой“. სიტყვა „მაძლარი“ აქ შედარებას აძლიერებს... „По честной привычке здорового тела, предложила себя мужу“: სიტყვა „честной“ რომ არ იყოს, ასახვა იქნებოდა ტლანქი... „Сказал тихо. без радости“: უკანასკნელი ხაზი სხვა მხრით ღუნავს კიდევ გორკის ხერხს. შესაძლოა ეს ხაზი სხვა ხერხიც იყოს თავის თავად. გორკის „გადამავალი“ ხერხი ბევრი აქვს:

გორკი ხშირად აერთებს ორს რამეს, ერთიმეორისაგან დაშორებულს, ხოლო შინაგან გაბმულს. მაგალითები: „Грубо ласков“, „Слова какие-то наружные“, „Печально спокойная“, „Угнетенно молчала“, „Сладостное и нежное зверство“.

ეს „ორმავობა“ იქ უფრო ძლიერია, საცა გორკი ცდილობს, უკანასკნელ დაწეროს ადამიანის გულ-ნება. აქ მისი თქმა „ხორციდან“ „სულში“ გადადის და „სულიდან“ „ხორციში“.

Девушка плохо спала по ночам и не могла скрыть, что ее томит телесная тоска.

ან კიდევ:

Эта внезапная, телесная скука явилась откуда-то извне, туманом...

„Телесная тоска“, „телесная скука“ — აქ გუნება სხეულითაა დახშიმებული.

კიდევ უფრო მაგარია შემდეგი ადგილი:

Этот ужас он испытал будучи подростком и всем телом помнил его.

ეს კი როზანოვია თავიდან ბოლომდე:

Ты — вроткого духа. Отец твой был умного тела, а ты — духовный, душевный...

„Умное тело“: ეს დაპირისპირებაა აცრიატებული არსის მიმართ: დაპირისპირება სენსუალური და მტალავი.

გორკი არ არის თავისუფალი „ქაოსის სუნთქვისაგან“ და უყვარს მას მღვრია ელემენტი... „Темная тревога мутила ее мысли“... „в ее серых глазах темная улыбка“... ილია არტამონოვი იცინის—

„в темное, круглое, как сковородка, лице ее, в широкий нос“... „Туго натянутая кожа бубна бухала каким-то темным звуком“... „Петр изумленно взглянул в темное, широкое лицо наставницы“... „в Петре есть что-то мутное“... „В глазах его загарелся темный угрюмый огонь“... „он чувствует себя в затылке мутной тоскою“... „раскачивает его волна темного страха“... „Ипповой ломает и темнит в нем что-то милое ему“... (ხაზგასმული ჩემია).

და ასე: ყველგან — მღვრია და ბნელი.

მაგრამ „მღვრია“ და „ბნელი“ გორკის მისთვის უყვარს, რომ მღვრია და ბნელი ელემენტი ყოველთვის უფრო ძლიერია. ბუნების საშო, მისი წიაღი, ბნელია და მღვრია. ბუნების ძალა კი გორკისათვის აფრთოვანებაა, ატეხილობა. თვითონ გორკი რიყის ქვას გვაგონებს: ისე შეკრულია იგი. თითქო ამ ქვას ახსოვს წყალქვეშ შობა და ზრდა. ამისათვისაა, რომ გორკის „მაგარი“ სახეები მოსწონს:

„Густо-синие глаза“: ლურჯი კი არა, მუქლურჯი. გორკი ფერს სისქეს აძლევს. არა მარტო თვალებია მისთვის ასეთი, — მოწყენაც ასეთია მისთვის: „скука, зеленоватая и густая“.

გორკის თქმა მაგარია ყოველთვის:

Алексей, широко раскорячив ноги, всапил топор в затылок медведя, как в полено.

აი ნატალიას სიტყვები:

Ты меня не любишь, ты и не говоришь со мной ни о чем, навативаешься на меня камнем, только и всего!

სურათი, ქვისაგან გამოკვეთილი:

Казалось, что она только что пробудилась от сна, а под нею — кусок ночи сгущенной до плотности камня.

სურათი, საცა ატეხილობის ხმაურიც ისმის:

На место их Степа прыгнул шумный табун женщин ..

ბუნების ავბორცობა აქ ისეა მოცემული, როგორც ათქვირებული თებო ქალწულის (არა „ქალის“).

ან კიდევ:

Он влямился в разгульную жизнь фабричных девиц, как медведь на пасеку.

„შედარებაც“ ამგვარია გორკის. ყველგან.

კუხიანი რაღაცას სჭრიდა, ხეხავდა, თბრიდა თრმოებს, გარბოდა სადღაც безшумным бегом крета...

ან კიდევ — ტიხონზე:

და, თითქო წაჯახით სჭრიდა სინათლეს სიბნელეში, ტიხონ უყვებოდა თავის ბატონა მისი წმის უბედურებას.

ნატალიას სიყვარული პირდაპირ „საკმელია“:

Паталия неумолимо любила мужа спокойной любовью, устывшейся, как сливки...

საკვირველი არაა, თუ გორკის ფრაზა მარტივია და თან მაგარი კოსმიური ელემენტივით.

Она именно видит, как простые твердые слова, плотно пригнанные одно к другому, отгораживают каждому человеку кусок какой-то крепкой правды..

ან და ასეთი:

И быстро, точно облака, гонимые ветром, плывя месяца, слагались годы. ფრაზის მეორე ნახევარში „დროც“ სჩანს: ჩქარი სვლა (სწრაფი) თვეების და წელი („слагались“) წლების.

გორკის თვალი მარტო „სტატიკით“ არ იღებს საგანს თუ მოვლენას. არა ნაკლებ მკვეთრია ეს თვალი საგნის თუ მოვლენის დინამიურ გადმოცემაში. მაგალითები მრავალია.

კუზინი დიდხანს ხმას ვერ იღებდა; მას ეჩვენებოდა: თითქო ფეხი უსხლტება სახურავზე და ეს არის ძირს უნდა დაეცეს...

ან და ეს სურათი:

Пировали до рассвета, а с первым лучом солнца, человек 70 рабочих во главе с хозяином шумной ватагой пошли, как на разбой, на Оку, с песнями, с посвистом, хмельные, неся на плечах толстые катки, дубовые рычаги, веревки..

ამ სწორუპოვარ ეპიურ ნატებსში, საცა ატეხა და ლხინი მოცემულია თავის პირველ-სუნთქვით, მძაფრია ეს იაპონური ხაზი — „пошли, как на разбой“: ეპიური ნატები დინამიურ იშვილდება.

ერთი ნიმუში კიდევ:

შეურაცხებული ადამიანი სჭირდებოდა არტამონოვს, როგორც მექისე, როცა უკანასკნელი ლბილი და წელთბილი ქისით, სურნელოვან გასაპნულით, ხეზავს ხურგს იმ ალაგს, საცა კაცს ხელი არ მიუწვდება.

გორკის თვალი მახვილია სქესის აბატვაშიც.

ილია არტამონოვის უფროსი ძე ცოლს ირთავს, ნატალიას. ილიას ნატალიას დედა მოსწონს, ულიანა. ულიანა ქვრივია. უნდა უყუროთ, როგორ ხეიხეინობს ილია ულიანას ირგვლივ, როცა ცეკვაა გამართული. ულიანასაც მოსწონს ეს ძარღვიანი ვაჯკაცი. ნატალია და მისი ქმარი „სანთიობოდან“ ამჩნევენ, თუ როგორ „ეძალება“ ილია ულიანას აბანოსთან — („Баня“ და „Парень“ რუსეთის ლიტერატურაში ხშირად ხვდებიან ერთმანეთს: აქ ფროიდი საჭირო). მეორე დღეს ნატალია მიდის დედასთან. მას ჰგონია, დედა შეურაცხვეს. ოთახის კარი, რომელიც ღამობით იკეტებოდა, ღია დახვდა. ქალიშვილს შეეშინდა, გაიხედა დედის საწოლისაკენ, დაინახა: თეთრი მასსივი და შავი თმები. „სძინავს... უტირნია“... ფიქრობს ნატალია. შემდეგ გარედ გავიდა. რამოდენიმე წუთი — და ისევ დედის ოთახს მოაშურა. დედას უკვე გაღვიძებოდა. ეხლა უფრო გარკვევით აათვალიერა ოთახი ნატალიამ. დაინახა: მაგიდაზე, საწოლთან, კვასის დოქი იდგა, თითქმის ცალიერი. კვასი სუფრაზეც დასხმულიყო. დოქის საცობი იატაკზე ეგდო, დედის ნათელი (თან სასტიკი) თვალები ჩალურჯებულ იყვნენ. ნატალია ელოდა, თვალები ნამტირალები ექნებოდა — ლოდინი არ გაუმართლდა. თვალები თითქო მიბნედილიყვენ. ჩაღრმავებაც ემჩნეოდათ. გამოხედვა, რამდენადმე მედიდური ყოველთვის, რალაც სხვანაირი იყო, გაფანტუ-

ლი, თითქო შორიდან მოდიოდა. „კოლოები არ მასვენებენ“... ..დამკამეს... რად
ადექ ასე ადრე?“...—ამბობდა დედა. ამბობდა უალერსოდ და უგულოდ..

ასეთი დეტალებით მიდის სცენა:

თქვენ ხედებით, რომ ნატალია ყველაფერს მიხვდა.

ეხლა ყველაზე უფრო ძნელი სცენა:

არტამონოვი და ულიანა „შექცევან“... ულიანა ეუბნებოდა:

არ დაიჯერებ: შენამდე არც კი ვიცოდი, თუ რა იყო სიყვარული. ქალები, მეგობრები, მითხრობდნენ ზოლმე შიგადაშიგ, მაგრამ მე არ მჯეროდა: ვფიქრობდი სირცხვილისაგან სტყუიან! სირცხვილის მეტი არა მცოდნია რა ქმრისაგან, как на плаху ложился на постель. ღმერთს ყვედრობოდი: ეგებ დაიძინოს, არ შეშხოს. კარგი კაცი იყო, მშვიდი, ჰკვიანი, მაგრამ სიყვარულის ნიჭი ღმერთს მისთვის არ მიუცა...

აქ, ერთი სიტყვაც რომ მეტი იყოს, პორნოგრაფია გამოვიდოდა. მაგრამ გორკის თვალი სასტიკ გამზომელია და ზომა შართლაც დაცულობია. თუმცა ცდენა და გადაცდენა თითქო ბეწვზეა.

არის კიდევ ერთი სცენა, საცა გორკის ოსტატობა კიდევ უფრო ნათლად იხაზება. პეტრე არტამონოვი „ბავშის ცოდვაზე“ შეისწრებს აბანოსთან პავლეს. შეუძლებელია ამ სცენის „თავის სიტყვით“ გადმოცემა. „ხელის“ აღწერა გორკის აქ პირდაპირ უმაგალითოა მთელს მსოფლიო ლიტერატურაში.

рука Павла, перестав дрожать, взметнулась, он весь странно оторвался от лавки, открыл рот, тихонько взвизгнул, сжался комом и бросился под ноги большего человека...

პეტრემ სიამით ჰკრა წიხლი ბიჭს მკერდში. ბიჭმა ლაწანი მოაღინა, წამოიკივლა, გადაყოვდა მეორე გვერდზე. იყო წუთი: პეტრეს წარმოესახა, თითქო ამ წიხლით რალაც წვირიანი და მძიმე მოიცილა. მაგრამ წამსავე ბალისაკენ გაიხედა. ყური აქცია, კარი მიხურა, დაიღუნა და ჩუმად წამოსთქვა: წამოდექ!

Мальчик лежал, выбросив одну руку вперед, другую подавив коленом, одна нога его казалась на много короче другой, он как бы незаметно подползал к Петру и вытянутая рука его была неестественно, страшно длинна.

ბავში შემოკვდომოდა, — გაიგო პეტრემ.

ზიხლი ფიზიკური, სიმხეცე, თან სიბრაღული, — ყველაფერია ამ სცენაში მოცემული და ყველაფერი ერთბაშად. და დააკვირდით: ყველაფერი აქ მოცემულია „თვალით“, პლასტიური ხედვით. ვიმეორებ, მსოფლიო ლიტერატურაში რომელიმე სცენის ასეთი პლასტიური განსხეულება იშვიათია.

მოყვანილი მაგალითები „არტამონოვებიდანაა“. ეს რომანი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია გორკის ნაწერებში (და სახასიათო გორკის „თვალისათვის“). მაგალითები მოყვანილია უმეტეს-წილ რუსულად, რადგან თარგმანში, ცხადია, კოლორი დაეკარგებოდათ.

აქ შემეძლო წერტილის დასმა.

მაგრამ გორკის პლასტიური ხედვა სხვა რამესაც ამხელს: შორეულად, მაგრამ მაინც.

იქ, საცა „თვალთ“ ახატვის ორგანო, იქ „რომანის დრო“ თითქმის ყოველთვის უფრო გრძელია. იქ კი, საცა ასეთ ორგანოდ „სმენაა“, იქ „რომანის დრო“ თითქმის ყოველთვის უფრო მოკლეა. დოსტოევსკის „რომანის დრო“ მოკლეა შედარებით — (რამდენი ამბავი ხდება მაგალითად ერთი დღის განმავლობაში „იდიოტში“). ანდრეი ბელიმ ეს დრო მინიმუმამდე დააყუანა: რომანი „პეტერბურგი“ შეიცავს დაახლოებით 660 გვერდს, მთელი „პეტერბურგი“ 24 საათის განმავლობაში სრულდება.

ტოლსტოი „ხედვის“ მხატვარია. მისი „რომანის დრო“ გრძელია. „ომი და ზავის“ ამბები დაახლოებით ხუთმეტი წლის (1805—1820 წ. წ.) მანძილით ისაზღვრებიან. „არტამონოვებში“ გორკი კიდევ უფრო შორს წავიდა. აქ სამი დგმაა მოცემული: 55 წლის მანძილია აღებული (1863—1918 წ. წ.). და მერე: რომანი „არტამონოვები“ შეიცავს მხოლოდ 259 გვერდს. რამდენად უფრო დიდია მოცულობით „ომი და ზავი“.

საინტერესოა ტოლსტოისა და გორკის „ხედვის“ შედარება. ეს ცალკე თემაა. ვიტყვი მხოლოდ ორიოდ სიტყვას. გორკის „ხედვა“ უფრო მახვილია პირველი შეხედვით: უფრო „გეცემა თვალში“. ტოლსტოის „ხედვა“ სხვანაირია: იგი თვალში არ გეცემა, მაგრამ „ბოლოში“, როცა სურათი დამთავრებულია, ხედავ, რომ „ხედვა“ გამარჯვებულია დიდათ. ამისათვისაა, რომ ტოლსტოის „ხედვას“ აქვს მეტი ეპიური სინგლე.

საინტერესოა გორკის არქიტექტონიკაც.

აქაც პარალელებია საჭირო.

საერთოდ დასავლეთ ევროპის (კერძოდ ინგლისისა და საფრანგეთის) რომანში არქიტექტორიკა ბევრად უფრო სასტიკია და მაგარი, ვიდრე აღმოსავლეთის (კერძოდ რუსეთის) რომანში.

ესეც ცალკე თემაა. იყოს სხვა დროისათვის.

ავიღოთ ჯერ დოსტოევსკი.

დოსტოევსკის რომანი ყოველთვის ორი პლანით მიდის: რეალურით და მისტიურით. აღებული მასალის გაფორმება კი რეალისტურია, ხანდახან ნატურალისტურიც. ჰიუსმანსი დოსტოევსკის მეტოდს „სპირიტუალისტურ ნატურალიზმს“ უწოდებს.

დოსტოევსკის გზით მიდის ანდრეი ბელი.

ბელის „პეტერბურგიც“ ორი პლანითაა აგებული: რეალურით და მისტიურით. ხოლო აღებული მასალა გაფორმებულია კუბისტურად — (ანდრეი ბელი პირველი კუბისტია მსოფლიო ლიტერატურაში). ამ ხაზში იგი გოგოლს უფრო უახლოვდება.

ტოლსტოის არქიტექტონიკა სხვაა.

ტოლსტოის რომანში არ არის ორი პლანი. აქ პლანი ერთია. მაგრამ გზებია აქ მრავალი. მისი რომანი იშლება და ვითარდება მრავალი პარალელური ხაზით. პარალელური ხაზები დოსტოევსკის რომანშიაც მოიპოვება. მაგრამ მთავარი აქ ეს პარალელური ხაზები კი არაა, არამედ აღნიშნული ორმაგობა მთავარი პლანის. აგრეთვე: მისტიური ელემენტები ტოლსტოის რო-

მანშიაც მოიპოვება, მაგრამ ეს ხდება „შიგადაშიგ“, შემოჭრით, — მთავარი კი მის არქიტექტონიკაში ერთიანობაა პლანის. აღებული მასალის გაფორმება ტოლსტოის რეალისტური აქვს ყველგან.

გორკი ტოლსტოის ჰგავს.

მისი ნაწერი ერთი პლანისაა. რეალურია პლანი. რეალისტურია გაფორმება. მხოლოდ განსხვავება შემდეგია. ჯერ ერთი: პარალელურება ნაკლებადაა, და შემდეგ: ტოლსტოის არქიტექტონიკაში გამართულია „მთელი“, გორკისაში კი სკარბობს „ეპიზოდი“.

შესაძლოა ამით აიხსნებოდეს ის, რომ გორკის ნაწერებში მაგარია და ნოყიერი ყველაფერი, რაც კი ატარებს ავტობიოგრაფიულ ხასიათს — („ჩემი უნივერსიტეტი“, „მოგონებანი“, „სიყმაწვილე“, რამოდენიმეთ მოთხრობების კრებული „ერალაშ“). ავტობიოგრაფია კი ფორმით „ეპიზოდიურია“.

ამბობენ: აქ ქანრის ცვლა არისო.

მართალია, ეხლა ნამდვილი ამბავი ხშირად უფრო გულისხმიერია ვიდრე მოგონილი, მაგრამ აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ თანადროულ ეპოქაში სინამდვილე უფრო მდიდარია ვიდრე ფანტაზია. ხოლო, თუ ფანტაზიამ მოგვცა ამბავი თუ უფრო საინტერესო არა, ისეთი მაინც, როგორც არის დღევანდელი ნამდვილი ამბავი, მაშინ?.. მაშინ, მე მგონია, მოგონილ ამბავს გვერდს არავინ აუქცევს, არც მკითხველი და არც მწერალი. და ქანრის ცვლის საკითხი სხვარიგ მობრუნდება.

ეს — სხვათა შორის:

გორკის „ავტობიოგრაფიული“ ნაწერები სხვა ამბავია უფრო ვიდრე ქანრის შეცვლა. ამაზე აქ არ შევჩერდები.

საჭიროა ბოლოს ერთის აღნიშვნა.

გორკის „თვალი“ სტიქიურია და ორგანიული.

როცა ჯველი იყო, გორკის შეეძლო (მისივე სიტყვით) ორფუთიანი გირით ცხრაჯერ გამოესახა პირჯვარი: ასეთი ძალუმი იყო იგი. ერთი მისი გმირი დაიბრუნდა „შემდეგ ყინულის ნატეხებით ტანს იხეხავს (იბანს და ინელებს). ასეთი „სკვიტურია“ იგი. თუ ვოლგა არ ნაზე, გორკის ვერ გაიგებ. გორკის სტიქისწორედ ვოლგაა: ეს გადალემილი მდინარე, რომლის ხილვის შემდეგ მართლაც გწამს სიცოცხლე — მაგარი, ატეხილი, ხალასი. კიდევ მეტი: ვოლგის ნაპირიდან უნდა მოისმინო ბურლაკების სიმღერა. მაშინ გაიგებ გორკის „ხმას“ ლიტერატურაში. ეს ხმა კორძიანია, მაგრამ გაშლილი, როგორც უბოლო სტეპი რუსეთის.

აქედან მოდის გორკი.

იგი მაგარ ფესვებიანია და ამისათვისაა მისი თვალი მდალავი.

სწორად მიუდგა, ამ რამოდენიმე დღის წინად, ბუხარინი გორკის ბუნებას. გორკის ადამიანი, რა გინდ გარიყულიც არ იყოს იგი, არ არის „განაპირებული“: იგი ხორციელი სინთეზია მთელი მასის. და მეორე მხრით: გორკის „მასსა“ არ არის „უპიროვნო“: აქ ყველაფერი პიროვანია და სახიერი. გორკის თვალი ხედავს პიროვნებას — არგანაპირებულს და მასსას — არუპიროვნოს. და არაოდეს ისე საჭირო არ ყოფილა ლიტერატურაში მასისა და პიროვნების ორგანიულად მოცემა, როგორც დღეს, თანადროულ ეპოქაში.

და ამ მხრით გორკის ხედვას მართლაც ბევრი შეუძლია მისცეს თანადროულ მწერლობას.



ქართული
წიგნიწიგნი

მასიმ გორკი აღამიანის პირველი

როდესაც ლაპარაკობდენ ხალხზე, მე გაცივებითა და უნდობლობით ვგრძობდი, რომ ამ თემაზე ისე ვერ ვიფიქრებდი, როგორც ფიქრობდენ ისინი მათთვის ხალხი იყო განსახიერება სიბრძნის, სულიერი სილამაზის, გულკეთილობის, არსება თითქმის ღვთაებრივი, დამტყევი ყოველივე სიმშვენიერის, სამართლიანობის, დიდებულის. მე არ ვიცნობდი ასეთ ხალხს.

მ. გორკი.

მწერლის პირველი ამოცანაა აღამიანის პოვნა. მწერალი ლირიკოსი იქნება თუ ეპიკოსი, რომანისტი თუ დრამატურგი მოქცეულია აღამიანის სულიერი მომენტის ამა თუ იმ სახით გაშლის აუცილებლობაში. საზოგადოება, თუ პირამიდას შეედრება, რომლის საძირკველში მოქცეულია საზოგადოების წევრთა უმრავლესობა, მატარებელი მთელი პირამიდის სიმძიმის, მწვერვალში კი უმცირესობა დაყრდენილი საძირკველის ბქეზე. მწერლისთვის უდიდეს მნიშვნელობას იღებს თუ რა წერტილიდან გახედავს ის პირამიდას.

პირამიდის სხვადასხვა სიმაღლეზე სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასის აღამიანი სდგას. მწერლის მხატვრული თვალის ამ პირამიდის კლასთა კონტექსტშია მოქცეული. ის, როგორი ნიჭისაც უნდა იყვეს, შესძლებს მის მიერ დანახული და განცდილი აღამიანის სოციალ-პოლიტიკური და პიროვნულ-ინტიმური მხარის ნათელყოფას, რომელიც მის მხატვრულ შემოქმედების პროცესში შეიჭრება როგორც მასალა ამ ქვეყნის გარესკნელიდან.

დღემდე, კულტურული შემოქმედება საერთოდ, მხატვრული კერძოდ აღამიანს დასცქეროდა ზევიდან. საზოგადოების პირამიდის მწვერვალში მოქცეული გაბატონებული კლასების შემოქმედებანი ამ მწვერვალიდან და ამ მწვერვალის აზრით ხედავდა მთელ საზოგადოებას. პირამიდის ფსკერში და ძირში, სადაც საზოგადოების უმრავლესობა უშუალო სამეურნეო შრომის პროცესში იზნიჭებოდა, მოკლებული იყო საშუალებას საკუთარი შემოქმედებითი ენერგია სულიერი კულტურის მწვერვალებისაკენ ეტყორცნა და ხალხის უდიდესი უმრავლესობის აზრისა და ნიჭისთვის გზა გაეხსნა.

ამიტომ ქვედა ფენები ვერ სწვდებოდა თავის თავს შემოქმედების დარგში, ზედა ფენების თვალთახედვის არც არ ფართოვდება ქვედა ფენის აღამიანის

დასანახად. ამ ისტორიული გარემოებით აიხსნება ის ფაქტი, რომ მსოფლიო კულტურის ისტორიაში იშვიათად ვიპოვნით ისეთ მწერალს, რომელსაც მოენახა ადამიანი მასიდან და ის გაეხადა თავისი მწერლობის საფუძვლი. ამ იშვიათთა შორის ყველაზე იშვიათი არის მ. გორკი.

სად იპოვნა ადამიანი მ. გორკიმ? რა ტიპები აღიმარსნა მანამდე თავისი განცდით, მსოფლმხედველობით? მ. გორკიმ ადამიანი უბრალოდ აღმოაჩინა თვით იყო, მან იპოვა ადამიანი ფსკერზე, საზოგადოების ქვედა ფენებში.

კაპიტალიზმის პირობებში ადამიანები ფსკერზე თავისებურ სამყაროს ეკუთვნებიან. მეძავეები, ქურდები, სიფილიტიკები, მაწანწალები, „ბოსიაკები“ ლოთები, გადაგვარებულნი, აი ის შემხარავი ხროვა, რომელსაც ყოველდღიურად ამრავლებს კაპიტალისტური მეურნეობა, სახელმწიფო, საზოგადოება. პირამიდის მწვერვალში ადამიანები ფუფუნებით ზარმაცდებიან და ირყვნებიან, პირამიდის დაბლობში სიმშლითა და სილატაკით ნადგურდებიან, ჰკარგავენ ადამიანურ სახესა და სიწმიდეს. ორივე ეს ადგილი ჰქმნის გადაგვარებულ, ამორალურ და ანტისოციალურ ტიპების ლაშკარს, როგორც საზოგადოების პარაზიტებს.

მ. გორკი საზოგადოების პირამიდის ფსკერში დაიბადა და აღიზარდა. მ. გორკიმ რამდენიმე უნივერსიტეტი დაასრულა. ამ უნივერსიტეტებს ეწოდება: ფეხსაცმელების მაღაზია, მხაზავის მაგიდა, გემის სამხარეულო, ქუჩა, რკინის-გზის სადარაჯო, მაწანწალის ბუნაგი. მ. გორკიმ გაიარა ეს უნივერსიტეტები და მით შეისწავლა დიდი მეცნიერება—ცხოვრება და ამ მეცნიერების ცოცხალი და მამოძრავებელი ძალები—ფსკერზე მიკრული და მიჯაჭული ადამიანები, რომელთა შორის ზოგი გარყვნილებაში იძირება, ზოგი რევოლიუციონურ ბრძოლაში მძლავრდება.

ამიტომ მ. გორკიმ ვერ გაიგო ხალხი, როგორც სიბრძნისა და სიმშვენიერის მთლიანობა. მ. გორკი იცნობდა დამონებულ მუწას, გლეხს, დურგალს მეწაღეს, მქედელს, ტვირთის მზიდავს, უნივერსიტეტიდან სიღარიბის გამო გამოგდებულ სტუდენტს, გაუბედურებულ მოხელეს, სიმშლიისა და სიცივისაგან შექმნილ ქურდს, მეძავს, კრეტინს, ნერვებ აშლილ ინტელიგენტს. მათ არც წიგნების სიბრძნე ჰქონდათ და არც მხატვრული სიმშვენიერე, ზოგ მათგანს, გადაგვარებულთ, არ ჰქონდათ არც გარკვეული აზრი ცხოვრებაზე და არც სამართლიანობის საზომი. ამ ხალხს იცნობდა მ. გორკი და ეს ხალხი აწოდებდა მას—ადამიანს სხვადასხვა სახეში, სხვადასხვა განცდაში, ყოფაში, უბედურებაში, ბრძოლაში.

ვის შეეძლო დაეწერა „ფსკერზე“? ვის შეეძლო მოეცა „ჩემი უნივერსიტეტები“? მხოლოდ იმ ადამიანს ვის მხართა ძალღონეს ებჯინებოდა კაპიტალისტური საზოგადოების პირამიდის მოელი სიმძიმე.

მაგრამ ეს არ იყო საკმაო. საჭირო იყო დაჩირქებული ფსკერის წრის გარღვევა და ახალი ადამიანის პოვნა სოციალურ უკულმართობასთან საბრძოლველად. მ. გორკის შემოქმედება ახალი ადამიანის ძიებაში მჭიდროდ ემყარება მთელი რუსეთის რევოლიუციური მოძრაობის ისტორიას. რუსეთი ფეოდალების,

რუსეთი სოფლის, მიწისმოქმედების, გლეხის ადგილს უთმობს რუსეთს ბურჟუაზიულს, ქალაქურს პროლეტარულს. კაპიტალიზმში ამხვრევს ძველ ნაშთებს და ძლევა-მოსილად ჰქმნის მრეწველობისა და კულტურის ახალ ცენტრებს. ამ ცენტრებში იბადება ახალი ძალა, ახალი ისტორიის მამოძრავებელი ელემენტი, მშრომელი მასა მიმართული ექსპლოატაციის საწინააღმდეგოდ.

მ. გორკი უახლოვდება ამ ახალ ადამიანს („მესჩანები“, „დედა“). ის „ბოსიაკების“, მაწანწალების ტიპებიდან გადადის მუშის, პროლეტარის, რევოლუციონერის ტიპებზე. მისი შემოქმედება ხდება კლასობრივ ბრძოლის იარაღად, რაც იწვევს მუშათა კლასში დიდ სიყვარულსა და ალტაცებას, ბურჟუაზიაში სიძულვისა და ზიზღს. ბურჟუა, ინტელიგენტი, ბიუროკრატი—მოხელე მ. გორკის „ბოსიაკებს“ ერთგვარი ინტერესით შესცქეროდა. მოსწონდა მათი სულიერი თავისებურება. არ ეშინოდა ასეთი ტიპების, რადგან ისინი არ წარმოადგენდნენ ბურჟუაზიის მესაფლავეებს. როცა მ. გორკი რევოლუციური თემებს მისწვდა, რევოლუციონერები გამოიყვანა გმირებად, როცა ამ გმირებმა შეტრაცკყო ბურჟუაზიული საზოგადოების ინტერესი, ზნეობა და იდეალი, მაშინ მ. გორკი დასახეს უზნეო, უნიჭო, „ამოწურულ“ მწერლად, ის მოჰკლეს და „დაასაფლავეს“ ისე, როგორც სჩვევია ბურჟუაზიას რევოლუციური იდეის „დასაფლავება“.

ამ პერიოდში მ. გორკის შემოქმედება მჭიდროდ უკავშირდება 1905 წლის რევოლუციონერ მოძრაობის განვითარებას. მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა აწვდის მ. გორკის შემოქმედებას საუკეთესო მასალას.

ეს პერიოდი სრულდება მ. გორკის უცხოეთში გადასვლით, სადაც იგი პოლიტიკური ემიგრანტის სახით იმყოფებოდა. უცხოეთში ყოფნით ის შორდება თავის საკუთარ არეს, მუშათა კლასის ორგანიული ზრდისა და ცხოვრების პირობებს. იწყება ახალი პერიოდი მ. გორკის შემოქმედებაში, მის შემოქმედებაში გამოდის ძველი ადამიანი, ადამიანი ხელოსანი და მესჩანი. „ქალაქოკუროვი“, „ბავშობა“ და სხ. ამ პერიოდში მ. გორკის შემოქმედებას აკლია მუშათა კლასის სულისკვეთების და მისწრაფების მომენტები. ამ პერიოდში მ. გორკის დაეკარგა თავისი ადამიანი, იგი დაშორდა „ბოსიაკსაც“ და მუშასაც.

ოქტომბერს ვერ გაუძლო მ. გორკიმ. ისტორიულ პერსპექტივის სიშორეს ვერ გასწევდა მისი მხედველობა და ვერ დაინახა ახალი ადამიანი, რომელიც მასთან ერთად და მის გვერდით გაიზარდა, დაეაყვაცდა და ისტორიას საკუთარი ანგარიში წარუდგინა. მწერალში ობიექტიურ-ისტორიულ ანალიზს სძლია სუბიექტიურ-ემოციურმა მომენტმა და ის შესდგა სწორედ იქ, სადაც ისტორიულ უღელტეხილზე საბედისწერო მოსახვის სასწრაფო მანევრი უნდა გაეკეთებია. ეს საკვირველი არ არის. მწერალი არ შეფასდება პოლიტიკური საზომის სისწორით ისე, როგორც მწერლის საზომით არ მოიკვეთება პოლიტიკური მებრძოლის პროგრამა. მ. გორკი, რომ საბოლოოდ გაქცეოდა მუშათა კლასს, ჩვენს წინაშე იქნებოდა რევოლუციის რენეგატი და დეზერტირი, მაგრამ მასში იმდენათ ძლიერი იყო საკუთარი თავი ე. ი. მუშური გრძნობა, და აზრი,

რომ მის შემოქმედებაში ვერ შეიქრა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და ფსიქოლოგიის ვერც ერთი ბაცილა. მისი „არტამონოების საქმე“ თუ დიდათ ახლო არ სდგას თანამედროვეობასთან, ყოველ შემთხვევაში დიდი მხატვრული სიძლიერით გამოხატავს რუსეთის კაპიტალიზმის განვითარების უკანასკნელ საფეხურს.

მ. გორკიმ უკანასკნელ ხანში იპოვა ახალი ცხოვრების მშენებელი, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, რომელსაც ის მიესალმა როგორც თავის გრძნობის, აზრისა და საქმის მოძმეს. მართალია, ჯერ მან შორიდან დაინახა ეს ახალი ადამიანი, ჯერ მას კიდევ უშუალოდ არ განუცდია ახალი ცხოვრების მშენებელი მუშათა კლასის მაჯისცემა, მაგრამ ვინ შესძლებს ხალხთან ისე ახლო მისვლას, როგორც მ. გორკი და ხალხის ისე გაგებას, როგორც მ. გორკი.

მ. გორკიმ ნახა ახალი გზა, ახალი ადამიანი, მისი ნაცნობი ბავშობიდან, სილატაკიდან, მონობიდან. მ. გორკი უეჭველად გაიგებს ამ ადამიანის შესანიშნავ და მრავალფეროვან არსებას. მ. გორკი უბრუნდება საბჭოთა კავშირს, როცა კაპიტალისტური საზოგადოების პირამიდა თავდაყირა სდგას, როცა ხალხის უდიდესი უმრავლესობა პირამიდის სიმძიმედან მის მწვერვალზე მოექცა, უმცირესობა კი, პირამიდას მწვერვალზე განცხრომით მყოფნი, პირამიდის ქვედა წერტილში გადავიდა მთელი პირამიდის სიმძიმის ქვეშ. ასეთ ისტორიულ პირობებში ის, ვინც „ბოსიაკათ“ უნდა გამხდარიყო წინეთ, დღეს სახალხო კომისარია, ვინც სიმშლით საროსკიპოს უნდა შეფარებოდა, დღეს ახალ სახელმწიფოსა და ქვეყნის მშენებელია. ვინც უგუნურობასა და უვიცობაში უნდა მომკვდარიყო, დღეს განათლებისა და კულტურის მესვეურია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მ. გორკი დაინახავს ამ ფაქტს თავისი მხატვრული თვალით, ის იცნობს თავის ძველ ადამიანის ტიპთა კანონიერ მემკვიდრეებს, რომლებიც ახალი ქვეყნის მესაჭეთ მოველინენ კაცობრიობას.

თუ ოდესმე მწერლის მოვალეობა ადამიანის პოვნა იყო, დღეს ეს მოვალეობა პირველ რიგში სდგას. გარდამავალი პერიოდი, ნივთიერ კულტურის გიგანტიური ცვლით, მისი სოციალური ფუნქციის საზოგადოებრივ ინტერესებთან დაკავშირებით, ახალისებს და აყალიბებს ახალ სულიერ — მორალურ ატმოსფერას, ზრდის ახალი ადამიანის სახესა და ტიპს. ჩვენი თავები უფრო მეტად უკავშირდებიან ჩვენს შთამომავლობის ნორჩ ორგანიზმებს, ვიდრე წინაპართა გამხმარი თავის ქალებიდან გამოსულ იდეებს. ჩვენი ზნეობრივ-უფლებრივი შეგნება უფრო წინ ისწრაფის, ვიდრე მორალისტებისა და იურისტების მიერ დაწერილი, ათას ტომებში მოკალათებული, თეორიები ადამიანობისა და სამართლიანობის შესახებ.

ამ დროს სოციალ-პოლიტიკურ და ფსიქო-კულტურულ პროცესს სჭირდება მწერალი, დამნახე ხალხის, მასის, მილიონების. მ. გორკი ამ მილიონებთან გაიზარდა, ამ მილიონებთან იბრძოდა, ამ მილიონებით ქმნიდა თავის მხატვრულ სახეებს.



გაქსიო პორკი

ფირსი. (მიდის კარებთან, სცდილობს გააღოს) დაკეტულია... წასულან (ჯდება). მე კი აღარავის მოვაგონდი... მე ადამიანი... წავიდა სიცოცხლე, თითქმის არცკი მიცხოვრია... ჩემო თავო, აღარაფერი დაგრჩენია, აღარაფერი.

(ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“-დან).

სატინი. ადამიანი — აი სიმაართლე და ქეშმარიტება! ვინ არის ადამიანი? შენ, მე, ისინი, მოხუცი, ნაპოლეონი, მაჰმადი, ყველა ერთად! (თითონ მოხაზავს ადამიანს) გესმის? ეს დიდებულია! ამაშია დასაწყისიც და დასასრულიც! ყველაფერი ადამიანშია! ყველაფერი ადამიანისათვის არის... არსებობს მხოლოდ ადამიანი და სხვა არაფერი. ადამიანი! ყველაზე უმაღლესია! ეს სიტყვა ყველგან ამაყად გაისმის. ადამიანი!... თაყვანი ეცით ადამიანს!..

(გორკის „ბსკერზე“-დან).

სტიროდენ და გოდებდენ ჩეხოვის პერსონაჟები, ცრემლად იღვენთებოდა თვითთული მათგანი. ნისლიანი ზეცა, შექმუხნილი შუბლი, დაყრილი წარბები, მოკუმული ტუჩები, და ქვითინებდა სამი და მოსკოვზე ოცნებაში, ბედგადაწურულნი, ყრუ ქალაქში ჩაკარგულნი... დასტიროდა თავის აწმყოს ბიძია ვანო: „მე ვიყავ ოდესღაც ბრწყინვალე პიროვნება, მაგრამ არავის კი არ ვუნათებდი“. იღუპებოდენ ფირსები, არავის არ ახსოვდა მათი პიროვნება... პროფესორი და მეკარე, გენერალი და უბრალო ჯარისკაცი, ბატონი და მისი მოსამსახურე... ყველა, ყველას უპიროვნო იყო... უკვალოდ ქრებოდენ, უმოქმედონი, ხელებ დაკრეფილნი, თავებ ჩაქინდრულნი... ირგვლივობხვრა, გოდება, გულის გამგმირავი ამოკენესანი...

ასე გმინავდა მთელი იმპერია, ვებერთელა იმპერია, ბალტიის ზღვიდან დიდ ოკეანემდე გადაჭიმული, პოლონეთიდან სახალინამდე ფეხმოდგმული, არაბიდან თეთრ ზღვამდე განფენილი... მრავალ მილიონიანი რუსეთი, ბიბლიური ბაბილონის განმეორება, ევვიპტესებურ შრომაში ჩამღრჩვალნი, მეფეთა პირამიდების მაშენებელი, რომელსაც თავს ადგა ალექსანდრე მესამის უტლანქესად მოხვავებული იმპერატორული აღნაგობა...

და კულტურული კაცობრიობის წინაშე აღიმართა მეორე ჩინეთი, რომლის უდიდესი შვილი მედიდურად ქადაგებდა: არა აღუდგე ბოროტებას! ტოლსტოის გენია დაცარა და დააბნია ახალი ბაბილონის განმანადგურებელმა წნევამ, ჩეხოვის გმირები მიწაზე განართხა. „ჩვენს თხზულებებს რაღაც აქლიაო“, ამბობდა 1892 წელს ჩეხოვი. არიან მწერლები, რომლებიც საერთო კენჭაც მიდიან და თქვენც აქეთკენ გიტაცებენ; თქვენ გრძნობთ არაფერსააფრთხილებით, არამედ მთელის თქვენის არსებით, რომ მით დასახული აქვთ რაღაც მიზანი. ჩვენ კი არა გვაქვს არც ახლობელი და არც შორეული მიზნები, ჩვენი სულია ერთიანად დაცალიერებულია. პოლიტიკა ჩვენთვის არ არსებობს და რევოლუიცი ჩვენ არ გვწამსო“, — დასძენდა გრძნობიარე მწერალი.

ტოლსტოი უმაღლესი ინტელიგენციის ფენებიდან იყო გამოსული, ჩეხოვი კი ტიპიური რაზნოჩინეცი იყო. საზოგადოების დაბალ ფენებს არც ერთი მათგანი არ იცნობდა. თავადთა სახლკარი, ბურჟუაზიის ნიერ აღუბლის ბაღების გაკაფვა და ვერშიდონების კვნესა, — მხოლოდ ამ ქვეყანას იცნობდნენ ისინი.

ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ კი იატაკქვეშ შერეკილი გმირული რწმენა და პატიოსანი აზრი ამ დროს ახალ გზებს ეძიებდა. 1889 წელს სამშობლოს ბნელეთიდან გაქცეულმა პლენხანოვმა პარიზში სოციალისტების კონგრესზე განაცხადა: რუსეთში რევოლუიცი მხოლოდ მუშათა კლასის ბრძოლით გაინარჯვებსო... ხალხოსანთა დამარცხების შემდეგ ეს ახალი საბრძოლველი პოზიციის მონახვა იყო. ძნელი იყო მაშინდელ პირობებში იმის დაჯერება რომ ეს პოზიცია სანდო და საიმედო იყო. მაგრამ ეს სიძნელე იყო ზედაფენებისთვის, იმათთვის, ვისი თვალებიც ძველი რუსეთის ბრწყინვალეების ცქერას შეეჩვია. ხოლო იმათთვის კი, ვინც პლენხანოვების ქვეყანას იცნობდა, ეს თვალსაზრისი სრულიად ბუნებრივი იყო...

ალექსანდრე მესამის მათრახებითა და პობედონოსცევის ფილოსოფიით შესაღტულ რუსეთს კრიზისი დაუდგა — 90 წლებში დაიმშა მრავალი მილიონი მცხოვრები და ვებერთელა იმპერიის მექანიზმიც საშიშრად აკრიტინდა. გაიბზარა ბაბილონის სიძლიერე, დაირღვა იდილია...

და მაქსიმ გორკის შევარდენმაც ფრთები დაიბერტყა... ქარიშხლის მახარობელმაც ზღვის მკერდზე შეინავარდა.

გზა, რომელიც ჩვენ უნდა გადავიაროთ, ჩემთვის უცნობია, მაგრამ მე მწამს რომ სულ წინ უნდა ვიარო... იქით — ბუდნიერებისაკენ იქით, — საიდანაც ეს ბრწყინვალე წინ მოისმის.

ამბობს გორკის მეოცნებე ჭივჭავი.

ახლად გაღვიძებული საზოგადოებრივი ძალები მთვრალეებივით გაიწვედნენ სულ წინ, შეუჩერებლივ მიბარბაცებდნენ ბედნიერებისაკენ და გარინდებულნი გაპკიოდნენ:

— მძლავრად, მძლავრად ამოსკდი გრიგალო!

მაქსიმ გორკის დაკვირვებულმა თვალმა და ფხიზელმა გონებამ პირველითგანვე მოსძებნა ძველი რუსეთის ბნელეთში ჩაკარგული პიროვნება, რომლის გულის სიღრმიდან უნდა აღმოხეთქილიყო ქვეყნის დასახსნელი ამოძახილი გრიგალისადმი.

სულის მოდუნების ქაშს.—როდესაც მესხიერება თვალწინ მიყენებს სულის გამყინავ წარსულის აჩრდილებს,—როდესაც აზრი, ვით ზემოდგომის ვნება დაშრეტილი მზე, მკრთალად მინათებს გარშემო ჰოსს და შეგებდითად ტრიალებს ერთ ადგილას—ვერც ზევით დაძრულა, ვერც წინ წაწეულა.—სულის მოქანცვის ამ უმძიმეს წამებში, ოცნების ხეობებით მე ვიწვევ თვალწინ ადამიანის შარავანტუდით მოცულ ხატებას! ადამიანი! თითქო მზე იმალება ჩემს სულსა, გულში და მის ბრწყინვალე სხივებში, ნელა და მედიდურად მიბრძანდება—წიიინ! და წაქვს მსოფლიო-მედივიტ სამყარო—ტრაგიულად მშვენიერი ადამიანი..

ასე აღტაცებული აგალობდა დიდი მწერალი რუსეთის მუშათა მოძრაობის გარეყრაჲზე.

ლამაზი იყო ეს სიმღერა, წარმტაცი იყო მასში ჩაქსოვილი აზრი. და ამიტომაც მთელი რუსეთი უსმენდა მას. გორკი პირველ მოთხრობიდანვე (1892 წ.) საყვარელ მწერლად გარდაიქცა. ერთხელ ტოლსტოიმ სთქვა:

არ შემიძლია, რომ გორკის გულანდილად მოვეკიდო, არ ვიცი რა მიზეზია, მაგრამ არ შემიძლია კი... გორკი ბოროტი ადამიანია. ის გავს იმ სემინარიელს, რომელიც ძალით აკურთხეს ბერად და ამის გამო ყველა და ყველაფერი შეაძულეს. მას მოყურიადეს სული აქვს, ის საიდგანდაც მოვიდა მისთვის უცნობ ქანაანის ქვეყანაში, ყველაფერს ყურს უდებებს, ყველაფერს აკვირდება, იხსომებს და ყოველგვარ ცნობებს აწვდის თავის ღმერთს. ხოლო მისი ღმერთი კი მახინჯი რაღაც არსებაა.

ქეშმარიტად, სხვა ქვეყნიდან მოსული იყო მაქსიმ გორკი, თავად-აზნაურული კულტურის გენიალური შვილის გენიალურმა თვალმა მაშინვე იცნო იგი. სხვა რამეში დიდი ტოლსტოი გორკის შესახებ დიდად შეცდა, მაგრამ გორკის მომავლინებელი ქვეყანა კი მაშინვე იცნო.

რას წარმოადგენდა ეს ქვეყანა?

რისი თქმა უნდოდა ამ ქვეყანას?

* * *

იშვიათია მეორე მწერალი, რომელიც გორკისავით გარკვეულის სახით და კადნიერულის ნაბიჯებით შემოჭრილიყოს ლიტერატურაში და თანაც ერთის შეტევით დაეპყროს არა თუ ეროვნული, მსოფლიო მნიშვნელობის პოზიციებიც კი. მის საყვირს სრულებითაც არ დასჭირებია იერიქონისათვის შვოდჯერ შემოვლა, პირველ კამარისტანავე დაემხო ციხე-ქალაქი.

— ჩვენც ადამიანები ვართ! ჩვენც სიცოცხლე გვიყვარს! ჩვენც ვიბრძობლებთ ბედნიერ სიცოცხლისათვის! გაგვიღეთ კარები!—გაპკიოდენ გორკის ტიპები პირველ გამოჩენისთანავე.

გაპკიოდენ ლამაზად, მომხიბლავად, ვაჟკაცურად...

ეს იყო რუსეთის პროლეტარიატის პირველი ამოძრავება. და როგორც ასეთი უსისტემო, შემთხვევითი, ინდივიდუალური, ანარქიული, უორგანიზაციო... მაგრამ სამაგიეროდ ლამაზი, წარმტაცი, სისხლის ამჩქეფი.

ვით ნაპერწკლები კვამლის შავ გულში,
შვილნი ვართ უანის წარმავალისა,
თან მარცვლები ვართ ტკბილი მერმისის,
მზურვალე ცეცხლი მომავალისა.

თავისუფლებას მიტომ ვწირავთ თავს,
 ეკლის გზაზე ვართ მიტომც ნადგომნი,
 რომ არწივებად გამოიხარდნენ
 ყველა თხუნელნი უსინათლონი.

(თარგმ. იასამანისა, „მზის მთლები“).



ასეთი იყო ამ პერსონაჟების მისწრაფება და თითოეული მათგანი ერთად იყო.

გორკი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ცხოვრების ერთგვარ ფილოსოფოსად გამოვიდა. ის საზოგადოებრივი ფენა, საიდანაც იგი გამოვიდა ყველაზე უფლებო, მიწასთან გასწორებულ და გაკანტვებულ იყო. ახალი ბაბილონის საშინელმა წნევამ ის იყო გასრისა პიროვნება და გორკის შემოქმედებამაც გულის გამგმირად ამოიკვნესა.

პირველი მოთხოზიდან უკანასკნელამდე გორკი თავისებური რომანტიკოსია. არც ერთი მისი პერსონაჟი არსებული სინამდვილით კმაყოფილი არ არის. გარეშე წრე და ყოველდღიური ფაქტების გროვა სულს უხუთავს თითოეულ მათგანს, ისინი ვერ თავსდებიან მოცემული სინამდვილის ფარგლებში და მძლავრად მიისწრაფიან წინ, სულ წინ! ზევით, სულ ზევით!

უმეტესობა მათგანი ყოფილი ადამიანებია, სიცოცხლის საუკეთესო ხანას მათთვის უკვე გაუვლია, შედეგად მხოლოდ უიმედობა დარჩენიათ და თანაც ფილოსოფიით გატენილი თავები აქვთ, ყველა მათგანი ცხოვრების სიბრძნით არის დაყურსული.

მაშინდელი რუსეთის საშინელება საკუთარ თავზე გამოსცადა გორკიმ, ოცდახუთ წლამდე მასაც კისერზე ედგა თავისი ქვეყნის მშრომელთა მძიმე უღელი და ისიც ცხოვრებისგან უარყოფილთა შორის შოულობდა ლუკმა პურს. ჯერ უბრალო ხელოსანი-მღებავი იყო, მერე ფეხსაცმელების მაღაზიაში უბრალო ბიჭათაა, ცოტა ხნის შემდეგ გემზე ამოყოფს თავს შხარეულად, მუშაობდა საშაქარლამოში, იყო მხერხავად, მეკურტნიედ, მეფურნედ, ვაქრობდა ფრინველებით, ვაშლებით, გალობდა საეკლესიო ხოროში, ბოლოს ვიღაც ვექილთან დადგა მწერლად, ერთხანს რკინის გზის დარაჯად იყო, რამდენიმე ხანს ტფილისის რკინის გზის სახელოსნოებშიც მუშაობდა. მოიარა მთელი რუსეთი, არ დაუტოვებია არც ერთი მნიშვნელოვანი ადგილი... და ყველგან ცხოვრების უმდაბლეს საფეხურზე იდგა, სინამდვილეს მუდამ წამს ქვედა სართულიდან ათვალიერებდა... არსად, არც ერთ ადგილას მისი პიროვნება არავის დაუფასებია, მისი პირადი ღირსება არავის უცვნია, ყველგან დამცირებული, ყველგან დამდაბლებული... ამავე მდგომარეობაში ხედავდა იგი ყველა თავისიანებს, ათასებს, ასიათასებს, მილიონებს...

გორკის აქვს მოთხრობა: „ოცდაექვსი და ერთი“. ოცდაექვსი მუშა თავაუღებლად მუშაობს ერთ საშინელ ფურნეში. უსუფთაობა, გარყვნილება, გახრწნილება. იღუპებიან ამ საშინელ ქაობში ადამიანები, იღუპებიან სულით, ხორციით... და უცებ გამოჩნდა ერთი მშვენიერი არსება, რომელმაც თავისი სილამაზით, სულით აამაღლა ეს დაცემული არსებანი, ოცნების ფრთები შეახა მათ დაცხრილულ სულსა და გულს და სანატრელ მერმისისკენ გააქანა ეს სულხორციანად დაობებული ადამიანები...

ამ ძირითად აზრზეა გორკის ყველა მოთხრობა აგებული: ყოველდღიურ წუმბეში ჩასალუბავად ჩაყურყუმლავებული სულის „ზეცისკენ“ აღტოლება, — ასეთია გორკის რომანტიკა.

ტოლმაჩიანთ ქვრივს („ტოლმაჩიანთ უბანი“) გლახაკი შვილი ყავს, მახინჯი, საზარელი. მისმა მოვლამ დედაც დააგლახაკა და მიწვესტანა, გაანსწორა. ტოლმაჩიანთ ქვრივი იტანჯება და გამოსავალს ეძიებს, უნდა სულით ამაღლდეს და რაიმე ნაირად თავი დაახწიოს მისი პიროვნების განმანადგურებელ პირობებს... დიდი ძიების შემდეგ ასეთი ხერხი მოიგონა: გლახაკი შვილი წმინდანად გამოაცხადა და მისი ოჯახიც მთელი უბნის თვალში იღუმალის შარავანდედით შეიმოსა: ყველას თვალში ამაღლდა, იცვნეს, დაათასეს, ყველაზე მეტად აღიარეს და მის წინაშე ქედიც მოიხარეს. ქვრივი ბედნიერია: სხვაზე ამაღლდა და სიმდიდრეც უხვად შემოდის, — შორწმუნე ხალხმა საჩუქრებით აავსო მთელი მისი ოჯახი.

ცხოვრების გერები გორკის მუზამ კანონიერ შვილებად დააგვირგვინა, ყველა უარყოფილი მან შეიფარა და ბრძოლის ცეცხლით აღჭურვა; ცხოვრებისგან გარიყულნი სინამდვილის ფარვატერში მოაქცია... გორკის გამოსვლამდეც ყოფილა ასეთი ცხოვრება აღწერილი, მაგრამ გორკისებურად არავის მოუფუთვინია ეს მოძულეებული არსებები. „შეიბრალეთ და გაიკითხეთ ეს საწყლები“-ო, — ამბობდენ გორკის წინა დროის მწერლები... „რას მიქვია თქვენი შებრალება?! ზიზლი თქვენც, და თქვენს ფილანტროპიასაც!“ გაჰკიოდენ გამოჩენისთანავე გორკის პერსონაჟები, რომელთა კბილების ღრქენა ინდივიდუალიზმის ცეცხლს ანთებდა. ყველა ეს ჩელკაშები, ბარონები, იცეკვეფებოები და მაკარ ჩუდრები ნიცშეს პირ-ბადეს იკეთებენ და მთელ ბურჟუაზიულ ცხოვრებას ზიზლით გადმოაყურებენ... მათთვის უცნობია ბრძოლის კოლექტიური ფორმები, ესენი უდისციპლინო ხალხია, ინდივიდუალისტები, გაშიშვლებული ეგოისტები, არსებულის უარის მყოფენი, მოხუც ლუკასავით ბედნიერების ქვეყნის ხეტიალში მაძიებენი...

ერთის ხაზით მოდიოდა გორკის მაწანწალების საპროტესტოდ მოღერილი მუშტი, მეორე მხრიდანაც იკუმშებოდა რუსეთის პროლეტარიატის მძლავრი ხელი.. თუმც სხვა და სხვა მხრიდან, მაგრამ ერთ ადგილს დასარტყამად კი ეპირებოდა ორივე ეს მუშტი... და ამიტომაც იყო, რომ გორკის მუზა მთელი რუსეთისთვის სათაყვანო შეიქნა... არა მარტო რუსეთისათვის — მთელი ევროპაც აღტაცებული იყო გორკის დამიზნებით...

მაგრამ დატრიალდა პირველი რევოლიუცია და გორკის საყვარელი ტიპები ებრაელების დარბევაში ჩაერიენ, ბარიკადის იქეთა მხარეს მოექცენ და სრულიად გამოუდევარნი შეიქნენ ახალი ცხოვრებისათვის. მათი ძლიერი ნებისყოფა და ფილოსოფიით სავსე თავები ერთის დაკვრით ჩაყლაპა მათმავე ინდივიდუალიზმმა და კოლექტიური ფორმები მათთვის მიუღებელი აღმოჩნდა, საწარმოო პროლეტარიატის იდეალები რომის ტიპის ლუმპენპროლეტარებისთვის სრულიად მიუღებელი შეიქნა...

— მაქსიმ გორკი დაიღუპა, მის შემოქმედებას აღსასრული დაუდგა, მისი

ნიჭი სამუდამოდ მოკვდა, დღეიდან იგი ვერას შექმნისო, — ასტეხეს მისმა მტრებმა განგაში. რევოლიუციის მესაფლავენი დღესასწაულში იყვნენ, მისტიკოსი მერეეკოვსკი დავლურს უვლიდა, არციბაშევის „სანიინი“ დაუცბრომლად ნადირობდა ლამაზ სხეულებზე, ბერდიაევები მიტროპოლიტ ანტონისთან/მივიდენ კანოსაში, ანდრეევმა „ჩემი ჩანაწერების“ ფილოსოფია შექნა, კუხშინები და სოლოგუბი საროსკიპოებში წავიდენ... ყველანი ერთად კი რევოლუციას ასაფლავებდენ და ბურჟუაზიას უგალობდენ.

მხოლოდ მუშათა კლასი იდგა უცვლელად ისევ იმ პოზიციებზე, სადაც მან უმანკო სისხლი დააქცია და სადაც არა ერთი სამარე გაუთხარა საყვარელ მებრძოლებს... იდგა და ფიქრობდა, იდგა და ელოდა... ძალღონეს იკრუფდა ახალ ბრძოლებისათვის, ახალ პოზიციებს ეძებდა, ახალ იარაღს იღესავდა...

მასთან იდგა მაქსიმ გორკიც, რომელიც მითიურ ანთეოსივით დედა მშობელთან შეხებით ახალ ძალებს იკრებდა... და სწორედ აქ ჰპოვა დიდი მწერლის დიდმა ნიჭმა ის ცხოვემყოფელი ძალა, რომელმაც უკვდავების ძალა შთაბერა მას და ხელ ახლა გააახალგაზრდავა მისი ღრმა ნიჭი და ბრძნული აზროვნება.

ჯერ კიდევ რევოლიუციის წინა წლებში ჩადგა გორკი მებრძოლი პროლეტარიატის რიგებში და სავსებით იწამა მისი პარტიის მემარცხენე ფრთის (ბოლშევიკური ფრაქციის) ტაქტიკა. მხურვალე მონაწილეობას იღებდა იგი ამ პარტიის ბრძოლაში და არ ყოფილა წამი, რომ პოლიტიკის გარეშე დაეყენებინოს თავისი თავი. ციხე და სამშობლოდან გაძევება მრავალჯერ ყოფილა მისი ხვედრი.

იმ ღროს, როდესაც მისი ბურჟუაზიული მტრები სულთანანს უგალობდენ მას, სწორედ ამ ხანებში მაქსიმ გორკიმ გამოაქვეყნა თავისი ახალი პიესა „მტრები“ დიდი რომანი მუშათა ცხოვრებიდან „დედა“, და რუსეთის დაუსრულებელ ველმინდვრებიდან თაიგულად შეკრული „აღსარება“... და დაიწყო გორკის შემოქმედებაში სულ ახალი თავი, რომელიც მრავალში დაკავშირებულია მოღვაწეობის პირველ თავთან. გამოირკვა, რომ ხალხის გულის სიღრმიდან გამოსულ მწერალს, რომელიც თავისი არსების ყოველ წერტილში დიდი რუსეთის ხალხის გულასცემას გრძნობდა, ძველი იარაღები ახლად გადაედუღებია და ისევ ახალგაზრდულის ენერგიით იწყებდა ახალ პოზიციებზე სასახელოდ დაწყებული ბრძოლის გაგრძელებას.

მეორე პერიოდის გორკისათვის უკვე აშკარა იყო სამი მთავარი დებულება: პირველი — სამრეწველო პროლეტარიატის კოლექტიური ბრძოლის აუცილებლობა არსებული წესწყობილების დასამხობად და სოციალიზმის დასამყარებლად. მეორე — მუშათა კლასის საქმე — ეს ეროვნული მნიშვნელობის საქმეა და მესამე — ისტორიის შემომქმედი ძალა თითონ მასსაა, რომელიც დევ-გმირის ძალას სძენს ცალკე პიროვნებებს და სასწაულსაც კი მოახდენს. კოლექტივი ახალი ღმერთია — ყველაფრის შემძლე, ყველაფრის დამძლევი.

პროლეტარიატის ბრძოლების მიზნების და მეთოდების შესანიშნავი ასახვა გორკიმ მოგვცა პიესაში „მტრები“. აქ დაგმობილია ბრძოლის ინდივიდუა-

ლური ფორმები — ტერორი — და პირველ ადგილზე დგას შეკავშირებული კოლექტივის მოძრაობა. „დედა“-ში ჩვენს თვალწინ დგანან მთელი ხალხის მეთაურ ძალად გადაქცეული მუშები; „აღსარება“ — ეს კოლექტივის სასწრაულო მოქმედებაა კერძო პიროვნებებზე. ძნელია მაქსიმ გორკის მრავალმხრივ მდიდარი მოთხრობების ასე სქემატიურად მოცემა, ბევრი რამ ხელოვნურად უკუაქცევს ესეთ გადმოცემაში, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს. *საბუნებისმეტყველო*

თავისი განვითარების მეორე ხანაში გორკიმ შექმნა შესანიშნავ ნაწარმოებთა მთელი რიგი: „ზაფხული“ (1909 წ.) „ქალაქ ოკუროვის ქრონიკა“ (1909—11 წ. წ.), „მათე კატიკინი“ და მრავალი სხვა. დაუღალავი შემომქმედი ამ ჟამად ბეჭდავს ახალ ეპოპეიას „ცხოვრება კლიმ სამგინისა“.

თითოეული ეს ნაწარმოები უფართოეს მხატვრულ ტილოს შლის ჩვენს თვალწინ: რომელი წრის და სოციალური მდგომარეობის ადამიანებს არ შეხვდებით, რუსეთის რომელი კუთხის პეიზაჟი არ გეშლებათ თვალწინ! მუშები, ხელოსნები, ვაჭრები, მემამულეები, მღვდლები, ბერები, გლეხები, ბავშვები, მოხუცები, მეზღვაურები, პროსტიტუტკები, მაწანწალები... ამაზე რთულ და წარმტაც პანორამას ძვირად შეხვდება ადამიანი. გორკის მდიდარმა ბუნებამ და უაღრესი დამტკბობის ნიჭმა უხვად ისარგებლა იმ დაუშრეტელი სიმდიდრით, რომელიც ძვირფას ფენებად ეწყობოდა მის არსებაში ახალგაზრდობის ხანაში რუსეთის სხვადასხვა კუთხეებში ხეტიალის დროს. დონის ლერწმები, ვოლგის ზღაზნვა, დუნაის დუდუნი, კავკასიის მწვერვალები, შავი ზღვის აზურმუხტებულ ნაპირები, კასპიის ამომშტარი ფერდობები, ხიტროვის ბაზარი და ჩამოსკვორეჩიე, თომა გორდევეი ვოლგის ნაოსნობანი, პროვინციალური ოკუროვის ერთფეროვანი ლოღვა... ვინ მოსთვლის გორკის სამხატვრო მოზაიკურ ტილოების წარმტაც ფერადებს.

არც ერთ თემას გორკი არ გაურბის, არც ერთი სოციალური წრის ასახვის მას არ ეშინია. მისთვის არ არსებობს მისაღები და არ მისაღები თემა, შესაყვარებელი და უარსაყოფი წრე... და ეს იმიტომ რომ გორკის ყოველ ფენის ნაბიჯზე აქვს თავისი თავის იმედი, მისი იდეოლოგია წელში გასწოლებულია, თავისი მიდგომა და თვალსაზრისი არასოდეს არ ავიწყდება გორკის... იგი მოსისხლე მტერია ყოველგვარი უკულტურობის, უაზრობის, ორპირობის, უმოძრაობის, დამყაყების, კმაყოფილების, მოდუნების, უსიცოცხლობის, გაიძვერობის, ძველის, დრომოკულის და ობ მოდებულის... მაქსიმ გორკის სული მუდამ ეძიებს, მუდამ ღვიძილშია, მუდამ მოძრაობს, მუდამ დინამიურ მდგომარეობაშია. მან არ იცის კმაყოფილება, სიმძაღრე, მოსვენება, ის გაუსწორებელი რომანტიკოსია, რომელიც მუდამ წინ მიისწრაფის და ალტაცების ფრთებით დანავარდობს.

გორკი მთელი თავისი მდიდარი შემოქმედების გზაზე მუდამ ნაპრალებზე დადის, ოღროჩოღროებში დანავარდობს, მას არ ეხერხება სწორ მინდორზე სწორად სიარული. ის ყოველთვის იქ არის, სადაც რღვევა და დისჰარმონიაა, სადაც უკმაყოფილება და გაბზარულ გულთა წუხილია. დამსხვრეული ცხოვრება,

დამახინჯებული არსებობა, აი რა იზიდავს მის შემოქმედებას... და ყოველივე ამას სჩადის სახელითა ჰარმონიისათა, სახელითა მთლიანი და ლანაზი ცხოვრებისათა. სიცოცხლის რეალურ პირობებიდან მძლავრად ამოკვეთილ ამ/დიდ რეალისტს მუდამ ულამაზესი იდეალიზმის ფრთები ასხია და დაულალავად მიისურათვის მუდამ ახლისკენ. მისი დაკვირვებული თვალი მუდამ სინამდვილეს ჩასცქერის და ერთის ხელით რომ ფაქტებს აგროვებს და ანალიზის ქარცქერებში ატარებს, მეორეთი მომავალი ბედნიერების კოშკს აშენებს, კოშკს წარმოტაცებს და შევების მომგვრელს, სადაც გამეფდება ჭეშმარიტება და სიმართლე, შრომა და პოეზია.

მაქსიმ გორკის ფიქრი მუდამ იქით იყო მიმართული, რომ მის შემოქმედებას ნაციონალური ელფერი არ დაჰკარგოდა. მას სწამდა ერთგვარი რუსული მესიანიზმი, რომელსაც მთელი მსოფლიო უნდა განეახლებინა. თავის ცნობილ წერილში „პიროვნების დარღვევა“ (1909 წ.) ის სწერდა ამაზე და საზოგადოდ „სლავიანური სულის“ დიდ შესაძლებლობაზე. გორკი აქ საკმაოდ ასცდა დიალექტიურ მატერიალიზმს, მაგრამ მისი სულიერი განწყობილება მაინც დამახასიათებელია. ეროვნული სულით გაჟღენთა და მისი თავისებურობის შეცნობა მან შემოქმედების ქვაკუთხედად დაისახა, უდიდესი ინტერნაციონალისტი იმავე დროს უაღრესად ნაციონალური იყო. გორკის არ შეეძლო სხვაფრივ მოქცეულიყო, ვინაიდან რუსული სინამდვილე ღრმად იყო ჩაჭრილი მის არსებაში, რუსული მდინარეების ზღაზნვას თავის ძარღვებში გრძნობდა იგი, რუსულ ველებში შავარდენივით დასრიალობდა მისი სული, რუსული სიმღერა ატკბობდა მის სმენას და, რაც ყველაზე უძვირფასესია, რუსული სიტყვა ჩხრიალებდა მის თვალწინ ათასფეროვან მარგალიტებად... ამიტომ არის, რომ გორკი სწერს და არ იშრიტება, ლაპარაკობს და გაკვეთილ სიტყვებს არ ხმარობს... ერთ სურათს მეორეთ არ დახატავს, ერთხელ ნაგრძნობს, მეორეთ არ იგრძნობს, ერთხელ ნათქვამს მეორეთ არ იტყვის...

გაზეთები სწერენ: გორკის გადაწყვეტილი აქვს ყველა იმ ადგილების ჩამოვლა ს. ს. რ. კ-ში, სადაც მას ოდესღაც უცხოვრიაო. როგორ ჰგავს გორკის ბუნებას ეს ულამაზესი გადაწყვეტილება! დიდი ჭკუის პატრონმა მწერალმა იცის, რომ მას ხელახლად განაახლებს ზღაპრულ ანთეოსივით „მშობლიური მიწის“ შეხება, ხელახლა შთაებერება შემოქმედების ცეცხლი, იგრძნობს დავიწყებული აკვნის ხელახლად წარწევას, აზრთა და გრძნობათა ხელახალ აშლას და ამიტომაც მიეშურება თავის განაახლებულ სამშობლოში, სადაც მუშათა კლასი აშენებს იმ სამეფოს, რომელსაც ასე შეტრფოდა ახალგაზრდობიდანვე მშრომელთა დიდი მწერალი.

მომხიბლავია გორკი როგორც პიროვნებაც: უზადო, უანგარო, საზოგადოებრივის გრძნობებით გაჟღენთილი, მოწამებრივის შარავანდდით შემკული. სრულებით არ ჰგავს იგი უპრინციპო კალმოსნებს, კალნით მოვაჭრეებს, სინიღისით მოთამაშეებს, ნაყიდს და გაყიდულ სულებს, ბურჟუაზიული ტიპის ღობემძვრელებს ტოლსტოის რუსეთის სინიღისს ეძახდა მთელი ევროპა. ეს ეპიტეტი ერთხან ვ. კოროლენკოს მიმართაც იხმარებოდა. მათ შემდეგ კი ამ საპატიო სახელის ღირსეული მატარებელი ერთადერთი მაქსიმ გორკი შეიქნა. რუსეთის მშრომელთა სინიღისის ემბლემა—მაქსიმ გორკი!



ივანე მაჩაბელი *)

მასალეზი გიორგიაშვილისათვის

ტარი პირველი

თავი IV

მაჩაბელი ევროპაში

1882 წლიდან სერგეი მესხი სამუდამოდ დაავადმყოფდა. დეკემბერში რე-მატიზმმა, ხველამ და მარჯვენა ხელის ტეხამ ლოგინში ჩააგდო. ექიმების აზ-რით, მესხის ავადმყოფობა ანეფრიზში იყო და მისი მორჩენა უკვე შეუძლებელი იყო. ამიტომ მას ურჩიეს სარედაქციო მუშაობაზე სამუდამოდ ხელი აეღო.

— „კვირის-კვირობამდის, თვის-თვეობამდის, დღენიადაგ უძილობამ, მუდამ რკინის მტვერში ყოფნამ და საშინელმა ჯაფამ აიძულა მესხი თოთხმეტი წლის შემდეგ „დროებას“ განშორებოდა...

ძნელი იყო ეს გარემოება მესხისთვის, მაგრამ მეტი გამოსავალი არ იყო. ბოლოს გადასწყვიტა, „დროებას“ მაინც ეცოცხლა და ამ მიზნით სხვისათვის გადაეცა.

საჭირო იყო „დროებისათვის“ ისეთი პატრონის მონახვა, რომელსაც ექნე-ბოდა სერგეი მესხის მორალურს წონასთან ერთად ძალა მაშინდელი პირობების ატანისა. მაგრამ ასეთ იდეალურ პიროვნებას უნდა ეშოვნა ის ექვსასი თუმანიც, რომელიც ვალად აწვა სერგეი მესხს და რომლის მცირე ნაწილიც მისთვის იყო საჭირო სამკურნალოდაც.¹⁾

ს. მესხიმ მოლაპარაკება გამართა მწერლებთან და კერძოდ ილია ჭავჭა-ვაძესთან. ილიამ იკისრა ფულის შეგროვება და მალე მრჩეველებმაც დაასახელეს ორი შესაფერი კანდიდატი: ივანე მაჩაბელი და ნიკო ქანანაშვილი..

უკანასკნელი, როგორც „ფრთხილი, დაკვირვებული და მტკიცე ხასიათის ადამიანი“ იყო ილია ჭავჭავაძის კანდიდატი.

„მაჩაბელიც სასურველი კანდიდატი იყო—ამბობს ეკატერინე მესხისა,— და ილიაც მხარს უჭერდა. სერგეის და ილიას აზრით, ყოველდღიური გაზეთი-სათვის ასეთი ცოცხალი ტემპერამენტის კაცი იყო საჭირო, მით უმეტეს, რომ

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 2.

1) ფულის გადაბდა ნაწილობრივადაც შეიძლებოდა, მაგრამ სტანბისა და ქალაქის ფუ-ლი კი თავიდანვე საჭირო იყო.

ცნობილი იყო მისი შრომის მოყვარეობა და ქართული ენის ცოდნა. როგორც სერგეი ისე სხვებიც, დარწმუნებულები იყვნენ, რომ ვანო მაჩაბელის პიროვნება პოლიტიკურადაც ჩამოყალიბებული, იყო და ყოველ დღიურ კითხვებზედაც პასუხს ადვილათ გასცემდა. რასაკვირველია, ასეთი მომზადებული ადამიანი/თანამშრომელთა რიგიანს კადრსაც შექმნიდა. ერთი სიტყვით, სრული სიმკვარეა მაჩაბლისაკენ იყო მიმართული*..

მაგრამ ეკატერინე მესხის მოგონება ილიას მიერ მაჩაბელის „დროების“ რედაქტორად დასახელებისა სინამდვილეს არ შეეფერება, რადგან ილიას კანდიდატი იყო მხოლოდ ნ. ქანანაშვილი, რომელიც თითქმის გაიყვანა კიდეც „დროების“ რედაქტორად.

ამ მომენტის შესახებ სწერს თვით ი. მაჩაბელი:

„მართლა, მეტად ცუდად არის ამ გაზეთის („დროების“) საქმე, მატერიალურად კი არა, ლიტერატურულს მხრივ. მესხი ძალიან ავად არის, ასე რომ ექიმებმა აუკრძალეს ორის სამის წლით კალმის აღება და თავს ანებებს. გაზეთს ჰყიდის და ექვსას თუმანს თხოულობს, რომლიდანაც უნდა ოთხას ორმოცდაათი თუმანი რედაქციის ვალებში მისცეს და ასორმოცდაათი თუმანი თითონ მოიხმაროს მოსარჩენად. აგროვებენ კიდეც ამ ფულს და უნდათ იმისთანა პირს გადასცენ, რომელსაც უფრო რიგიანად შეეძლოს გაზეთის წაყვანა.

საქმე დღემდის ასეა გაჩერებული. ცალკე კაცის შოვნა უჭირდებათ, ცალკე ფულისა; ჭავჭავაძეს უნდა რომ რედაქტორათ ქანანოვი დააყენონ. მაგრამ სხვები თითქმის ყველანი წინააღმდეგნი არიან, რადგან ზარმაცი კაცია და ჟურნალის წაყვანის დროს დაამტკიცა თავისი უსაქმურობა.

მეტადრე უფრო ყმაწვილები არიან ამისი წინააღმდეგნი და ესენი მე მთხოვენ, რომ ვიკისრო. უნდა გითხრა, რომ რედაქტორს უნიშნავენ ჯამაგირს სახლს გარდა 1500 მანეთს წელიწადში, მაგრამ ეს ჯამაგირი სამუდამო არ არის. შესანიშნავი უფრო ის არის, რომ „დროება“ ეხლანდელს ცუდს მდგომარეობაშიც კი ორასს თუმანამდე ნაღდს მოგებას აძლევს, თუ რასაკვირველია, მუქთი მშრომლები ვიანგარიშეთ და ყველას იმედი აქვს რომ თუ რიგიანად წავიდა ამ გამოცემის საქმე მაშინ შეიძლება ყველა თანამშრომლებს (მუდმივებს) ფასი ეძლეოდეთო. არ ვიცი შენ რას იტყვი ამ საქმის თაობაზედ“...

ილიამ უკან აღარ დაიხია და „დროების“ რედაქტორად გაიყვანა არა ი. მაჩაბელი, „ივერიის“ მეორე რედაქტორი, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ ნ. ქანანაშვილი — მისივე სიტყვებით — „კაცი ფრიად განათლებული და მომზადებული და ამას გარდა ყოველისფრით ღირსეული“.

„მესხთან ფასში მორიგდენ კიდეც, საქმეც გათავებული იყო. ქანანოვმა რედაქციაც შეადგინა და განცხადებაც დაბეჭდა“, მაგრამ მაჩაბელს არ ეძინა, გამოსთხოვა ფული მაშინდელ მეცენატს გიორგი ქართველიშვილს, მიატოვა „ივერია“ და საჩქაროდ „დროება“ დაიმტკიცა... 1)

1) ილია ჭავჭავაძე თავის საპოლემიკო წერილში სწერს: „როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაში ი. მაჩაბელი თავისებურად ზურგის უკან გაძვრა-გამოძვრა, გათავებული საქმე ჩაშალა და თითონ იყიდა გაზეთი.“ „ივერია“ 1893, № 216.

ცხადია, ილიას თავისი მოსაზრებანი ჰქონდა, როცა მაჩაბლის მაგიერად ქანანაშვილის კანდიდატურა წამოაყენა.

სრულიად მოულოდნელად როგორც საზოგადოებისათვის ისე ქვეყნადისათვის მაჩაბელმა გამოიჩინა აქტიობა და გახდა ერთადერთი ქართული გაზეთის პატრონი ¹⁾.

მაჩაბლის დრამის პერიპეტიაში ეს მომენტი მეტად მნიშვნელოვანია, როგორც სრული განთავისუფლება ქვეყნადის ავტორიტეტისაგან, ამ მძლავრი ნატურისაგან, რომელიც უკვე ხელს უშლიდა მის ინდივიდუალურ მომწიფებას...

კრეატურა გათავდა...

ეს არის პირველი მომენტი გზების გაყრისა, მაჩაბელის შინაგანი ევოლუციის გამომჟღავნების: იგი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია ქართული პუბლიცისტიკის განვითარებაშიც.

ამიერიდან ქართულ პრესაში ხდება მაგარი გარდატეხა. ამ დღიდან ახალგაზდობამ „დასძრა ყინული“ ქვეყნადის „კონსერვატიზმის“ და გადაქარბებული კუნტატორობისა... მან დაიბევა თავისი გზები.. ეს არის პირველი შეტევა ილიას დიქტატურის წინააღმდეგ.. ილიასგან უკმაყოფილო ელემენტები იყრიან თავს მაჩაბლის გარშემო და მისივე ლიდერობით მართავენ პირველ ბრძოლებს, რომელიც შემდეგ რელიეფურ სახეს იღებს მეტად ცნობილ „ბანკოვიადის“ დღეებში.

ოპოზიცია აარსებს ილიასთან საბრძოლველად ჟურნალ „კვალს“ (შემდეგ მესამე დასის ორგანო).

მომენტი მაჩაბელის გამარჯვების ან „დროების“ აღებისა, იუმორისტული კოლორიტით დახატული აქვს ჟურნალისტს დავით სოსლანს.²⁾

„ეს ორი თვეა, რაც „დროება“ დასაკლავ ხარის მდგომარეობაში იყო, ჩემის ფიქრით; თუმცა ზოგიერთნი კი ამტკიცებდნენ, რომ ვითომც აქამდენ „დროება“ უძღურს მდებარეს მოგვაგონებდა და ეხლა მკურნალები გამოუჩნდნენ და უთუოდ ფეხზე წამოაყენებნო.“

მოგეხსენებათ, აქამდე „დროება“ ერთი კაცის ქედზედ იყო დამყარებული, რომელიც ამ მძიმე ტვირთმა ისე დასძალა, რომ ამ ბოლო დროს იძულებული შეიქმნა გამოშვებულიყო ამ რკინის უღლიდან. რასაკვირველია ჩვენმა ყლაპიებმა სუნი აისხეს და ცბიერის ღიმილით და ტანის რხევით გაუთამაშ-გამოუთამაშეს „დროებას“. ჩვენი „დროების“ ახალი სანეფო მე მეტად მახინჯად და უღირს ქმრად მეჩვენა ამ პატარძლისათვის და მის მახლობელთანაც და მოკეთეობა ვითაკილე და პატარძლის მშობლებს ვთხოვე: ღვთის გულისთვის, ამ ქალს ნუ აუბედურებენ და სხვა უკეთესი საქმრო აერჩიათ.

საქმროს ამ ნაქვრივალ ქალის მზითვემა თვალი მოსტაცა კარი და ბანი

1) „დროების“ ქრონიკა (1883. № 85) გვატყობინებს: „დღეს მოსულმა გაზ. „შრომამ“ შეგვატყობინა, რომ „დროება“ ქანანოვისთვის გადაუციათო. ამ შეცდომას ჩვენი აზრით ბევრი გამტყუნება არ დასჭირდება: რადგან მკითხველები დღევანდელს „დროების“ ნომრიდან დაინახავენ, რომ დროება სულ სხვა ახალის რედქციის ხელში გადავიდა“.

2) დავით კვხელი, იგივე ხოილი.

კინალამ ზედ მოგვანგრიო—ჩქარა ქალი მომეცითო. საქმე მთლად გაჩაღებული იყო, მხოლოდ ჯვარის წერის დღე არ დაენიშნათ. საქმრომაც სახლი მორთო, ნამცხვარი დაამზადა და გულის ძგერიო ელოდა პირველ ღამეს, მაგრამ საბრალოს ამდენმა სამზადისმა ტყუილად ჩაუარა და მორთულობა წაუხდა.

უეცრივ საიდანღაც მიწის მგელივით გამოტყერა ერთი უჩვეულებიანი, პატარძალი თვალწინ მოსტაცა და თავისათვის წაიყვანა. ძველსა მსჭრებელს ეხლა შორიღამ პირ-დაღებულს უყურებს და ველარაფერი მოუხერხებია-რა.

. იგავ-არაკობას თავი დაეანებოთ და პირდაპირ უნდა მოგახსენოთ, რომ „დროების“ ბედი ეხლა წალმა დატრიალდა. დღეიდან ეს გაზეთი აღარ იქნება მიგდებული ღვთის ანაბრობაზედ და სამაძლო შრომაზედ. იმედია, რომ ახალ რედაქციაში მოიყრიან თავს საუკეთესო წარმომადგენლები ჩვენი ახალგაზდობისა და, რამდენადაც გარეგანი პირობები ხელს შეუწყობენ, მისცემენ შესაძლებელ ფერს და მიმართულებას...“¹⁾

* * *

მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ იმ დღეებს „დროებისას“, როცა მრავალტანჯულმა სერგეი მესხმა თოთხმეტი წლის ნატარები დროშა „დროებისა“ საჯაროდ გადასცა ივანე მაჩაბელს; როცა თავის სარბიელთან ერთად მან გადასცა ღირსეულ შემკვიდრეს თავისი რკინის ენერგია, თავისი სულიერი იმედები და არა მარტო უბრალო პოსტი რედაქტორის.

გულის აღმძვრელია ეს სცენა...

თითქოს ერთი რედაქტოროი კი არ ეცვლება მეორეს. სურათი მოგავიწყებთ ბიბლიური პატრიარქის დალოცვას სასიკვდილო სარეცელიდან.

შორს გამჭვრეტელმა სერგეი მესხმა დააფასა ივანე მაჩაბელი, და ამით ილიას დიქტატურის წინააღმდეგ წავიდა...

მე ბინდა აქ ცოტა ვრცლად შევჩერდე.

მეტად დამახასიათებელია მაშინდელი საზოგადოებრიობისა და მოღვაწეობისათვის გამოსათხოვარი სიტყვა სერგეი მესხის:

„თოთხმეტი წელიწადი განვაგებდი, ვმწყესავდი მე გაზეთს „დროებას“: თოთხმეტი წელიწადი განუწყვეტლივ, ჯერ კვირაში თითო ჯერ მერე სამჯერ და ბოლოს თითქმის მუდამ დღე მე და ჩემი მკითხველი შევხვდებოდით ერთმანეთს და სხვადასხვა ათასგვარ საგნებზე, ჩვენს ჭირზე და ლხინზე გვქონდა ლაპარაკი და მასლაათი.

ბევრი გაჭირვება გამოვიარეთ მე და ჩემმა გაზეთმა ამ ხნის განმავლობაში; ბევრი დაბრკოლება გვიხვდებოდა წინ; ბევრი განსაცდელი ვნახეთ; ახლანდელს დროში ყოველ გაზეთსა და ჟურნალს, განსაკუთრებით ჩვენში, ბევრი დაბრკოლება ხვდება.

¹⁾ „დროება“, 1883. № 85.

28 აპრილს, „დროებამ“ დაარიგა შემდეგი ბეჭდვითი განცხადება: „რადგან „დროება“ ახალის პატრონის და რედაქციის ხელში გადადის, ამისა გამო იძულებული ვართ ამ გაზეთის გამოცემა დროებით შევაჩეროთ...“ „დროება“ შეჩერებული იყო 28 აპრილიდან 8 მაისამდე.

ამგვარ დაბრკოლებების წინააღმდეგ მწერალს არაფერი არ შეუძლიან. მაგრამ ხშირად ისეთის მხრიდან დაგვხდომია დაბრკოლება, რომლიდანაც სრულიადაც არ იყო მოსალოდნელი.

ავად თუ კარგად, ყველა ამ დაბრკოლებას გადაურჩით და, როგორც იყო დღევანდლამდინ მოვიტანეთ.

და დღეს, ამის თქმა თამამად შემიძლიან, რომ მე ^{ერქვენი ქალი} ~~ერქვენი ქალი~~ შევუძლია კვლავს პატიოსანს გაზეთს ვაბარებ ახალს რედაქციას.

ჩემი დამსახურება აქ ბევრი არაფერია: მე ვხედავდი, რომ ჩვენ გაჭირვების დროს ვცხოვრობდით, ისეთს დროს, როდესაც ჩვენს ხალხსა და ქვეყანას კეთილ-წარმატება ეჭირებოდა—და მე, რამდენადაც სუსტი ლონე და ათას გვარი გარეშე და შინაური დაბრკოლება ნებას მაძლევდა, ვცდილობდი სწორი გზა ჩვენი საზოგადო ცხოვრებისა გამეკვლია და, ერთის სიტყვით, რამდენადაც შემეძლო კეთილი სამსახური და ერთგულება არ მომეკლო ჩვენი ქვეყნისათვის.

ჩემი საქმე არ არის—გავსინჯო—თუ რამდენად შევასრულე მე ეს ჩემი განზრახვა, რამდენად სასარგებლოდ დარჩა ქართველ საზოგადოებისათვის გაზეთისაგან კეთილი გზების ჩვენება, თუ რა ნაყოფი მოიტანა ჩემმა ერთგულმა სამსახურმა და სხვ. ამის თქმა და გადაწყვეტა საზოგადოების საქმეა.

შეიძლება, რომ 14 წლის განმავლობაში ჩემს ხელში ბევრი რამ შესცოდა გაზეთმა, იქნება მრუდე გზაზედაც გარდაუხვია, იქნება ჯეროვანად ვერ შეასრულა ის, რაც უნდა შეესრულებინა, რაც იმის მოვალეობას შეადგენდა.

მაგრამ ორი რაიმეს თქმა კი თამამად შემიძლიან და ამის თქმას მე, თავდაბალ კაცს, კვებნად ვერაფერ ვერ ჩამომართმევს:

პირველი, რომ ერთგული ვიყავი იმ დიდი საქმის აღსრულებაში, რომელიც ვიკისრე და მეორე, რომ ბოროტ-განზრახვას, კერძო პიროვნულ რაიმე მიზანს, ჩემს სალიტერატურო მოღვაწეობაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი და ამ განზრახვით არასოდეს არ გადამიხვევია იმ გზიდან, რომელიც მე, ჩემის სინდისით და გაგებით, სწორ და ნამდვილ გზად მიმაჩნდა.

ეს არის ჩემი აღსარება. არაოდეს არ მიყვარდა ჩემს თავზე, ჩემს პიროვნებაზე ლაპარაკი, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ველაპარაკები და ვეთხოვები ჩემს მკითხველს, იძულებული შევიქნენი, ეს ორიოდ სიტყვა კერძოდ ჩემზედ, ჩემს პიროვნებაზედაც შეთქვა.

მაგრამ როდესაც გაზეთს „დროებაზედ“ არის ლაპარაკი, არ შეიძლება, არ მოიხსენიოს კაცმა ზოგიერთი სხვა პირობებიც, რომელთაც ჩემზე მომეტებული თუ არა, ნაკლები სამსახური, არ გაუწევიათ გაზეთისთვის, რომელთ უსასყიდლო, უანგარო შრომის წყალობით, გაზეთს და იმის რედაქციასაც სული ედგა. ამ თანამშრომლებში მე დავასახელებ აქ მხოლოდ უმთავრესთ: აკაკი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, რ. ერისთავი, იონა მეუნარგია და ბევრი სხვანი.

უამათოდ მე და ჩემს „დროებას“ ცხოვრება არ შეგვეძლო; მე ვიყავი ლალა ჩვენი ახალგაზრდა გაზეთის; ყოველთვის გაჭირვების დროს ესენი, ჩემ

გვერდით მდგომნი, მამხნევებდნენ, ხელს მიწვდიდნენ და ამ ნაირად ერთად, ძმურად ვასრულებდით ჩვენს სასიამოვნოს, თუმცა მძიმეს, ხშირად უმადურს და ათას გვარ დაბრკოლებით აღჭურვილ მოვალეობის.

ამათ, რომ ჩემგან მადლობა ეჭირებოდეს, დარწმუნებული რომ არ ვიყო, რომ ესენი მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესით მუშაობდნენ, — რასაკვირველია, აქ ამ გაზეთში, ჩემს უკანასკნელ სიტყვაში პირველად სიტყვა იქნებოდა ამათი გულთაძი მადლობის გადახდა, მაგრამ ვიცი, ამათთვის თავის ამხანაგისაგან მადლობა და სიყვარულის გამოცხადება არ არის საჭირო, — ამათი ხელმძღვანელი — საზოგადო სარგებლობის მოტანაა, და აქ კერძო პირის მადლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამათთვის ისიც კმარა, როდესაც ყოველის მხრით, ხედვენ და ყოველ ნაბიჯზე გრძნობენ, რომ ამათ შრომას, ამათ ლიტერატურულ მოღვაწეობას უნაყოფოდ არ ჩაუვლია ჩვენს საზოგადოებაში, იმათი შემწეობით ბევრი რიგიანი აზრი დათესა ჩვენმა გაზეთმა ჩვენს ხალხში და ეს დათესილი აზრები ერთ დროს თავის ნაყოფს მოუტანენ ჩვენს ქვეყანას...

დღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ იძულებული ვარ, გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევს, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს — თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილკაცობის ძალღონე, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე...

ერთი რამ მანუგეშებს: ისეთს სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი, რომელნიც, იმედია, ჩემზე უკედ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთესს პირობებსა და გარემოებაში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და მაშასადამე, უფრო გაუადვილებათ, იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა“.*)

*) „დროება“. 1883. № 85.

ამავე ნომერში, სერგეი მესხის საუკეთესო დამაზასიათებელია ალექსანდრე ყაზბეგის გამოსალმებითი სიტყვა:

„დაუვიწყართ სერგეი მესხო!

დღეს ისეთი დრო შეგვხვდა, როდესაც ერთად შრომის შემდეგ უნდა დავეშორდეთ ერთმანეთს და ამის გამო მე არ შემძლიან რამოდენიმე სიტყვა გამოსასალმებლად არ გითხრა.

კარგად მიგყვანდა გაზეთი თუ ავად ამაზე ლაპარაკი არც მინდა და არც დრო არის. მე ვიცი მხოლოდ, რომ თოთხმეტი წლის განმავლობაში შენ თავი არ მოგიბრია, არც შიმშილისა, არც წყურვილის წინ, შენთვის თავი ვერ მოუდრეკინებია გაჭირვებას და გმირულის მამაცობით გიბრძოლია ქართული სიტყვის გასაგრცვლებლად, ქართული სიტყვის ასალორწინებლად. მე მინახვიხარ ისეთ გაჭირვებაში, როდესაც გათოშილ თითებს ილხობდი პირის ორთქლით რომ გაგეგრძელებინა წერილი და მახსოვს, რომ იმავე დროს მთელი შენი აზრი მიპყრობილი ყოფილა გაზეთის ქალაქის ფულის შოვნისათვის; დავსწრებივარ იმ თავგანწირულებას, რომლითაც გაჭირვებასთან გიბრძოლია და გაშტერებული დავრჩენილვარ.

ამ შრომისა და გაჭირვებული ბრძოლის დროს, ყოფილან ისეთები, რომლებიც არამც თუ გვერდს მოგდგომიან, არამედ გასულან განხედ და გაზეთი საქვეყნოდ ულანძლიათ და მოშველები მავივრად ყოველის ღონისძიებით ცდილან, რომ ჩვენი ერთად-ერთი — ყოველდღიური გაზეთისათვის ლაფი გადაესხათ.

საპასუხო წერილში ივანე მაჩაბელი გვიხასიათებს, როგორც სერგეი მესხის დაფასებას, ისე მაშინდელი ქართული პრესის და კერძოდ თავის მომავალი მუშაობის ობიექტიურ პირობებს:

„როდესაც ყოველ დილით მოგერთმევით ხოლმე ახალ-ახალი / ფურცელი გაზეთისა, მგონი, არას დროს არ დაფიქრებულხართ და ~~ქრტიანობით~~ შეტყობა, რამდენი წვალემა და შრომა არის საჭირო ამ ~~ერაზმის~~ ~~ფურცელსა~~ გამოცემისათვის. თან ჩაის შეექცევით, თან ზარმაცად კითხულობთ „მოწინავე წერილებს, ახალ ამბებს, კორესპონდენციებს, ფელეტონს“ და ის კი არ იცით, რამდენი გრძელის წერილის გადაკითხვა დასჭირდა რედაქტორს რომ თითო-ორი-ლა რიგიანი კორესპონდენცია ამოერჩია, ან „ახალ ამბისათვის“ სამი სტრიქონი ამოეწერა. იყო თუ არა გუნებაზე, მაინც-და-მაინც ან მოწინავე წერილი უნდა შეეთხზა, ან ფელეტონი და ამასთანავე შიშში ყოფილიყო, რომელიმე კორესპონდენციამ „დიქამაციის პროცესი“ არ გამოიწვიოსო.

ნუ გკონიათ, რომ გაზეთის საქმე ყველგან ასე იყოს დაყენებული. ეს არის მხოლოდ ჩვენში, სადაც ხშირად გაზეთის შედგენა და კორექტურა ერთს კაცზედ არის მინდობილი, სადაც ბედშავ რედაქტორს ისეთი ბეგარა აწევს, რომ გლებ-კაცის ბეგარა ღმერთმა შეარცხვინოს. გლებ-კაცს ბეგარა წელიწადში ერთხელ-ორჯერ დაედება და რედაქტორს კი ყოველდღე. ეს ისეთი ბეგარაა, რომ ამირანის გულის პატრონიც კი ვერ აიტანდენ ამ ძიძვნას.

აი ეს უწყალო ბეგარა აწვა კისერზედ სერგეი მესხს, მთელის 14 წლის განმავლობაში 1869 წ-დან მოკიდებული, როდესაც მან მიიღო გაზეთი გბორგი წერეთლის ხელიდამ, დღევანდლამდე. ეს ის დრო იყო, როდესაც მრავალს მკითხველს ყოველი ქართული წიგნი „ცისკარი“ ეგონა, ფელეტონს მოწინავე წერილიდან ვერ არჩევდა და ხემოდამ მოკიდებული ქვემომდე ჩათვლით კითხულობდა, თუნდა კიდევ გაზეთს შუა წელში ხაზი ჰქონოდა გავლებული. და ამისთანა მკითხველთან უნდა ელაპარაკნა სერგეი მესხს მუდამ დღეს პოლიტიკაზე, მეცნიერებაზე, უნდა შეემუშავნა ენა, უნდა ებრძოლა ყოველგვარ ზნეობრივსა და მატერიალურს შეწუხებასთან.

დამეთანხმებით, რომ ამდენის ჯაფის ატანა ამდენს ხანს არ შეუძლიან თვით უძლიერეს ადამიანს და ვერ აიტანა სერგეი მესხის ჯანმრთელმა ორგანიზმმაც და დღეს სრულიად ღონე მიხდილი და ავადმყოფი ესალმება იგი თა-

ამ გაჭირვებაში იყავ, როდესაც მე გაგიცან და ჩავსთვალე ჩემს მოვალეობათ ჩემი ღონისამებრ მოგშველდობდი რითაც კი შემეძლო. დამეთანხმე, რომ ამდენი ხანის ერთად მშრომელნი გულგრილად ვერ გამოეხალმებიან, ვერ დაშორდებიან ერთმანეთს.

არ ვიცი შეგვხვდება კიდევ ერთად შრომა თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი რომ ჩემი გულიდან თავის დღეში არ აშოიხოცება დღევანდლამდის „დროების“ სულის ჩამდგმელის სახელი და მისი პატივისცემა შეძლებისამებრ დედაენის აღორძინების სამსახურისათვის.

ამხანაგო! საუკეთესო დრომდის, იმ დრომდის, როდესაც კიდევ ერთად შევედგებით საერთო გუთანს და შენს განცბრომაზედ ზრუნვას დაფიქრებული ისევ ზღვს მოჰკიდებ საერთო საქმეს“.

სიკვდილამდის შენი ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი).

(„დროება“ № 85).

ვის მკითხველებს. არ ვიცი, მკითხველო, შენ რასა გრძნობ, მაგრამ მე კი როდესაც ვკითხულობ მისუსტებულის თითებით ძლივს ძლივობით დაწერილს სიტყვებს:

„დღეს, ავადმყოფობის და უძლურების გამო, საუბედუროდ იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგვე საყვარელ გაზეთს და იმის მკითხველს, ტანში ქრუანტელი მირბენს, კალაქი ხელში და მკვარდება და მხოლოდ ეს სიტყვები მადგება ენაზედ:

გმადლობთ, წრფელის გულით გმადლობთ, საზოგადოების გულისთვის წამებულო, ქართულის ერთადერთის გაზეთის ერთგულო მოამაგვე...

რისთვის იჭირებდაო საქმეს, იჭნება სთქვას ზოგიერთმა რად შეალიაო სრული თავისი ყმაწვილკაცობა იმისთანა საქმეს, რომელიც, დასაჩუქრების მაგიერად, ულუკმაპუროდ ისტუმრებს მას. იმისთვის რომ იმან იცოდა, რა ძლიერებაც აქვს ყოველ დღე, საქართველოს ყოველს კუთხეში, მიგდებულს გაზეთს, იცოდა, რომ ეს საქმე საშვილიშვილო საქმეა და უამისოდ ვერ დამკვიდრდებოდა წარმატება, ვერ აღორძინდებოდა ის ძლიერი ქაჩრაკი კაცობრიობის ისტორიისა, რომელსაც საზოგადოების აზრს ეძახიან!

ჩვენ ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულს გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არა გვცალიან, ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულს გაზეთს დედინაცვლობას ვერ გაუწევთ და შეძლებისამებრ, ქირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ“...*)

ხოლო ორი თვის შემდეგ—როდესაც მაჩაბული ხდება რედაქტორი „დროებისა“, ის სწერს:

„დროებას“ ახალი სათაური აქვს, ახალი გამომცემელი და ახალი რედაქტორი ჰყავს. პირველი სრულიად მართალია, მეორე კი მართალია სანახევროდ. თითქმის ორი თვეა, რაც „დროება“ ახალის რედაქტორისა და გამომცემლის ხელშია. ბევრმა მკითხველმაც იცის რომ დღეს მხოლოდ ოფიციალურად შეიცვალა რედაქცია და ნამდვილად კი ორი თვეა, რაც ეს ცვლილება მოხდა. გარემოება ამ სახით ხელს გვიწყობს და თავიდან გვაცილებს ერთს უსიამოვნო მოვალეობას—გაზეთის პროგრამის გამოცხადებას.

მკითხველი ჩვენ ცოტათი მაინც გვიცნობს და ბევრს დაპირებას აღარ გამოვუდგებით, მეტადრე იმიტომ რომ ეხლანდელს დროში, დაპირება ხშირად ცრუვდება სხვადასხვა მოულოდნელის ან მოსალოდნელის გარემოების გამო.

ჩვენ ცოტას დავპირდებით და ვეცდებით ბევრი ავასრულოთ. ჩვენ დავპირდებით მკითხველს საზოგადოებას, რომ თანაგრძნობას აღმოუჩინთ ყოველსავე პატიოსანს, კარგს, სასარგებლო მოვლენას და ვდევნით უპატიოსნოს, ავს, უსარგებლოს.

საზოგადო ფრაზებიანო!—იტყვიან ბევრნი. ჩვენც ვიტყვით საზოგადო ფრაზებიანო, მაგრამ განა ქართულს გაზეთს საზოგადო ფრაზების თქმის მეტი შეუძლიან, როდესაც თავის პროგრამის გამოცხადებას აპირებს! მართალია ეს სიტ-

*) „დროება“ 1888 წ. № 85.

ყვებია, რომ შეიძლება კაატკოვის მიმართულებისთანა პუბლიცისტმაც ორივე ხელით მოაწეროს ქვეშ თავისი სახელი და განიმეოროს „ჩვენც თანავუგრძნობთ ყოველივე პატიოსანს, კარგს, სასარგებლო მოვლენას და ვლევნიტ უბატოსნო, ავს, უსარგებლოს.“ მაგრამ მკითხველი ცოტათი მაინც მიხვდება, თუ კი აღეგნა თვალი ჩვენს გაზეთს, რას ვეძახით პატიოსანსა და უბატოსნოს, კარგსა და ავსა, სასარგებლოს და უსარგებლოს—და თუ აქამდის არ მიხვდებით, ვეცდებით შემდეგში მაინც მივახვედროთ...“¹⁾

მაჩაბელი ხდება „დროების“ ხელმძღვანელი.

„ბინა სასახლის ქუჩაზე, დავით სარაჯიშვილის სახლში დაიქირავა—გვიამბობს ეკატერინე მესხისა,—რედაქცია კარგად მოაწყო. უნდოდა შეექმნა ევროპიული ტიპის გაზეთი. მას უნდოდა დიდი გაქანებით დაეწყო მუშაობა. ყოველ თანამშრომელს საკუთარი ოთახი და მაგიდა უნდა ჰქონოდა. გაზეთი უნდა ყოფილიყო განაწილებული განყოფილებებად.

მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი. (ა. ნ-ლი), სტეფანე ქრელაშვილი (სანო), იონა მეუნარგია, აკაკი წერეთელი, რაფიელ ერისთავი, სანდრო ყაზბეგი და დავით კეზელი.

სანდრო ყაზბეგს ბინაც რედაქციაში ჰქონდა და ჩვეულებრივ რედაქტორის მაგიდის ერთ კუთხეში იჯდა და თავაულებლივ თავის მორიგ ფელეტონებს სწერდა...“

ხოლო კეზელი კი, რომელიც იყო ინტრიგანი და ბოლოს სამწუხარო რეპუტაციაც დაიმსახურა, მუდმივ თანამშრომლად იყო მიწვეული „დროებაში“.

კეზელი მუდამ კერძო პიროვნებათა შესახებ სწერდა, რაც გაზეთს არა სასურველ გავლენას აძლევდა.


„ჯერ გაზეთში სერგეის სახელი კიდევ ამოშლილი არ იყო, რომ კეზელმძველი რედაქტორის კრიტიკას მიჰყო ხელი. როცა მის მასლაათებს სერგეი წაიკითხავდა, თუმცა თავის სატკივარი ძალიან აწუხებდა, ცრემლიანი იტყოდა: „ასეთ გესლიან კაცს რათ ჩაუგდო გაზეთი ხელშიო, მაგრამ მაინც იმედი ჰქონდა, რომ მაჩაბელი შეამჩნევს გაზეთის ნაკლს, თვითონ ჩადგება სათავეში და ამ მწიკვლს მოაშორებსო. სერგეი ამ იმედით გარდიცვალა იმავე ხანებში, 20-ს მკათათვეს“...

ეკ. მესხის საყვედური ეკუთვნის იმ დროს, როცა დროების ნომინალური რედაქტორი ჯერ ისევ სერგეი მესხი იყო. დავით კეზელს, რომელიც არ უყვარდა ქართულ საზოგადოებას, არ ჰქონდა შესაფერი კონტროლი, რადგან „დროების“ ძველი და ენერგიული თანამშრომლები, როგორც: სტეფანე ქრელაშვილი და ალექსანდრე ნანეიშვილი ციხეში იხდნენ, ხოლო მაჩაბელს სწორედ ამ დროს, საბანკო ოპერაციების გამო ხშირად უხდებოდა სიარული პროვინციაში. ეს იყო მიზეზი, რომ მცირე ხნით, გაზეთის ხელმძღვანელობას დავით კეზელი ეწეოდა.

„დროების“ ერთ ერთი მაშინდელი თანამშრომელი დავით მესხი ასე ახასიათებს მაჩაბლის სარედაქციო მუშაობას: „ვანო მაჩაბელთან მე თითქმის ერთს

¹⁾ „დროება“ № 122. 1883 წ.

წელიწადს ვმუშაობდი, როცა იგი „დროებას“ ხელმძღვანელობდა და არც მანამდის და არც მის შემდეგ არ მინახავს ვანოს დამადარი სიმარჯვე და სწრაფი გაზეთის მუშა.

ვანოს იმ დროს, გარდა გაზეთის ხელმძღვანელობისა, სხვა საქმეც ბევრი ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს ბეჯითად უძღვებოდა, ასწრებდა... 

ხშირად მახსოვს, ვეტყობოდი:—ვანო, დღეს მეთაური წერილს გვაქვს! სულ ათიოდ წამში მზათ იყო მეთაური და ისეთი მახვილი, ენის მხრივაც მართალი, საბუთიანი! ¹⁾

— მაჩაბლის გაშორება „ივერიას“, რასაკვირველია, უნდა დასტყობოდა — ამბობს ნოე ჟორდანიას — ის ახლა დარჩა თ. ი. ჭავჭავაძის ამარა და ჩქარა გაქირებაშიც ჩავარდა. 1883 წ. „შინაური მიმოხილვა“ არის სულ სამ ნომერში, ერთი თეატრის შესახებ, ხოლო დანარჩენი ორი თავდაზნაურობისა და სათავადაზნაურო სკოლის შესახებ. აქაც, რასაკვირველია, ისეთივე ქადაგება, როგორიც წინეთ იყო.

1885 წ. „ივერია“ სულ მთლათ ერთიანად უძღურდება, მთელ წელიწადს ჟურნალში მოთავსებულია მხოლოდ ორი „შინაური მიმოხილვა“ და ესენიც იმაზე, რომ „შინაური მიმოხილვა“ არა გვაქვს, „ივერია“ ხელში არ აიღება და სხ. (№ 6, 9), ე. ი. თავის თავის მიმოხილვა.

ეს არის თავის თავის კრიტიკა, სწორეთ ისეთი, როგორიც ერთხელ თ. ი. ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეს“ გაუკეთა და კიდევაც დახურა. „ივერიის“ აღსასრულმაც მოაღწია, ის დაწვრილდა, დასუსტდა.

რა დიდი ენერჯია უნდა დაეხარჯა მაჩაბელს, რომ ეს ერთად ერთი ქართული გაზეთი რამოდენიმედ მაინც ევროპიული იერისა ყოფილიყო. რამდენი შრომა იყო საჭირო, რომ მაშინდელი ქართველი პუბლიცისტი გასძლიოდა საზოგადოებას ყოვლად ელემენტარულის კითხვების გადაჭრაში.

თუ რა პირობებში იყო მაჩაბელი რედაქტორი, მაჩაბელი ჟურნალისტი, ამის საილიუსტრაციოდ მომყავს წერილი მისი ძმის ვასილ მაჩაბელის:

...„ზე მინდა ორიოდ სიტყვა გითხრა შენს სტატიებზედ, რომელთაც ამ უკანასკნელს დროს ძალიან დამაფიქრეს და გეტყვი გულწრფელად, საშინლად დამალონეს და შემაწუხეს.

შენ რომ თავდაპირველად გაზეთში მონაწილეობა მიიღე დიდათ გამეხარდა. ასე მეგონა, ვანო კარგათ იცხოვს თავის მკითხველებს მეთქი, ესმის ჩვენი

1) ეკატ. მესხი იკონებს: „ერთხელ მაჩაბელმა შემოიჩიელა: გაზეთის იმდენი წერილმანი საქმეები აქვს რომ ლამის თორმეტ საათამდის ვერ ვიცლიო. მე როცა ვკითხე თანამშრომლების შესახებ, მიპასუხა:

—„აბა სად არიან ეს თანამშრომლები, ვისაც წერა შეუძლია თავის კერძო საქმეებს აქეთებს, ზოგიც სამსახურშია და საღამოობით თუ შემოდინს საღაებოთ...“

ხალხის და მამულის ნაკლულეევანება საჭიროება და გულისწუხილი მეთქი. გარდა ამისა, ვამბობდი, გაზეთის დანიშნულებაც კარგათ ესმის მეთქი.

მაშასადამე, ეცდება გაავრცელოს ხალხში თავის სუბსტიტუტური სტატიებით ზოგიერთი საჭირო სწავლა, რომელსაც ისინი ადვილათ მიხვდებიან და რომლითაც იმათ შეეძლებათ გააუმჯობესონ თავის ყოფა-ცხოვრება მეთქი.

მე იმედი მქონდა რომ შენ სპეციალურ ცოდნიდან [ბევრი] ჩემსთან საგანს იპოვიდი, რომელსაც დროების მკითხველი ხალხი ადვილათ მიხვდებოდა, შეითვისებდა და სასარგებლოდ გამოიყენებდა ცხოვრებაში.

როგორც მახსოვს პირველ შენს სამეცნიერო სტატიას გვპირდებოდი. ამას უქადდი. რა გამოვიდა ესლა? ის გამოვიდა რომ არც ერთი (დროების მკითხველი) უსწავლელი ქართველი ამას იქით შენ სტატიებს აღარ წაიკითხამს და თუ წაიკითხამს ბევრსაც შემოგიკუთხებს. შენ, როგორც ვატყობ, სულ ვერიცნობ ჩვენ ხალხსა, რომ იცნობდე, არაოდეს გაზეთის ფელეტონში გეოლოგიურ სტატიებს არ დასწერდი და არ დაიწყებდი ეოცენის, მიოცენის და პლიოცენის კეცებზედ ლაპარაკს.

პირველი ესა, რომ ამგვარ სტატიებს ჩვენი ხალხი ვერ გაიგებს და ამას გარდა, ბევრ მტერსაც შეიძენ. შეიძენ იმისათვის, რომ, რაც ხალხს ძველადვე სწამს, სისხლში და ხორცში აქვს გამჯდარი, ერთის ფელეტონით გინდა ეს დაურღვიო ან რა საჭიროება გაქვს, რომ ჯერ-ჯერობით ამ საგნებზედ ელაპარაკო და მოუსპო მათ სარწმუნოება. ვთქვათ დაგიჯერეს კიდევ, რაში გამოიყენებ ამ ქეშმარიტებას? არაფერში. მერწმუნე ამ გვარ სტატიებით უფრო ავნებ, ვიდრე ასარგებლებ ხალხსა. **სარწმუნოებაზედ ჯერ საშიშია ხალხთან ლაპარაკი.**

თავდაპირველად მას ესაჭიროებოდა პირველდაწყებითი სწავლა, თავის თავის და ოჯახის მოვლა, სისუფთავე, გიგიენა, მეურნეობა, ერთი სიტყვით, იმის გონებითი და ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესება და რაკი ამ წერტილამდის მიახწევს, მაშინ შეიძლება ამ საგნებზედაც ლაპარაკი და თითონ მიგიხედება ამას. მაგრამ ვიდრე ამ საგნამდის მივალთ, ჯერ ბევრი გზა გვაქვს გასავლელი, ბევრი ქირი და ვაგლახი მოგველის ამ გზაზედ. **უნდა ყოველი ჩვენთაგანი ცდილობდეს ამ გზაზედ ფთხილად იაროს და ატაროს ხალხი, თორემ რაკი გზას გადაუხვევს იმის საქმე წასულია.**

მეორე მიზანი მაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ჩვენი სტატიებით ხალხი არ ავალეღვოთ, კითხვას შევაჩვიოთ, ერთი ერთმანეთში ერთობა და სიყვარული ჩამოვაგდოთ, ნდობა მოვიპოვოთ და რაც გრძნობა გვაქვს ხალხის ბედნიერებას შევსწიროთ.

მხოლოდ ამ პროგრამით შეიძლება სარგებლობის მოტანა. ბევრი ისეთი ქეშმარიტებაა, ჩემო ვანო, რომ ჯერ-ჯერობით იმათ გამოცხადება. დიდ მავნებლობას მოუტანს ხალხს. საქმეც ის არის, მწერალმა და პუბლიცისტმა იცოდეს ვისთან როდის რა თქვას.

ერთი სიტყვით, თუ შენ სტატიებს ხასიათი არ გამოეცვალათ, ტყუილი შრომა იქნება“.¹⁾

აი თვით ეს მკითხველი საზოგადოება დახასიათებულია მაჩაბლის მიერ. რასაკვირველია, პუბლიცისტს, როგორც შეიქმნა თავის საუკუნის და თავისი წრის, არ ქონდა უფლება ამ ელემენტარობიდან გასვლისა და მხოლოდ უნდა ჩაქედნილი ყოფილიყო კორესპონდენციების ფარგლებში.

ამ „ლოკოკინის“ ცხოვრებას ისე იყო შეჩვეული გაზეთი, მისი მკითხველიც, რომ, როცა მაჩაბელი თავის „დროების“ პირველთაგანს ნომერში სცდილობს მკითხველს საგარეო ინფორმაციაზე ესაუბროს, ეს თითონაც ეუცხოვება და მკითხველისაგან წინასწარ შეშინებული ამბობს:

„მკითხველი იქნება გამოჯვარდეს, რა მოხდა, რომ პირველშივე პოლიტიკას მივარდი, ხად „დროება“ და ხად პოლიტიკაო. დიად, მეც დარწმუნებული ვარ, რომ „დროება“ და პოლიტიკა როგორღაც ვერა ხერხდებიან ერთმანეთთან; ისიც ვიცი რომ პოლიტიკას იმისთანა გაზეთებში აქვს მნიშვნელობა, რომელსაც სახელმწიფო კაცები კითხულობენ.

განა არ ვიცი, ჩემს ნაწერს არც ბისმარკი წაიკითხავს, არც გლადსტონი, არც ჩინეთის იმპერატორი, მაგრამ იქნება დუშეთში კობიაშვილმა წაიკითხოს, გორში ცალქალამიძემ, სამეგრელოში ხუნჭკარიამ და როგორც კობიაშვილს, ისე ცალქალამიძეს, ისე ხუნჭკარიას ნება აქვთ შეიტყონ ყოველიფერი რაც დედამიწის ზურგზედა ხდება...“²⁾

1) „ჩვენი გაზეთის ახალი რედაქცია ბევრს არ ეპიტნავენა. ზოგი იძახის, რომ გაზეთმა ერთობ ფეხი აიდგა და თითქმის არც ერთს დღეს არ ისვენებს, მუდამ მოგვდისო, ასე რომ თითქმის ძალაუნებურად კითხვას მიგვაჩვიო. ზოგი იმდურება, რომ სულ რაღაც ნაირ სატებს საგნებზედ სწერენ და ლაჟღანდარობა თითქმის გააძევეს თავიანთ ფურცლებიდანაო.

„ერთს უნდა, რომ ჩვენი გაზეთი დღეში ორჯერ იბეჭდებოდეს: ერთი ხელობა დილით და ერთი საღამო ხანობით. მეორე გულზე სკდება, რომ გაზეთს პირში სული უდგა და გაჩუმებას სრულებით არ აპირებს!.. არა თუ გაჩუმებას, უფრო ენის ამოდგმისაკენ მიილტვის, შესამეცხვირს იმტვრევს, რომ ჩვენ გაზეთში არ არის ხოლმე მსჯელობა მაღალს პოლიტიკურსა და სოციალურს ვითარებაზე, არ არის ბაასი სხვადასხვა ერთოვან თეორიებზე.

„მეორე გვემდურება, რომ ჩვენ გაზეთს ვერ ამოუღია ხმა ჩვენი წინაგანი ცხოვრების უმძაფრესს კითხვებზე. მეხუთეს ველარა გაუწყვიარა ტყავიდან ძვრება, რომ მოგვიგონოს რამე ცილისწამება. მეექვსე? ეჰ, ვინ ჩამოსთვლის რასა და რას თხოულობენ ჩვენგან ათასი ჯურის მკითხველები!

„იმის მეტი არა გვეთქმის რა ამ საყვედურებზე, რომ ყველანი მართალნი არიან შესახებ ჩვენი გაზეთისა, იქამდის მართალნი, რომ თითონა ვგრძნობთ, რა აკლია ჩვენს გაზეთს, ვიცით როგორც ეშველება ამ ნაკლულევანებას; მაგრამ მასთან ბევრი ისეთი რამეც ვიცით, რომელიც ჩვენში მხოლოდ კალმის წვერს მოადგება ხოლმე და არც თუ დაბეჭდება, არამედ დაწერიტაკი არ დაიწერება.

„ერთს კი ვერ ვიყაბულებთ. რაც გინდა სუსტნი ვიყვნეთ, რაც გინდა გვქონდეს—გაკეთილი, მაინც მოვახერხებთ, რომ ცილისწამება ღირსეულად დავაჯილდოვოთ, თუნდაც ეს ცილისწამება იყოს საგანგებოდ ზრდილობიანი, თავაზიანი, კეკლუცი, ლამაზი...“ „დროება“ 1884 წ. № 67.

1) „დროება“, 1883 წ. № 121.

საერთოდ, ქართული პრესის და მწერლობის მდგომარეობას უფრო ტრადიკულად გვიხატავს გაზეთი:

„კარგად ვიცით, თუ რამდენათ არის გავრცელებული, ჩვენში ჟურნალ-გაზეთობა, თუ რამდენად მოქმედობს იგი მკითხველ საზოგადოებაზე, ამ შემთხვევაში საქვეყნოდ ვალვიაროთ ის ქვეშაობა, რომ შემოხსენებულ კითხვებზე შესაძლოა მიეცეს არა სასიამოვნო პასუხი.“

როცა მწერლობაში ამ გარემოებაზე ასტყდება ლაპარაკი, მაშინვე შეუდგებიან მის არსებობის მიზეზის გამოკვლევას და ბრალს სდებენ თან მწერლობას და თან მკითხველ საზოგადოებას. ლაღადებენ, რომ მწერლობა ვერ მიმხვდარა საზოგადოების ვარამსა და ინტერესებსაო. ამ მოსაზრებას დასძინებენ, რომ მკითხველი საზოგადოება ერთობ მცირე რიცხვიდან შესდგებაო და ისიც ვერ წარმოადგენს კარგად შემუშავებულს ნიადავს სხვა და სხვა განმანათლებელ აზრების დანერგვისათვის შეთვისებისათვის, რომ მკითხველთა წრე წარმოადგენს იმისთანა გვამთა ხროვას, რომელნიც ცხადად განსხვავდებიან ერთი ერთმანეთისაგან გონებითი განვითარებით, მიმართულებით და ლიტერატურული გემოვნებით;

ეს გარემოება გვიძნელებს, გვეუბნებიან მოღვაწენი, საქმესო და არ ვიცით ვინ არის ჩვენში „მკითხველი“. ამასთანავე მკითხველ საზოგადოების ზოგიერთა ნაწილს სდებენ ბრალათ გულგრილობას და თან სიმძულვარეს მწერლობისადმი.

გულწრფელად უნდა ვალიაროთ, რომ ჩემი მოყვანილი მოსაზრებანი უსაფუძვლონი არ არიან ე. ი. ორივე მხარე, მწერლობა და მკითხველი ერთმანერთს ვერას დააყვედრებენ: დამნაშავენი არიან ორივე ერთმანეთის წინაშე და ამ ორივეს დამნაშაობის მიზეზი არის ჩვენი ქვეყნის საზოგადო მდგომარეობა, რომელსაც, ვითარცა უმთავრესსა მიზეზსა ჩვენი მწერლობის მდგომარეობისა, მოსდევს სხვა და სხვა წვრილმანი მიზეზები, რომლებიც კიდევ უფრო აძნელებენ საქმეს და უშლიან მწერლობას ფეხის ადგმას.

აი, ამ გვარად საზოგადო მიზეზიდან წარმოშობილი მიზეზი სხვათა შორის მწერლობის უფერულობა და სისუსტე, რომლებიც აუცილებლად შეაფერხებენ მის გავრცელებას და გაძლიერებას.

რაში უნდა გამოიხატებოდეს ჩვენი მწერლობის უფერულობა და როგორ მოქმედობს იგი თვით მწერლობაზე მისივე მოღვაწეთურთ და მკითხველ საზოგადოებაზე?

ვისაც თვალყური უდევნებია ჩვენი მწერლობისთვის, ის უეჭველად შენიშნავდა იმ მოვლენას, რომ ჩვენი მწერლობის კითხვები და ის საგნები, რომლებსაც იგი შეეხება, მოქცეულია ვიწრო წრეში, რომლის გაფართოება და რომლიდგან გადმოიხილება სწორედ მოუხერხებელი საქმეა.

ჩვენს მწერლობას ნიშანში ამოულია რამდენიმე კითხვა და ყოველ მხრიდან მას უვლის და წლიდგან წლამდე მათზე მუშაობს.

მაგალითად, ოცი წელიწადია, რაც ვამტკიცებთ, რომ სამშობლო ენას უნდა მიეცეს ხალხის ცხოვრებაში ჯეროვანი ადგილი, რომ ნამდვილი განათლება მოუხერხებელია გარეშე დედა ენის შესწავლისა და სხვ. ეს ქვეშაობა და

სხვა მის მზგავსი ათასნაირად გადაგვიბრუნ-გადმოგვიბრუნებია, ძველი ნათქვამი მოდენჯერმე ვაგვიმეორებია, ახალის თქმა თუ შესაძლებელი იყო, ისეც არ დაგვიკლია. თავიდანდვე შევდგომივართ საქმეს და ნავ კითხვას ვერა გიწყობ რა.

მკითხველებს ყური გამოვუყრუეთ და თავი მოვაბეზრეთ, ჩვენც ენა ვავიცვით, გონება დავიჩლუნგეთ და მაინც ვერას გავხდით რესპუბლიკურ საგანზე სჯა რომ აღძრათ სხვა რომელიმე მწერლობაში, სიცილს დაგაყრუებდა სამარედან ამომძვრალად ჩავთვლიან.

ეს გარემოება გვიმტკიცებს იმას, რომ ელემენტარული კითხვები, რომლებზედაც დამყარებულია ყოველი საზოგადოების ცხოვრება, ჩვენ გარდაგვიწყვეტია ჯერჯერობით ჩვენს გონებაში, თეორიაში, მაგრამ ცხოვრებაში კი ვერ გაგვითარებია იგინი, ვერ გაგვიხორციელებია ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო.

ამის გამო ჩვენ ზნეობითი უფლება არა გვაქვს იმ „ელემენტარულ კითხვებზე“ სჯა მოვსპოთ.

ქვეყნის ყოველ მოთხოვნილებაზე სჯა მხოლოდ მაშინ დაბოლოვდება, როცა იგი დაკმაყოფილებული იქნება; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოვალენი ვართ ერთ და იმავე საგანზე ყოველწამს ვილაპარაკოთ და მხოლოდ მაშინ შევსწყვიტოთ ლაპარაკი ამოჩემებულს საგანზე, როცა ჩვენს წადილს მივადწევთ. რასაკვირველია, ამ გვარი სიზიჯის მუშაობა ჩვენ აგვცილდებოდა, თუ რომ ჩვენი ცხოვრება იმისთანა ვიწრო კალაპოტში არ იყოს მოქცეული, რომელიც უსპობს მას ყოველს საშუალებას წარმატებისათვის.

როგორც უკვე ვსთქვით, ერთ და იმავე საგანზე სჯა წლიდგან წლამდე სწორედ მოსაწყენია მკითხველი საზოგადოებისათვის; მაშასადამე, მისი გონება ჯეროვანად ვერ მუშაობს და უძლურდება.

არც მწერლის საქმეა უკეთეს მდგომარეობაში: ერთ და იმავე წრეში ტრიალი უსპობს მის გონებას ძალას, უქრობს მხურვალე გრძნობას და უკარგავს ხალისს თავის საქმისადმი.

სწორედ საზარელია მწერლობის მოღვაწეთა ამ გვარი მდგომარეობა, როცა აზრი მოკლებულია მოძრაობას.

აბა, როგორი უნდა იყოს მწერლობის მდგომარეობა მაშინ, როცა გონებას დასწოლია ტყვიასავით საზოგადო ატმოსფერის ბურუსი...“

აი ამ ატმოსფერამ გაყინა აზრი, ამ უფერულობამ შეაჩერა მწერლობა, და ეს იყო მიზეზი, რომ ნიკო ნიკოლაძემ, ივანე მაჩაბელმა და ილია ჭავჭავაძემ თავისი ჭკუის ფერმენტი ამ ელემენტარული კითხვების გარკვევას დაახარჯეს...

* * *

რა პროგრამა ჰქონდა მაჩაბელის „დროებას“, რანაირად აყენებდა საზოგადოებრივსა და ეკონომიურს კითხვებს, როგორი იყო მისი პოლიტიკური იდეალი,—ეს ცალკე საგანია და როლი ცალკე ბიოგრაფიული მასალების შემკრფისა, გვაიძულებს რამოდენიმედ გვერდი ავუქციოთ.

გაზეთი „დროება“ ჯერ კიდევ გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის ხელში იყო პროგრესიული, დემოკრატიული მიმართულებისა და პრინციპების ორგანო¹⁾.

გარეშე ეროვნული პროგრამისა (უმთავრესად იგი განამტკიცებდა „ეროვნულ ვინაობას“, — „დროებას“ დიდი ნამუშევარი აქვს სოციალურ-ეკონომიური კითხვების დამუშავებასა და განმარტებაში.

სიზღვიანობა

1) რომ „დროება“ არ იყო გამომხატველი კონსერვატიული თავადაზნაურული იდეოლოგიის, ამის შესახებ ხშირად ლაპარაკობს თვითონ გაზეთი, ხოლო დიპიტრი ყიფიანი კი პირდაპირ მიმართავს:

„თქვენ იგაზეთი რომ მიმაჩნდეს ამ (ე. ი. თავადაზნაურობის) საზოგადოების წარმომადგენელად, თქვენ მოგმართავენ დითო.“ (იხ. „დროება“ № 124) ბრძოლა თავადაზნაურობისა და „დროების“ შორის გარკვეულ ხასიათს იღებდა:

...„ამას წინეთ „დროებაში“ — სწერს გაზეთი, — ერთი უეზდიდამ ერთი კორესპონდენცია იყო დაბეჭდილი, რომელშიაც ჩვენი კორესპონდენტი ამბობდა, რომ აქაური ნაბატონარები ავიწროებენ გლეხებს.

ამ ამბის გამომჟღავნებამ ისე ააღელვა თურმე ზოგიერთი ადგილობრივი მამულის პატრონები, რომ ერთს თუ ორს იმათგანს წინადადება მიეცა სხვებისათვის, ყოველი ლონისძიება ვიხმაროთ, რომ გაზეთი მოისპოსო.“ იხ. „დროება“ 1871 წ. № 20.

ასეთ შემთხვევას ხშირად აუძულებია „დროება“ ხმა მალლა გაემეორებინა: „გაზეთს ყოველთვის აქვს უფლება და არა თუ უფლება — მოვალეობაც, შეეხოს კერძო ცხოვრებას იმ პირისას, რომელიც საზოგადო ასპარეზზე გამოდის, რომელსაც რაიმე საზოგადო მნიშვნელობის მქონებელი თანამდებობა ან საქმე უკისრია...“ „დროება“ 1875 წ. № 34.

„დროებას“ მტკიცედ სწამდა „რომ გლეხობის, მუშა ხალხის მდგომარეობაზე, მთელი ხალხის კეთილდღეობაა დამოკიდებული.“ 1875 წ. № 12.

„დროება“ მკაცრად ილაშქრებს ძველი ცხოვრების წინააღმდეგ:

— „იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა კანს იცვლის და როცა ჩვენ საკუთარ ცხოვრებაში ისეთი შესანიშნავი ცვლილებები ხდება, რომლის მზგავსი საქართველოს არ უნახავს რა, ჩვენი საზოგადოება უწინდებურათ, უდარდელათ, უთავბოლოთ ცხოვრობს და თავის თავიდან ყოველფიქრს და აზრს გამწარებულათ სდევნის.

იმ დროს, როცა ეს საზოგადოება ფხიზლათ სხვა ხალხების ცხოვრებას და ხასიათს უნდა აკვირდებოდეს და თავისი საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას სცდილობდეს, ის მამაპაპეულათ ხერხინავს...“

— „ჩვენდა სამწუხაროდ არიან კიდევ იმისთანა პირები, რომელთაც ყველა სწორეთ ნათქვამი ამბავი ქართველზე და საქართველოზე გინებათ მიაჩნიათ და ჰგონიათ ვითომც ჩვენ ქართველები არ გვიყვარს და ამიტომაც მივაწერო ხოლმე იმათ ყოველ ცუდ თვისებებს.“ „დროება“ 1867 წ. № 35.

— „ცხადია ყველასათვის, რომ დრო იცვლება. ბევრი რამ, რაც ჩვენი მამაპაპისათვის იყო საკირო ებლა მათის შთამამავლობისათვის გამოსადეგი აღარ არის. ეს არის ბუნებითი კანონი კაცობრიობისა და ამ კანონებს ვერ წაუღვა ვერც ერთი ხალხი, რომელზედაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ სცხოვრობს.

— ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტოვოთ უვარგისი ჩვენს ცხოვრებაში რაც კი გვიშლის, რომ ნამდვილ განათლების გზას დავადგეთ და დაუახლოვდეთ იმ ხალხს, რომელიც ჩვენზე წინ არის და ვისგანაც გვმარტებს მივიღოთ ბევრი სწავლა...“ 1867. № 34.

მისი თვისებები იყო: კრიტიკა, პირდაპირობა. ამიტომაც მან თავისი ოცი წლის არსებობაში რეალური ნიადაგი მოიპოვა.

მაჩაბლის ხელში, დროების პროგრესიული მიმართულება, მისი დემოკრატიული პრინციპები უფრო ჩამოყალიბდა.

მან სრულიად გაამართლა სერგეი მესხის იმედები და, როგორც „ლანცეტი“
ქართულ კონსერვატიული ცხოვრების წინააღმდეგ ხელიდან გაუშვა.

— „სერგეი მესხს, შეეძლო თავი ენუგეშებინა იმით, რომ ღირსეული შემკვიდრე იპოვა—ამბობს ნოე ჟორდანიას. ეს იყო ივანე მაჩაბელი. მისი ჟურნალისტური ნიჭი, რომელიც ასე ჩაკლული იყო „ივერიის“ ბორკილებში, ახლა ამ თავისუფლებაში გაიფურჩქნა და ქვეყანას გამოეცხადა.

„დროება“ მის ხელში ხდება იმათ, რაც ის იყო 4—5 წლის წინეთ, ე. ი. პირდაპირ და პირუთვნელ ორგანოთ. ყველა მაშინდელმა ახალგაზდებმა („იმედის“ ჯგუფი), რომელთაც ასე სდევნიდა „ივერია“, აქ მოიყარეს თავი. მაჩაბელი, ბანკში მოსამსახურე და, მაშასადამე, ილია ჭავჭავაძის ხელქვეითი, სრულებით არ დრკება და „ივერიასთან“ ბრძოლას არ უფრთხის.

მის გაზეთს არ ატყვია, რედაქტორი ბანკირი. ის ერთნაირი გაბედულობით ექცევა ყოველივეს, ბანკი არის ეს თუ სხვა რამე. ერთი სიტყვით, ივ. მაჩაბელმა მოკლე დროში („დროება“ დაიბეჭდა 1885 წ.) თავისთავი გაგვაცნო. ნამდვილ ენერგიულ ჟურნალისტათ. ის სწორეთ რედაქტორად ყოფილა დაბადებული და სულ სხვა რამეს კი შეაღია, თუ შეაღევიეს, მთელი თავისი სიცოცხლე.¹⁾

* * *

„დროების“ ჯგუფი ანუ „ახალი რაზმი“, როგორც უძახდა ილია, უკვე აშკარად ამხილებდა უკანასკნელის რეტროგრადობასა, ფაქტებიდან ჩამორჩენილობაში.

„...ჯერ ძმობა განახორციელეთ ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ გვიქადაგეთ, სხვადასხვა მიმართულებას თავი დავანებოთ და ერთს უღელში შევებათ. ნუ დაივიწყებთ თქვენ, ღირსეულნო და ბრწყინვალე გვამნო, რომ შრომის მონას, რომელიც მუდამ ოფლს ღვრის და გულის კვესით ამბობს: ერთს ბედს ქვეშა, ვართ ლაბავ, მე და შენ, წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ“—**მამულიშვილობის გარდა სხვა ბევრი რამ ხადარდელი და სანატრელი აქვს.**

თუ ეს ასეა, მაშ საერთო ჭაპანიც საჭიროა? განა ეს არ გესმით? საერთო ჭაპანი, რომელზედაც მიგვითითებენ ჩვენი ვაებატონები—არის მამული, სამშობლო. მართლა და რა მაღალ კეთილშობილური საგანია. მამულიშვილობა ყოფილა და საუკუნოდ იქნება საღმრთო მოვალეობა, განურჩევლად ყველა ხალხისა და კაცისა. ყოველთვის და ყველა ამ მოვლენას აღიარებდა...

მაგრამ მამულიშვილობას წინ და უკან უნდა მისდევდეს აწინდელი ევროპის პროგრესიული პროგრამის შესრულება.

რაში მდგომარეობს ეს პროგრამა, მკითხველმა თვითონ უნდა იცოდეს. ჩვენ

1) ნოე ჟორდანიას. „ქართული პრესა“. გვ. 47.

მხოლოდ აქ ამას ვიტყვით, რომ მარტო მამულისშვილობა არ მიანიჭებს ჩვენს ხალხს კეთილდღეობას.

თვით ხალხი, მისი უმრავლესობა მაშინ მისცემს ბანს ჩვენი მამულისშვილების სიმღერას, როდესაც ეს უკანასკნელი თავის ვიწრო გეგმას შემოქმედებისას გააფართოებენ, დიდს წრეს შემოუხაზავენ თავიანთ დაქარაღვინებულ ხალხს გულში დაუნერგავენ ახალ იდეალებს.

უამისოდ მამულისშვილობა თავის მიმზიდველ ძალას დაჰკარგავს და მარტო ერთი მუჭა მწერლების საკუთრებად გადაიქცევა.

სულ სხვა შედეგი ექნება, თუ კი ჭეშმარიტად და პირუთვნელად შეისწავლეს ჩვენი ხალხის საჭიროებანი, თუ კი შეიგნებენ როგორი მერმისი და მომავალი უნდა წინ წაუძღვეს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ამაზედ სრულიადაც არ ფიქრობენ, ან თუ ფიქრობენ, ისე ცოტას, რომ სათქმელადაც არა ღირს...¹⁾

უნდა აღინიშნოს რომ „ახალ რაზმს“ არ ყავდა მომზადებული ხალხი გარდა ი. მ. რასაკვირველია უძღვური უნდა ყოფილიყო ჟურნალისტის დავით კეზელის (დავით სოსლანი) დისკუსიები ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რომელიც ყოველთვის ანადგურებდა თავის მოპირდაპირეებს.

ჭავჭავაძე ბეჭდავს ორს ცხარე ფელეტონს „ივერიაში“ სათაურით: „მითამ ახალი რაზმი“, კერძოდ იგი მიმართულია დ. სოსლანის „კისრულის“ წინააღმდეგ. მაგრამ იმავე დროს ეს არის ნართაული პოლემიკა „ახალთაობასთან“, რომელსაც ხელმძღვანელობს მაჩაბელი.

გაცხარებული ილია, რომელიც ახალი მოდგმა ადგილის დაცლას სთხოვს, ძირშივე უარყოფს მის არსებობას და მეტად ირონიულად სწერს:

„ახალი თაობა სხვა არის, სხვა ნუგეშია, სხვა იშეღია. ყველა ჩხავანა ახალთაობა არ არის. ახალი თაობა გონიერებაა, ახალი თაობა პატიოსნებაა, ახალი თაობა მეცნიერებაა. ახალი თაობა საქმეა და არა ჩხავილი. ვისაც ყოველივე ეს ცოტად თუ ბევრად არა სჭირს, შორს მანძილს ვერ გაიღებენს მარტო იმითი, რომ ბაღლები ატყუოს,—ახალი თაობის კაცი ვარო.

ვინც ეგრე გულმოდგინედ ყვირის ახალი კაცი ვარო, რატომ არ ვკითხულობთ, რით არის ახალი?

ნუ თუ მარტო იმითი, რომ სხვაზედ გვიან მოვიდა? რატომ არა ვკითხულობთ რა მოიტანა ახალი? აბა ჩაუდექით ყოველ მყვირალს, ახალთაობის კაცი ვარო, გაუსინჯეთ სიტყვა და მოქმედება, იკითხეთ იმ სიტყვაში და მოქმედებაში ახალი რა არის და მაშინ ნახავთ, რომ იგი ახალი თაობის ბერეკაა და არა ახალი თაობის კაცი.

თვითონაც რომ ჰკითხოთ, აბა ახალო კაცო, ახალი რა მოიტანეო, დამიჯერეთ, ოფლში გასწურავთ მაგ კითხვით და ძნელს საქმეს დააყენებთ. ახალი კაცი ძლიერია თავისი აზრით, მსჯელობით, ცოდნით, იგი თავმოსაწონებელს სახელს ახალის კაცისას მართლა და ახალის აზრით, მსჯელობით და ცოდნით დაიმსახურებს და არა ყვირილით ჭ ფიცით, ღმერთმანი ახალი კაცი ვარო...²⁾

1) „დროება“ 1884. № 99.

2) „ივერია“ 1883 № IV.

„...ამისთანა ახალნი იქნება ახალგაზდანი არიან, მაგრამ ახალთაობის კაცნი კი არა. აქ ახალთაობისა და ახალის დროისა არა არის რა და, ღვთის მოწყალებით, თავის დღეშიაც ამისთანა რამ არც იქნება არც ახალის თაობისა და არც ახალის დროის ნიშნად.

თუ ამისთანანი, ჩვენდა საუბედუროდ, ბევრნი არიან, მაგრამ ახალთაობა ეთქმის და არც ფეხობა. ისინი ცხოვრების გზაზედ ნალოცბათ თუ გამოდგებიან, თორემ უღლის თავში ვერ ჩადგებიან, უღონობის განო, იმიტომ რომ იმათ ის აკლიათ, რაც მართალის ახალის თაობის ძალ-ღონეს შეადგენს.

ჩვენ საზოგადოდ ახალს თაობას კი არ ვყოფთ უარს, არამედ იმას, ვინც მაგ სახელს ფართი-ფურთობისათვის ტყუილად იჩემებს.—**ახალი თაობა ახალთა აზრთა წინამძღოლობაში, ახალთა აზრთა მოძღვრებაშია და არა იმაში, რომ მე დავიწყე წერა და შენ გუშინაო.**

— ნუ თუ მართლა ამისთანა „ახალი რაზმი“ გამოდის ჩვენში და მატულობს კიდევ... ჩვენ გვწამს ადამიანის სიკეთე საზოგადოთ და ამიტომ არა გვჯერა ეგ ამბავი.¹⁾

პირველი ანბანი ზნეობისა და ადამიანობისა შერყეულია ჩვენში და ჩვენდა სამწუხაროდ, შერყეულია ახალ-თაობის სახელითა, ესე იგი, იმ თაობის სახელითა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენის ზნეობის ამაღლების იმედი, ჩვენის განკარგების სასოება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ამ დანაშაულობაში ნამდვილი და ქეშმარიტი ახალი თაობა არაფერს შუაშია და მით უფრო ვწუხვართ, რომ მის წმინდა სახელს ასე ამაოდ და მოურიდებლად ამ უკადრის ქცევაში იხსენიებენ. შორს, შორს ახალ თაობისგან ის, ვინც ადამიანის პიროვნებას, ადამიანის სინილისს ფეხქვეშ სათელავს მჩვრათა ხდის. რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინილისი, ყოფა-ცხოვრება უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებულ არ იყოს, არავისგან შემწიკვლულ, შეგინებულ და შევიწროებულ. რაც გინდა ჰსთქვით, როგორც გინდა მოიქეცით, ოღონდ ახალთაობის წმინდა სახელს ნუ მოჰყენთ უკადრისს ქცევასა, უკადრისს სიტყვასა.

ეს შეტაკება ქმნიდა „მამათა და შეილთა“ ბრძოლის ილიუზიებს. მაგრამ დროების პუბლიცისტს—დ. კეხელს, ბევრი რამ აკლდა ილიასთან საბრძოლველად.

— „ვისზედ იყო ნათქვამი,—„ვირი წავიდა, ვირი მოვიდა, კატის კნუტებო, საიდან ჰქნავით, საიდან ჰსჩხავით.

— რა საწყაოთივც თქვენ მიუწყეთ, იმ საწყაულითაც ეხლა ჩვენ გიწყავთ“—უთელის თავმოწონებული სოხლანი და გულდიდათ გაიძახის:

— ნუ გგონიათ რომ ეხლაც უწინდებურად ვინმე გააცუროთ შაქარ მომცვრეულის ფრაზებით. დრო ორაკულობისა, დრო კალხასობისა გაფრინდა და, თუ გნებავთ, ბოლოზედ მოექიდენით.“...²⁾ მაგრამ ბრძოლა იწყობოდა...

1) „მითამ და „ახალის რაზმის კაცი“ ანუ ორი ფელეტონი“. „ივერია“, 1883. №№7 და 8.

2) „დროცა“ 1883. № 116, 119.



ქართული მწერლები და კულტურული რევოლუცია

(მოხსენება ქართველ მწერალთა მეორე ყრილობაზე)

სწორედ ორი წლის წინედ მოხდა ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა. დავალებული მქონდა მოხსენება ყრილობისათვის—, „მომდინარე მომენტი და ქართველი მწერლობის ამოცანები“. დღესაც, ამ ორი წლის შემდეგ, თითქმის ამავე შინაარსის მოხსენების გაკეთება მიხდება.

ამ ორმა წელმა ისე გაიარა, თითქოს ყველაფერი ეს გუშინ იყო. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე ჩვენ საბჭოთა კავშირშიც—ეს თავისთავად იგულისხმება. შეიძლება ეხლა მე შევჩერდე იმაზე თუ რა მოხდა ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო მასშტაბით, რაც მეტად საინტერესო და დამახასიათებელი არის დღევანდელ მომენტისათვის, იქნება ზოგიერთებს ახსოვთ ჩემი შარშანწინდელი მოხსენების მთავარი დებულება, მაშინდელი მდგომარეობის შესახებ. მე ამ დღეებში გადავხედე იმ მოხსენებას, და შემეძლია, გულზე ხელის დადებით ვსთქვა, რომ რასაც ვამბობდი, გამართლდა და მართლდება ცხოვრებაში. რა იყო მთავარი დამახასიათებელი თვისება მაშინდელი მიმდინარე მომენტისა? ეს იყო ის, რომ ბურჟუაზიული ქვეყნები გარედახ დიდ რყევას, დიდ შფოთს, დიდ განხეთქილებას განიცდიდნენ. ყოველ შემთხვევაში, ბურჟუაზიული ქვეყნები მოკლებული იყვნენ აუცილებელ მყუდროებას. ეს მთავარი დებულება, ჩემი მაშინდელი მოხსენებისა კიდევ უფრო მეტ გამართლებას ჰპოულობს დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობაში. განა ამის დამამტკიცებელი არ არის ის საურთიერთო გამწვავებული მდგომარეობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც დღე და დღე უფრო უარესი ხდება? თქვენ იცით თუ ამერიკა რა სასტიკ მეტოქეობას უწევს ინგლისს მთელ მსოფლიო ბაზარზე. ამავე დროს, ასევე მწვავე მდგომარეობა არის ამერიკისა და იაპონიის შორის. ასევე გართულებულია დამოკიდებულება თვით ევროპის სახელმწიფოებს შორის, რის მაგალითსაც დღე და დღე ვხედავთ პოლიტიკურ და ეკონომიურ საერთაშორისო ასპარეზზე. ასეთი მდგომარეობის გამო ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის აუცილებელი ხდება ხელ-ახალი იმპერიალისტური ომი, ხელ-ახალი სისხლის ღვრა. სწორედ ამ მოსაზრებით ანვითარებენ ყველა სახელმწიფოები თავიანთ სამხედრო ძლიერებას.

მე მხოლოდ რამოდენიმე ციფრს მოვიყვან ამ უმაგალითო შეიარაღების გასათვალისწინებლად: 1913 წელს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, ჩრდილო-ამერიკულ შეერთებულ შტატებში და იაპონიაში თოფქვეშ ^{საყრდენით} 1.888 ათასი კაცი, 1926 წ.-კი 2.262.000 კაცი. საზღაპროდ გაიზარდა აგრეთვე სამხედრო ბიუჯეტიც: 1913 წ.—2.345 მილ. მან., 1926 წ. კი—3.948 მილ. მან. მას შემდეგ, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო გაიზარდა ამ სახელმწიფოების შეიარაღება, სამხედრო ხარჯი, რასაც შემდეგისათვისაც არ უჩანს დასასრული. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ერთა ლიგამ 8—9 წლის წინად თავის სტატუტებში მიზნათ დაისახა შეიარაღების დაყვანა მინიმუმამდე, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დადგენილება მხოლოდ ქალაქდზე დარჩა და მისი სისრულეში მოყვანა სრულიადაც არ მოსვლიათ აზრად ერთა ლიგაში შემავალ სახელმწიფოებს:

ეხლა მივმართოთ მეორე მდგომარეობას, ურთიერთობას ამ ბურჟუაზიულ ქვეყნების და საბჭოთა კავშირის შორის. აი, სწორედ ამ წლინახევრის განმავლობაში, ჩვენ განვიცადეთ ბურჟუაზიულ ქვეყნების მხრივ ნამდვილი იერიშები, ისინი სცდილობდნენ ჩვენი საბჭოთა კავშირის ჩათრევას სხვადასხვა ავანტიურაში, რომ ხელ-ახალი ომი დაეტებათ ჩვენს თავზე. მაგრამ ბურჟუაზიული ქვეყნების მოლოდინი არ გამართლდა. აგრეთვე ფიქრობდნენ, რომ საბჭოთა კავშირში გართულდება შინაური მდგომარეობა და ეს გამოიწვევს მის აუცილებელ დაშლას. მაგრამ აქაც გაუცრუვდათ იმედი. საბჭოთა კავშირი არამც თუ დაიშალა, არამედ იგი იჩენს უფრო და უფრო მეტ ძალას, უფრო და უფრო მეტ უნარს, როგორც სახალხო მეურნეობის აღდგენის დარგში, ისე კულტურულ განმანათლებელ საქმეშიაც. საბჭოთა ძალა-უფლება თანდათან მაგრდება და უფრო მკვიდრად იკიდებს ფეხს მშრომელთა ფართე მასებში. ცხადია, ნაკლულეგანებაც არის ჩვენში, მაგრამ შეუჩერებელი ზრდა, წინსვლა. წარმატებაც უდავო სინამდვილეა ჩვენში და ეს მტკიცდება როგორც ციფრებით, ისე ყოველგვარი სხვა ფაქტებით. ამას საუცხოვოდ ხედავენ ევროპის და ამერიკის ბურჟუაზიული ქვეყნები. ისინი ხედავენ, რომ ეს მუშათა და გლეხთა სახელმწიფო თანდათან ძლიერდება და იგი თავისი გაძლიერებით ძირს უთხრის ბურჟუაზიულ წესწყობილებას. რომ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე არსებობს მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

მართო ეს მოვლენა გამანადგურებელ ფაქტორად მოქმედობს მთელ ბურჟუაზიულ მსოფლიოზე. ამ ისტორიულ განსაცდელის წინაშე, რა თქმა უნდა, გულ-ხელ დაკრეფილი ვერ დარჩებიან კაპიტალისტური ქვეყნები. ამ შემთხვევაში ყველაზე თავგამოდებულად გამოდის ინგლისის კონსერვატორების მთავრობა. რატომ სწორედ ინგლისის კონსერვატორები და არა სხვანი? ეს სულ ადვილი ასახსნელია: ინგლისის ბურჟუაზია ომის შემდეგ გამოვიდა ყველაზე უფრო დაზარალებული, ყველაზე უფრო წაგებული. ეს უკვე ფაქტია დღეს, რომ ინგლისის მსოფლიო გეგემონია შესცვალეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ყველა სახელმწიფოებმა აღადგინეს ომის წინადროინდელი დონე წარმოებისა და გადალახეს იგი რამოდენიმე ათეული პროცენტით. ინგლისის წარმოებამ კი, წარმოიდგინეთ, ვერ მიაღწია ომამდე არსებულ დონესაც. მისი ვაჭრობა კიდევ

უფრო შემცირდა. ინგლისი, რასაკვირველია, მთელს ქვეყნიერებას ჰყვლევდა. თითქმის 600—700 მილიონ ხალხს აძრობდა ტყავს და იქიდან ზედმეტი ღირებულება შეჰქონდა თავის ქვეყანაში. ინგლისის კაპიტალისტები არა მხოლოდ მუშათა კლასის ექსპლოატაციას და ამივე დროს, უფრო მეტ ხელავას აძლევდნ თავის მუშებს, იმისთვის, რომ მთელ ქვეყანას ფცქენდნ და ამით საშუალეა ეძლეოდათ თავის მუშების დასაკმაყოფილებლად, მშგ მამქს მდგომარეობა ომის შემდეგ შეიცვალა იმიტომ, რომ მას აღუდგენ: ჩინეთი, ინდოეთი, ეგვიპტე, კოლონიები და ნახევრად კოლონიალური სახელმწიფოები, რომელთაც ინგლისი ატყავებდა. მას მოესპო საშუალეა ზედმეტი სიმდიდრის შექენისა. ამას მოჰყვა შინაური კრიზისი და ამის შემდეგ ცხადია—საკუთარ მუშათა კლასის წინააღმდეგაც უნდა გამოსულიყო. მაგრამ საქმე სწორედ აქედან რთულდება. თქვენ კარგად იცით, რომ ინგლისის ბურჟუაზია თავის დაკნინებას, თავის ჩამოქვეითებას სხვას აწერს, ე. ი. საბჭოთა კავშირის არსებობას და მესამე ინტერნაციონალს, რომელიც იმყოფება ამ საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. იმავე დროს, საბჭოთა კავშირის პრესტიჟი ევროპისა და ამერიკის მუშათა შორის ამ ხნის განმავლობაში თანდათან უფრო განმტკიცდა. ეხლა ევროპის და ამერიკის მუშები ისე კი არ უყურებენ საბჭოთა კავშირს, როგორც ეს იყო ერთ დროს, სამოქალაქო ომის ხანაში. ეხლა, ევროპის და ამერიკის მუშებმა მშვენივრად იციან, თუ რა ხდება საბჭოთა კავშირში. მათ იციან, რომ აქ კეთდება მუშათა საქმე, და ველარავითარი ტყუილი ვერ იმოქმედებს მათზე. რა თქმა უნდა, ეს უფრო ართულებს საქმეს. იმპერიალისტები ამზადებენ საზოგადოებრივ აზრს სხვადასხვა დოკუმენტების შეთხზვით, იმიტომ, რომ იძულებულნი არიან თვალყური ადევნონ იმას, თუ რას იტყვის ამის შესახებ მუშათა კლასი. აქ კი, რა თქმა უნდა, მათ საუბედუროდ საქმე ვერ აქვთ კარგად, იმიტომ რომ მუშები მათ მხარს ვერ დაუჭერენ იმპერიალისტური ომის დროს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. აი, ეს ართულებს მათ მდგომარეობას.

მე ამ საკითხზე არ გავჩერდები, მხოლოდ ორიოდ სიტყვით შევეხები იმას, თუ რა წარმატება დაეტყო საბჭოთა კავშირში სახალხო მეურნეობას ამ ორი წლის განმავლობაში. მე მოვიყვან მხოლოდ ორიოდ ციფრს: 24—26 წელში ჩვენი მრეწველობა იყო აღდგენილი 63,7% ომის წინ დროსთან შედარებით. 26—27 წელში კი ჩვენ გვაქვს უკვე 100% ჩვენ გადავაბიჯეთ ომის წინადროინდელ დონეს. სასოფლო მეურნეობის პროდუქცია 24—25 წ—ში უდრიდა 89,3% ომის წინა დროის პროდუქციისას. 26—27 წელში კი ჩვენი სასოფლო სამეურნეო პროდუქცია უდრის 108,3%, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ გადააჭარბა ომის წინადროინდელ დონეს. სხვა ციფრს მე აქ არ შევეხები. მხოლოდ დავასახელებ ერთ გარემოებას: საშუალო წლიური მატება ნაციონალურ შემოსავლისა ინგლისში და გერმანიაში, არასოდეს არ აღემატებოდა ერთიდან სამ პროცენტს. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთივე მატება გამოიხატებოდა—სამი ან ოთხი % . ამაზე მეტი არასოდეს არ ყოფილა. ჩვენში, საბჭოთა კავშირში 1925—26 წლის ნაციონალურ შემოსავლის მატება გამოიხატება—29,9%, 26-27 წელში—11,4%. მიმდინარე წლის მატე-

ბაც ნავარაუდევია იმავე $\frac{1}{10}$, ე. ი. დაახლოებით—11—12 $\frac{1}{10}$. თუ იტყვიან, ასეთი დიდი ზრდა გამოწვეული იყო იმით, რომ ჩვენ ძველ ფაბრიკებს და ქარხნებს ვაახლებთ, რომლებიც უკვე არსებობდა, ეხლა ეს არ ითქმის. ორი წელიწადია რაც აღდგენილია ძველი ფაბრიკა-ქარხნები და საბჭოთა კავშირი ამ მხრივ შეუდგა სრულიად ახლად მუშაობას, ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, რეკონსტრუქციას. ეს მატება ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ უმეტესად დამყარება მუშათა კლასზე, იჩენს, ყოველ მხრივ, უდიდეს უნარიანობას და ძლიერებას სახალხო მეურნეობის წარმატების საქმეში.

აქ ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რანაირი მრეწველობა იზრდება, სოციალისტური, თუ კერძო? ყველამ კარგათ ვიცით, რომ ჩვენში კიდევ არსებობს კერძო მრეწველობა, მაგრამ იზრდება სწორედ სოციალისტური მრეწველობა და იმავე დროს, კლებულობს კერძო. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ დღეს ნაციონალიზაციას აღარ ვახდენთ. კერძო წარმოება არსებობს მხოლოდ ეკონომიური ღონისძიებით ჩვენი მეტოქეობის ნიადაგზე. ჩვენ ვაძლიერებთ სოციალისტურ სექტორს, იგივეა ვაჭრობაშიაც.

წინათ სხვა მდგომარეობა იყო. ჩვენი კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა ძალიან სუსტად მიმდინარეობდა და, როგორც იცით, კერძო ვაჭრობა ამისათვის არ აგვიკრძალავს. ყოველ შემთხვევაში, 1921 წლიდან ცოტა გასაქანი და სარბიელი გვქონდა, მაგრამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ჩვენ ვხედავთ, რომ ვაჭრობა თანდათან გადადის სახელმწიფო ორგანოებში და, განსაკუთრებით კი—კოოპერაციაში.

ეხლა, მე შევჩერდი ამ გარემოებაზე მხოლოდ იმისთვის, რომ გადავსულიყავი სწორედ ჩემ დღევანდელ თემაზე, ე. ი. კულტურულ რევოლუციის ამოცანებზე. ამკარა არის, რომ ნივთიერ-ეკონომიურ აღორძინებასთან ერთად იზრდება კულტურული საქმეც. იზრდება კულტურა, სწავლა-განათლების ცოდნა, ტექნიკა და სხვა. ყოველად წრმოუდგენელია, რომ სახალხო მეურნეობის ზრდამ თავისთავად არ მოითხოვოს კულტურული ზრდაც. ცნობილი ფაქტი არის, რომ დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა, როგორც საქართველოში, ისე საერთოდ მთელ კავშირშიც, ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას ერთი მთავარი საზრუნავი საქმე აქვს: სწავლა-განათლების გავრცელება, ხელოვნების, საერთოდ ყოველგვარი კულტურული საქმის წინ წაწევა და სხვ.

ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს კულტურულ საქმეს, მაგრამ ეხლა, როცა ჩვენ მივადექით ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის გარდაქმნას ახალ საფუძველზე, ე. ი. მაღალ ტექნიკის საფუძველზე, ამკარაა, რომ აქ კულტურული ამოცანები კიდევ უფრო გარკვევით და გამოკვეთით წამოიჭრენ ჩვენს წინაშე, ამკარა შეიქმნა, რომ ჩვენ ნივთიერათ, შედარებით უფრო წავიწიეთ წინ, ვინემ კულტურის მხრივ. ამიტომ იყო, რომ კომპარტიის მე-15 ყრილობაზე კულტურულ რევოლუციის ამოცანები წამოყენებულ იქნა, პირველ რიგში. ჩვენი წარმოების, მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის განვითარება იმ უორმით, როგორც ჩვენ ამას ვისახავთ ყოველად შეუძლებელია,

თუ ამაში არ იქნა ჩაბმული მასსა, მუშური და გლეხური მასსა. რა [თქმა უნდა, ამ მასსის განვითარების, ამ მასსის კულტურულ დაწინაურებას, როგორც მოგეხსენებათ, აქამდისაც ექცეოდა ღირსეული ყურადღება. მაგრამ ეხლა ის შეიქნა მთავარ ამოცანად. საქმე იმაშია, რომ ჩვენი მეთოდები, ჩვენი მისწრაფებანი სოციალიზმის განსახორციელებლად უნდადასრულებული იქნება, თუ თვით მასსა არ იქნა განვითარებული. ჩვენი ქვეყანა საუკუნოების განმავლობაში ჩამორჩენილი იყო კულტურულად. ჩვენი გლეხობა განაგრძობდა პირველყოფილურ ცხოვრებას. ის, რაც ჰქონდა მას (მამა-პაპათაგან შენაძენი მხოლოდ) იმითი კმაყოფილდებოდა. სწავლა-განათლება მისთვის არ არსებობდა. თქვენ კარგად იცით, ჩვენ მავილეთ ყოფილი მთავრობისაგან ხალხი, რომლის დიდმა ნაწილმა თითქმის სამოც პროცენტზე მეტმა, უბრალო წერა-კითხვაც კი არ იცოდა. რა თქმა უნდა, პირველ რიგში საჭიროა წერა-კითხვა. თუ წერა-კითხვა არ იქნება, ის ყოველთვის ბრმა იარაღს წარმოადგენს ხალხის მტრების ხელში. მაგრამ მართო წერა-კითხვის ცოდნა საკმარისი არ არის, ამას უნდა დაემატოს პოლიტიკური შეგნება, შემდეგ ამას უნდა დაემატოს სხვადასხვა გვარი სპეციალური ცოდნა. ეს საქმე, ე. ი. მასის განვითარება დაისახა საბჭოთა ხელისუფლებამ თავიდანვე. მართალია, საბჭოთა ხელისუფლებას ყოველგვარ საქმიანობის ასპარეზზე გამოჰყავს უმაღლესი და საშუალო სწავლით შეიარაღებული, უკვე გამობრძმედილი ინტელიგენცია. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ უბრალო ხალხი აამოძრაო და ის ჩააბა მუდმივად შემოქმედებითი მუშაობაში. ეს ამოცანა იკისრა სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ. ჩვენ მოვახდინეთ პოლიტიკური რევოლუცია; უნდა მოვახსენოთ, რომ პოლიტიკური რევოლუცია, ე. ი. ძალა-უფლების დაპყრობა მუშებისა და გლეხების მიერ, რომელიც მოახდინა კომუნისტურმა პარტიამ, შედარებით უფრო ადვილი საქმე არის, ვიდრე კულტურული და სამეურნეო რევოლუცია. მაგრამ სანამ არ მომხდარიყო ჩვენში პოლიტიკური რევოლუცია, რომელმაც ძალა-უფლება გადასცა მუშათა კლასს, მანამდე შეუძლებელი იყო ლაპარაკი კულტურულ რევოლუციის მოხდენის შესახებ ჩვენში. ამის შემდეგ კი დაუყოვნებლივ დაისვა ეს საკითხი. ლენინი პირველი იყო, რომელმაც წამოისროლა ლოზუნგი კულტურულ რევოლუციის მოხდენის შესახებ. იმ ხანებში ლენინი ოცნებობდა, რომ მუშათა კლასი პოლიტიკურ ძალა-უფლებასთან ერთად გამხდარიყო კულტურის სრული მატარებელიც. ჩვენ თუ შევძელით კულტურის შექმნა, რაც ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს აქვს, ეს ჯერ-ჯერობით საკმარისი იქნება ჩვენთვის. უამისოდ კი ჩვენ წინ ვერ წავალთ: ვერც სახელმწიფო აპარატს მოვაწყობთ, ვერც წარმოებას და ვერც ვაჭრობას.

მართალია, 1918 წელს, ჯერ კიდევ რუსეთში მუშათა კლასმა დიდი აღფრთოვანებით მოჰკიდა ხელი კულტურულ საქმეს, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საქმეს და ლოზუნგი იყო წამოსროლილი, რომ რამოდენიმე წლის შემდეგ მომხდარიყო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს იყო ერთნაირი ენტუზიაზმი. და ჩვენ ვხედავთ, რომ მაშინ რუსეთში უთვალავი სკოლები იქნა დაარსებული. მაგრამ ყველაფერ ამას ესაჭიროება ნივთიერი ბაზა

და ეს ბაზა მაშინ პარტიას არ გააჩნდა. ამან შეაფერხა კულტურული საქმე. მაგრამ, როგორც კი დაიწყო განვითარება მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობისა, ეს ბაზაც გაჩნდა. როგორ გვესმის ჩვენ კულტურული რევოლიუცია? კულტურულ რევოლიუციის მოხდენა ერთი დაკრვრით არ შეიძლება. ამას უნდა შეუდგეთ მთელი ჩვენი ძალღონით და სისტემატიური მუშაობით შევებრძოლოთ იმ უცოდინარობას, იმ დაქვეითებას, რომელიც არსებობს ხალხში. დიდი ბრძოლით, რამოდენიმე წლის განმავლობაში შესაძლებელია ჩვენ დავსძლიოთ უვიცობა და ჩამორჩენილობა ხალხისა. აი, ასე გვესმის ჩვენ კულტურული რევოლიუცია, ჩვენ ვამბობთ: ავამუშავოთ თვით ხალხი, თვით მასა ავამოძრავოთ. და ეს არ არის ცარიელი სიტყვა. ჩვენ შეგვიძლია დღეს ვიამაყოთ ჩვენი მტრების წინააღმდეგ, თვალსაჩინო კულტურული მიღწევებით. უკვე ენერგიული მუშაობა სწარმოებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ. ჩვენ თავი დავანებოთ იმ სკოლებს, იმ დაწესებულებებს, რომლებიც იმყოფებიან განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში. ესენი თავის მხრით ეწევიან ამ მუშაობას. სკოლების მოწაფეების რიცხვი მატულობს. ეს ისეთი საქმე არის, რომელსაც ყოველთვის ნიადაგი აქვს მომზადებული და ამაზე გაჩერება არ არის საჭირო. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება სხვა ორგანოებს, რომლებსაც დასახული აქვთ კულტურულ რევოლიუციის მოხდენა. ავიღებ პროფკავშირებს, პარტიას. ამ ხაზით ჩვენ მიგვაქვს იერიში უცოდინარობის წინააღმდეგ. მაგრამ განა მართო პარტია და პროფკავშირები აწარმოებენ ამ მუშაობას? არის აგრეთვე სხვა დაწესებულებებიც, რომლებიც პრაქტიკულად ანხორციელებენ წერა-კითხვის გავრცელებას. ავიღოთ მაგალითად წითელი ჯარი. განა იგი არ წარმოადგენს საუკეთესო სკოლას? სოფლის ახალგაზრდობას, რომელსაც სკოლა არ უნახავს და არც სწავლა მიუღია რამე, ის ამას იძენს წითელ ყაზარმაში. ეს ხდება ყაზარმებში. გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს კიდევ სხვა დაწესებულებები, ეს არის წერა-კითხვის საზოგადოება. ის საზოგადოება კი არა, რომელიც იყო ერთ დროს ტფილისში. არა, ეს საზოგადოება არსებობს, მხოლოდ იმიტომ, რომ მიყრუებულ სოფლებში გახსნას წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ასეთივე ხაზით მოქმედებს ჩვენში საშეფო საზოგადოება. გარდა ამისა ჩვენ გვაქვს კიდევ გლეხთა სახლები, სადაც, მართალია, წერა-კითხვის უცოდინარობას არ ებრძვიან პირდაპირათ, მაგრამ იქ აცნობენ აგრონომიულ და სხვადასხვა გვარ საკითხებს.

აი ასე ხდება კულტურული რევოლიუცია და კულტურული შეგნება თვით მასაში. ჩვენი მტრები, განსაკუთრებით მენშევიკები, გაიძახიან, რომ ვითომდა ჩვენ ჩავკალით, ჩავაღრჩეთ ხალხის შეგნება. მაგრამ ეს სწორი არ არის. ჩვენი ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ მასა გათვითცნობიერდეს, ვინაიდან ეს ხელისუფლება ეყრდნობა მუშებს და გლეხებს. და თუ ეს მასა არ იქნება გათვითცნობიერებული, ის ვერც დაიცავს დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც საუკეთესო გამომსახველია მისი სასიცოცხლო ინტერესების. არც ერთი ხელისუფლების დროს არ შეიძლება, რომ ასეთი მასიური კულტურული მუშაობა გაჩაღებულიყო, როგორც საბჭოთა ხე-

ლის უფლებების დროს. ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ დავიკვივხოთ, არა, ეს არის ფაქტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი უნაკლოთ მიმდინარეობდეს.

საინტერესოა ერთი გარემოება: მენშევიკების ბელადი ნოე ჟორდანიასაბჭოთა ათი წლის თავზე სწერდა „პრომეთეში“, რომელზეც ბაქურაძე გამოდის, რომ „საბჭოთა წესწყობილება არასოდეს არ ყოფილა განსჯადი და განსჯადობისაგან. ის შეპყრობილია შინაგანი უძღურებით, დღეს კი, ათი წლის თავზე მისი იდეოლოგია ისე დაბერდა ახალგაზრდობაშივე, რომ ვერ ეღიროს თავის გაფურჩქნასო. მისი პრაქტიკა საბოლოოდ გაკოტრდა. ეხლა, რა ამოცანა გვაქვს ჩვენ—კითხულობს ჟორდანიას და უპასუხებს:—ჩვენი ამოცანა თხოულობს ოქტომბრამდე არსებულ ყველა სასიცოცხლო ძალების განთავისუფლებას, კომუნისტურ ფორმებით შებოჭვისაგანო“. რა შებოჭვაზე ლაპარაკობს აქ ჟორდანიას? სად სჩანს ეს შებოჭვა? თუ ეს იმაში გამოიხატება, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ სარბიელზე გამოიყვანა მუშები და გლეხები, რომლებიც ყოველთვის იყვნენ დაჩაგრული და თუ ესენი აამოძრავა, შეიტანა მათში სწავლა და ცოდნა, განა ეს ნიშნავს სასიცოცხლო ძალების შებოჭვას? პირიქით, ეს არის გაშლა სასიცოცხლო ძალების. მოვიყვან ერთ მაგალითს: ამ ნახევარ წლის წინათ ჩვენ მოვიწვიეთ დეპუტატ მუშა და გლეხ ქალთა ყრილობა. ვინ ვნახეთ ჩვენ ამ ყრილობაზე? ჩვენ ვნახეთ არა ბრწყინვალე და განათლებული ხალხი, არამედ უბრალო მუშა ქალი, უბრალო დედაკაცი. მერე როგორ ლაპარაკობდენ ესენი? სულ უბრალო, ხალხური ენით, რომელსაც ვისმენთ ჩვეულებრივად ჭირში თუ ლხინში. შემდეგ, მოსკოვში გავგზავნეთ ქალთა დელეგატები, სადაც მოხდა საკავშირო ყრილობა მუშა და გლეხ ქალების. ამ ყრილობას სიტყვით მიმართა სხვათა შორის ამხ. რიკოვმა, რომელმაც თავის სიტყვაში მოიგონა ერთი თავის საუბარი ამხ. ლენინთან. ლენინი ალტაცებაში მოდიოდა, როცა ტრიბუნაზე ხედავდა უბრალო ხალხს. ერთ ყრილობაზე, რომელზედაც დაესწრო ლენინი გამოდიოდენ მივარდნილ კუთხეებიდან მოსული უბრალო გლეხები, რომლებიც თავისებურად ლაპარაკობდენ. იმათი მიხერა-მოხერა ბევრს აცინებდა კიდევ. ლენინი კი ამის გამო ამბობდა: ლაპარაკობს თვით ოქტომბრის რევოლუციის, ოქტომბერი ლაპარაკობს ამ ხალხში, რომელიც საუკუნოებით იყო დამონებული, დაბეჩავებულიო. ამ ხალხს საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა ტრიბუნა, რომ გამოეთქვათ თავიანთი გულის ნადები. ეს არის უაღრესი კულტურული საქმე, რომლის მზგავსი არც ერთ ქვეყანას არ ახსოვს კაცობრიობის ისტორიაში. ეს არის რევოლუციონური მეთოდი, ეს არის ოქტომბრის მონაპოვარიო. სამწუხაროდ, ამას ჩვენში არ ექცევა ყურადღება, ვითომც არაფერიაო. მე მახსოვს ერთი გარემოება: ტფილისში შეიკრიბა ქალთა პირველი ყრილობა და მომიხდა ლაპარაკი ერთ ჩვენ გამოჩენილ მხატვართან, რომელსაც დაეხატა სურათი და ძალიან მთხოვდა, რომ დამეთვალაფერებინა. სურათი ვნახე და უთხარი, რომ „კარგი იდეიაა, მაგრამ ვერ დაგიხატია კარგათ“. მართლაც, იმის მაგივრად, რომ

გლახის ქალი დაეხატა, მას გამოსვლოდა თავადის ქალი, ლამაზი და გაწყვილი. ნუ თუ მას დაავიწყდა გლახური ქალის ტიპი?

გიგანტური ნაბიჯებით ვითარდება ჩვენში მოვლენები და ეს ნამდვილი რევოლუციონური ამბები ბევრისაგან შეუმჩნეველად ხდება. ეს, რასაკვირველია, სამწუხარო არის. მე ვფიქრობ, რომ ამას მოელება ბოლო. *ეროვნული*

ეხლა იმის შესახებ, თუ როგორ გვესმის ეს კულტურული რევოლუცია და როგორ ვანხორციელებთ მას პრაქტიკულად; ჩვენ ვიყენებთ ყველა ძალებს, ყველა ელემენტებს, რომელთაც კი რამე შეუძლიათ. ჩვენ ვიყენებთ მასწავლებლებს, აგრონომებს, ექიმებს და სხვა ძალებს. ჩვენ ვცდილობთ მათ ჩაბმას ამ მუშაობაში, თუ ჩაბმული არ არიან, რადგან ეს ერთად-ერთი უდიდესი საქმეა. ამან ჩვენი მომავალი დამოკიდებული. ამ მუშაობის გარეშე ვერ დარჩება ის ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, რომელსაც მწერლები წარმოადგენენ. ამისათვის მე მგონია, რომ ამ კულტურული რევოლუციის მოხდენაში ყველაზე დაინტერესებული უნდა იყვნენ მწერლები. ჩვენ გვქონდა ამის შესახებ გასულ ყრილობაზე მსჯელობა, ჩვენი მწერალთა ამოცანების შესახებ, ჩვენს რევოლუციაში. აქ ბევრი საყურადღებო რამ ითქვა მაშინაც. მოვისმინეთ, თუ რა აწუხებს მწერლობას და ჩვენც გაგაგონეთ, თუ როგორ გვესმის ჩვენ ქართველ მწერლების როლი და მათი დანიშნულება დღევანდელ რევოლუციაში. მე ვფიქრობ, რომ მაშინ ჩვენ ამოვსწურეთ ეს საკითხი. ჩვენ ვსთქვით, რომ ჩვენთვის განურჩეველი არის ყველა მიმდინარეობა, რომელიც არსებობს მწერლობაში. ჩვენ ერთნაირად უყურებთ მათ. არც ერთს უპირატესობას არ ვაძლევთ, მხოლოდ ჩვენ ვთხოვლობთ — მწერლობამ მიიღოს კულტურულ მუშაობაში მონაწილეობა. მწერლებმა უნდა იცნონ ფაქტი, რომ ჩვენში მოხდა უდიდესი რევოლუცია — მუშათა და გლახთა რევოლუცია, და ამის მიხედვით უნდა იქნეს მომართული ის იარაღი, რომელიც მწერლებს უჭირავს ხელში.

ყრილობაზე იყო სხვადასხვა გვარი განცხადებები სხვადასხვა ჯგუფების მხრივ და, რასაკვირველია, ჩვენ ანგარიში უნდა გაგვეწია ამისათვის. აყენებდნენ აქ მოთხოვნილებებს, რომ ქართულ კულტურას ესაჭიროება გეგმონია, რომ უნდა იქნეს შემოღებული პროტექციონიზმი ქართული წიგნებისათვის, მაგრამ უნდა ითქვას ყველაზე უფრო საქმიანი წინადადება წამოაყენა პავლე ინგოროყვამ.

ის ამბობდა:

ჯერ ერთი პირველ, რიგში საჭიროა ქართული საჯამომცემლო საქმის მოგვარება. საჭიროა მკვიდრ ნიადაგზე დაყენება სახელმწიფო განმცემლობისა. ქართული წიგნის მსვლელობის რადიუსი ძალიან მცირეა და აქ მიუცილებელია ერთგვარი პროტექციონიზმი სახელმწიფოს მიერ.

ამას მოსდევს კიდევ ქართული ენის აკადემიური ლექსიკონის გამოცემა, ქართული ზეპირ-სიტყვიერების შეგროვება და სხვა.

უნდა მოგახსენოთ, პავლე ინგოროყვას მიერ განცხადებები, ჩვენის მხრივ

სავსებით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, ამის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვქონდა.

მე ვიტყვოდი ქართული ენის შესახებ, ქართული ენის დამახინჯების შესახებ. გაზეთის ხელში აღებისა მეშინია. ნამდვილი გადაგვარებაა ენისა. ამის მაგალითებს უხვად შეხვდებით ყოველდღე ჩვენს პრესაში. მეც საკმაოდ მაქვს დაგროვილი საამისო მასალები. ხელისუფლებას ^{საქართველო} უურადლებას აქცევს ენის ასეთ დამახინჯებას და სცდილობს იმის ^{წინააღმდეგ} მოწესრიგებას. მაგალითად, დაარსდა სატერმინოლოგიო კომიტეტი, რომელიც საფუძვლიან მუშაობას ეწევა ქართული ენის დაწმენდისათვის. მაგრამ ეს არ არის პროტექციონიზმი, როგორც ინგოროყვა მოითხოვდა. რა საჭიროა პროტექციონიზმი? განა ჩვენ ვაბრკოლებთ ქართულ მწერლობის საქმეს? უკანასკნელ დროს იქმნა გამოცემული ქართველი კლასიკების და ახალი ნაწარმოებნი. ლაპარაკი სულ ზედმეტი არის პროტექციონიზმზე. რეზოლიუციაში, რომელიც მიღებული იყო მაშინ ჩემი მოხსენების ირგვლივ, ნათქვამია რომ „მთლიანი ხაზი ქართულ პოლიტიკურ საქმიანობისა, რომლის მტკიცე საფუძველი ჩაიყარა 21 თებერვალს, მომავალში არ იქნება გამრუდებული და თავიდან იქნება აცილებული ის მომენტები, რომელნიც ხელს შეუშლიან საერთო საქმიან თანამშრომლობას“. აი ეს იყო მიღებული. ეხლა ჯამი რომ გაუკეთოთ, ერთის მხრივ, თუ რა იყო დადგენილი და, მეორეს მხრივ, თუ რა იყო გაკეთებული ამ ორი წლის განმავლობაში, უნდა გამოვტყდე, რომ საქმით არაფერი გაკეთებულა ქართული მწერლობის მთავარი შტოსაგან. მთავრობა, რითაც შეეძლო, ხელს უწყობდა. მეტი შეძლება რომ გვქონოდა, მეტ დამხარებას აღმოუჩენდით. ყოველ შემთხვევაში, დღეს უფრო კარგ პირობებში არიან მწერლები, ვიდრე ყოფილან ოდესმე. მენშევიკები რომ დარჩენილიყვნენ, განა ამის მსგავსი იქნებოდა რამე? ეხლა მწერლებს შეუძლიათ იცხოვრონ თავიათი ჰონორარით, თუ კი დღევანდელ პირობებში ასრულებენ თავინთ მოვალეობას. გარდა ამისა, მწერლობას ისედაც ვეხმარებით სხვადასხვა სახით, ამაზე ლაპარაკი არა ღირს. საყვედურები მე მაშინაც მესმოდა და შეიძლება ეხლაც გაიმეორონ. იყო ასეთი საყვედურები, ამას მე მივაქცევ უურადლებას. ერთი მწერალი იძახის: „არ ვიცი რა თემა ავიღო. თუ ძველ ცხოვრებიდან ავიღებ, როცა ბაგრატიონები იყვნენ, მაშინ დამწამებენ, ვითომდა ბაგრატიონების მომხრე ვარ! თუ მენშევიკების ცხოვრებიდან ავიღებ — დამწამებენ შინაგან ემიგრაციის მომხრეობას და თუ ახალი ცხოვრებიდან ავიღებ, მაშინ იტყვიან, ახალი რაღაც შემოგაქვსო. აქედან გამოდის, რომ არაფრის დაწერა არ შეიძლებაო“. მე სამწუხაროდ, არა მაქვს დრო, რომ გავეცნო ჯეროვნად ჩვენ ლიტერატურას, მაგრამ ვხედავ, რომ წიგნები საკმარისათ გამოდის. მაშინ, როგორ გესმით თქვენ ასეთი საყვედური ჩვენს წინააღმდეგ? მე მგონია, რომ ეს დაუმსახურებელი საყვედური არის. მაგრამ რაშია საქმე?

აი, ვთქვათ კულტურის შესახებ, ჩვენ ამაზე ბევრს ვლაპარაკობთ, მაგრამ როგორ ფიქრობთ — ეს კულტურა რაიმე უცვლელია? კულტურაც არის და კულტურაც. არის ძველი კულტურა და ახალი კულტურა, არის, როგორც ამბობენ,

ბურჟუაზიული კულტურა. ჩვენ ასე არ გვემის, არამედ გვესმის კულტურა, რომელსაც იყენებს თავის ინტერესისათვის ესა თუ ის კლასი. ბურჟუაზიული კულტურა—ეს არის უმაღლესი განვითარება ტექნიკისა, ხელოვნებისა, მაგრამ ამით სარგებლობს შეძლებული ხალხი და ტექნიკას იყენებს თავის ინტერესებისათვის. არის, მეორეს მხრივ, კულტურა, უფრო ძველი, ჩვენში იყო ერთნაირი ხუროთმოძღვრება, ხუროთხელოვნება, იყო კულტურა, რომლითაც სარგებლობდნენ მოწინავე წოდებანი, მაგრამ ხალხისთვის კი იყო მიუწვდომელი. მე მინახავს ციხეები, გასაოცარი გამძლეობის, მე მინახავს ძველი ხიდები აქარაში, რომელიც რამოდენიმე საუკუნოების განმავლობაში კიდევ არსებობს და დღეს, უფრო გამძლე არის, ვინემ ეხლანდელი ხიდები. მაშასადამე, ძველად იყო ხელოვნება. მაგრამ ასე კი არ უდგებიან საკითხს. ყველა ამ ძველ ნაშთებს, რასაკვირველია, აკავშირებენ, თუ გინდ თამარ მეფესთან, ან სხვა რომელიმე მეფეებთან, ეკლესიასთან და სხვა. მე ძალიან პატივს ვცემ ამ ძველ ნაშთებს, ვინაიდან ეს არის ერთნაირი ძველი ჩვენი ძველი ხელოვნებისა, მაგრამ პატივისცემა იმას კი არ ნიშნავს, რომ ეკლესიების შენება დავიწყოთ. არა. მე გამიცია ბრძანება, რომ ვარძიის მონასტერი, გორგასლანის ციხე დაცული იქნეს, მაგრამ იმისათვის, რომ დავანახოთ ჩვენ ხალხს თუ როგორ სცხოვრობდა ძველი ხალხი, რას აკეთებდა? ვისთვის აკეთებდა? აშკარაა ეს არ ნიშნავს, რომ ძველი კულტურა გადმოვიტანოთ. ეს ასე არ არის. ამხ. კახიანმა ამას წინათ გააკეთა მოხსენება პროლეტარულ მწერლების ყრილობაზე, სადაც იგი შეესო ხუროთმოძღვრების ძველ სტილს და აღნიშნა, რომ აქედან სრულებით არ უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენი მუშათა სახლები უნდა ავაგოთ ძველი სტილით, ჩაბნელებული ფანჯრებით. ვის უნდა ეხლა ეს? არავის. ამნაირათ გაგებული ჩვენთვის კულტურა არ არის მისაღები და დიდი შეცდომა, რომელიც იყო დაშვებული მუშათა სახლების აშენების დროს, აღარ უნდა განმეორდეს.

მაგრამ, თუ კულტურა ცოდნა არის, ჩვენ ამით უნდა ვისარგებლოთ და გამოვიტანოთ მისგან, რაც გამოგვადგება, რომ ისტორიკოსებმა შეინარჩუნონ და დაანახონ ძველი კულტურა ხალხს.

ავილოთ ახლა ეროვნული საკითხი, როგორ ესმით ზოგიერთ მოწინავე ქართველებს ეროვნული საკითხი? შექველად ასე ესმით: რა კი ჩვენ გვაქვს დიდი ისტორია, ჩვენი ხალხი განთქმული იყო თავისი მხნეობით, განთქმული ყოფილა, როგორც მხედარი, როგორც მამაცი, და ხალხს ძველად ბევრი სისხლი დაუღვრია და ვინაობა შეუნარჩუნებია, მაგრამ ვისთვის? პირველ რიგში არიან მეფეები, კათალიკოსები და საერთოდ ყველა მკვლეველი კლასები, და დღეს როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ძველი წყობილება არ გვწამს, ვუარყოფთ მეფობას, ბატონ-ყმობას, როგორც ხალხის დამჩაგრულ წესწყობილებას—აქედან ვის შეუძლიან გამოიტანოს ის დასკვნა, რომ ჩვენ არ გვწამს ქართველი ხალხი? აქ ჩვენ შეცდომაში ვერ შევალთ. ჩვენ გვწამს ქართველი ხალხი და რომ არ ვიწამოთ, მაშინ საგიჟეთში უნდა გავემგზავროთ. ქართველი ხალხი არის გლეხი, მუშა და ვამბობთ, რომ გვწამს ქართული კულტურა, მაგრამ არა ის კულტურა, რომელიც თავის გამართლებას ჰპოულობს ეკლესიაში და სხვა,

არამედ გვწამს ახალი კულტურა. რომელიც შეეფერება მუშათა და გლეხთა ინტერესებს. თამარის და გორგასლანის დროის კულტურას ჩვენ ვერ მივიღებთ. იმ კულტურას მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა, მაგრამ თანამედროვე ეპოქისათვის ის უკვე დრომოქმულია. მაშინ კულტურა მოდიოდა სპარსეთიდან და საბერძნეთიდანაც. ერთ დროს ეს კულტურა საკმაოდ ძლიერი იყო და მისი ნიშნები ეხლაც არის დარჩენილი. ჩვენმა მაგრამ დღეს ევროპის კულტურა გაცილებით მაღლა სდგას, მაღლა სდგას აგრეთვე რუსეთის კულტურაც. ეს აშკარა ფაქტი არის, ამას ჩვენ ვერ უვარვყოფთ. ევროპის კულტურის გავლენას ჩვენ განვიცდით ხელოვნებაში, მწერლობაში, მეცნიერებაში და ყოველივე დარგში. დღეს კულტურა სულ ახალი სახით და ახალი გეზით ვითარდება.

ამბობენ, თემის გამორჩევის საშუალება არა გვაქვსო. თუ კი აიღებთ ისტორიულ თემას და იქ თქვენ ხოტბას შეასხამთ ძველ წესწყობილებას, როგორც თამარ მეფეს, ან და ერეკლე მეფეს, ეს არ არის დღეს მისაღები. საქმე ის არის, ალლო აულო იმას, თუ რა ესაჭიროება დღეს ხალხს. აი, ამ მხრივ, უნდა მიუდგეთ ჩვენ ამ საკითხს აი, ეს არის სწორი გაგება. თავისუფლად ყველას შეუძლია აიღოს ის, რაც მას აინტერესებს, მაგრამ უნდა იქნეს შესრულებული ისე, როგორც ეს შეეფერება ჩვენს პირობებს. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ჯეროვანად ვერ არის შეგნებული — თუ როგორ შეეფერება. მართალია, ჩვენს მწერლობაში არის სხვა და სხვა მიმართულება. ჩვენ გვყავს პროლეტარული მწერლები. ისინი ჯერ ვერ არიან კარგათ მომზადებული, მაგრამ ისინი უდგებიან საკითხს სწორად. მხოლოდ მათ ესაჭიროებათ ტექნიკა, ქართული ენის შესწავლა და ჩვენი დღევანდელი გაზეთების საშუალებით კი, სადაც ჩარჩის მაგიერ „გადამყიდველი“ სწერია, ვერაფერს ვერ შეისწავლის. მე ვამბობ, რომ დღევანდელ მწერლებს ესაჭიროებათ დიდი მუშაობა. მათ უნდა შეისწავლონ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ლიტერატურა. ენის მხრივ ჩვენ ეხლა ვერ დავკმაყოფილდებით ჩვენი დღევანდელი გაზეთებით. დღევანდელი გაზეთების ენა სრულებით არ ვარგა. იდეოლოგიურ სწორე გზაზე დამდგარ პროლეტარულ მწერლობას ჯერ კიდევ დიდი შრომა და მეცადინეობა სჭირდება, რომ იქცეს ახალი ეპოქის ხელოვნებათ.

მე უნდა მოგახსენოთ აქ ერთი გარემოება, ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენმა მწერლობამ ერთი ახალი მიმართულება შეიძინა — არიფიონი. თუ გნებავთ მე წაფიკითხავ მათ სალიტერატურო განცხადებას.

ყველა ეპოქას საკუთარი კულტურული შინაარსი აქვს. მისი ხასიათი და განვითარება ხელოვნებასა და ლიტერატურაში ცხადდება... ორთქლისა და ელექტრონის ეპოქას სრულებით სხვანაირი ესტეტიური გემოვნება და შეგრძობანი აქვს, ვიდრე აბჯარ-კოშკების ხანასა ჰქონდა.

თანამედროვე დიდმა ეპოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძობა, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული საზე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ქართული ხელოვნებისა და მწერლობის განახლება ძველი კულტურის უარყოფას კი არ ჰგულისხმობს, არამედ მასში დამარხულ ზნეობრივ, ესტეტიურ ღირებულებათა გამოყენებას დღევანდელი ადამიანის გემოვნების მიხედვით.

კულტურული წარსული, აწმყო და მომავალი „არიფიონის“ ორგანიზულ ერთეულად მიაჩნია.

რევოლიუციამ უდიდესი სოციალ-პოლიტიკური და მხედველური უკუდატება მოახდინა. საბჭოთა სისტემამ ღრმად გაიდგა ფესვები ტანსაცმელში, მხედველურ და ზრუნველყო ჩვენი მომავალი.

ამ რევოლიუციის წყალობით ქართული კულტურა აღორძინების ხანაში შედის. ვითარდებიან ჩვენი ერის შემოქმედებითი ძალები, იღვიძებს ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, კრიტიკა, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა და ეროვნული სკოლა.

არიფიონიც ამ ნიადაგზე მუშაობს და თავის ძალღონის მიხედვით ხელს შეუწყობს ამ საერთო სულიერ შემოქმედებას—ლიტერატურის, ხელოვნებისა და აზროვნების განახლებას.

მე, საერთოდ, მწერლობას დიდ პატივს ვცემ და „არიფიონმაც“ ძლიერ დამაინტერესა. მინდოდა გამეგო—რას ნიშნავდა სიტყვა „არიფი“. ამისათვის მე მივმართე „არიფ“ გერონტი ქიქოძეს. „არიფი“ ეს თანამეცხუფრეს, შეზარხოშებულ ადამიანებს ნიშნავს.

მე არ მჭონდა საშუალება, რომ ეს კრებული სავსებით გადამეკითხა, მხოლოდ ერთი ნაწარმოები წავიკითხე. ეს არის მიხ. ჯავახიშვილის მოთხრობა—„დამპატიყე“-ს სახელწოდებით. მე არ მინდა არავითარი უსიამოვნება მივაყენო ვისმეს. ეს არ შედის ჩემს დანიშნულებაში. მე პირადათ ძალიან ვაფასებ, კერძოდ ჯავახიშვილის შემოქმედებას და მართლაც არათუ მარტო ნიჭი აქვს მას, არამედ ცოდნაც აქვს ენისა და ხელოვნების, ე. ი. რაც საჭირო არის მხატვრისათვის. უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვარგა ეს „დამპატიყე“, ვინაიდან ის იგოვე „კვაჭი კვაჭანტირაძეა“, ან და „კომბალა“ გასაბჭოების შემდეგ. მე არ ვამბობ, რომ ასეთი ტიპი არ არის ცხოვრებაში: მე ვიცი ჩემი გამოცდილებით, რომ ასეთი ტიპი არსებობს. მაგრამ აქ რომ არის გამოყვანილი, თითქოს დღევანდელი წყესწყობილება ეხმარება და მფარველობს მასო, ეს სიყალბეა. „დამპატიყე“ ახალი ბატონის სახით მოვევლინა გლეხს და ამას ვითომ მხარს უჭერს პარტია და ხელისუფლება. ეს არ არის ტიპიური, ეს არის უარყოფითი მოვლენა და ამას ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად ებრძვის სხვადასხვა ორგანოების საშუალებით. ჩვენ გვაქვს რამოდენიმე ორგანო, რომელიც ებრძვის ასეთ ტაპებს. ეს ორგანოები არის: მუშათა და გლეხთა ინსპექცია, სასამართლოები და სხვა. ასეთი დამახინჯებული ფორმების ტიპიურად განსახიერება ნიშნავს, რომ ხელისუფლებას თვით მოუწვევია და გაუბატონებია ეს ყოველად გაფუჭებული არამზადა „დამპატიყე“. უნდა ყოფილიყო რაიმე სხვა დაპირდაპირება გამოხატული. ამნაირად, ტიპი არ ვარგა.

მეორე მხრივ, ახალი მიმართულების შესახებ. სადაა აქ ახალი მიმართულება? ყველა მწერლებისათვის დღეს გაგებულ არის და იციან, რომ ძველი არ შეესაბამება ჩვენს ცხოვრებას. მაგრამ რა არის ახალი „არიფიონის“ შეხედულებაში? აქაც, უნდა გითხრათ პირდაპირ, სრულიად შეუსაბამო ახსნა ძველი

ამბებისა—ახალ მოვლენებთან შესაფარდებლად. აი, მაგალითად რას ვკითხულობთ გერ. ქიქოძის წერილში „არიფიონი ჰერეთში“ სიღნაღის სიმაგრის შესახებ:

როგორ მოახერხა ასეთმა პატარა პროვინციამ ასეთი სიმაგრის აგებაო, იკითხა ერთმა არიფმა, რომელიც სიღნაღში პირველად იყო, საყოველთაოდ ის აზრი გამოითქვა, რომ საშუალო საუკუნოებში საუცხოვოდ სცოდნიათ საზოგადოებრივი შრომის დაწყება, გამოყენება, და თუ ქართველი ერი დღემდე ვადაჩა, ამას უნდა ვუმადლოდეთ არა მარტო ხმლითა და შუბით აღჭურვილ მხედარს, არამედ ჩაქუჩიან მამაკაცსაც და იმ უბრალო, უსახელო ბრბოს, რომელიც ალაზნის ან იორის ნაპირიდან გომბორის მთის კალთებამდე მწკრივდებოდა და ქვას ქვაზე ადებდა, რათა ის გმირთ ნაკვეთი გალავნები აეგო, რომელიც უჯარმოს, თელავს და სიღნაღს გარს ეკვროდა და თუ მტერი შემოიჭრებოდა მთელი ჰერეთისა და კახეთის მშვიდობიან მოსახლეობას დაიტევდა.

განა ჩვენ არ ვიცით, როგორ ამწკრივებდნენ ამ ხალხს, ან ვინ რაზმადემათ, განა ჩვენ არ ვიცით, თუ გინდ რომანტიულად მიუდგეთ, ვისთვის იბრძოდა, როგორ მწკრივდებოდა, რას წარმოადგენდა, როგორ იქლიტებოდა ეს ხალხი რანოდენიმე თავადის, ან მეფის ინტერესების გულისთვის? სად იყო ხალხის ინტერესების დაცვა? ეს ვიცით ყველამ; და არ შეიძლება ასე მიდგომა. ეს ნიშნავს იმას, რომ სრულიად არ გაუწიოთ ანგარიში სინამდვილეს. მერე „არიფიონის“ ჯგუფში არიან ისეთი არიფები, რომლებიც ძალიან სკეპტიკურად უყურებენ საბჭოთა ხელისუფლებას. აქ ისევ უნდა ჩავყვეთ გერონტი ქიქოძის წერილს, სადაც დიალოგის სახით საუბრობენ „ცნობისმოყვარე ახალგაზრდა და არიფიონელი“.

ცნობისმოყვარე ახალგაზრდა. ნუ თუ ოქტომბრის რევოლუციის დაფასებაში თქვენ შორის სრული თანხმობაა?

არიფიონელი. ჩვენ არ წარმოვადგენთ პოლიტიკურ შეჯგუფებას, მაგრამ ვფიქრობთ, მწერალი დღეს პოლიტიკის გარეშე ვერ დარჩება. ის მცირეოდენი განსხვავება, რომელიც ამ დარგში არიფიონელებს შორის არსებობს, შეიძლება უფრო ტემპერამენტისა და მგრძობიარობის სხვა და სხვაობიდან გამომდინარეობდეს, ვიდრე აზროვნებისა და მსოფლმხედველობიდან.

ჩვენ ველოდით, კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა და ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ან უკეთ ვსთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: ერთი, რომ აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედამიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. და შემდეგ რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია, ამ გზით არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის დამარცხება და გადახალისება. ეს ყოველივე იქ უკეთ არის მოწყობილი. ძველი ღმერთები მოკვდნენ, კრიტიკულმა აზროვნებამ ამოხწვა ძველი იდეოლოგიები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნოებისაკენ: მაგრამ სული დაცალიერდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება...

ნუ თუ ამაზე მეტს ვერაფერს ხედავს გერონტი ქიქოძე ოქტომბრის რევოლუციაში და საბჭოთა ხელისუფლების არსებობაში? ჩვენც ვიცით, რომ ამერიკაში და ევროპაში უკეთ არის მოწყობილი ელექტროფიკაცია, ინდუს-

ტრიალიზაცია და სხვა. მაგრამ ყველაფერი ეს შეადგენს ბურჟუაზიის საკუთრებას და მშრომელი მასების საყვლევად საშუალებას. ჩვენსა კი ეს არის მშრომელი ხალხის საკუთრება და ემსახურება მის კეთილდღეობას. ნუ თუ ამას ვერ უნდა ხედავდეს თანამედროვე ადამიანი, რომელიც საბჭოთა თანამშრომლობის ნიადაგზე სდგას?

ეროვნული

აი, ასე მსჯელობს ერთი არიფთაგანი. გერ. ქიქოძე ~~საბჭოთა~~ მხარს და ამბობს, რომ მეორე არიფიონელმაც წარმოსთქვა საწინააღმდეგო სიტყვაო. მე იმიტომ მოვიყვანე აქ ეს მაგალითი, რომ როგორც სჩანს ერთი ჯგუფი ამ გამოჩენილ მწერლობისა ვერ არის სწორე გზაზე. ჩემის აზრით, ე. ი. არა თუ სწორე გზაზე დგანან, არა თუ დაუახლოვდენ დღევანდელ მდგომარეობას, არამედ ვერ აუღეს მას ალღო. განა ჩვენ დღეს ბევრი გვაქვს ისეთი ლიტ. ნაწარმოებები, რომელიც საჭიროა ხალხისათვის? ძალიან ნაკლებად გვაქვს. ავიღოთ მაგალითად: სათეატრო ხელოვნება. მე ვიცი მრავალი სოფლები, სადაც არსებობს დრამატული წრეები, მაგრამ არა აქვთ მათ შესაფერისი პიესები და ეს აბრკოლებს მუშაობას. აქ გვესაჭიროება ახალი რამ, ახალი ცხოვრებიდან, თვით მასიდან და არა ფუფუნებიდან. რით ვიკვებებოდით ჩვენ აქამდე? „ამერიკელი ძია“ და მეორე „დეზერტიკა“. აი ამით კმაყოფილდებოდა ჩვენი საზოგადოება აქამდე. მე ერთხელ მქონდა შემთხვევა დავსწრებოდი „ამერიკელ ძიას“. და ვერ წარმომიდგენია, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილოს ამან ხალხი! ეს პირდაპირ დანაშაულობა არის. ეს ყოვლად უნიჭო და უმსგავსო რამ ხელოვნების თვალსაზრისით. არამც თუ მატებს რამეს ჩვენს სცენას, არამედ უფრო ამცირებს მას. ჩვენ ძველად გვქონდა დროების შესაფერი პიესები—ცაგარელის, სუნდუკიანცის, ანტონოვის, მაგრამ დღევანდელ დროის შესაფერი არაფერი არა გვაქვს. ჩვენ გვესაჭიროება ახალი რამ ხელოვნების მხრივ. იდეურად შესაფერისი არის რუსეთიდან გადმოღებული „რღვევა“. რასაკვირველია, ყველა ეს ტიპები გასაგებია ჩვენთვის თავიანთი სულისკვეთებით. მაგრამ განა ჩვენ საკუთარ ნიადაგზე კი არ მოიძებნება შესაფერი მასალა?

სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ იმას არ ვაქცევთ ყურადღებას, რაც საჭიროა. ხშირად ჩვენი მწერლები მეტის მეტად შორს მიდიან, როგორც, მაგალითად, ისტორიული თემა და სხვა ასეთი მაღალი რამ. მე არ ვამბობ, რომ ისტორიული თემის აღება საჭირო არ იყოს, მაგრამ უნდა შეეფარდოს მასას. ეს რასაკვირველია, ძნელი არის, როგორც დადიანმა დასწერა „უბედური რუსი“. ისტორიულ ნაწარმოებში წარსული დროის. ნაკლს უნდა ექცეოდეს უმთავრესი ყურადღება დღევანდელი მწერლისა.

რაში მდგომარეობს მწერლების ამოცანა? მოგახსენეთ, რომ ეს არ არის ისე მაინც და მაინც რთული საკითხი. ეს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მწერლებმა ის პროცესი, რომელიც ხდება თვით ხალხის ცხოვრებაში შეუგნებლად, თავისი მხატვრული ნიჭით შეაგნებოს მას, გადმოუშალოს მას ეს პროცესი. ჩვენ ამით მართლა იმას არ ვამბობთ, რომ ისტორიულ პროცესს თავი დაანებოთ ან მენშევიკების დროს. ყველაფერი ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს, მხოლოდ თანამედროვეობის თვალსაზრისით. ხელოვნებაში საერთოდ უნდა მოხდეს დიდი

გარდატეხა. ეხლა რომ ოპერებს ვისმენტ, რას ვხედავთ? თუ დადგამენ აუცილებლად უნდა იყოს გამოყვანილი მეფე. ნუ თუ არ შეიძლება გადაკეთდეს ისე, რომ არ იყოს მეფე? ის დამატკობელი მუსიკა, რომელსაც ჩვენ ეხლა ვისმენტ, ნუ თუ არ შეიძლება მოვისმინოთ ისე, რომ ამას ქონდეს სულ სხვა შინაარსი? მაგრამ შე ვფიქრობ, რომ აქ ერთნაირი რევოლუციური არესა-საჭირო. რა არის აუცილებელი, რა არის მწერლობის ამოცანა? ერთეულში ჩვენს რაულოს აღლო და სწორად აღნიშნოს მისი ყოფა-ცხოვრება და არა ისე, როგორც „არიფიონმა“ მოგვცა. მივსცეთ სოფელს ისეთი რამ, რომ შევსძლოთ ხალხს დაეანახოთ ახალი ყოფა-ცხოვრების უპირატესობა. ჩვენთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს ასეთი ლიტერატურა. ძველი კულტურა, როგორც ნაციონალური საკითხი—ეს ხელოვნების საქმე არ არის. ჩვენ ვთხოვლობთ, არ იყოს გატარებული ნაციონალისტური სული; ეს სენი არის, რომელიც რევს საქმეს, როგორც დღეს მენშევიკები პარიზში გაიძახიან: საქართველო შესჭამა სომხებმაო. დაშინაკელები, ერთის მხრივ, და მუსავატელები მეორეს მხრივ-კი გაიძახიან—ქართველებმა შეგვეკამესო და სხვა: დღეს ჩვენ გვაქვს საბჭოთა კავშირი. ხალხი დარაზმულია ძმურად. მივექანებით წინ. მე მესმის პატრიოტი, ერთგვარი პატრიოტი ყველა ჩვენგანი არის, მაგრამ რა ნაირი პატრიოტი? ჩვენ გვიყვარს და ძვირათაც გვიღირს საბჭოთა საქართველო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შევსჭამოთ სხვა ხალხი. ერთი სიტყვით ამოცანები, რომელიც სდგას ქართველი მწერლობის წინაშე, ეს თანამედროვე ეპოქის საკითხებია ოქტომბრის რევოლუციასთან დაკავშირებული მთელი თავისი სულისკვეთებით. მე ვლაპარაკობ ამ შემთხვევაში ყველა ჯგუფზე, ყველა მიმდინარეობაზე, იმისათვის, რომ ყველა თქვენთაგანს შეუძლია გაუწიოს სამსახური ჩვენ ხალხს, რომ აიცილოს თავიდან ის ზოგიერთი ნაკლულევანებანი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს სჩვევია ჩვენს მწერლობას. ნუ ვიტყვით, რომ მწერლობა წინათ იყო კლასების გარეშე, ე. ი. ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი და სხვა. ესენი არ სდგანან კლასების გარეშე. მართალია, სწერდნენ ლექსებს, და თავის შეხედულებით თითქო კიდევაც იცავდნენ მუშებს და გლეხებს, მაგრამ მთელი მათი მწერლობა და მთელი მოღვაწეობა არ იყო გარეშე მათი წოდებისა.

დღევანდელი მდგომარეობა სულ შეიცვალა. შეუძლებელია, რომ მწერლობამ გვერდი აუხვიოს ამ დღევანდელ მდგომარეობას. მაშინ გამოვა, რომ მწერლები უნდა გაჩუმდნენ. ჩვენ კი ვამბობთ, რომ ყველა ინტელიგენტური ძალა, რომელიც კი არსებობს, ყველა უნდა გამოყენებული იქნეს ხალხისათვის. ამხ. ლენინიც ასე გადმოგვცემდა: ტეხნიკა, ძველი კულტურა უნდა გამოვიყენოთ რანაირადაც კი ამის გამოყენება შეიძლება სოციალიზმის განსახორციელებლადო. ბევრს ეხამუშება ეს სიტყვები, შეიძლება ბევრს ეგონოთ უტოპიათ მისი განხორციელება, მაგრამ ეს უტოპია არ არის, ეს უკვე წარმოადგენს სინამდვილეს იმ მხრივ, რომ დიდი ნაბიჯი გვაქვს გადადგმული ამ სოციალისტურ მშენებლობაში. ჩვენ ვამბობთ, რომ ქართველ მწერლებმა განურჩევლად მიმდინარეობისა, განურჩევლად ჯგუფებისა უნდა ჩაებან იმ მუშაობაში, რომელსაც დღეს

აწარმოებს, არა მარტო მთავრობა, და პარტია, არამედ მთელი ხალხი, ყოველ შემთხვევაში დიდი ნაწილი მუშებისა, გლეხებისა, ქალებისა და ბავშვების. დიახ, ბავშვებიც კი! ქართველმა მწერლებმაც უნდა მიიღონ აქ მონაწილეობა და თავისი წვლილი შეიტანონ ამ დიად საქმეში. მე ქარწმუნებულ ვარ, რომ მეორე ყრილობის შემდეგ ჩვენ გადავდგამთ უფრო გადაჭრულ ნაბიჯს, რომ ეს მუშაობა წარმოებული იქნება შეერთებული ძალებით, მუშების, გლეხების და, ამავე დროს, იმ სასიცოცხლო ძალებით, რომელსაც მოგვცემს ჩვენ ქართული მწერლობა.

ს ა ბ ო ლ ო ო ს ი ტ ყ ვ ა

ჩემთვის შეუძლებელი იყო ჯამი გამეკეთებია და დამელაგებია ყველა ის აზრები, რომელიც აქ იყო წარმოთქმული სისტემატიურად და ჩემს საბოლოო სიტყვაში ყველაზე გამეცა პასუხი. ამიტომ მე იძულებული ვარ შევჩერდე იმ ორატორებზე, რომელნიც შეეხენ ჩემს მიერ გაკეთებულ მოხსენებას და ისეთი დებულებები წამოაყენეს, რომლის შესახებ საჭიროა ჩვენ მხრივ ასე თუ ისე პასუხის გაცემა. ბოლოს თავს მოუყრი საერთო ხასიათის აზრებს, დებულებებს და მით დავაბოლოებ ჩემს სიტყვას. ერთი საერთო შენიშვნა მინდოდა მე გამეკეთებინა. ეს შენიშვნა იქნება არა ოფიციალური წარმომადგენლის, როგორც აქ ზოგიერთი შემეხო, არამედ როგორც ერთ-ერთი წევრთაგანის ამ კრებისა. ეს შენიშვნა შეეხება იმას, რომ ჩვენ საერთოდ გვაკლია დისციპლინა. ვერ ვუძლებთ მოწინააღმდეგე აზრის მოსმენას. რა გინდ დაუშვებელი იყოს ეს აზრი ერთი ჯგუფისათვის, ერთი ნაწილისათვის, ის მაინც მოსმენილ უნდა იქნეს. საჭიროა სიღარბაისლე. აი ეს სიღარბაისლე ისეთი რამ არის, რაც ყოველთვის გვესაჭიროება, რომ უფრო ნათლად გავარკვიოთ საგანი, გავალრმაყოთ ის, რომ ბოლოს უფრო აშკარა შეიქნეს იგი. თუ ერთი აზრი არ დაუპირდაპირდება მეორეს, ისე ჭეშმარიტება არ გამოირკვევა.

ზოგიერთი აქ გამოსული ორატორის ლაპარაკი ჩემთვის მისაღებია და გასაგები. მაგრამ, იყო გამოსვლები, რომელნიც არ შეეხებოდა საკითხს. მე მათზე არ შევჩერდები; მრავალი აქ აღძრული საკითხი წინედაც იყო წამოყენებული. დავიწყოთ ჭუშბაძე და ან. მან სთქვა, თუმცა ჩვენ სადავო არაფერი გვაქვს, მაგრამ საკამათო კიო. ეს მართალია. მას არაფერი ისეთი არ წარმოუდგენია, რომ საჭირო ყოფილიყო მისი უარყოფა, მაგრამ, მან ისეთი აზრები წარმოთქვა, რომელთაც ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ. ის ამბობს მაგალითად, რომ ჩვენ ახალი აზრები მივიღეთო, ე. ი. შეიძლება ძველ ტიკში ახალი ღვინის ჩახახაო. ძალიან სამწუხარო იქნებოდა, რომ ეს მართლაც ასე არ იყოს. ძველ პირობებში აღზრდილი მწერლები, რომ ახალ ცხოვრებაში სრულიად უვარგისი გამოდგენ, მაშინ ეს დიდ გამოუსავალ მდგომარეობას შექმნიდა. მაგრამ ისეთ იდეოლოგიურ დარგში, როგორიც არის მწერლობა, მსგავსი საზომით მიდგომა არ გამოდგება. აქ არ შეიძლება რაიმე ძალდატანებას ჰქონდეს ადგილი. აქ უნდა იყოს დაცული მტკიცე თავისუფლება. მაგრამ ამისათვის საჭიროა ერთგვარი პირობები, რის შესაქმნელადაც ხელისუფლება ღებულობს სათანადო

ზომას. თქმა მისი რომ ყველაფერი კარგად არის მოწყობილი, შეუძლებელია. ჯერ ჩვენ კიდევ რევოლიუციის ხანას განვიცდით. რევოლიუცია გრძელდება, მაგრამ ჩვენ ვსცდილობთ მწერლებისათვის შევქმნათ ხელსაყრელი პირობები, რომ მივცეთ თავისუფალი შემოქმედების საშუალება. ჟურნალის სიტყვაში ისმოდა საყვედური, რაც არ იყო, რასაკვირველია, მოკლებული ერთგვარ სიმართლეს. სახელდობრ სახკინმრეწვის დარგში. აქ არის დეფექტი, რასაკვირველია. მაგრამ ამაში სავსებით ხელისუფლებაც არ არის დამნაშავე. მართალია, კინომრეწველობას ბევრი დეფექტი აქვს და შეიძლება აქ ქართველ მწერლებს არ ჰქონდათ მიჩენილი სათანადო ადგილი. მაგრამ ამაში რომ ბრალი მართო მთავრობას დაედოს, შეცდომა იქნება. აქ ბრალი უდევს მწერლებსაც, შეიძლება გეწყინოთ კიდევ, მაგრამ პირში თქმა სჯობია.

შემდეგი ორატორი გახლდათ ბესარიონ ჟღენტის: უნდა ითქვას რომ ამ უკანასკნელ წლებში ამ დაჯგუფებას ე. ი. ფუტურისტებს, უსათუოდ დიდი ცვლილება დაეტყობ. მე მგონია, ეს ცვლილება უფრო დადებითია. ჩვენ მხვრივ ამას ვაღიარებთ და ვურჩევთ ამ ჯგუფს განაგრძონ ასე. მე ამას გულწრფელად ვამბობ. რამდენადაც შეიძლება მქონდა გავცნობოდი მათ, უნდა ვთქვა დიდი ნაბიჯი გადადგეს იმ მხვრივ, რომ ხალხისათვის გასაგებ ენაზე სწერენ უფრო. მაგრამ უბედურება იმაში არის, რომ ჯერ კიდევ ეს პროცესი სავსებით არ არის დამთავრებული და ამხ. ჟღენტის გამოსვლა აქა ამას ამტკიცებს. ის მოგვევლინა ჩვენ აქ როგორც უკიდურესი მემარცხენეობის წარმომადგენელი, თითქოს ეს უკიდურესი მემარცხენეობა რაღაც საქები რამ იყოს. ეს ჭეშმარიტებაა, რომ ასეთი უკიდურესი მემარცხენეობა ჩვე ნსინამდვილეში არ არის დადებითი მოვლენა. პროლეტარიატის დიქტატურის დროს ეს არ არის დადებითი მოვლენა, მაგრამ ამხანაგებს ვერ შეუგნიათ ეს. რას მიედ-მოედებით წერა-კითხვის გავრცელების საქმესო — ამბობდა ბესარიონ ჟღენტი. ნ. შენგელაიამ ცოტა გამოასწორა და აღიარა, რომ ეს დიდი საქმეა, მაგრამ სავსებით ეს მრუდე შეხედულება მაინც არ არის გამოსწორებული. მოგეხსენებათ, კულტურული რევოლიუცია უბრალოდ გაგებული ჩვენს პირობებში ნიშნავს მასის, მუშათა და გლეხთა მასის ამოძრავებას და ჩაბმას დღევანდელ აღმშენებლობაში. ეს არის სწორედ ის, რაზედაც უნდა დაეყრდნოს ჩვენი სოციალისტური მეურნეობა და მშენებლობა. რა თქმა უნდა, სხვადასხვა გვარად გამოიხატება ცხოვრებაში ეს რევოლიუცია. ამ მასის ამოძრავებას, მასის გათვითცნობიერებას, უპირველესად ყოვლისა, წარმოადგენს წერა-კითხვის ცოდნა. რასაკვირველია, ის ამით არ ისაზღვრება, არამედ მიდის წინ. სამწუხაროდ ფუტურისტების აზრით სრულიადაც არ ყოფილა დიდის აქმე, რომ მუშებს და გლეხებს წერა-კითხვა შეეძინათ. ჩვენ პროლეტარულ დიქტატურის ხანაში რას გვეუბნება ლენინი! თქვენ ალბათ თქვენი მომხრე გგონიათ იგი. ისე ლაპარაკობთ. იგი კი სულ საწინააღმდეგოს ამბობდა იმ დებულებისას, რასაც თქვენ აღიარებთ. თქვენ იძახით, ძველი კულტურის რეკონსტრუქცია — დაშლაო! ის უკვე დაიშალა: შეხედეთ ამ მონასტრებს, ციხე-კოშკებს, განა ჩვენ ვფიქრობთ კიდევ იმათ აშენებას? თქვენ გახსოვთ ალბათ ლენინის სიტყვები: ჩვენ უნდა შევიძინოთ, ჩვენ უნდა დავემყაროთ იმ ტენიკას, იმ კულტურ-

რას, რომელიც მოგვცა ბურჟუაზიამ თუ სხვა წყობილებამო. ქარის წისქვილებს ხომ ვერ შევებრძობლებით? ჩვენ დონკიხოტები არა ვართ. ჩვენ ვაშვებთ, ჩვენ ვაკეთებთ. ძველი კულტურის დაშლა—აქ ახალი არაფერია. თვითთელი ჩვენი ნაბიჯი, თვითთელი ჩვენი წამოწყება, თვითთელი ჩვენი სკოლა, თვითთელი ჩვენი ქოხ-სამკითხველო, თვითთელი ჩვენი რადიო-სადგური, ეს დაშლა არის ძველი კულტურის. მაგრამ ამავე დროს თვით ტეხნიკა დარჩენილი ამ ძველი კულტურიდან—საქიროა და აუცილებელი ჩვენთვის. სიტყვები კი არ არის საქირო, საქმით უნდა გაკეთდეს. ჯერ საქმე, მერე სიტყვები! (გ. მ უ შ ი შ ვ ი ლ ი: ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან!) ისინი თხოულობენ რაღაც ახალ ფორმებს, აქ უნდა გავახსენო ძველი ცოდვები, რომლებსაც ისინი ეხლა ივიწყებენ. რა იყო ის ახალი ფორმა, რომლითაც ისინი ცდილობდნენ გარდაექმნათ მწერლობა? ეს იყო H_2SO_4 . ამას დღეს თქვენ უკვე ივიწყებთ და ეს სასიამოვნოა (ბ. ჟ ლ ე ნ ტ ი: როგორც თქვენ დაივიწყეთ სამხედრო კომუნიზმი). სამხედრო კომუნიზმი როგორ დაივიწყეთ! ის ჩვენთვის აუცილებელი სტადია იყო (ჟ ლ ე ნ ტ ი: ჩვენთვისაც ეს აუცილებელი სტადია იყო). არავითარი კავშირი არ აქვს ამას სამხედრო კომუნიზმთან. აი თქვენ რას ლაპარაკობდით პირველ ყრილობაზე, მაშინ თქვენ კიდევ H_2SO_4 ენით მეტყველებდით და ეს ყველასათვის გაუგებარი იყო, მით უმეტეს ფართე მასებისათვის.

მართალია, ჩვენ გაუგებარი ვართ ფართო მასისათვის, გლეხობისათვის, მუშებისათვის, მაგრამ კულტურული პროგრესი არ იქნებოდა, რომ კულტურამ უცადოს მასას. კულტურულ პროგრესს ქმნის პერსონები, უმცირესობა... და რომ პროტებს ეწერათ ისე, რომ მათი ნაწარმოების გაგება შესძლებოდა ყოველ მუშას და ყოველ გლეხს, მაშინ კაცობრიობას არ ეჭნებოდა არც ერთი მხატვრული ღირებულება და ლიტერატურა ერთ ნაბიჯსაც ვერ წასდგამდა წინ და „კაპიტალის“ და ანტიდიურინგის ავტორებს დიდხანს დასჭირდებოდა ეცადათ, სანამ ყოველი მუშა გაიგებდა იმათ ნაწარმოებს.

ხელოვნების ათვისება საქიროებს განსახდევრულ კულტურულ დონეს. თვით რეპინის უკიდურესად რეალისტურ ნახატს, მაგ. ადამიანის პორტრეტებს, ვერ გაიგებს ძალიან ევლური ადამიანი. ჩვენს უფრო რთულს ხელოვნებას, უფრო რთულ და დაწინაურებულ ცხოვრებასთან დაკავშირებულს, სჭირდება ასეთივე კულტურული აუდიტორია. ჩვენ ვერ მოგვთხოვთ რომ მასის აღზრდა ვიკისროთ. ამისათვის თქვენ გაქვთ „წერკუმი“ და სვხატების სასწავლებლებიც.

თქვენ ამბობთ, ჩვენ ვერ ვიკისრებთ მასის აღზრდასო, ან როგორ ვაკისრებთ! ვინ მიგიშვებთ! ის ფორმა, რომელსაც თქვენ უარყოფთ, ბევრად უფრო გასაგებია ხალხისათვის, ვიდრე თქვენი ნაწარმოებნი. ნუ თუ თქვენი დანიშნულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ხალხისათვის გაუგებარი იყოთ? რა საქიროა ეს ჩვენთვის? (ხმა ადგილიდან: ეხლა გასაგები არიან). ეხლა, მართალია, გადადგეს ნაბიჯი. ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, მაგრამ ბესო ჟლენტი მაინც ებლაუჭება თავის ძველ შეხედულებებს. ის კიდევ არ არის გარკვეული და ფორმებისათვის სცდება სინამდვილეს. მას შინაარსი არ აინტერესებს, აინტერესებს ისევ ფორმა, რომელიც ხალხისთვის გაუგებარი იქნება. ჩვენთვის კი—ნაწარმოებში აუცილებელია შესაფერი შინაარსი.

თქვენ ლაპარაკობთ შეჯიბრზე. თუ თქვენ ილაპარაკეთ ისე და სწორეთ ისე, როგორც ძველი გამოცდილება გაქვთ, რა თქმა უნდა, ვერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევთ ისეთ მწერლებს, რომელიც შეიძლება არა ბროლეტარული შინაარსის ნაწარმოებით გამოვიდნენ ასპარეზზე, მაგრამ გარკვეული და ლამაზი ენით სწერენ. ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ უნდა შევიცნოთ, დავიმკვიდროთ ის გასაგები ენა, ფორმა, რომლითაც სწერდენ კლასიკური მწერლები. ეს არ არის არსად უარყოფილი. ეს უარყოფილია მხოლოდ თქვენს ოცნებაში. აიღეთ დღევანდელი რუსული ნაწარმოები. სად არის უარყოფილი კლასიკური ნაწარმოები, შეთვისება იმათი ენის, ტექნიკის, რასაკვირველია, დღევანდელი დროისათვის შესაფერი იდეებით, (ბ. ჟღენტის: ახალი ღვინო ძველ ტიკში ჩავასხათ) თქვენ გგონიათ მართლა ყველა ძველი ტიკი უნდა გადავადგოთ? ვის გაუგონია ეს? მართალი იყო ამხ. ჭუმბაძე, — ყოველთვის ახალ ტიკს სად ვიშოვითო.

შემდეგი ორატორი იყო ამხ. პაოლო იაშვილი. უნდა მოგახსენოთ, რომ პაოლო იაშვილი გულწრფელი მწერალია, ის არის ცისფერ ყანწების წარმომადგენელი, ძველი ჩემი ნაცნობი. ამ ბოლო ხანებში ეს მწერლები თანდათან დგებიან საერთო ფერხულში. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, იაშვილის აქ წარმოთქმულ აზრს ვერ ვეთანხმები, როდესაც ის ამბობს, რომ ცუდი მორალური ატმოსფერა არის შექმნილიო. ეს ცუდი ატმოსფერა არის? აბა მაშ რაანერგებში უნდა ყოფილიყავით? ის უჩივის კრიტიკას. მე არ ვამბობ, რომ კარგი კრიტიკა გვაქვს. ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა ძალიან მოიკოჭლებს. გაიხსენეთ ბელინსკის, პისარევის, ჩერნიშევსკის ეპოქა, (ხმა: ეს დასრულებული ეპოქაა) დასრულებულია თუ არა დასრულებული, ამას ჯერ კიდევ უდიდესი მნიშვნელობა აქვს. არა გვაქვს სერიოზული, საქმიანი კრიტიკა, რომელიც არა მარტო უარყოფით მხარეებს ხედავს, არამედ აფასებს მწერალში მის დადებით მხარეებსაც. მე ამის შესახებ ვილაპარაკე, როცა შევეხე მიხ. ჯავახიშვილს. უნაკლულო არაფერი არის.

შემდეგი ორატორი გახლავთ ამხ. კაპანელი. ის ეკუთვნის არიფიონის ჯგუფს. თუმცა აქ ბევრი ილაპარაკეს „არიფიონზე“, მაგრამ მეც უნდა ვსთქვა ცოტაოდენი ამ ჩემს ბოლო სიტყვაში. ის რაც აქ სთქვა ამხ. კაპანელმა, ვერ იყო სავსებით გასაგები. ბევრი იყო აქ ეკონომიკა, იდეოლოგია და სხვა. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ამხ. კაპანელი მაინც არ არის თავისუფალი მისტიციზმისაგან და იდეალისტურ შეხედულებებისაგან. რას ნიშნავს ეს ქართული სული, რომელიც პირველ საუკუნიდან უცვლელად რჩება? აი, ეს არის ნამდვილი მისტიციზმი, თითქოს ყოფილა რაღაც ნამდვილი სული, რომელიც მიუხედავად ყოველგვარი ქარტეხილებისა, მაინც არსებობს, მაგრამ სადღაა ეხლა ის ხალხი, რომელიც წინად იყო. მაგ. ფარნაოზისა და მირიანის დროს, ან თამარ მეფის დროს? ეს ხალხი დღეს აღარ არის, ის გამოსცვალა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა პირობებმა, რომელიც მის გარშემო არსებობდა. აქ კაპანელს ერთნაირი მისტიური შეხედულება აქვს. მართალია მას აქვს ზოგიერთი „ათვისება“ (თუმცა

ეს სიტყვა მე არ მომწონს, ჩვენ გვაქვს სიტყვა შეთვისება, მითვისება), მაგრამ მის აზრებს მაინც ეჭირვება ჩამოყალიბება.

აქ უნდა შევეხო ამხ. გერონტი ქიქოძის გამოსვლას, მან აქ ილაპარაკა როგორც „არიფიონის“ წარმომადგენელმა. მან წაიკითხა მშვენიერი ლექცია იმის შესახებ, თუ რა არის რევოლუცია დაწყებული უძველესი დროიდან და დამთავრებული დღემდე. რასაკვირველია, ეს ლექცია მან ვერ დაამთავრა, ვინაიდან დრო არ ქონდა საკმარისი. მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ სრულიად მიუღებელია მთელი ის ფილოსოფია, რომელიც მან აქ წამოაყენა. რას გვეუბნება ჩვენ ის? მან გაატარა ანალოგია: იყო დიდი რომი განათლებული, დაწინაურებული ქვეყანა, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა უფრო დაბლა მდგომი ხალხი, რომელსაც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა ანტიურცივილიზაციაზე. მაგრამ ესენი დაურიღებლად მოდიან თავის ცულებით, კეტებით, უშენენ თავში ამ განათლებულ ხალხს, ანადგურებენ მას. ესეც რევოლუცია არისო—ანალოგიას აკეთებს ამხ. გერონტი. დღევანდელი ევროპაც დაავადებული არის. ევროპა ძველი კლასიკური რომის მდგომარეობას განიცდის და მას ჩაქოლვით ემუქრებიან „ველური“ რუსებიო. აი აზრი მისი ანალოგიის რაში მდგომარეობს. უნდა ვთქვათ, რომ ეს ანალოგია სავსებით მიუღებელია. სად ველური ბარბაროსული გერმანელები, რომელნიც კეტით, ცულებით ანადგურებენ რომს და სად ბოლშევიკები! ოქტომბრის რევოლუცია არის უკანასკნელი სიტყვა მეცნიერული სოციალიზმისა. ეს არის მუშათა კლასის მოწინავე რაზმი. განა შეიძლება მათი შედარება? ეს ყოველად დაუშვებელია. შემდეგ გვეუბნება: განა მარტო იმაშია საქმე, რომ მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა აღადგინოთ ომამდე ყოფილ მდგომარეობამდე, განა ამით შეიძლება დაკმაყოფილებაო? სავსებით მართალი ხართ. ვინ ამბობს, რომ ჩვენ ამით ვკმაყოფილდებით? არასოდეს ეს არ გვითქვამს. ჩვენ ამას ვხმარობთ წინსვლის შესადარებლათ. ვინ თქვა, რომ ეს არის საზღვარი, რომლის იქით არ მივდივართ? პირიქით, ეს არის ჩვენთვის უახლოვესი საზღვარი, მაგრამ საჭირო იყო მისი გადალახვა. რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ რევოლუციის პირველ ხანებში?

განადგურებული იყო ყველაფერი და ამას უნდოდა აღდგენა. ის ამბობს: ამაში კი არ არის საქმე, არამედ უმაღლესი მორალის შექმნაშიო, მაგრამ ეს არის მხოლოდ ერთი მხარე. მორალიც არის და მორალიც, მაგრამ რომელი მორალი? თქვენ ამ მორალს ეძებთ წარსულში. პირდაპირ ასე ამბობთ: მარქსიზმი წარსულს არ უარყოფსო. რა თქმა უნდა არ უარყოფს! როგორ შეიძლება წარსულის უარყოფა? წარსული არის ფაქტი, ფაქტის უარყოფა კი შეუძლებელია. შეიძლება წარსულის კრიტიკა, მისი გამოყენება, მაგრამ არა უარყოფა. რასაკვირველია, მარქსი უდიდესი მცოდნე იყო წარსულისა, ის არისტოტელიდან იწყებს თავის კრიტიკის ახსნა-განმარტებას. ის იყენებდა არისტოტელს, პლატონს, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარქსი იზიარებდა არისტოტელის მორალს. თქვენ კი გნებავთ, რომ ეს მორალი, რასაკვირველია, ძველი საქართველოს ისტორიაში მონახოთ. თქვენ ამბობთ, ჩვენ წარსულში ბევრი ნაკლი იყო მაგრამ, იქ დაგროვილია ბევრი ზნეობრივი ძალა, ენერჯია და იქ ეძებთ სა-

დღეისო საზრდოსო. ეს არის წმინდა წყლის მისტიციზმი. ამას არაფერი საერთო აქვს თანამედროვე მეცნიერებასთან. „არიფიონს“ მე კიდევ დაუბრუნდება.

ტიციან ტაბიძის შესახებ ვიტყვი მხოლოდ, რომ მე მას მივეცი რეპლიკა, ეს იყო: „სირცხვილი“ (назор). ეს არ ეკუთვნის რასაკვირველია არც ამხ. ტ. ტაბიძეს და არც ამხ. სუტირინს. ეს გამოხმაურება იყო ემპირიული, რომ მთელ ქართულ მწერლობას ყავდა პროგრესიული ძალები და ჩამოთვლილია რამდენიმე და „თითქმის ნინოშვილიცაო“. მე არ შემეძლო არ გამოგხმაურებოდი ამას, მაგრამ საქმე სხვანაირათ ყოფილა და ეს საკითხი ამოიწურა.

ეხლა ორიოდე სიტყვა მიხ. ჯავახიშვილის შესახებ. მეუბნებიან, რაღა მართა იმის „დამპატიჟე“ დაინახე და არა სხვაო? ვთქვათ იქ ბევრი კარგი მწერლებია, მაგრამ მე არ წამიკითხავს. მე შემხვდა ხელში ორი წერილი: ერთი იყო „დამპატიჟე“ და მეორე გერონტი ჭიჭოძის წერილი. გვისაყვედურებენ, თითქოს ჩვენ უარყოფითი ტიპები არ გვესიამოვნებოდეს ლიტერატურაში. ვინ ამბობს, რომ უარყოფითი ტიპი არ უნდა იქნეს გამოყენებული? მაგრამ გამოყვანა ისეთ ნაირად, თითქოს დღევანდელი სისტემა უწყობს ხელს მსგავს არამზადებს, ეს დაუშვებელია. დამეთანხმეთ, ეს ნაწარმოები ისეთ ნაირად არის დაწერილი, რომ ამ დამპატიჟეს ყავს თავის დამქაშები, თავისი მეგობრები, რომლებიც მუქთახორობენ, სარგებლობენ თავის მდგომარეობით და ხელს უწყობენ ასეთ ვაჟბატონებს. გვეკითხებით: შეიძლება ეს მოთხრობა მივსცეთ ხელში ჩვენს გლეხს? ეს მასზე მოახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობს ყველა ამას. მე არ გეუბნებით, რომ ეს მოთხრობა დამპატიჟეს დაპატიმრებით დაგეთავებიათ. თქვენ ეს უნდა გამოგეყვანათ ისე, როგორც მაცდური, რომელიც არღვევს საბჭოთა ხელისუფლების კანონებს. მაგრამ თქვენ ეს არ ქენით. მე აქ გადაჭრით ვიტყვი, რომ ძალიან ნაკლები დრო მაქვს და არც მექნება მომავალში, რომ მხატვრული ნაწარმოები ვიკითხო, მაგრამ მიხეილ ჯავახიშვილს ჩვენ კარგად ვიცნობთ, და როცა გვეკითხებიან, რაღა მაინც და მაინც მაგას ჩააცივდითო, მე ვამბობ, რომ მიხეილ ჯავახიშვილს ბევრი ნაწერები აქვს, ბევრი მკითხველები ჰყავს და დამპატიჟესნაირი ყალბი ტიპები ცუდ შთაბეჭდილებას ჰქმნის მასაში. ჩვენ ძალდატანებას, რასაკვირველია, ვინმეზე არ დაუშვებთ, მაგრამ მითითება კი შეგვიძლია. ჯავახიშვილი აქ აცხადებდა, რომ არ უნდა იყოს „შებოქვილი თემის ალებაო“. ეს მართალია, მაგრამ ყველაფერი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ შეეფერებოდეს დღევანდელ მდგომარეობას. ჩვენ ამაში დაინტერესებული ვართ, ჩვენ აქაც ნამდვილი პროგრესის მატარებელი ვართ. მიხ. ჯავახიშვილმა აქ აღნიშნა, რომ ჩვენ ვხელმძღვანელობთ ქრისტიანული მორალითო. ამან გამოიწვია ერთგვარი სიცილი, აბუჩად ალება. როგორ გგონიათ, ეს სამღვთო მორალათ უნდა გაეიგოთ? თქვენ იცით, რომ ტოლსტოი არ იყო რაიმე ღმერთის თაყვანისმცემელი, მაგრამ ის მიმდევარი იყო ქრისტეს მორალის—ეს აშკარაა. ის დიდი მწერალი იყო და საბჭოთა ხელისუფლება დიდ პატივს სცემს მას. რა თქმა უნდა, მისი ნაწერები არ უდგება ჩვენ დიალექტიურ-მატერიალისტურ, პროლეტარულ ფილოსოფიას.

სრულებით არ უდგება, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მას მასხარათ არვილებთ, პირიქით, დიდ პატივსაც ვსცემთ. მე მგონია ასე ესმოდა მიხ. ჯავახიშვილს, როდესაც ის ამბობდა ქრისტიანულ მორალის შესახებ. საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, მორალის საკითხი დიდი ამოცანაა. მეც მინდა ამის შესახებ მოგიყვანოთ ბუხარინის სიტყვები, რომელსაც აქ ხშირად იხსენიებდნენ, ამხ. ბუხარინი ამბობს:

ყოფა-ცხოვრების მხრივ, ადამიანთა ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმების მხრივ, ხელოვნების მხრივ და სხვა მრავალთა, რაც წარმოადგენს ეგრეთ წოდებულ „სულიერ კულტურას“, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოვწყობილვართ. ზოგიერ შემთხვევაში ჩვენ მოწყობის წინასწარი გეგმაც-კი არა გვაქვს შედგენილი. ამას ხშირად ძალიან ცუდი უარყოფითი მნიშვნელობა აქვს. ყველამ იცის შესაფერი მაგალითები ყოფა-ცხოვრების და საზოგადოებრივ ურთიერთობის სხვადასხვა სფეროებიდან მაგალითად: უკვე დარღვეულია (და მართლაც დასარღვევი იყო) ძველი თჯახურ-სქესობრივი მორალი. მაგრამ ჯერჯერობით ნაკლები ზეგავლენა აქვს ამ დარღვის ყოფა-ქცევის ახალ ნორმებს, რომლებიც მხოლოდ ებლა მუშავდებიან. აქედან, ამ გარდამავალ მდგომარეობიდან გამომდინარეობს ზოგიერთი დამახინჯებული და ყოვლად შეუფერებელი თვისებანი ჩვენი ყოფისა. დაირღვა მოაქლეებისა და მოსამსახურეების „ოცი რიცხვის“ ძველი იდეოლოგია. მაგრამ ჯერ არ გამსჭვალულან სავსებით მწრომელთა სასარგებლოდ მუშაობის იდეოლოგიით, არ გამსჭვალულან პატივისცემით „მთხოვნელისადმი“, განსაკუთრებით მწრომელი „მთხოვნელისადმი“, არ ესმით მომჭირნეობა სახელმწიფოებრივ ქონებისადმი და სხვა.

როგორც ხედავთ, ჩვენ გვაკლია ბევრი რამ. თქმა იმის, რომ ყველაფერი უკვე გამორკვეულია, ყველაფერი თავის კალაპოტშია ჩამოსხმული, არ შეიძლება. ეს არის პროცესი გარდაქმნის, რომელიც იწვევს ბევრ სიმახინჯეს ცხოვრებაში. ამას ჩვენ ვებრძვი.

შევეხები „არიფონს“. აქ არის ნათქვამი:

თანამედროვე დიდმა ებოქამ ახალი ადამიანი წარმოშვა და ახალი მსოფლმხედველობა, შეგრძნება, მორალი და გემოვნება მისცა. მაგრამ ამ ადამიანს ჯერჯერობით ვერ უპოვნია თავისი სრული სახე დღევანდელ ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

ასოციაცია „არიფონის“ მიზანს შეადგენს—ეს სახე გააცხადოს ლიტერატურაში.

და შემდეგ:

არიფონს მიზნად აქვს დასახული ხელი შეუწყოს თავის წევრთა შორის და ყველგან მხატვრულ მეტყველების, აზროვნების კულტურას, ქართულ სიტყვასა და თქმის დაწმენდას და ადამიანის კულტის განმტკიცებას.

ადამიანის კულტის განმტკიცება! (ხმა: რომელი ადამიანის). აი საქმე იმაშია, რომ ეს მეტად განყენებული დებულებაა. მე არ მგონია, რომ ეს გვკვირდებოდეს. ეს მართლაც იყო მე-18 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში. იქ ერთნაირი რეაქცია იყო კატოლიციზმის და მონარქიული აბსოლიუტიზმის წინააღმდეგ. ამიტომ ამ იდეას გამართლებაც ქონდა მაშინ. დღევანდელ პროლეტარულ რევოლუციის ხანაში კი რას წარმოადგენს ასეთი ზოგადი ხასიათის დებულება? დღეს ასეთი რამ ზედმეტად მიგვაჩნია.

გერონტი ქიქოძის წერილში არის ერთნაირი შექება ქართველი ბოლშევიკის, არც ეს არის სრულიად მისაღები. აი რას ამბობს ის:

დიდად ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თანდათან ხელმძღვანელ ადგილებს იკვირებ. ეს როდია გასაკვირი. საბჭოთა ქვეყნის ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია კულტურულ და სახელმწიფოებრივი ტრადიციებით. ამას გარდა, დღევანდელი ქართველობა ისეთივე შეუდრეკელობას იჩენს რევოლიუციის მემკვიდრეობის დაცვაში, როგორსაც ჩვენი წინაპრები სარწმუნოების და ეროვნული თავისებურების დაცვაში იჩენდნენ. ეს, თუ გნებავთ, — ერთგვარი რელიგიური ექსტაზია. მემკვიდრეობის საქართველოს უღრან ტყეებიდან და სუროიან ციხე-კოშკებიდან გამოსული ადამიანები ძლიერ ნაკადს შეიტანენ ახალი რწმენის შემუშავებასა და ახალი კულტურის დამყარებაში.

გერონტი ქიქოძე ქართველ კომუნისტს უპირდაპირებს რუს კომუნისტს და ამაზნა აქ ლაპარაკი. ასეთი დაპირისპირება ყოველად მიუღებელია ჩვენთვის და შეუფერებელი. ამ დაპირისპირებაში გამოსკვივის ნაციონალისტური სული და ასეთ ქება-დიდებას ვერც ერთი ქართველი კომუნისტი ვერ შეიფერებს. „დღევანდელი ქართველი კომუნისტი ისევე შეუდრეკლად იცავს რევოლიუციას, როგორც ჩვენი წინაპრებიო“. ყველაფერი ეს ლამაზია, პოეტურია, მაგრამ რალაც შეუსაბამოა, უღრან ტყეებიდან და ციხე-კოშკებიდან გამოსული „ბოლშევიკები“ ვერ წარმომიდგენია. ობიექტიური კრიტიკა შემდეგში უფრო დაწვრილებით გამოიკვლევს ყველაფერ ამას. აქ კი მოვალე ვიყავით აღგვენიშნა უმთავრესი ნაკლულევანებანი. ეს მწერლები, ვინც დაჯგუფებულია „არიფიონში“, ყველა სასარგებლო მწერალია აუცილებლათ, ყველა საჭიროა ჩვენთვის, მაგრამ მათ თავიანთი შემოქმედება აუცილებლად უნდა ჩამოაყალიბონ თანამედროვე ეპოქის ატმოსფეროში.

აქ იყო წამოყენებული, სხვათა შორის, პაოლო იაშვილის სიტყვაში, ტექნიკური და იდეოლოგიური ინტელიგენციის საკითხი. იაშვილმა სთქვა, რომ ტექნიკური ინტელიგენციის გამოყენება შეიძლება — თუ გინდ ის არ იყოს განმსჭვალული საბჭოთა მსოფლმხედველობით. არ არის ეს მართალი. არც ეს ტექნიკური ინტელიგენცია ვარგა, თუ ჩვენი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შესაძლებელია მისი გამოყენება. რაც შეეხება მწერლებს, აქ უფრო სხვა მოთხოვნილებაა. არ შეიძლება მათი მექანიკური გამოყენება, შეიძლება დასვა ინჟინერი და უთხრა ესა და ეს გააკეთეო. ეგებ იქ შეცდომა აღმოჩნდეს, მაგრამ ამის გასწორება შეიძლება. მაგრამ როგორ გინდა, მწერალი დასვა და უთხრა, შენ ეს ლექსი დასწერეო? აქ არავითარი დეკრეტით საკითხი არ გადაწყდება და არაფერი გაკეთდება.

შემოქმედებისათვის საჭიროა აგრეთვე სერიოზული კრიტიკა, ჩვენ ვამბობთ, რომ მწერლობაშიაც უნდა შეიქრას ერთნაირი რევოლიუცია არა ისეთი, როგორც ეს ესმის ბესო ჟღენტს. აქ უნდა მოხდეს რევოლიუცია, მაგრამ ეს რეცეპტებით არ მოხდება. რეცეპტებით საქმის გაკეთება რომ შეიძლებოდეს, დავსწერდით და გამოუშვებდით, მაგრამ ეს ასე არ არის. აგრეთვე, აქ ბევრმა აღნიშნა, რომ ქართული ენა მახინჯდებაო. ამის შესახებ საჭიროა ზომების მიღება. ქართული ენა, მე არ ვიტყვი, რომ იყოს ყველა ენებზე მდიდარი, როგორც ამას ზოგიერთები ამბობენ. ჩვენ შეთვისებული გვაქვს სხვადა-

სხვა ენებიდან სიტყვები—სპარსულიდან, ოსმალურიდან, არაბულიდან, ყველა ეს სიტყვები შესისხლხორცებული გვაქვს. არავინ არ ებრძვის მას. მაგრამ თუ აიღო ვინმემ ევროპიულ ენიდან ან რუსულ ენიდან ტერმინი, მაშინათვე შეიქნება ბრძოლა. ამბობენ, რომ აუცილებლად საჭიროა გამოგონება ახალი ტერმინისა. რამდენი არის ასეთი? ამაზე ერთნაირ მზრუნველობას იჩენს მთავრობა და არსებული არის ცალკე სათერმინოლოგიო კომისია (გ რ ი შ მ მ წ რ ლ ე ბ ი არიან შიგ?) არ არიან. ეს ნაკლია. და უნდა მოვიწვიოთ ისინიც. ზოგიერთი მწერლები, რომლებიც დღეს გამოვიდნენ ასპარეზზე, ამ შემთხვევაში მე მხედველობაში მყავს ახალგაზრდა პროლეტარული მწერლები, არ იცნობენ ენას და უნდა გაეცნონ. ისინი ახალგაზრდანი არიან, რევოლუციის დროს გამოვიდნენ ასპარეზზე და მე მესმის, რომ მათ არ აქვთ დრო ამისათვის. მაგრამ უნდა ისწავლონ, იკითხონ, რომ არ დაგვჭირდეს ისეთი სიტყვების ხმარება, როგორც „გადამყიდველები“ და სხვა ასეთი. ამას მაინც და მაინც შეურაცხყოფათ ნუ მიიღებთ. მე არ გძრახავთ. ეს მხოლოდ ნაკლია, რომელსაც უნდა მითითება და გამოსწორება. ვისაც უნდა ხალხთან მივიდეს, აუცილებლათ ენა უნდა შეისწავლოს, თორემ სწორეთ რუსულ ენაზე, თუ უფრო გემარჯვებათ, აქ დასაძრახისი არა იქნება რა. (პროლეტარულ მწერლებს ემჩნევათ ღელვა) აქ ასაღელვებელი არაფერი არის. აიღეთ ძველი გამოცემანი, წაიკითხეთ. ის კარგი ქართული ენით არის დაწერილი. უნდა შეისწავლოთ ენა, ტექნიკა, მე ამას გირჩევთ და თუ მიუღებელია თქვენთვის, ეს თქვენი საქმეა, მე არ გაიძულებთ. აიღეთ ძველი „კვალი“, რომელსაც ვცემდით, იქ სხვანაირი ენაა, გასაგები ენაა. ჩვენ ვსცდილობდით ხალხისთვის, მუშისათვის გასაგები ენით დაგვეწერა და ვმუშაობდით მის შესწავლაზე. ეს ახალი ენა, რომელიც ეხლაა შემოღებული ნაჩქარევია. ეს არ არის დამყარებული საუბრედიანი ცოდნაზე. რევოლუცია არ გვაძლევს დროს დავისვენოთ, უკან მივიხედოთ. ის ნაკლებ საშუალებას გვაძლევს ამისათვის. ეს კი აუცილებლად საჭიროა.

აქ ერთ საკითხს დავსვამ გულახდილად ისევე, როგორც საზოგადოთ აქამდე ვლაპარაკობდით. ბევრი შეხლა შემოხლა იყო აქ. ბევრი უსიანოვნება მიიღო ზოგიერთმა. ისე არ შეიძლება, თუ ვისმეს რამე არ ეწყინა. მე არც ერთ ჯგუფს არ უწევ მფარველობას, ან რა საჭიროა? ყრილობაზე შეკრებილი არიან სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები, ჩვენ უნდა ერთიმეორეს ხმა გავიგოთ. ეს უმთავრესად ითქმის პროლეტარულ მწერლობაზე და აკადემიურ მწერლობაზე. (მ უ შ ი შ ვ ი ლ ი: სასულიერო აკადემია! ქ უ მ ბ ა ძ ე: სამეცნიერო აკადემია, თუ გნებავთ. სიცილი) სწორეთ მათ შორის გამწვავებულია მდგომარეობა: ეს ბუნებრივია. სხვას რომ თავი დავანებოთ, აქ დაპირდაპირებაა ახალგაზრდობისა ძველ თაობასთან. გარდა ამისა მსოფლმხედველობასაც უნდა გაეწიოს ანგარიში. პროლეტარული მწერლობა აქ უნდა იცავდეს თავის მსოფლმხედველობას, მაგრამ უნდა მისცეს შესაძლებლობა მეორე ჯგუფებს თავიანთი შეხედულებებიც დაუპირდაპირონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რა საჭირო იქნებოდა მთლიანი ყრილობის მოწვევა თუ კი ერთმანეთს არ მოუსმენდით? ეს ჯგუფები ყველანი ქართველი მწერლებია, ჩვენ ამ ორი წლის წინათ მოვიწვიეთ პირველი

ყრილობა და გავაერთიანეთ ქართული მწერლობა და აი ეხლა, ორი წლის შემდეგ, მოვიწვიეთ მეორე ყრილობა როგორც მთლიანათ შეკავშირებული ორგანიზაცია. ეს მეტად სერიოზული ფაქტია.

რა დასკვნამდე უნდა მივიდეთ ამ კამათის და მსჯელობის შემდეგ? არის ჩატეხილი ხიდი ყველა დაჯგუფების მწერალთა შორის და ქართველ ეპარატის შორის თუ არა? მე მგონია, რომ ეს ხიდი ჩატეხილია. ეს ხიდი გამთელებულია.. როგორ გგონიათ, ყველა იმის შემდეგ, რასაც თქვენ აქ ხედავთ, რასაც დღეს აქ ადგილი აქვს, განა იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ მოვევლინეთ ქვეყანას როგორც ძველი ჰუნები, როგორც ძველი ვანდალები და დავანგრიეთ ყველაფერი? ნუ თუ საჭიროა, არ ვიცნოთ ძველი კულტურა? ეს ჩვენ არ გვითქვამს, ყველა ამ ფაქტების შემდეგ, რაც ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს ამისთანა ჭორების გავრცელებას არავითარი შედეგი არ ექნება. ასეთ ჭორებს სალი გონების ადამიანები აღარ უნდა ავრცელებდნენ, და კიდევაც რომ გაავრცელონ, მე მგონია, მას მხარს არ დაუჭერენ საზოგადოების ფართე მასები. ჩვენი ხელისუფლება, დღეს აწარმოებს ერთობ დიდ საქმეს, რომლის შედეგიც არის მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება, მათი ამოყვანა დღის სინათლეზე, მისი დარაზმვა არა ისე, როგორც ეს წინედ იყო, არამედ მისი დარაზმვა სოციალიზმის ასაშენებლად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მწერლები მოვლენ ასეთ ხელისუფლებასთან არა იმიტომ, რომ ვინმემ მათ ძალა დაატანოს, არამედ თავის საკუთარი სურვილით და შეუდგებიან ამ საერთო საქმის აშენებას.

ქართული მწერლები—გეორგი ყრილობის შესახებ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ რობაქიძე

ყრილობის ღერძი თანადროულობის საკითხი იყო. თითქმის ყოველი თქმული ამ საკითხისაგან გამოდიოდა და მასვე უბრუნდებოდა. ეს არც საკვირველია: დღეს ეს საკითხი ყველაზე უფრო აქტუალურია. სეისმოგრაფი უნდა იყოს სმენა ხელოვანის, რომ მან იგზნოს თანადროულ ეპოქის ტეხილები. ხელოვანის თვალი შინაგან უნდა მზერდეს საგანს თუ მოვლენას. მხოლოდ ამ გეზით შეიძლება თანადროულობის ორგანიული სხეულყოფა.

ყრილობაზე ბევრი რამ ითქვა ამ მხრით საგულისხმო, გაკამათებით თუ გაბაასებით. აზრების ასეთი შეხვედრა ერთიმეორესთან უთუოდ გაუადვილებს რამოდენიმედ მაინც ხელოვანს მხატვრული ვალის ასრულებას ამ რთულ საქმეში.

ერთი რამ იყო კიდევ ყურადსაღები ყრილობაზე, თითქო ზემოაღნიშნული-საგან გამომდინარე: საჭიროება მოკავშირე რესპუბლიკების მწერლებთან დაახლოვებისა ერთი მეორის გაცნობის და შემოქმედებით განოყიერებისა. ესეც მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა.

არ შემიძლია აქვე არ აღვნიშნო კიდევ ერთი ფაქტი, მეტად სასიხარულო: ახალგაზრდა ძალების ზრდა და ასპარეზზე გამოსვლა.

ალ. აბაშელი

საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე ყრილობამ ცხადყო ერთი დიდი მნიშვნელობის ფაქტი: რომ პირველი ყრილობის შემდგომ ორ წელიწადს არ ჩაუვლია უქმად და ქართველ მწერალთა ფართო წრეები ჩაბმულან კულტურულ მუშაობის იმ დიდ პროცესში, რომელიც ასეთის ინტენსიობით სწარმოებს ჩვენს ქვეყანაში.

ყრილობას არ ჰქონდა ვიწრო ორგანიზაციულ-ცეხური ხასიათი, მან თავის მუშაობის ფარგლებში მოათავსა კულტურული რევოლუციის პრობლემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა გარკვევაში დელეგატების დიდმა უმრავლესობამ უჩვეულო აქტიუობა გამოიჩინა.

მეორე მხრით, ამ ყრილობამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა კავშირის ორგანიზაციული ფორმა და მისცა მას ჩვენი დროისათვის შესაფერი სახე. პირველმა ყრილობამ გააერთიანა მწერალთა დამოუკიდებელი და ხშირად ერთმანეთისა-

დმი მტრულად განწყობილი, დაჯგუფებანი და განვლილმა საერთო მუშაობამ დაუახლოვა ერთმანეთს წინათ მოქიშვე ჯგუფები და მათს ურთიერთობას მისცა უფრო ამხანაგური და კულტურული მიმართულება.

მეორე ყრილობამ ამ უკვე მომზადებულ ნიადაგზე საფუძველი/ ჩაუყარა მწერლობის უფრო მაღალი ტიპის ორგანიზაციას: საბჭოთა მწერლობის ფედერაციას, — რომლის ფარგლებში საშუალება მიეცა „ყოველს“ დაჯგუფებას, გამოაჩინოს თავისი შემოქმედებითი უნარის მაქსიმუმი.

თუ პირველ ყრილობას ჰქონდა უაღრესად დეკლარატიულ-ორგანიზაციული ხასიათი, მეორე ყრილობამ დაასრულა საორგანიზაციო მუშაობა და ენერგიულად მოზინჯა მომავალი საქმიანობის პერსპექტივა.

ქართულმა მწერლობამ ახლა მთელი თავისი ძალდონე უნდა დააგუბოს შემოქმედებითს მუშაობაში, რათა ასწიოს მხატვრული პროდუქციის როგორც რაოდენობითი, ისე უმთავრესად, თვისებითი დონე და განსაზღვრული მიღწევებით წარსდგეს მესამე ყრილობის წინაშე.

ლევო ჰილჩალი

მწერალთა გაერთიანებული კავშირის II ყრილობის მთავარ მომენტად მე მიმაჩნია ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება კულტურული რევოლუციის შესახებ და ამ მოხსენების გარშემო გამართული კამათი. მთავარი იყო იგი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მომხსენებლად ფილიპე მახარაძე გამოვიდა, — კულტურული რევოლუციის პერსპექტივა ქართველი მწერლის წინაშე უდიდეს შესაძლებლობას შლის. ამ შესაძლებლობის შესახებ ბევრი ილაპარაკეს ყრილობაზე.

მე მინდა აქ აღვნიშნო კიდევ ერთი რამ: კულტურული რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა მასების გონებრივი ინტერესების გაფართოვებას მოასწავებს და ამასთან დაკავშირებით ქართული წიგნის ტირაჟის გადიდებას 2-3 ათასიდან 200-300 ათასამდე. ეს ამბავი კი სულ ერთიანად გამოუცვლის ჩვენს მწერლობას სახესაც და შინაარსსაც. — მოხდება რაოდენობის თვისებაში გადასვლის სასწაული და სხვა ბევრი საკვირველება ამნაირი. მაშინ ქოხ-სამკითხველოს პრობლემა თავის თავად მოიხსნება და თითოეული გლეხი თავის ეზოში გამართავს სამკითხველოს. ამნაირად საქართველოში იმდენი სამკითხველო გაჩნდება, რამდენიც იქნება სახლი სოფლად თუ ქალაქად.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კულტ. რევოლუცია ბევრ სხვა უბედურებასა და დაავადებასთან ერთად უთუოდ უბადრუკსა და ცრუ კრიტიკასაც ააფეთქებს, რომელიც „უმკითხველო“ ლიტერატურაში ხშირად ფეხს იკიდებს ხოლმე და ჰაერს სწამლავს.

ასეთი და კიდევ ასეთივე ათასი ფიქრი მომდიოდა თავში, როცა კულტ. რევოლუციის შესახებ მოხსენებასა და იმის გარშემო გამართულ კამათს ვისმენდი.

და ვამბობ: კულტურული რევოლუციის ფრონტი, ეს მწერლების ფრონტია. ამ ფრონტზე პირველ რიგში ბრძოლა მწერლებს მმართვებთ. ჩამორჩება მხოლოდ ის, ვისაც ბევრი და შეგნებული მკითხველის ეშინია და ცრუ კრიტიკაზე რასმე იმედს ამყარებს. მაგრამ ასეთი კაცი ყრილობაზე არ გამოცხადებულა.

დასასრულ, ახალ არჩეულ საბჭოს ვუსურვებ ისე შემფიქრებლად გამოეყენებინოს საქართველოს მწერალთა ენერგია და ნიჭი, როგორც ამას კულტურული რევოლუციის ორგანიზაციის საჭიროება მოითხოვს საქართველოში...

დემნა ზენგელაია

მწერალთა ყრილობის მთავარი საკითხი, რომლის ირგვლივაც ყველა ორატორები ტრიალებდნენ, იყო თანამედროვეობის საკითხი.

მწერალი თანამედროვეობის გარეშე ფიქციანა, თუ ის ეპოქის ტონუსსა და პულსაციას არ გრძნობს, თუ ის არ არის შვილი თავისი ეპოქისა და მისი ინტერესებისა, ის მოწყვეტილი იქნება დროის ყველა აქტუალურ საკითხებს და ლიტერატურას გვერდით აუვლის.

ქართველ ხალხსა და მის დიდ მწერლებს მწერლობა, უწინარეს ყოვლისა, მიაჩნდათ ხალხის კულტურულ დონის ამწევე საშუალებად, მწერლები იყვნენ „გარემოების საყვირი“ და არ მღეროდნენ მხოლოდ და მხოლოდ, „ვით ფრინველი გარეგანი“, და ისინი წმინდა ლიტერატურულ მუშაობასთან ერთად არ ერიდებოდნენ „ბანკობიებსა“ და სხვადასხვა „რამე-რუმეებს“.

ეს საკითხი განსაკუთრებულის სიმწვავეით დააყენა ჯერ კიდევ წარსულ ყრილობაზედვე იმ ლიტერატურულმა დაჯგუფებამ, რომელშიც მე შევდივარ და, ვფიქრობ, რომ საკითხს ამ მხრივ ყველაზე სწორად ჩვენ ვუდგებით.

ჩვენ წინააღმდეგი ვართ ყოველგვარი იკონოგრაფიისა და ჩამორჩენილ ესტეტიზაციისა ხელოვნებაში. მე ვფიქრობ რომ ყველაზე „მშვენიერი“ არის ფაქტი და რეალობა. ეს შესანიშნავად იცოდნენ დიდმა კლასიკოსებმა, ისინი ფაქტიურ მასალაზე მუშაობდნენ და რატომღაც იმ ხალხს, რომელსაც ყველაზე მეტი პრეტენზია აქვს კლასიკოსობისა, ეს ავიწყდება და იმ ძველ ხერხებს იმარჯვებენ, რომელიც, თუ გულის ამრევი არაა, მეტად ჩამორჩენილი მაინც არის. ამიტომ ვართ ჩვენ ბელეტრისტიკის სიკვდილისა და ფაქტოლოგიურ და დოკუმენტალურ რომანის მომხრე.

მწერალთა ყრილობაზე გამოთქმული შეხედულებები თანამედროვეობის შესახებ უნდა იყოს ის მაგისტრალი ხაზი, საითაც უფრო მეტი გაბედულობით უნდა წარიმართოს ქართული მწერლობის მომავალი, მასალა, მისი დანიშნულება და შესრულება. მართალია, თანამედროვე ყოფა ყოველ წუთს კალეიდოსკოპურ სისწრაფით იცვლება, ძველს ახალი ყოფა სცვლის, რადგან რევოლუცია ჯერ კიდევ პროცესშია და მწერალი, რომელიც ასეთ პირობებში ეძებს მასალას რომანისათვის სტაბილურ ყოფისას, იბნევა. ასეთ პირობებში საკითხი,

რომელიც აქტუალურია დღეს, ხეალ ჰკარგავს თავის სიმძაფრეს, რადგან რევოლუციონარული დაკვირვითი წესით სწყვეტს ყველა საკითხს და აქ რომანი, როგორც ლიტერატურული ჟანრი, მიიშლება, ტლანქი და ვერ არის მოქნილი. ეს ვერ ასწრებს საკითხზე პასუხის გაცემას, რადგან რომანს წლობით უნდა მუშაობა და ამიტომ „მემარცხენეობის“ პროზაზე მონუმენტალური წინაშე მეტად მწვავედ სდგას საკითხი, უარყოფთ ეს ჟანრი და მივიღოთ საგაზეთო შენიშნაობის და ტელეტონური მიმოხილვითა ხერხები ლიტერატურულ ჟანრად თუ არა.

ამის გადაწყვეტა მეტად ძნელი საქმეა, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ის ათი-ათასები, რომელნიც წერა-კითხვას სწავლობენ და ის ახალგაზრდები, რომელნიც ასე დაეწიფენ საშუალო და უმაღლეს განათლებას, მოითხოვენ სახრდოს: ლიტერატურას და უმთავრესად—რომანს. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება უნდა, ახალგაზრდობას საკითხავი წიგნი არა აქვს. ამ საქმეს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს სახელგამმა და დღის ამოცანად უნდა დაისვას, რაც შეიძლება მეტი თარგმნილი ლიტერატურა იქნეს გამოცემული.

არ არის ქვეყანაზე ერი, რომელიც მხოლოდ ორიგინალური ლიტერატურით იკვებებოდეს; ეს, თუ გნებავთ, ტირაქის საკითხიც არის, რადგან მკითხველი ეჩვევა წიგნით ცხოვრებას, წიგნი მისი ცხოვრების პირველ მოთხოვნილების საგნად იქცევა. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ეგნატე ნინოშვილი და ალ. ყაზბეგი არაფერი არ იქნებოდნენ და უმნიშვნელოდ ჩაივლიდნენ ლიტერატურაში, რომ მათ გაზეთები და მსხვილტანიანი ჟურნალები არ წამოეხმარებინათ თარგმნილ ლიტერატურით. ამ ტენდენციამ მოგვცა ჩვენ წარსულში ისეთი გენიალური მთარგმნელი, როგორიც ივ. მაჩაბელი იყო.

შემდეგ ყრილობაზე დასმული იყო სახელმწიფო კინომრეწველობის საკითხი, რომელიც სახელმწიფო დრამის ასე გამწვავებულმა საკითხმა მთლად დაჩრდილა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ კინომრეწველობას არაფერი არ მოუცია გარდა იმ კაბარეს სტილით დადგმული „კავკასიური“ სურათებისა, რომელიც არის „აბრეკ ზაური“, „კნიაჟნა მერი“ და სხვა იაფფასიანი კარამელის კამფეტები, იმ დროს, როდესაც სოფელი ჩვენ თვალწინ ძირეულ გარდაქმნასა და გარდაქცევას განიცდის. მეორე, მე ვფიქრობ, რომ კინო არის ყველაზე უფრო მასსიური ხელოვნებათა შორის, რომელმაც უნდა მოახდინოს ჩვენი გლეხობის ფსიხიკისა და შეგნების ორგანიზაცია. ასრულებს თუ არა ამ დაკვეთას ჩვენი კინომრეწველობა თავის გამოშვებულ და ჩამოტანილ სურათებით? რასაკვირველია, არა.

ასევე იდგა დრამის საკითხიც.

დასასრულ, საბჭოთა მწერლების დაჯგუფებათა ფედერაციის შესახებ: ჩემის აზრით, ეს არის საუკეთესო საშუალება იმისათვის, რომ დაჯგუფებებს მეტი გასაქანი მიეცესთ თავისი საქმიანობის განვითარებისათვის. მწერალთა კავშირი იყო ის ტლანქი აპარატი,—ხელოვნურად შეკოწიწებული,—რომელიც თვითონ ვერაფერს აკეთებდა და შიგ შემავალ კორპორაციებს კი საშუალებას არ აძლევდა თავისუფალი მუშაობის წარმოებისა.

ბიბლიობრაფია

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მაქსიმ გორკი. მოთხოვნები თარგმნილი ნ. ხუციშვილის მიერ. გამომცემლობა „შრომა“. ტფილისი, 1928. გვ. 112, ტირაჟი 2500. ფასი 35 კ.

მაქსიმ გორკი დიდი მწერალია, ეს უდაოპეშმარიტებაა. მთელ მსოფლიო ლიტერატურაში პირველი ადგილთაგანი უკავია გორკის. დიდი ხანია გორკიმ გადალახა „ნაციონალური საზღვრები“ და მსოფლიო მწერალი შეიქნა. რატომ, რისთვის? აქ ორი მომენტი ხაზგასასმელი: თემა, რომელსაც გორკი ყველაზე ადრე შეეხო და ამ თემის მხატვრულად შესრულება.

მართლაც, მეტი რა უნდა ვეძიოთ ჩვენ მხატვრულ ლიტერატურაში. შინაარსისა და ფორმის დაკმაყოფილება მაქსიმალური მოთხოვნაა, რომელსაც ჩვენ მწერალს ვუყენებთ. გორკი სწორედ იმიტომაა ხელოვანი და მხატვარი, რომ მისი შემოქმედება მართლაც მხატვრულადაა შესრულებული, ჩამოსხმულია მხატვრულ ფორმაში, მაგრამ ეს არ იყო და არც არის საკმარისი. ეს ერთი მხარეა საკითხის. აქ საინტერესოა მეორე მხარე—სიტყვის მასალა, თემა, მხატვრულ ნაწარმოების შინაარსი, რომელიც გადაშტრელ როლს თამაშობს მწერალ-ხელოვანის ნიჭისა და შემოქმედების შეფასებაში. აქაც გორკი ძლიერია, ხერხემალ მაგარი, ნაყოფიერი.

რთულია საზოგადოებრივი ცხოვრება, ადამიანთა ურთიერთობა. ამ ცხოვრებასა და ურთიერთობას სათანადო ფორმულებში სჭირდება ჩამოყალიბება. ამაზე მუშაობს მეცნიერული სოციოლოგია. მაგრამ განა სოციოლოგიურ ფორმულებით ამოიწურება ცხოვრების დამახასიათებელი დეტალები? არა, აქ „კანონს გარეშე“ რჩება დიდძალი მასალა, „წერილმანები“, რომლებიც, როგორც იტყვიან, ცხოვრების ქონს შეადგენენ. არის მოვლენები, ფაქტები, განსაზღვრულ ფორმულებს გარეშე დარჩენილი. ადამიანის შემეცნება კი მიილტვის „ყოველივეს შეცობისაკენ“. აი, სწორედ, აქ აშკარადდება მხატვ-

რული მწერლობის, მხატვრული ლიტერატურის დანიშნულება და მოვალეობა. მაქსიმ გორკის შემოქმედება იმით არის განსაკუთრებული, რომ ეს შემოქმედება მთელი ფილოსოფია ცხოვრების, მხატვრული სოციოლოგიაა, თუ შეიძლება ასე ითქვას.

საბჭოთა რუსეთში კამათი გაიმართა გორკის შესახებ. დაობენ, არის თუ არა მაქსიმ გორკი პროლეტარული მწერალი, რა თქმა უნდა, ლენინის მიერ გორკის დაწასიათების შემდეგ ძალიან ძნელია—თუ არ ვიტყვით—შეუძლებელია, — გორკის, როგორც პროლეტარული მწერლის, უარყოფა. ვინც იცნობს გორკის, უყოყმანოთ იტყვის, რომ ლენინის დაწასიათება უსათუოდ სწორია. აიღეთ გორკის ნაწერები. ვინ არ გვხვდება აქ? ცხოვრების რომელი კუნჭულია გაუშუქებლად დარჩენილი? გორკი მთელი წარსული ცხოვრებაა, თავისი წინააღმდეგობით, სიმწვავეთ. სირთულეთ, სიმძიმით. გორკის გმირები „ფსკერიდან“ ამოტივტივებული ადამიანები არიან: მუშები, მაწანწალები, შემდეგში კი—ინტელიგენტებიც. მართალია, ყველგან არაა გორკის კალამი გამართული. ეს აიხსნება განვლილ პერიოდის თავისებურებით. მაგრამ ამ თავისებურებათა ასახვით დიდი არაფერი დაუკარგავს გორკის. ამიტომ საგსებით უნდა დავფთხანხოთ ანატოლ ლუნინის სკის: გორკი პროლეტარული მწერალია იმ ეპოქის, როდესაც პროლეტარიატი არ წარმოადგენდა ორგანიზაციულად დარაზმულ ძალას.

შეიძლება ამ თემაზე ბევრი დაიწეროს. ეს საკითხი როდია ინტერესს მოკლებული, ლიტერატურის ისტორიკოსისათვის მაინც. ალბათ, ამის შესახებ თავის დროზე კიდევაც იქნება ლაპარაკი. ახლა კი უნდა ითქვას: გორკი საყვარელი მწერალია იმ კლასის, რომელ-

სა ც ი ს ტ ო რ ი ი ს მ ი ე რ დ ა კ ი ს რ ე ბ უ ლ ი ა ქ ე ს ს ა ხ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ა ს ა ხ ა ლ ს ა ფ უ მ ვ ე ლ ზ ე ა შ ე ნ ე ბ ა .

სარეცენზით გამოცემა გორკის ორ ადრინდელ მოთხრობას შეიცავს. ესაა „კონოვალოვი“ და „მეგობრები“. „კონოვალოვი“ 1896 წელსაა დაწერილი, ეკუთვნის იმ ნაწარმოებთა ციკლს, რომელიც ეწოდება „ბოსნიაკური“ ხანით გორკის შემოქმედებაში. 32 წლის წინეთაა დაწერილი „კონოვალოვი“, მაგრამ ის მაინც განსაკუთრებული ინტერესით იკითხება, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენში. „კონოვალოვი“ გორკის საუკეთესო ნაწარმოებთა სიაში ითვლება უსათუოდ.

ალექსანდრე კონოვალოვი გორკის საყვარელი ტიპია ე. წ. „ბოსნიაკების“. შერა-კითხვა არ იცის კონოვალოვმა, სახლ-კარი არა აქვს მას. დედ-მამა და ნათესავები არ გაიჩნია. მხოლოდ მაგარი მკლავები და აზოვანობა შერჩენია მას, ვერ გაუძლო ცხოვრების სიდუხჭირეს. დახეტილობს, ადგილიდან-ადგილზე გადადის, სამუშაოებს იცვლის. მაგარი სასმელია მისთვის ყველაფერი. კონოვალოვს არ ეხარება შრომა, მხოლოდ მუდმივ ერთ ადგილას მუშაობა არ ეხერხება. ის ახლა მგებურეთ მუშაობს, ფურნეში. ახალგაზრდა მაქსიმე მისი დამხმარეა, ორივე ერთ ტაფაზე იხრაკებიან. დუხტიორ ცხოვრების და აუტანელ მუშაობის თანამოზიარენი არიან.

არ იცის კონოვალოვმა კითხვა, მაგრამ წიგნი უყვარს მას. ახალგაზრდა მაქსიმე ხშირად უკითხავს მას წიგნებს. მაგრამ კონოვალოვს ყველა წიგნი ერთნაირად როდი მოსწონს. მას რევოლუციონური ბასიათის წიგნები აინტერესებს. კონოვალოვს უყვარს ყველა, ვინც კი „არსებულის“ წინააღმდეგ იბრძვის. კონოვალოვი აქ კარგად არჩევს, ინსტიტუტურათ, მტერსა და მოყვარეს. მას არ უყვარს, მაგ., პუგაჩევი:

— აი გაიძვერა, ლაწირაკი,—შეხედე! მფხის სახელით შეიმოსა და ამღვრევს წყალს. რამდენი ხალხი დაღუბა, ძალღმამა...

მეორე მხრივ, „სტენკა რაზინით“ გატაცებულია კონოვალოვი. „სტენკა რაზინის აჯანყება“-ს რამოდენიმეჯერ ისმენს ის. მას უყვარს სტენკას ამბის მოსმენა. ამ შემთხვევაში კონოვალოვი სულ სხვანაირად გრძნობს თავს. მისი ძარღვები იკიმება, სახე ცეცხლათ აენთება, თვალები გაუბრწყინდება და გაუდიდდება, გგონიათ, აი ეს არის გადმოუფგორდება. სიზარულის ცრემლები

ჩამოუდის მას, აქ კონოვალოვი ახლათ იბადება. ის სულ სხვა ხდება, ვერ იცნობთ მას. კონოვალოვი ეჩვევა ლოლიკას. მისი აზრები თანდათან ყალიბდებიან, თუმცა გარკვეულ დარმაში მათი ჩამოსხმა მაინც ვერ ხდება. კონოვალოვს აქვს „პრაქტიკული გონებრივი ცხოვრება“, რომელსაც გაბატონებულს „სტენკა რაზინის“ კარგად იცნობდა აქვს კავშირი გაწყვეტილი.

— უნდა აშენდეს ისეთი ცხოვრება, რომ ყველა თავისუფლად გრძნობდეს თავს და არავინ უშლიდეს ერთმანეთს— სენტენციურად წამოუყენეს კონოვალოვს თეზისი.

—მერე ვინ უნდა ააშენოს ცხოვრება?— გამარჯვებით, მძლე ხმით კითხულობდა კონოვალოვი და შიშით, რომ ვინმეს არ დაესწრო პასუხი, მაშინვე უპასუხებდა: ჩვენ თითონ, ჩვენ!

მაგრამ განა შეუძლიათ კონოვალოვებს ახალი ცხოვრების აშენება? კონოვალოვს არ აქვს საკუთარი თავის იმედი. მას სჯერა, რომ—

არავინ არაფერში დამინაშავე არ არის ჩვენს წინაშე, მაგრამ თვითვე ჩვენგანს კი მიუძღვის დანაშაული თავის წინაშე.

კონოვალოვი უგზო-უკვლოა, მან არ იცის თავისი დანიშნულება. ცხოვრებაში უსამართლოებაა, მაგრამ რა უშველის ამ უსამართლოებას? ამ კითხვაზე მას პასუხი ვერ გაუცია. ვერც შეეძლო გაეცა. ადამიანი, რომელიც საკუთარ ვინაობას არ იცნობს, ვერ გაიგებს, რა თქმა უნდა, ცხოვრების გარდაქმნის საშუალებას.

კონოვალოვი ბევრს დაპარაკობს საკუთარ თავზე. საკუთარი თავი მას მიაჩნია გამოურყვეველ ამოცანათ. ის საკუთარ თავზე მეტს ფიქრობს, ვინემ გარეზე მოვლენებზე, საგნებზე, „არსებულის“ შეცვლის მეთოდებზე.

— აი ეხლა, მაგალითად, მე რა ვარ? მაწანწალა, გლახაკი, ლოთი და შერყეული ადამიანი. ჩემს სიცოცხლეს გამართლება არ აქვს. რისთვის ვცხოვრობ მე ქვეყანაზე, ან ვის რათ ვუნდივარ, რომ ვსთქვათ? არც საკუთარი ბინა, არც ცოლი, არც ბავში და არც წადილი მაქვს რამისა. ვცხოვრობ, ვნადვლობ... რისთვის, რაზე? გაუგებარია. წინაგანი არსებობის გზა არ მაქვს,—გესმის? როგორა ვსთქვათ ეს? ნაპერწკალი არა მაქვს გულში... საკუთარ ძალა თუ რა?

ერთი სიტყვით, რაღა მაკლია, ერთი რამ, გაიგე? აი მე ვცნობ და ამ ერთ რამეს ვეძებ და ვნადვლობ მაზედ, რა არის ის, მე არ ვიცი...

შეიძლება ითქვას, ასე მკათიოთ თავისი „ბოსნიაკური პერიოდის“ გმირები გორაკის არც ერთ ნაწარმოებში არ გამოუჩინებია. გინდათ გაიცინოთ გორაკის პერსონაჟები? აი კონოვალოვის მონოლოგი! კონოვალოვი ზედმიწევნით ზუსტად ახასიათებს თავის თავს. საჭირო ძალა და ნაპერწკლები აქვთ გორაკის გმირებს, მაგრამ არ აქვთ „რაღაცა“, აკლიათ „ერთი რამ“. მას ეძებენ, მაგრამ რა არის ეს „ერთი რამ“. გასული საუკუნის მიწურულში ეს „ერთი რამ“ ერთგვარი ფილოსოფიური ქვა იყო, რომელსაც საკვირველების მოძუნება შეეძლო სოციალურ ცხოვრებაში. მაგრამ ეს „ერთი რამ“ მართლაც არ იცოდნენ მაშინ გორაკის გმირებმა, მაშინდელ ეპოქის დაბალ ფენებმა. ჩვენ კი ვიცით, რა იყო ეს „ერთი რამ“, ეს იყო—ორგანიზაციულობა, დარაზმვა, სოციალიზმის დროშა, მებრძოლი პარტია. ყველაფერი ეს არ სჩანდა მაშინ, განსაკუთრებით კი—არ იყო ორგანიზაციულად დარაზმვა მუშათა მასების. ინსტიტუტურად გრძნობდნენ ამის საჭიროებას გორაკის გმირები „ბოსნიაკები“, მაგრამ ვერ გამოუთქვამთ ის, ვერ მოუნაზავთ ამის ფორმულა. აქედან—„არავინ არაფერში დამნაშავე არ არის“. შემდეგ—პესიმიზმი, ალკოჰოლი და პროსტიტუცია, ქუჩა და სატუსალო...

კონოვალოვები („ბოსნიაკები“) უფრო „ბუნტარები“ არიან. მათი ბუნება უფრო ბუნტია და არა რევოლიუცია. რევოლიუციისათვის ისინი ველარ მომწიფებულან. ამისთვის კიდევ რამოდენიმე წელია საჭირო. მაგრამ არა ასეული წლები, არამედ ერთეულები, მხოლოდ ერთეულები. რატომ? იმიტომ, რომ ასაფეთქებელი მასალა დამზადებულია. კონოვალოვი განაგრძობს:

— ეხლა სიწყნარე და მორჩილება... წესიერებაა. შორიდან რომ შენდო, სრულიად მშვიდი ცხოვრებაა. წიგნები, ანაბანა, მხოლოდ ადამიანი კი ისევ უმწეო არის და შეგლა არსაიდან აქვს. ცოდვის ჩადენა აკრძალული აქვს, მაგრამ უცოდველობა შეუძლებელია... ამიტომ ქუჩაში წესია, გულში კი—არეულობა... მართლაც, ქუჩაში წესიერება იყო და „გულ-

ში კი—არეულობა“. ამ არეულობამ თავისი გამოსავალი ნახა ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციაში, შემდეგ კი 1917 წ. ოქტომბერში. გორაკის გმირები ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული მასსაა, რომელსაც კონოვალის ჩადენა აკრძალული აქვს, მაგრამ უცოდველობა“ ვერ მოუხერხებია.

კითხულობთ „კონოვალოვი“ კაცკირთ ავტორის აზრის სიყბადე, პირდაპირობა. გორაკის ერთ აქ მთელი „ფსკერი“ ლაპარაკობს. საკვირველია, როგორ ითმენდა გორაკის კონოვალოვებს“ („ოცდა ექვსი და ერთი“, „დედა“ და სხ.) მეფის ცენზურა? არა, არ ითმენდა. აკი ამას მოწმობს „დედა“-ს ბედი, რომელიც აკრძალული იყო რუსეთში და ხელიდან ხელზე გადადიოდა ბერლინის მუშათა ფენებში. გრძნობთ და ხედავთ, „კონოვალოვი“ უკვე „მოძველებულია“, მაგრამ ამ მოთხრობას მაინც კითხულობთ—გატაცებით, ხალისით, ინტერესით. აქ სჩანს გორაკის მხატვრული ნიჭი და ოსტატობაც.

მეორე მოთხრობა „მეგობრები“, რომელიც ამ წიგნშია მოთავსებული, იგივე თემას აწვითარებს, მაგრამ მეორე მხრივ. ამ მოთხრობის შესახებ ამიტომ სიტყვას არ გავაგრძელებთ.

უნდა მივესალმოთ გამბა „შრომა“-ს საქმიანობას გორაკის გამოცემის საქმეში. ეს მეტად სიმპატიური მოვლენაა. აქ უკვე აშკარათ სჩანს, თუ რამდენად უკეთესია გორაკის ხასიათის ავტორების გამოცემა საბა-სულხან ორბელიანისა და შოთა რუსთაველის გამოცემაზე!

მაგრამ თუ ჩვენ მაინც გამოვსთქვამთ საყვედურს, უსათუოდ თარგმანის შესახებ. „კონოვალოვი“-ს თარგმანი სუსტია საერთოდ, ხოლო ძალიან სუსტია მხატვრული თვალსაზრისით. მართალია, ძნელია გორაკის თარგმნა. გორაკის ენა თავისებურია. ამ თავისებურებათა გადმოთარგმნა ქართულ ენაზე ძალიან ძნელია, მაგრამ მაინც არა შეუძლებელი. ეს ასე რომ არ იყოს, გორაკის მხატვრული შემოქმედება გაუცნობელი იქნებოდა ჩვენი მკითხველებისათვის! საჭიროა მხოლოდ გორაკის გადმოთარგმნაში მეტი ცოდნა და დაკვირვება. საერთოდ, საჭიროა „თარგმანის კულტურა“. ეს კულტურა ჩვენში ძალზე მოისუსტებს.

ნ. ხუციშვილის თარგმანი სუსტია, შეიძლება ითქვას ძალზე სუსტი. აქ გრამატიკაც არაა ხშირათ დაცული. მაგალითები მრავალზე უმრავლესია, თითოეულ გვერდსა და სტრიქონშიაც კი.

ნ. ხუციშვილი თითქმის ყველგან სწერს: სასუ-

ლენინად, კიბობანხედ, ნიკიხედ, თაგხედ, ჩარჩოხედ და სხ. ასეთ შემთხვევებში ასო „დ“ სრულებით შედმეტია და უადგილო. შემდეგ: შემოდლიან („ნ“ რა საჭიროა), გამეხარდა, ესოდენ, გმინავდა, იატაკიდგან, შევეკრიფე, მომიტა და სხვ.— ეს ცალკე სიტყვები. წინადადებები: „შხლართავდა უღვაშებს“, „ათქვირებული კაცი“, „გაჩარხული თითებიანი ხელები“, „ვიხეა ეგ წიგნი დაწერილი“ „უფროდ გაჩნდა“, „დექნის აფიშა ქრიალებდა“, „ისმოდა ჩლუნგი კენესით ბგურა, უფრო თრთოდა“ და სხ. სწორია: „ყველა უბედურობით მოცულ გუბერნიების წარმომადგენლები“, უნდა იყოს: „უბედურობით მოცულ ყველა გუბერნიების წარმომადგენლები“, ან კიდევ: „მუქთად ეხვეწო მუშაობას“—ეხვეწო მუქთად მუშაობას, „ფეჩის ცეცხლთან შეერთებით“—ცეცხლთან ფეჩის შეერთებით და სხ.

ერთი „დეტალი“ კიდევ: „მე შეედექ“—მე შევედექი, „უამბე“—გუამბე (ეს ხომ სულ სხვადასხვაა). „მე არ უბასუხე“—მე არ ვუბასუხე და სხვ. შეიძლება გრამატიკის დაოღვევის მრავალი მაგალითის მოყვანა, მაგრამ განა ამაზე საუბარი „მნათობი“-ს ფურცლებზე სიტყვიერი არაა? ეს ხომ უბრალო, ელემენტარული წესებია მართლწერის! არა, თარგმნა „საანელდახელო საქმე“ როდია, არა ბასუსაგები. მთარგმნელს ბევრი რამ მოეოხოვება: ენის ცოდნა, მართლწერის დაცვა, მხატვრული ლიტერატურის სიყვარული და ბეჯითი მუშაობა. ვისაც არ შეუძლია ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, ხელს ნუ მოკიდებს „ლიტერატორობას“. ლიტერატორობა სავალდებულო ხომ არაა, მით უმეტეს—ზოგიერთებისათვის?

მ. მ—ლი.

3. ლენინი. „იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“. სახელგამი. 1928 წ. გვ.—184. ფასი—60 კაპ.

„იმპერიალიზმი, როგორც უახლესი ეტაპი კაპიტალიზმისა“ სამართლიანად მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო თეორიულ გამოკვლევათ მსოფლიო რევოლუციონურ მარქსისტულ ლიტერატურაში. ეს შრომა ნათელყოფს, რომ ლენინი იყო უდიდესი მარქსისტული მოაზროვნე, რომ იგი ყოველთვის საფუძვლიანად და სწორად სწავებდა მარქსისტული თეორიის საკითხებს. ახალი სოციალ-ეკონომიური კონიუნქტურის, იმპერიალისტურ ეპოქისათვის დამახასიათებელ მოვლენების დრმა თეორიულმა ანალიზმა საშუალება მისცა ლენინს საგრძნობლად გაემდიდრებია მარქსიზმი, შეეტანა მასში მთელი რიგი ახალი მომენტების, რომელთა შორის საკითხი იმპერიალიზმის შესახებ წარმოადგენს ძირითად საკითხს. მაგრამ ამ ნაწარმოებს აქვს აგრეთვე უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობაც. ლენინი იმპერიალიზმის საკითხს, ისე როგორც ყოველგვარ თეორიულ კონცეპციას იხილავს პრაქტიკული თვალსაზრისით, სცდილობს გამოარკვეოს ყოველგვარი თეორიული დებულების პრაქტიკული აზრი და მნიშვნელობა, ლენინის აზროვნების ეს თავისებურება, მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენება არა მარტო როგორც საზოგადოებრივი შემცნების მეთოდისა, არამედ როგორც მოქმედების მეთოდისაც, განსაკუთრე-

ბით მკაფიოთ გამოსკვივის ამ ნაწარმოებიდან. იმპერიალიზმის თეორიული ანალიზი ლენინს აინტერესებს იმდენად, რამდენათაც შეცვლილი ეკონომიური პირობები აყენებს პროლეტარიატის წინაშე მოქმედების ახალ ამოცანებს და რამდენათაც ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური ხაზის განსაზღვრა მოითხოვს მისგან თბივქტიურ წინამძღვრების სწორ მეცნიერულ შეფასებას. თავის წინასიტყვაობაში ლენინი გარკვევით უთითებს მკითხველს ამ პრაქტიკულ მხარეზე: „მე მინდა იმედი ვიქონიო, —ამბობს ლენინი, —რომ ჩემი ბროშიურა მკითხველს დახმარებას გაუწევს იმ ძირითადი ეკონომიური საკითხის გასარკვევად, რომლის შეუმჩნეველად შეუძლებელია თანამედროვე ომისა და თანამედროვე პოლიტიკის შეფასება...“ და მასშასადამე მოქმედების ხაზის სწორი განსაზღვრაც. სანამ ლენინის თხზულების უწუალო განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა გაკვირით შევჩერდეთ ზოგიერთ „მარქსისტ“ მკვლევართა შეხედულებებზე იმპერიალიზმის შესახებ, ვინაიდან ლენინის წიგნის კრიტიკული ნაწილი მთლიანად მიმართულია მათ მიერ წამოყენებულ დებულებათა წინააღმდეგ. პირველი, ფრიად სერიოზული შრომა იმპერიალიზმის საკითხს მარქსისტულ ლიტერატურა-

ში უძღვნა ჰილფერდინგი (,,ფინანსური კაპიტალი“). ამ წიგნში ჰილფერდინგი იძლევა კაპიტალიზმის განვითარების უახლესი ფაზისის — ფინანსური კაპიტალის — თეორიულ ანალიზს. ურთი მხრით საბანკო კაპიტალისა და მეორე მხრით სამრეწველო-სავაჭრო კაპიტალის განვითარების ანალიზს ის მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ განვითარების განსახლებურ საფეხურზე მყარდება მჭიდრო კავშირი სამრეწველო და საბანკო კაპიტალს შორის, საფუძველი ეყრება კაპიტალიზმის ახალ ფაზისს — ფინანსურ კაპიტალს, რომელიც წარმოადგენს კაპიტალის გამოვლენის ყველაზე უფრო უმაღლეს და აბსტრაქტულ ფორმას. ჰილფერდინგი იძლევა ფინანსური კაპიტალის წარმოშობის და მისი თანდათანობითი განვითარების სრულიად გარკვეულ სურათს, ანთავისუფლებს მას ყოველგვარი მისტიური სამოსელისაგან და ამხელს მის შინაგან მექანიკას. ის აცალიბებს იმ პროცესების ურთიერთობას, რომელიც საფუძველად უდევს ფინანსური კაპიტალის განვითარებას, ააშკარავებს ფინანსური კაპიტალის იმპერიალისტურ ტენდენციებს, საქონლის ვაჭანის კაპიტალის ექსპორტით შეცვლის პროცესს. ამავე დროს ჰილფერდინგი საუბრით არღვევს იმ შეხედულებებს, რომ თითქოს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს ახასიათებს შინაგანი ჰარმონია და მშვიდობიანი გზით განვითარების ტენდენციები.

მაგრამ ჰილფერდინგი ბოლომდის არ შერჩენია ამ პოზიციას. ისე როგორც კაუცკი, ის გაიტაცა სოციალ-პატრიოტულმა გრძნობებმა და უკანასკნელ ხანებში ის იცავს იმ შეხედულებას, რომ იმპერიალიზმი შესაძლებელია დაძლეულ იქნას კაპიტალიზმის არსებობის პირობებში. 1916 წელს დაბეჭდილ წერილში „კაპიტალიზმის თეორია“ ჰილფერდინგი სწერს: „ამრიგად თავისუფალი ვაჭრობა, როგორც იმპერიალისტური სავაჭრო პოლიტიკისა და თვით იმპერიალიზმის საწინააღმდეგო საშუალება ხდება პროლეტარიატის მებრძოლ ლოზუნგად“). ე. ი. პროტექციონიზმის თავისუფალი ვაჭრობით შეცვლის გზით შესაძლებელია იმპერიალიზმის მოსპობა. ჰილფერდინგი, რომელიც თავის „ფინანსურ კაპიტალში“ თავისუფალ ვაჭრობას უწოდებს უკვე დრომოკმეულ რე-

აქციონურ იდეალს და პროლეტარიატის მებრძოლ ლოზუნგად იმპერიალიზმის წინააღმდეგ აყენებს მხოლოდ და მხოლოდ სოციალიზმს, დღეს ამ რეაქციონურ იდეალს დამცველად გამოდის. თუ ის ერთ დროს, ბურჟუაზიის დაღემაზე — პროტექციონიზმზე — უფრო ვაჭრობის თავისუფლება — უპასუხებელი რეაქციონიზმი, არც ვაჭრობის თავისუფლება, არამედ სოციალიზმი, წარმოების ორგანიზაცია, მეურნეობის შეგნებული რეგულიაცია არა კაპიტალის მაგნატების, არამედ მთელი საზოგადოების მეორ, დღეს ის შესაძლებლად ნაშულობს ფრიდრედერულ, ე. ი. არსებითად ბურჟუაზიულ-პაციფისტურ პოზიციაზე მოკალათებას. თუ ის ერთ დროს გარკვევით ამბობდა, რომ სოციალიზმი უკვე აღარ წარმოადგენს შორეულ იდეალს, ის პროლეტარიატის უშუალო პრაქტიკული პოლიტიკის არსებით ელემენტია დღეს ის ამტკიცებს, რომ იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ხანა დასრულდა და ამიერიდან იწყება უდიდესი იმპერიალისტური ჰარმონიის ეპოქა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. კაუცკის ორგინალური თეორია „ულტრა-იმპერიალიზმის“ შესახებ. კაუცკის აზრით იმპერიალიზმი თანამედროვე კაპიტალიზმი კი არ არის, მისი განვითარების ფაზისი, არამედ იგი კაპიტალიზმის ერთ-ერთი ფორმაა, მისი ერთ-ერთი „ბნელი მხარე“. კაპიტალიზმის დამახასიათებელ თვისებას სრულიადაც არ შეადგენს ომები, საერთაშორისო კონფლიქტები, მტაცებლური კოლონიალური პოლიტიკა და სხვა. კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის პროცესი საერთაშორისო ინტერნაციონალურად გაერთიანებულ ტრესტების დაარსება საფუძველს უყრის კაპიტალიზმის ახალ მშვიდობიან ფაზისს ულტრა-იმპერიალიზმს. თანამედროვე იმპერიალიზმის ასეთ ტრანსფორმაციას მშვიდობიან ულტრა-იმპერიალიზმად ბევრად დააჩქარებს იმპერიალიზმის ბურჟუაზიულ-მტაცებლურ ტენდენციებისათვის პროლეტარიატის მშვიდობიანი ტენდენციების დაპირისპირება.

კიდევ უფრო შორს მიდის „მარქსისტი“ ჰენრიხ კუნოვი — მისი აზრით იმპერიალიზმი თანამედროვე კაპიტალიზმია, ისტორიულად აუცილებელი და მაშასადამე პროგრესიული მოვლენა — ეს იმპერიალიზმის აშკარა აპოლოგიაა.

წინააღმდეგ ოპორტიუნისტ-მარქსისტებისათვის წიგნმა ლენინი იძლევა იმპერიალიზ-

1) ციტატა ამოღებულია მის. კავლოვიჩის წერილიდან „ლენინი და ხე-იმპერიალიზმის თეორია“.

მის კლასიურ განმარტებას. იმპერიალიზმი—
 ლენინის განმარტებით, კაპიტალიზმის მონოპო-
 ლისტური სტადიაა, მონოპოლისტური
 კაპიტალიზმი. იმპერიალიზმის ცნება შე-
 იცავს ხუთ ძირითად ნიშანს: 1) წარმოებისა და
 კაპიტალის კონცენტრაციას, რომელიც წარმო-
 შობს სამეურნეო ცხოვრებაში გადამწყვეტ მნი-
 შენელობის მიქონე მონოპოლიებს, 2) საბანკო
 კაპიტალის შედუღებას სამრეწველოსთან და
 ამ ნიადაგზე საფინანსო კაპიტალის, ფინანსიუ-
 რი ოლიგარხიის აღმოცენებას, 3) კაპიტალის
 ექსპორტს, 4) კაპიტალისტთა საერთაშორისო
 მონოპოლისტური კავშირების წარმოშობას,
 5) მსოფლიოს ტერიტორიალურად დანაწილების
 დამთავრებას უმსხვილეს კაპიტალისტურ სახელ-
 მწიფოებს შორის.

წიგნის პოზიტიურ ნაწილში ლენინი ისტორი-
 ულ თანამიმდევრობით იხილავს იმ გზას, რომე-
 ლიც განგლო სამრეწველო კაპიტალმა თავის
 ახალ ფაზისამდე. კაპიტალიზმის გადაქცევას
 იმპერიალიზმად ლენინი აკუთვნებს მე-XIX სა-
 უკუნის დასასრულს და მე-XX საუკუნის დამ-
 დეგს. მოკლდით, ლენინი შემდეგ ნაირად განსაზ-
 ლვრავს ფინანსიური კაპიტალის განვითარების
 გზას „წარმოების კონცენტრაცია, მონოპოლიე-
 ბი, მისგან გამოწვეული, ბანკების გაერთიანე-
 ბა, ან შესისხლხორცება მრეწველობასთან—აი-
 როგორც ისტორია საფინანსო კაპიტალის წარ-
 მოშობისა“.

თავის წიგნის კრიტიკულ ნაწილში ლენინი
 განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებს კაუცკისა
 და იმპერიალიზმის სხვა „მარქსისტ“ თეორეტი-
 კოსების წინააღმდეგ. ის მოხერხებულად იყუ-
 ნებს ბურჟუაზიულ ეკონომისტების აზრებს და
 ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთელ რიგ სა-
 კითხებში „რეფორმისტული“ სოციალიზმის მო-
 ცი/ულნი კაუცკი, ჰილფერდინგი, კუ-
 ნოვი და სხვები, არამც თუ სავსებით იზიარე-
 ბენ ბურჟუაზიულ-ეკონომისტების შეხედულებებს,
 არამედ ზოგჯერ უფრო რეაქციონურ პოზიცია-
 საც იჭერენ. ასეთი მწვავე კრიტიკა ლენინის
 მხრივ აიხსნება სწორედ იმ მოსაზრებით, რომ
 მელსაც გამოსთქვამდა ერთ დროს თვით ჰილ-
 ფერდინგი თავის „ფინანსიურ კაპიტალი“-ს წი-
 ნასიტყვაობაში: „სოციალიზმის ყველა
 მტრებს შორის ყველაზე უფრო სა-
 შიში უქვეყლად ისინი არიან, ვინც
 ყველაზე მეტად შეითვისა მარქ-
 სიზმი“-ო.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის შესწორე-
 ბანი, რომელიც შეაქვს ლენინს ჰილფერდინგის
 წიგნში. ჰილფერდინგს არა აქვს ცხადად გარკ-
 ვეული თუ რა საფუძველზე წარმოებს ფინან-
 სიური კაპიტალის წარმოშობა, რა ძირითადი
 მიზეზი განსაზღვრავს ამ პროცესს. გამოდის რომ
 ფინანსიური კაპიტალიზმი წარმოშობა საბანკო
 კაპიტალის დამოუკიდებლობის შე-
 დეგია. ლენინი თავის გამოკვლევაში ცხადყოფს,
 რომ „საწარმოო კონცენტრაცია
 რჩება საბანკო კონცენტრაციის
 ძირითად მიზეზად“. მეორე, ჰილფერ-
 დინგმა უპურადღებოდ დასტოვა იმპერიალიზმის
 მეტად დამახასიათებელი თვისება—პარაზი-
 ტიზმი. ლენინი ასაბუთებს, რომ საბანკო კაპი-
 ტალის კონცენტრაციის მიერ გამოწვეული ფულა-
 დი კაპიტალის უდიდესი რაოდენობით დაგროვე-
 ბა წარმოშობს რანტიეტა ფართო წრეებს,
 რომლებიც სცხოვრობენ მხოლოდ და მხოლოდ
 „კუპონების კრეკით“. ამის საილიუსტრაციოდ
 ლენინს მოჰყავს ინგლისის მაგალითი, რომლის
 რანტიეტა შემოსავალი 1899 წელს 5-ჯერ აღე-
 მატებოდა ინგლისის საგარეო ვაჭრობის შემო-
 სავალს.

აღსანიშნავია, რომ ეს შესწორებანი ეხება
 ჰილფერდინგს, როგორც „ფინანსიური კაპიტა-
 ლის“ ავტორს, ხოლო ეხლანდელი ჰილფერდინ-
 გი თავისი „საერთაშორისო მშვიდობიანობისა
 და ჰარმონიის“ თეორიით სრულიად ეთანხმება
 კაუცკის და ამდენად ლენინის კრიტიკა მიმარ-
 თულია კაუცკის წინააღმდეგ სავსებით ხვდება
 მასაც.

გაცილებით უფრო ხანგრძლივად ჩერდება
 ლენინი კაუცკის შეხედულებებზე. ლენინი
 არღვევს კაუცკის დებულებას, რომ თითქოს იმ-
 პერიალიზმი არის კაპიტალიზმის ერთ-ერთი
 ფორმა. „იმპერიალიზმი, ამბობს ლენინი, სავა-
 არა არის რა, თუ არა კაპიტალიზმის განვითარ-
 რების განსაკუთრებული სტადია“, ფინანსიურ კა-
 პიტალს არ შეუძლია ასცდეს იმპერიალისტურ
 პოლიტიკის გზას, ვინაიდან ეს პოლიტიკა გა-
 მომდინარეობს თვით მისი შინაგანი, იმანენტუ-
 რი ბუნებიდან. ლენინი გადაჭრით უარყოფს
 „ულტრა-იმპერიალიზმის თეორიას“, კაპიტალის
 ინტერნაციონალურ გაერთიანების საფუძველზე
 მსოფლიო მშვიდობიან ექსპლოატაციის შესა-
 ძლებლობას. საფინანსო კაპიტალის ბატონობა
 სრულიადაც არ ასუსტებს ანტაგონიზმს მსოფ-
 ლიო მეურნეობის შიგნით, იცვლება მხოლოდ

ქიშპობისა და ბრძოლის ასპარეზი. „ერთი იმპერიალიზმში ებრძვის მეორეს, ერთი მონოპოლია მეორეს, ერთის საფინანსო კაპიტალი მეორის საფინანსო კაპიტალს“. ინტერნაციონალურად გაერთიანებულ კაპიტალის მტკიცე შეთანხმების პირობას წარმოადგენს ამ შეთანხმების მონაწილეთა ძალების თანასწორობა მსოფლიო ბაზარზე ეკონომიური, საფინანსო და სამხედრო ძლიერების მხრივ. მაგრამ ამ მონაწილეთა ძალა ერთნაირად როდი იცვლება „ვინაიდან კაპიტალიზმის დროს, ამბობს ლენინი, სხვადასხვა, ქვეყანათა ცალკე საწარმოების, ტრესტების მრეწველობის დარგთა თანაბარი განვითარება შეუძლებელია“. ლენინი აქ არგუმენტად აყენებს კაპიტალიზმის არა თანაბარ განვითარების კანონს. თუ რამდენად ბრწყინვალეთ დადასტურდა ლენინის ეს დებულება ამას თვალსაჩინოთ ააწყარავენს მიხ. პავლოვიჩი თავის წერილში „ლენინი და ხეიმპერიალიზმის თეორია“. პავლოვიჩი იხილავს იმპერიალისტურ თმში მონაწილეს სახელმწიფოების ძალთა შეფარდებას და ცხადყოფს თუ რამდენად დაირღვა წონასწორობა უდიდეს სახელმწიფოთა შორის. თუ თამამდე, მაგალითად, ფინანსური ძლიერების მხრივ უდიდესი სახელმწიფოები დაახლოებით თანასწორი ძალისა იყვენ, ამჟამად მთელი რიგი ევროპული სახელმწიფოებისა შეერთებულ შტატების მოზარკეებად გადაიქცენ. ასევე დარღვეულია ეკონომიური და სამხედრო ძალთა შეფარდება ინგლისსა და საფრანგეთს, ინგლისსა და იაპონიას, საფრანგეთსა და გერმანიას და სხვა სახელმწიფოებს შორის.

ბუხარინი თავის წიგნში „Мировое хозяйство и империализм“ აწვითარებს ლენინის მიერ მოცემულ ზოგად ფორმულას და სამართლიანად უწევს ანგარიშს იმ ფაქტს, რომ კაპიტალიზტური ინტერესების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციას უპირდაპირდება ტენდენცია კაპიტალის ნაციონალიზა-

ციისავენ, ნაციონალურ სახელმწიფოთა საზღვრებში მოქცევისავენ, ვინაიდან, როგორც ამბობს ბუხარინი, „მოგება, რომელსაც იღებენ ბურჟუაზიის ნაციონალური ჯგუფები ბრძოლის გაგრძელებისაგან, გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე მასთან დაკავშირებული ზარალი“.

კაპიტალიზმის არაუფლებიერ ქვეყნების გამო, „ულტრა-იმპერიალისტური“ კავშირები, კიდევ რომ რატი წარმოშობა შესაძლებელი იყოს, იქნება მხოლოდ დროებითი შესვენება, რომლის შემდეგ ძალთა შეფარდების შეცვლის გამო კვლავ დაიწყება ბრძოლა „გაფლენათა სფეროებისათვის“, მსოფლიოს ახალი განაწილებისა და გადაანაწილებისთვის. მაშასადამე, ასკნვის ლენინი, „ულტრა-იმპერიალიზმში“, „კაპიტალიზმის განვითარების მშვიდობიანი ფაზისი“ წარმოადგენს არსებითად ულტრა-რეაქციონურ თეორიას.

მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი დაწერილია 1916 წელს იგი დღემდის არ ჰკარგავს თავის უაღრესად აქტუალურ მნიშვნელობას. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან იმპერიალიზმში ჯერ კიდევ ბატონობს მსოფლიოს 2/3-ზე და მასთან ბრძოლა მსოფლიო პროლეტარიატის აქტუალურ ამოცანას წაადგენს. თავის წიგნში ლენინი მჭერმეტყველურად ნათელყოფს ყველასათვის, რომ „იმპერიალიზმში პროლეტარიატის რევოლიუციის წინადაც“ და რომ მისი დაძლევა მსოფლიო სოციალისტური რევოლიუციის აუცილებელი პირობაა.

თარგმანი ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი. მას აკლია გარკვეულობა, რაც აძნელებს წიგნის კითხვას. მაგალითად ავტორი ხმაობს ასეთ ბუნდოვან გამოთქმებს „ანარეკლად იმოქმედებს“, „საწარმოო საშუალებათა კრძო საკუთრება“ (რატომ არა, კრძო საკუთრება საწარმოო საშუალებებზე?), „შევაკრება“ და სხვა. ასეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მოითხოვს მეტ ყურადღებას.

მკითხველი.

„საქართველოს ეკონომისტი“ საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ორგანო. № 2—3, ტფილისი, 1928 წ.

„საქართველოს ეკონომისტი“ ამ უკანასკნელ ხანებში შედარებით გაუმჯობესდა. ჟურნალში შეუქდება საქართველოს მეურნეობისა და მრეწველობის საკირობოროტო საკითხები. აგრეთვე

საკმაო ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი მეურნეობა მრეწველობის მიმდინარე მეშაობის გაშუქებასაც. ჟურნალის სარეცენზიო ნომერი იხსნება

ამხ. არტ. კვირიკაძის წერილით: „საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის 7 წელი და ჩვენი მორიგი ამოცანები“. წერილის შესავალ ნაწილში მოთხრობილია ისტორია, თუ რას წარმოადგენდა ჩვენი სახალხო მეურნეობა გუშინ, საქართველოს გასაბჭოებამდე. ავტორი აღნიშნავს, რომ მენშევიკების დროს საქართველოს მეურნეობა ერთ წერტილზე იყო გაყინული; ეს საფუძვლით მართალი არ არის. მეურნეობა ქვეითდებოდა და ნადგურდებოდა. ნაღალი კულტურა—ვენახი, ბამბა, ჩაი და სხვა, ადგილს უთმობდა შედარებით უფრო დაბალ კულტურას, სიმინდს; ამიტომ მენშევიკების დროს ადგილი ქონდა არა ერთ წერტილზე გაყინვას, არამედ დაცემას.

შემდეგ ავტორი პარტყრილობების დადგენილებებთან დაკავშირებით აშუქებს ჩვენს მორიგ ამოცანებს სახალხო მეურნეობის დარგებში. წერილი საგულისხმოთაა დამუშავებული და შესაფერისად აშუქებს საკითხს.

ვიქტორ თევზაიას წერილი ხუთწლიანი გეგმის შესახებ იბეჭდება ახრთა გაცვლა-გამოცვლის წესით. თევზაია აღნიშნავს ხუთწლიანი გეგმის შედგენის დიდ მნიშვნელობას, სირთულეს და იცავს სწავდასხვა მეროდების შეზავებით გამოყენებას. ავტორისათვის გაურკვეველი ყოფილა საბჭოთა მეურნეობის განვითარების შინაგანი ეკონომიური კანონები. მან არ იცის ეს კანონები კაპიტალისტურია, სოციალისტური თუ გარდამავალი ხანის. ის მათ სოფლის თავისებურ გარდამავალ ხანის კანონებათ, რაში მდგომარეობს ეს თავისებური, ავტორი არაფერს გვეუბნება.

სპ. ჩომახიძის წერილი აბრეშუმის მრეწველობის განვითარების უახლოეს პერსპექტივებზე იოვალისწინებს ნედლეულის ზრდას, ამ ნედლეულის ადგილობრივ გადამუშავებას და ამის მიხედვით სააბრეშუმო წარმოების გაძლიერებას. ჩვენი აბრეშუმის ქარხნები ამჟამად ნედლ მასალას ნახევარ ფაბრიკატათ ამუშავებენ (ძაფი), ავტორს საჭიროდ მიაჩნია ამ ძაფის დამუშავებაც ფაბრიკატათ ადგილობრივად ხდებოდეს, რისთვისაც გამოსთქვამს აზრს, რომ აბრეშუმის საქსოვ ქარხანას მიეცეს ნამდვილი საქარხნო წარმოების სახე. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგი არაფერ იქნება და ეს საკითხია მომავლის.

არჩილ რუხაძე ეკამათება კუმბურისეც, რომელმაც „საქართველოს ეკონომისტის“

წინა ნომერში „კონტრაბანდათ“ გააპარა ყოვლად მიუღებელი აზრი იმის შესახებ, თითქოს ნედლეულის საკითხში სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია სოფლის გაცხოველებს და სხვა. არ. რუხაძე ამის უსაფუძვლობას უმტკიცებს ავტორს ამხ. სტალინის სიტყვიდან სათანადო ციტატების მოყვანით და საქართველოს პრაქტიკითაც.

ჯურნალის თეორეტიკულ განყოფილებაში მოთავსებულია ორი წერილი: ს. დევდარიანი-ნიის—კომ. მანიფესტის 80 წლის შესახებ და შალვა ჩოჩიას „არაბული ქვეყნები სსოფლიო პოლიტიკაში“. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ წერილებში „თეორიული“ ძალიან ცოტაა. ის უბრალო საგახეთო წერილებია. კერძოთ ჩოჩიას წერილი კორესპონდენციის ხასიათისაა და არაფითარი თეორიული დებულებები მასში წამოყენებული არ არის.

სეთ დევდარიანი „კომუნისტური მანიფესტის“ 80 წლის თავის შესახებ ვერ გამოსთქვამს საფუძვლით მისაღებ აზრებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ავსტრიის სოციალ-დემოკრატის დაუმსახურებელ რეკლამას უკეთებს. მის შესახებ სწერს საერთაშორისო სოციალიზმის მემარცხენე ფრთააო. ეს ერთობ გაბედული თქმაა და ავტორს ამ დებულების ფაქტებით დამტკიცება ძალიან გაუჭირდება. ავსტრიის სოციალ-დემოკრატია, რომელსაც ავსტრიის მუშათა კლასის სისხლში აქვს ხელები გასვრილი, ყოვლად შეუღებელია სოციალიზმის მემარცხენე ფრთად ჩაითვალოს.

არც ის მიგვაჩნია სიმართლედ, თითქოს „კომუნისტური მანიფესტი“ ყველა ქვეყნის სოციალისტური პარტიების პროგრამას დაედვა საფუძვლად და ამ პარტიებს კლასთა ბრძოლა მთავარ პრინციპათ აქვთ აღიარებული. პირიქით, ამ პარტიებმა შერყვნეს „კომუნისტური მანიფესტის“ საფუძვლები და კლასთა ბრძოლის პრინციპის ნაცვლად კლასთათანამშრომლობას ქადაგობენ.

ავტორის არც ის დებულებაა სწორი, თითქოს მუშათა არისტოკრატის წარმოადგენს ინგლის-ამერიკის ტრედუნიონებში გაერთიანებული მთელი მასა, ამ გაერთიანებებში არსებობენ რევოლიუციონური უმცირესობანი, რომელიც თავგამოდებით ებრძვის არისტოკრატულ ფენებს. არისტოკრატული ფენები მუშათა კლასისათვის დაკარგულია და ავტორი ამოდ ფიქ-

რობს ამ დაკარგულ ხალხის ისევ მუშათა კლასის რიგებში მოქცევას. ამიტომ ოპორტიუნისტულია ს. დევდარიანის მტკიცება პროლეტარიატის ჩატეხილ ხიდის გამთელებაზე.

ავტორი საესებით დუმილით უვლის გვერდს დევდარიანდელ კომუნისტურ მოძრაობას კომუნისტურ მანიფესტის პრინციპებთან დაკავშირებით. შეიძლება ავტორი კომუნისტურ პარტიებს ურევს ყველა ქვეყნის სოციალისტურ პარტიებში. ეს საკითხის ბანზე აგდება. სოციალისტური და კომუნისტური პარტიები ერთმანეთისგან ისეა დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. „საქართველოს ეკონომისტი“ კომუნისტური ჟურნალია და სეით დევდარიანს ამ ჟურნალში ასეთი ოპორტიუნისმის ქადაგების საშუალება არ უნდა მიეცეს.

ამავე ნომერში დაბეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილები: ა. სააკიანის—„საქართველოს ადგილბრივი მოქმედება“; ალ. დევდარიანის—„სასოფლო მეურნეობა და ქიმიური მრეწველობა“; გ. თაბატაძის—„მეცხვარეობის პრობლემა საქართველოში“; კ. თოფურიძე—„რეკონსტრუქციული და საქართველოს ღვინო“; ნ. ჯანაშია—„ღვინის პრობლემა“; ვ. ლაკერბაია—„საბაპიროსე თამბაქოს დაჩქარებული ფერმენტაცია“; პ. მიქელაძე—„პრობითი ტერიტორიალური ბიუჯეტის შედგენა და ფინანსიური გეგმა“ და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის განყოფილება მეტად მდიდრულად არის შედგენილი. ასევეა ბიბლიოგრაფიის განყოფილებაც.

ეკონომისტი

ბეჭდვის:

{ მის. კასიანი
ს. მამულია
გ. შიშიშვილი
ს. უელი

შინაარსი



გვერდი

1. — მაქსიმ გორკი	5
მხატვრული ლიტერატურა	
2 მ. გორკი—არტამონოვების საქმე—თარგ. ლ. ქიაჩელის	9
3. მ. გორკი—ქარიშხალა—თარგ. ნ. ზომლეთელისა	46
4. მ. გორკი—ფერია—თარგ. ვ. რუხაძის	47
5. მ. გორკი—წიგნიდან „მოგონებანი“—თარგ. დ. შენგელაიასი	49
6. ვ. უურული—გორკი (ლექსი)	82

კრიტიკა—მეცნიერება—პუბლიცისტიკა

7. ვ. ბახტაძე—კრიტიკული შენიშვნები: მ. გორკი	86
8. გრიგოლ რობაქიძე—გორკის თვალი	120
9. სერგო ამალლობელი—მაქსიმ გორკი ადამიანის ძიებაში	128
10. ვ. ხუროძე—მაქსიმ გორკი	132
11. გიორგი ლეონიძე—ივანე მაჩაბელი (გაგრძელება)	140
12. ფ. მახარაძე—ქართველი მწერლები და კულტ. რევოლ.	158
13. ქართველი მწერლები—მეორე ყრილობის შესახებ	182

ბიბლიოგრაფია

14. მ. მ—ლი—„მაქსიმ გორკი“—თარგ. ნ. ხუციშვილის მიერ.	186
15. მკითხველი—ვ. ლენინი: „იმპერ. როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა“	189
16. ეკონომისტი—„საქართველოს ეკონომისტი“	192



ပြည်ထောင်စု
ပညာရေးနှင့်
ယဉ်ကျေးရေး
ဝန်ကြီးဌာန

